# საქართველოს ეკლესიის ისტორია

**2**

გამომცემლობა არტანუჯი

სერიის მთავარი რედაქტორი
ბუბა კუდავა

სერიის სარედაქციო კოლეგია
გიორგი კალანდია
გოჩა საითიძე
თეა ქართველიშვილი
მაია შაორშაძე
თემო ჯოჯუა

სსამეგრდ 24.02.06 ს რ №78

ISBN 99940-11-95-2 (სერიის)
ISBN 99940-11-89-8 (თ. ქართველიშვილი, „გურიის საეპისკოპოსოები")

© გამომცემლობა არტანუჯი, 2006.

თეა ქართველიშვილი

# გურიის საეპისკოპოსოები

(XV-XIX საუკუნეები)

თბილისი

ნინამდებარე წიგნში განხილულია გურიის საეპისკოპოსოების დაარსება. მოცემულია მღვდელმთავართა ქრონოლოგიური რიგი, ამასთანავე მათი მოღვაწეობა საეკლესიო-კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სარბიელზე. გურიის მთავართა დამოკიდებულება საეკლესიო პროცესებისადმი. მიმოხილულია ეპარქიაში შემავალი ეკლესია-მონასტრების ისტორია. მონოგრაფია გათვალისწინებულია სპეციალისტებისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი ქეთევან პაველიაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

# შესავალი

საქართველოში საეპისკოპოსოების ჩამოყალიბება საეკლესიო ორგანიზაციის დასაბამს უკავშირდება და მრავალრიცხოვანი წყაროების დასტურით უძველესი დროიდანვე არსებობს. საქართველოს საეკლესიო ისტორია, ქართული ისტორიოგრაფია და ეროვნული ტრადიცია პირველ საეპისკოპოსოს დამაარსებლად მოციქულ ანდრია პირველწოდებულს მიიჩნევს. საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო ვითარების შესაბამისად საუკუნეების განმავლობაში რიგი საეპისკოპოსოებისა არსდებოდა, რიგიც უქმდებოდა. საქართველოს ეკლესიის ერთ მთლიანობაში გააზრება წარმოუდგენელია საეპისკოპოსოების ისტორიის შესწავლის გარეშე.

გურიის საეპისკოპოსოების ისტორიის შესწავლა XV საუკუნიდან XIX საუკუნის 20-იან წლებამდე გრძელდება და მოიცავს მისი არსებობის ხანას, ვიდრე რუსეთმა საეკლესიო რეფორმის შედეგად არ გააუქმა სამთავროში დარჩენილი ერთადერთი საეპისკოპოსო. ვინაიდან ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლა ხანგრძლივი დროის მანძილზე უკიდურესად იზღუდებოდა, ამიტომ ამ კუთხით სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა მეტად მცირეა. ნაშრომში შესაძლებელი სისრულითაა გათვალისწინებული ნარატიული, დოკუმენტური და ეპიგრაფიკული მასალა.

ქართული ნარატიული წყაროებიდან შედარებით მეტი ინფორმაციაა დაცული ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში (8). იგი განსაზღვრავს საკათედრო ტაძრებისა და ეკლესიების ადგილმდებარეობას და მათი ზოგადი აღწერილობით შემოიფარგლება (8, 790-791). სავარაუდოა, რომ თავად ვახუშტი ბატონიშვილს არ ჰქონდა ნანახი ეს ეკლესიები და გარეშე პირის მიერ მიწოდებულ მასალას ემყარებოდა. იგი საკმაოდ

მწირ ცნობებს გვაძლევს საეპისკოპოსოების დაარსებისა და ეპარქიების საზღვრების შესახებ (8,790-791). ასეთივე ცნობებს გვაძლევენ გურიის ეპისკოპოსებისა თუ გურიის მთავრების საეკლესიო-კულტურული მოღვაწეობის შესახებ ბერი ეგნატაშვილი (7), პაპუნა ორბელიანი (26) და ნიკო დადიანი (5).

გურიის საეპისკოპოსოების ისტორიის შესწავლისას უმთავრესად ვემყარებით XIX საუკუნეში ქართველი თუ უცხოელი მკვლევარების მიერ ჩატარებულ აღწერილობებს. შვეიცარიელმა მეცნიერმა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ იმოგზაურა გურიაში, მაგრამ იგი ძალზე ფრაგმენტულ ცნობებს გვაძლევს შემოქმედისა და ლიხაურის ეკლესიების შესახებ (200,105-107). უხვი მასალა მოგვეპოვება ფრანგი ქართველოლოგის მარი ბროსეს ნაშრომებში, სადაც ძირითადად გამოქვეყნებულია სხვადასხვა ხატის წარწერები (198,183-187;199,35). მართალია, იგი თავად არ ყოფილა გურიაში, მაგრამ მისი დავალებით ეს წარწერები გადმოიღეს ცნობილმა სასულიერო პირებმა შემოქმედის მონასტრის არქიმანდრიტმა არსენიმ (მგალობლიშვილი) და მღვდელმა გიორგი დუმბაძემ.

გურიის ეკლესია-მონასტრები სრულყოფილად შეისწავლა და აღწერა დ. ბაქრაძემ. მან 1873 წელს რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის დავალებით იმოგზაურა გურიასა და აჭარაში; მოინახულა და აღწერა თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი, შეკრიბა ხატის მოჭედილობის წარწერები, ძველ ხელნაწერთა მინაწერები, საეკლესიო გუჯრები. დ. ბაქრაძემ შეგროვებული მასალა გამოაქვეყნა წიგნში – „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში"(1). წარმოდგენილი ნაშრომის პირველწყარო სწორედ ეს უკანასკნელი გახლავთ. დიდად ფასეულია დ. ბაქრაძის კომენტარები ამა თუ იმ სიგელ-გუჯარის, ტაძრის, ფრესკების თუ ხატების წარწერებზე. დ. ბაქრაძის შემდგომ გურია მოიარა და მისი სიძველეები შეისწავლა ე. თაყაიშვილმა, რომელმაც შეავსო დ. ბაქრაძის მიერ მოყვანილი ცნობები, დამატებით გამოაქვეყნა რამდენიმე ხატისა და ხელნაწერის წარწერა, სრულყოფილი სახით წარმოადგინა წარწერები, რომელიც დ. ბაქრაძეს არასრულად ჰქონდა გამოცემული (12,24-41). ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ უმდიდრესი მასალაა დაცული სამტომეულში: „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრო-

ნოლოგიურად დანყობილი, ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ" (43,44,45). გარდა ნიგნში მოყვანილი ნყაროებისა მნიშვნელოვანია თ. ჟორდანიასეული შეხედულებები კათალიკოს მალაქია გურიელისა და შემოქმედელი მიტროპოლიტის იაკობ დუმბაძის ქრონოლოგიის შესახებ (43,306-308).

მნიშვნელოვან დოკუმენტურ ნყაროს ნარმოადგენს გურიის ეპისკოპოსებისა თუ გურიის მთავრების მიერ გაცემული სიგელ-გუჯრები. მათი დიდი ნანილი გამოაქვეყნა დ. ბაქრაძემ (1), ე. თაყაიშვილმა (13,14), ალ. ცაგარელმა (52), ს. კაკაბაძემ (17,18), ი. დოლიძემ (35,36,37,38), შ. ბურჯანაძემ (15), ნ. ბერძენიშვილმა (6) და ქ. ჩხატარაიშვილმა (98).

გამოუქვეყნებელი დოკუმენტური მასალის ნანილი დაცულია საქართველოს სახელმნიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში, კერძოდ: „ძველ საბუთთა დედნების კოლექციასა" (ფ. 1448) და „ძველ საბუთთა პირების კოლექციაში" (ფ. 1449). მართალია, ამ უკანასკნელ ფონდში ინახება მხოლოდ ასლები, მაგრამ დედნის დაკარგვის შემთხვევაში, მას პირველნყაროს მნიშვნელობა ენიჭება. საარქივო მასალიდან ფრიად საგულისხმოა შემოქმედის არქიმანდრიტის არსენ მგალობლიშვილის მიერ 1828 ნელს რუსეთის ნმინდა სინოდისადმი ნარდგენილი მოხსენება (54). მასში ასახულია XIX საუკუნის დასანყისის გურიის ეკლესიის მდგომარეობა, აღნერილია საკათედრო ტაძრები, ეპარქიის შემოსავალი და კუთვნილი ყმა-მამული, აღნუსხულია შემოქმედისა და ჯუმათის ეპარქიებს დაქვემდებარებული ეკლესია-მონასტრები.

მდიდარი დოკუმენტური მასალაა დაცული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნანერთა ინსტიტუტის Ad და Hd ფონდებში. ასევე აღსანიშნავია გურიის სამთავროში შექმნილი, თუ სხვადასხვა მიზეზით აქ მოხვედრილი ხელნანერები, რომელთა საშუალებითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ მიმდინარე კულტურულ-შემოქმედებით პროცესებსა და კალიგრაფთა მოღვანეობის შესახებ. ამასთანავე, აღნიშნულ ხელნანერთაგან ზოგიერთი შეიცავს მეტად მნიშვნელოვან ისტორიულ მინანერებს, რომელთა ნანილი გამოსცა ჯ. ოდიშელმა (25).

XVII-XVIII საუკუნეების გურიის საეკლესიო ცხოვრების შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდიან უცხოელი მოგზაურები და კათოლიკე მი-

სიონერები ანტიოქიის პატრიარქი მაკარი (22), პავლე ალეპოელი (28), იოჰან გიულდენშტედტი (4), ქრისტოფორო კასტელი (20), ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი (49). კათოლიკე მისიონერების ცნობები თავმოყრილი და გაანალიზებულია მ. თამარაშვილის შრომაში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" (147). ასევე ფასდაუდებელია მისი მეორე ნაშრომი „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე" (148).

გურიის მთავართა და ეპისკოპოსთა მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი შტრიხია მათი ურთიერთობა უცხოეთში არსებულ ქართულ სავანეებთან (ძირითადად იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან). აღნიშნული საკითხი წარმოაჩინა ქართველმა სასულიერო მოღვაწემ ტიმოთე გაბაშვილმა (2), რომელმაც 1755 წელს იმოგზაურა იერუსალიმში, ხოლო მეცნიერულ დონეზე შეისწავლა ელ. მეტრეველმა (23).

ჩვენთვის საინტერესო მასალაა დაცული XIX საუკუნის ქართული პრესის ფურცლებზე, გაზეთებში: „ივერია", „კვალი", „ცნობის ფურცელი" და „დროება". ხშირად ქვეყნდებოდა კორესპონდენციები გურიის ეკლესია-მონასტრების იმდროინდელი მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული მონაცემები კი ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს იმ ვითარებისა, რომელიც გურიის საეპისკოპოსოებმა განვლეს წინა საუკუნეებში.

გურიის ეპისკოპოსების ქრონოლოგიური რიგის დადგენას პირველად პოლიევქტოს კარბელაშვილი შეეცადა (59). მართალია, მის ნაშრომში მრავალი ქრონოლოგიური აღრევა და სხვადასხვაგვარი უზუსტობაა, იგი მაინც სათანადო ისტორიული ღირებულებისაა.

გურიის საეკლესიო ორგანიზაციის შესწავლის პირველი ცდა პროფ. ქ. ჩხატარაიშვილმა მოგვცა. მან განიხილა გურიის საეპისკოპოსოების ჩამოყალიბება და დაადგინა, რომ საეპისკოპოსო კათედრების დაარსება მოხდა გურიის საერისთავოს სამთავროდ გარდაქმნის პარალელურად და მოკლედ მიმოიხილა გურიის საეპისკოპოსოების ისტორია, მოგვცა შემოქმედელ, ჯუმათელ და ხინოწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი (87,139-158). ქ. ჩხატარაიშვილსვე ეკუთვნის გამოკვლევა შემოქმედის მონასტრის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული კერის შესახებაც (86,102-112).

გურიის სამთავროს მოკლე პოლიტიკური ისტორია მოგვცა ო. სოსელიამ (85,120-141), რომელმაც განიხილა გურიის მთავრების ქრო-

ნოლოგია, გურიის სამთავროს ჩამოყალიბება, მისი საზღვრები, ურთიერთობა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებთან და ოსმალეთის იმპერიასთან; მანვე შეისწავლა გურიის სათავადოები და განსაზღვრა თავადთა ვინაობა (171,163-186). რამდენადაც თავადის სახლის შვილები ზოგიერთ შემთხვევაში სასულიერო მოღვაწეები იყვნენ, ამდენად საგულისხმოა ჩვენთვის ო. სოხელიას ნაშრომში მოტანილი მასალა.

გურიის სამთავროს და დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო მდგომარეობა ასახულია ს. კაკაბაძის (151), ნ. ბერძენიშვილის (134,135,136,137), ქ. ჩხატარაიშვილის (99,175), ბ. ლომინაძის (156), მ. რეხვიაშვილის (166) და სხვათა ნაშრომებში.

გურიის მხარის არქეოლოგიური კვლევის შედეგები და ამ რეგიონთან დაკავშირებული სხვა საინტერესო მასალა თავმოყრილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ გამოცემულ კრებულში „გურია" (82).

ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით გურიის ეკლესიები ფაქტიურად შეუსწავლელია. ამ საკითხზე მსჯელობისას უმთავრესად ვეყრდნობოდით ვ. ბერიძის (130,131,133) შრომებსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრში დაცულ არქიტექტორთა მიერ სარესტავრაციო სამუშაოების წარმოებისას ჩატარებულ აღწერებს. შეუსწავლელია გურიაში ჩამოყალიბებული საოქრომჭედლო ხელოვნებაც. ამის შესახებ ძირითადად წარმოდგენა გვექმნება დ. ბაქრაძის ზემოაღნიშნული ნაშრომით, ნ. კონდაკოვისა (194) და გ. ჩუბინაშვილის (196) მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგებით.

სპეციალური კვლევა სჭირდება გურიის ხუროთმოძღვრულ ძეგლებს და ოქრომჭედლობის ნიმუშებს, რომელთა შესწავლა როგორც უკვე აღვნიშნეთ ხელოვნებათმცოდნეობის სფეროს განეკუთვნება. ჩვენ როდესაც წინამდებარე ნაშრომის ცალკე თავში შევეხეთ ხუროთმოძღვრულ ძეგლებსა და ოქრომჭედლობის ნიმუშებს, ძირითადად გვინდოდა წარმოგვეჩინა გარკვეულ პერიოდში თუ როგორი ინტენსივობით მიმდინარეობდა კულტურულ-შემოქმედებითი პროცესები. ამასთანავე შევეცადეთ გამოგვეკვეთა ის გარემო და მიზეზები, რამაც განაპირობა გურიაში საეპისკოპოსოების ჩამოყალიბება; კიდევ ერთხელ შევხებოდით გური-

ის ეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგს, დაწვრილებით მიმოვიხილა ამ საკითხთან დაკავშირებული წყაროები და გარკვეული კორექტივები შევიტანა. მხოლოდ ამის შემდეგ მიმოვიხილეთ ეპისკოპოსთა და გურიის მთავართა საეკლესიო-კულტურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. რა თქმა უნდა, გურიის საეკლესიო ცხოვრებაში დიდია ღვაწლი რიგითი სასულიერო პირების, დიდგვაროვანი თავადების და ერისკაცების, მაგრამ აღნიშნული საკითხი ცალკე კვლევის საგანია.

საეპისკოპოსოების ისტორია მეტად ფართო თემაა. ბუნებრივია, არ გვაქვს პრეტენზია, რომ საკითხი სრულიად ამოვწურეთ, რასაკვირველია იგი შემდგომ გაღრმავებას საჭიროებს.

# თავი I

## § 1. საეკლესიო პროცესები შუა საუკუნეების გურიაში (ზოგადი მიმოხილვა)

საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადებისთანავე, იგი სახელმწიფო იდეოლოგიად ჩამოყალიბდა და ამდენად, საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანული მრწამსი განსაზღვრავდა ქართული ეროვნული სახელმწიფოს სახეს. ამ იდეით ვითარდებოდა და ყალიბდებოდა ქართული კულტურა, ეკონომიკა და სახელმწიფო პოლიტიკა. ეკლესია ყოველთვის მხარში ედგა სახელმწიფოს და ხშირ შემთხვევაში ნიადაგს უმზადებდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს. ქრისტიანობის მძლავრ ცენტრებს წარმოადგენდნენ საეპისკოპოსოები. ამჯერად, ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს გურიის ტერიტორიაზე არსებული საეპისკოპოსოები: შემოქმედი, ჯუმათი და ხინოწმინდა, რომელთა დაარსება დაახლ. XV საუკუნის შუა ხანებში მოხდა. თუმცა ეს არ გვაძლევს საბაბს იმისას, რომ ვიფიქროთ, თითქოს მანამდე აქ საეკლესიო ცხოვრება არ არსებობდა.

გურიის პროვინცია ქართულ წყაროებში შედარებით გვიან მოიხსენიება. დ. ბაქრაძე ცალკე პროვინციად მისი დასახელების თარიღად VI საუკუნის I ნახევარს თვლის (1,91) ქართულ წყაროებში პირველად გურია იხსენიება ჯუანშერთან VIII საუკუნის პირველი ნახევრის მოვლენების აღწერისას (48, 241). გურიის დაწინაურება ძირითადად VII-VIII საუკუნეებში ხდება. მანამდე, როგორც ჩანს, ეს მხარე ლაზიკის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, შედარებით დაუსახლებელი ყოფილა. VI საუკუნის ბიზანტიელი ავტორები პროკოფი კესარიელი და აგათია სქოლასტიკოსი გურიის ქვეყანას არ იცნობენ. პროკოპი კესარიელის ცნობით, ლაზიკის ამ მხარეში „არც რაიმე ქალაქი აქვთ ლაზებს, არც სიმაგრე და არც დაბა მოხსენების ღირსი, გარდა იმისა, რომ რომაელებმა იქ პეტრა ააშენეს წინათ" (3,127). ნ. ბერძენიშვილის აზრით, – „რიონის მარცხენით უმთავრესად ბარის მოსახლეობა იყო აყრილი და ამაში გამოიხატებოდა სწორედ კულტურული ქვეყნის დაცემა-გაუფასურება... სხვაგვარად რომ ითქვას მთების ღრმა ხევებში მოსახლეობა კი არ განსაზღვრავს ამ დროს ქვეყნის დაწინაურებულობას, ეს

კი არაა ნამყვანი და აქ კი არაა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი, არამედ განვითარებულ გზებზე მდებარე სოფლებსა და ქალაქებში, ბარის მეურნეობაში, აღებმიცემობაში... ეს აღარაა სამხრეთ კოლხეთში და ეს არის ჩრდილოეთ კოლხეთში" (138,479). მისი აზრით, გურიის მხარის ასეთი გაუდაბურება შესაძლოა მივაწეროთ რომის იმპერიის მიერ გატარებულ პოლიტიკას (138,478). სამწუხაროდ, გურიის რეგიონი არქეოლოგების მიერ იმდენად სრულყოფილად არ არის შესწავლილი, რომ აღნიშნული მოსაზრება დავადასტუროთ ან უარვყოთ, თუმცა ჩვენ საკვლევ თემასთან მიმართებაში შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ აქ, ადრეშუასაუკუნეების ქრისტიანული ძეგლები მეტ-ნაკლებადაა აღმოჩენილი და შესწავლილი.

ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, მაცხოვრის მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა, მატათამ და სხვებმა იქადაგეს დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა* მართალია, ამას შედეგად ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება არ მოჰყოლია, რაც იმდროინდელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებით და ახალი რელიგიისადმი ძველი სამყაროს განსაკუთრებული დამოკიდებულებითაც აიხსნება, მაგრამ მას არც უნაყოფოდ ჩაუვლია. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოქცეულა ქრისტეს რჯულზე. დღეს უკვე გაზიარებულია, რომ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად IV საუკუნეში გამოცხადდა (158,188; 92,52), რასაც არქეოლოგიური აღმოჩენებიც ამტკიცებენ. გურიაში ადრექრისტიანული ხანის ეკლესიები, ისე როგორც მთელ საქართველოში ბაზილიკური ტიპისაა. ვაშნარში გამოვლენილია სამნავიანი ბაზილიკა ხუთწახნაგოვანი აბსიდით. ისტორიკოს-მკვლევართა მიერ იგი V-VII საუკუნეებითაა დათარიღებული (78,120). ი. სიხარულიძე ვაშნარში საეპისკოპოსო კათედრის არსებობასაც ვარაუდობს (114,3). დაახლოებით ამავე პერიოდს განეკუთვნება ასკანის ბაზილიკური ეკლესია (78,122). VI საუკუნეს განეკუთვნება უკანასკნელ ხანს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ღრმაღელეში აღმოჩენილი ბაზილიკა სანათლავით, რომელიც ძლიერ წააგავს ვაშნარის ტაძარს (83-28). ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩნდა ბრინჯაოს ჯვარი ჯაჭვით და ქვის ფილა ბოლნური ჯვრის გამოსახულებით.

* ეპ. ანანია ჯაფარიძემ წყაროთა ანალიზის შედეგად, დაადგინა, რომ საქართველოში ქრისტიანობა უქადაგიათ მოციქულებს ბართლომესა და თომას (187,41-42).

დასავლეთ საქართველოზე ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის დამყარების შემდეგ (VII ს.) ეს მხარე ეკლესიურადაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში შევიდა. მათ გურიის მხარეში ააგეს ბიზანტიელი სტრატეგოსის რეზიდენცია, ციხე-სიმაგრე პეტრა. აქვე არსებობდა პეტრას ბერძნული საეპისკოპოსო კათედრა, რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ემორჩილებოდა. დასავლეთ საქართველოში ბერძნული ეკლესიის გავლენისათვის ბიზანტიის ზრუნვა, ამ უკანასკნელის სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა. როგორც კი შესუსტდა ბიზანტიის პოზიციები ამ მხარეში, აფხაზთა მეფეებმა სცადეს თავი დაეღწიათ მათი გავლენისაგან. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების პარალელურად, ეკლესიურადაც გაემიჯნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს; გააუქმეს ბერძნული კათედრები და ახალი ქართული საეპისკოპოსოები დააარსეს. რასაკვირველია, ესოდენ მნიშვნელოვანი საქმე მარტივად ვერ მოგვარდებოდა. „აფხაზთა მეფეები დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში აარსებდნენ ქართულ საეპისკოპოსოებს კონსტანტინოპოლის ბერძნული საეპისკოპოსოების ნაცვლად, მაგრამ ასეთი შეცვლა არ შეიძლება მომხდარიყო ეკლესიათა შეთანხმების გარეშე. კონსტანტინოპოლის იურისდიქციის ნაცვლად ქართული ეკლესიის იურისდიქციის გავრცელებისას უნდა არსებულიყო შეთანხმება ამ ეკლესიათა შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული საეპისკოპოსოების დაარსება კონსტანტინოპოლის იურისდიქციისქვეშა ტერიტორიაზე ჩაითვლებოდა ქართული ეკლესიის მტაცებლობად, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ქართული ეკლესიის მხრივ საერთაშორისო საეკლესიო იზოლაცია და მისი მწვალებლურ ეკლესიად გამოცხადება". (188,173). ფაქტია, ახალი ქართული საეპისკოპოსოების დაარსება მოხდა მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გამოეყო და დამოუკიდებელ ეკლესიად ჩამოყალიბდა, საკუთარი სასულიერო იერარქით სათავეში (IX ს.). პეტრას საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის აზრით, საეპისკოპოსო ცენტრს ხინოში უნდა გადაენაცვლებინა (138,598;186,41) ხინო შემთხვევით არ ყოფილა საეპისკოპოსო ცენტრად შერჩეული. ამ ცვალებადობას დიდი პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. ამ შემთხვევაში ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს მიზნად ჰქონდათ დასახული გურიის მხარის წინ წამოწევა. „ქვეყნის ფეოდალიზაციასთან ერთად, შესაძლებელია პეტრას – ბიზანტიელთა სტრატეგოსის რეზიდენციის – საწინააღმდეგოდ, ბიზანტიელთა დასუსტებასთან ერთად, წამოიწია გური-

ანი (ვაშნარი), რომელმაც, შესაძლებელია, დასაბამი მისცა შემდგომში ფეოდალური გურიის გაერთიანებას" (138,479). გურიის დანინაურება ბიზანტიელთა საწინააღმდეგოდ მიმართული აქტი გახლდათ. ამ რეგიონში ინტენსიურად მიმდინარეობდა იბერიზაციის პროცესები; ხდებოდა ჭანური ეთნოსის აქტიური გაქართება. დ. მუსხელიშვილი VIII საუკუნის პირველ ნახევარს უკავშირებს გურიის ჩამოყალიბებას, როგორც აღმოსავლურ-ქართული ეთნიკური ჯგუფების ამ რეგიონში დიფუზიის შედეგს. მომდევნო პერიოდში ქართლი კულტურულად და ეკლესიურად იჭრება დასავლეთ საქართველოში გურიის გზით (163,80). სწორედ ამ პერიოდს – დასავლეთ საქართველოში მცხეთის საკათალიკოსოს დამკვიდრებას, უნდა დავუკავშიროთ საეკლესიო და სამონასტრო ცხოვრების ხელახალი აღორძინება გურიის მხარეში. X საუკუნეში აიგო ვაკისჯვრის ეკლესია, დაახლოებით ამავე ხანებს ეკუთვნის ბუკისციხის აღმოსავლეთ კედელზე მიშენებული ეკლესიის ნაშთები (78,123). მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ ცნობილი მონასტერი – უდაბნო IX-X საუკუნეებს განეკუთვნება (177,9). X-XI საუკუნეებით თარიღდება სოფ. ენერის ეკლესიის ნაშთები (104,4), ამავე პერიოდისაა ექადიას ეკლესია (102,15).

განვითარებულ შუასაუკუნეებში გურიის მხარე ეკლესიურად ქუთათელის სამწყსოს წარმოადგენდა. ძნელია ვამტკიცოთ, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ქუთათელის სამწყსოში გურიის გაერთიანება ქვეყნის ცენტრალიზაციისაკენ გადადგმული ნაბიჯი იყო.

XV საუკუნეში ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ გამთავრების გზაზე მდგარმა გურიის ერისთავებმა საკუთარი შეუვალობის განმტკიცების მიზნით ახალი საეპისკოპოსოები დაარსეს და ქუთათელის დაქვემდებარებიდან გამოვიდნენ.

გურიის საეპისკოპოსოები დღიდან დაარსებისა საქართველოს ისტორიაში დიდ პოლიტიკურ და კულტურულ მისიას ასრულებდნენ. მათი როლი ამ შემთხვევაში ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ განსაზღვრა. 1453 წელს ჯერ ბიზანტიის, ხოლო 1461 წელს ტრაპიზონის იმპერიის დაცემის შემდეგ ოსმალები უშუალოდ გაუმეზობლდნენ გურიის სამთავროსა და სამცხე-საათაბაგოს, რის შემდეგაც მათ აშკარად დაემუქრათ მაჰმადიანური სამყაროს საფრთხე. თურქებმა თანდათანობით დაიკავეს სამხრეთ საქართველოს ტერიტორიები. მიტაცებულ რეგიონებში სარწმუნოებრივი ექსპანსიაც დაიწყეს. შევიწროებულ ქრისტიანულ მოსახლეობას ორი ალტერნატივა დარჩა: 1) წინაპართა რჯული დაეთმო და

მაჰმადიანობა მიელო; 2) მამა-პაპათა სამკვიდრო დაეტოვებინა და საქართველოს შიდა პროვინციებში, შედარებით უსაფრთხო ადგილას გახიზნულიყო. ამ შემთხვევაში გურიის სამთავრო იქცა მაჰმადიანთაგან ლტოლვილი მოსახლეობის თავშესაფრად, ემიგრირებულთა სოლიდურ ნაწილს ბუნებრივია სასულიერო პირებიც წარმოადგენდნენ. ხდებოდა, როგორც ქრისტიანული ცენტრების გადანაცვლება, ისე, ქრისტიანული სიწმინდეებისა და ქართული კულტურის უნიკალური ნიმუშების გურიაში თავმოყრა. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიული ჭანეთის ოსმალთაგან მიტაცების შემდეგ, მართალია, ამ უკანასკნელებმა აქ საკუთარი პოლიტიკური მმართველობა დაამყარეს, მაგრამ ლაზეთის სამიტროპოლიტო ამით არ გაუქმებულა, კათედრამ მხოლოდ ადგილი შეიცვალა, რადგან ლაზეთის სამიტროპოლიტო კათედრამ გურიაში გადმოინაცვლა და, „ახლად დაარსებულ საეკლესიო ცენტრს ჭანეთიდან მოტანილი სახელი სატყეპელა ეწოდა“ (149,292). მართალია, ლაზეთის მიტროპოლიტის ძალაუფლება საკუთრივ ჭანეთზე ფიქტიური იყო, მაგრამ მისი არსებობა ერთგვარად ქმნიდა შესაძლებლობას ჭანეთზე გარკვეული გავლენის შენარჩუნებისა, რისი რეალურად განხორციელება სცადეს ქართველმა სასულიერო პირებმა და პოლიტიკურმა მესვეურებმა. ამ მიზნით, XVII საუკუნის შუა ხანებში აფხაზთა კათალიკოსის მაქსიმე I-ის ინიციატივით საკუთრივ ჭანეთში აღადგინეს ძველი კათედრა და ლაზეთის მიტროპოლიტად აკურთხეს ოფის ღმრთისმშობლის სახელობის მონასტრიდან გადმოყვანილი ბერი გერმანე, მაგრამ, თურქეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე ქრისტიანული ცენტრის აღდგენა ეფემერულ ხასიათს ატარებდა. იგი მალევე გაუუქმებია ოსმალეთის ხელისუფალ სეფერ-ფაშას (149,263).

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მუსლიმთაგან ქრისტიანობის დევნა-შევიწროების პერიოდში გურიაში თავი მოიყარა ოსმალთაგან მიტაცებული ტერიტორიებიდან გადმოტანილმა საეკლესიო განძეულობამ, ეს პროცესი შესაძლებელია სამ ეტაპად დაიყოს:

1. კლარჯეთიდან; 2. სამცხე-ჯავახეთიდან; 3. ქვემო გურიიდან*. ამ გზით, ჩვენამდე მოაღწია ქართული კულტურის უბრწყინვალესმა ნიმუშებმა.

---

* ტერმინი ქვემო გურია დაფიქსირებულია ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში (8,791), ამასთანავე, 1660 წელს ქაიხოსრო I გურიელის მიერ აჭის ეკლესიისათვის მიცემული შეწირულობის წიგნში (38,667) იხსენიება შუა გურია, რაც ქვეყნის სამ ნაწილად დაყოფას გულისხმობს.

მიუხედავად იმისა, რომ მაჰმადიანური ოსმალეთი ხშირად პოლიტიკურ გავლენას ამყარებდა დასავლეთ საქართველოზე, აქ, ისლამის მასობრივი გავრცელება მან აფხაზეთის გარდა ვერსად შეძლო. თვით ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები და მათ შორის გურიელები ქრისტიანული აღმსარებლობისანნი იყვნენ, ქართული ეკლესიის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

ოსმალთა დასავლეთ საქართველოში გაბატონებას მწვავედ ეწინააღმდეგებოდნენ გურიის მთავრები და საამისო პოლიტიკურ ბრძოლასაც აწარმოებდნენ. გურიელთა მხარდამხარ, მაჰმადიანობის წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლას სასულიერო კრებული აწარმოებდა, რაც ძირითადად მათ კულტურულ მოღვაწეობაში გამოიხატა. გურიის საეპისკოპოსოების არსებობის მანძილზე, სასულიერო მოღვაწეთა მთავარი მიზანი იყო მაჰმადიანური აგრესიისაგან დაეცვათ ქრისტიანული სამწყსო და მოსახლეობა ეხსნათ „გათათრების" საფრთხისაგან. ისინი თანაბრად იღწვოდნენ ეროვნული და სარწმუნოებრივი ცნობიერების გადარჩენისათვის. ამიტომ, მათ მიერ წარმოებული ბრძოლა ტოლფასი იყო პოლიტიკურ სარბიელზე მიღწეული წარმატებისა.

## § 2. გურიის საეპისკოპოსოების დაარსება

XV საუკუნის საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა და საზოგადოების სოციალურმა კრიზისმა გამოიწვია ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაშლა. „საქართველოს ერთიან ცენტრალურ ხელისუფლებას გამოეცალა ეკონომიკურ-სოციალური საფუძვლები. ქვეყნის გამაერთიანებელი ძალების, ქალაქების, ვაჭრობა-ალებ-მიცემობის დაცემამ გააძლიერა პროვინციულ-თემობრივი განკერძოებულობა" (157,744), მოიშალა საეკლესიო ერთობა, რომელიც ცენტრალიზებული სამეფოს მძლავრი იარაღი გახლდათ. თავის დროზე სწორედ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიურად გაერთიანებამ მისცა დასაბამი ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებასაც. ამ შემთხვევაში კი უკუპროცესები ვითარდებოდა. ჯერ კიდევ საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლამდე იყო ჩამოყალიბებული მცხეთისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები. ეს უკანასკნელი, როგორც „უმრწემესი ძმა" მცხეთის კათალიკოსს ემორჩილებოდა. აფხაზთა კათალიკოსის უფლება-მოვალეობებს საგანგებოდ შეეხო აკად. ნ. ბერძენიშვილი. მისი დასკვნით, ჯერ კიდევ XV საუკუნემდე აფხაზთა კათალიკოსს ჰქონია მისწრაფება მცხეთის

კათალიკოსთან გათანასწორებისა (134,114). მისი განდიდება-აღმატებ-ის სურვილები მარჯვედ გამოიყენეს გახელმწიფება-გამთავრების გზაზე მდგარმა დასავლეთ საქართველოს სეპარატისტმა ფეოდალებმა. იმერეთის ერისთავი ბაგრატი, დადიანი და გურიელიც კარგად გრძნობდნენ, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად საჭირო იყო მხარდაჭერა ისეთი მძლავრი ორგანიზაციისაგან, როგორიც ეკლესია გახლდათ. 1463 წელს ჩიხორის ბრძოლაში ბაგრატის გამარჯვების შემდეგ ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი VIII-ის კონტროლიდან გამოვიდა დასავლეთ საქართველო, ღლის წესრიგში დადგა აფხაზთა საკათალიკოსოც გამოსულიყო მცხეთის კათალიკოსის დაქვემდებარებიდან. საამისოდ, ლიხთიმერეთის პოლიტიკურმა მესვეურებმა გამოიყენეს იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქის მიქაელის 1470-1472 წლების ვიზიტი დასავლეთ საქართველოში. იმერეთის მეფე ბაგრატ II-ისა და შამადავლე დადიან-გურიელის ხელშეწყობით მიქაელ პატრიარქმა აფხაზეთის კათალიკოსად აკურთხა ცაიშელ-ბედიელი იოვაკიმე (36,222).

როგორც დავინახეთ, იმერეთის მეფემ საკუთარი პოლიტიკური დამოუკიდებლობა სასულიერო ხელისუფლების მხარდაჭერით განიმტკიცა და აფხაზთა კათალიკოსი დასავლეთ საქართველოს უმაღლეს მწყემსმთავრად გამოაცხადა, თუმცა, აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუკი იმერეთის ერისთავს ჰქონდა სეპარატისტული მიზნები და გამეფებისაკენ ისწრაფოდა, მსგავსი ტენდენციები ლიხთიმერეთის არც დანარჩენი ერისთავებისათვის იყო უცხო. დადიანი და გურიელი მთავრებად აღზევებისაკენ ისწრაფოდნენ და სასულიერო პირთა მხარდაჭერა მათაც არანაკლებ ესაჭიროებოდათ. ალბათ აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე ლოგიკურიც იყო, რომ გურიელებს თავიანთ სამთავროში ახალი საეპისკოპოსოები დაეარსებინათ. მართლაც, გურიის სამთავროში არსებული სამივე საეპისკოპოსო: შემოქმედის, ჯუმათის და ხინოწმინდის მათ მიერ იყო დაფუძნებული. სავსებით მართებულად შენიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი, როდესაც ამბობს: „ხოლო გურიელთაგან დაიდგინეს სამნივე ესე ეპისკოპოზნი თვისისა დიდებისათვის" (8,791). იგივე ფაქტის შეფასებისას დავით რექტორი აღნიშნავს: „ოდეს საქართველო განიყო და სამ სამეფოდ განსქდა ... და აგრეთვე ხუთ სამთავროდ მაშინ ყოველთავე მეფეთაცა და მთავართაც თჳს-თჳსად სარდრები განიწესეს ... ეგრეთვე დიდების მოყვარებისათვის რომელიმე ახალნი ეპისკოპოსნი დასხნეს" (35,537). გურიელთა ამგვარი საქციელი სავსებით პასუხობდა იმ პერიოდში შექმნილ სიტუაციას.

გურიაში, XV საუკუნეში ხდება ახალი ეპარქიების დაარსება. მანამდე ეს ტერიტორია ეკლესიურად „ქუთათელის სამწყსო იყო" (8,791). ბუნებრივია, აღზევებული გურიელების ინტერესებში არ შედიოდა, ეკლესიურად იმერეთის მეფის პოლიტიკის გამტარებელ ქუთათელს დამორჩილებოდნენ. გურიელის იმერეთის მეფესთან უთანხმოების შემთხვევაში, ქუთათელს სრული უფლება ექნებოდა თავის სამწყსოში შემავალი გურიის ეკლესიები დაეკეტა, მისი სამღვდელოება შეეჩვენებინა და განეკვეთა, რის შემდეგაც ფაქტიურად შეწყდებოდა მნიშვნელოვანი ქრისტიანული რიტუალების შესრულება. მსგავსი მოვლენები კი ხალხში დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა, რაც გურიელთა პოლიტიკურ თვითნებობას აღკვეთდა.

გურიაში საეპისკოპოსოების დაარსება გურიელთა ინიციატივით მოხდა, მაგრამ აქვე ყურადღებას იქცევს შემდეგი საკითხი – მათ, როგორც საერო პირებს მღვდელმთავართა ქიროტონიის უფლება არ ჰქონდათ. მაშ, ვის მიერ მოხდა ეს ხელდასხმა? აფხაზთა კათალიკოსის მიერ, თუ ამ შემთხვევაშიც უცხოელი პატრიარქი ფიგურირებდა? ალბათ, ეს უკანასკნელი მოსაზრება უნდა გამოირიცხოს, მაგრამ რამდენად შედიოდა აფხაზთა კათალიკოსის ინტერესებში ახალი ეპისკოპოსების კურთხევა? მითუმეტეს მაშინ, როცა ეს აშკარად ხელს უწყობდა გურიელთა განდიდებას. გურიის ეპისკოპოსთა ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ აყენებდა პროფ. ქველი ჩხატარაიშვილიც (174,583). ვიდრე დასმულ შეკითხვას გავცემდეთ პასუხს, თვალი გადავავლოთ იმ პერიოდის პერიპეტიებს.

XV საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც ერთიანი საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი VIII-ს აუჯანყდა ბაგრატ იმერთა ერისთავი, ამ უკანასკნელს გურიელი, დადიანი და სვანთა ერისთავი მიემხრნენ, თუმცა მათ თავიანთი პირობები წამოაყენეს, რომლის მიხედვითაც გამარჯვების შემთხვევაში, გაწეული დახმარების სანაცვლოდ ბაგრატს ისინი სამეფო ვალდებულებისაგან უნდა გაეთავისუფლებინა. შემოთავაზებულ წინადადებაზე ბაგრატი დათანხმდა. 1463 წელს ჩიხორთან გამართულ ბრძოლაში საქართველოს მეფე გიორგი VIII დამარცხდა, ხოლო გამარჯვებული ბაგრატი დაბრუნდა ქუთაისში, სადაც „მოერთნენ დადიან-გურიელ-აფხაზნი და სუანნი და აკურთხეს, სრულიად იმერთა სათნო-ჩინებითა მეფედ. ამისთვის აღუსრულა მთავართა მათ აღთქმული თვსი და განთავისუფლდნენ, თვნიერ ლაშქრობისა და ქუეგანწესებისა მეფისა, და იქმნა იმერეთი მიერით ერთ მეფედ და ოთხ სამთავროდ

ანუ სათავადოდ, რამეთუ მიილო დადიანმან ოდიში, გურიელმან გურია, შარვაშიძემ აფხაზნი და ჯიქნი და გელოანმან სუანეთი" (8,806). როგორც დავინახეთ, ბაგრატ მეფის წარმატებები მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო დასავლეთ საქართველოს მთავრების დახმარებით. გიორგი VIII-ის დამარცხებით დამარცხდნენ ქვეყნის ცენტრალიზაციისთვის მებრძოლი ძალები, რაც თავის მხრივ შეუქცევადი პროცესი იყო და მათთან ერთად „მარცხდება ქუთაისის ტახტის პრეტენზიებიც ლიხთიქითის მთავრების მიმართ. და მხოლოდ ასეთი დათმობის საფასურით მოიპოვა ქუთაისის ტახტმა მთლიანი საქართველოს ცენტრისგან დამოუკიდებლობა. ეს იყო არა ლიხთიქითის ტახტის, არამედ ლიხთიქით მთავართა გამარჯვება" (135,136) საეკლესიო ცხოვრებაშიც ანალოგიურ მოვლენებს ჰქონდა ადგილი. თუკი იმერეთის მეფე იძულებული იყო ქართლისგან დამოუკიდებლობა მოეპოვებინა დასავლეთ საქართველოს მთავართა მიმართ დათმობითი პოლიტიკის ხარჯზე, ასევე დამოუკიდებლობის მაძიებელი აფხაზთა კათალიკოსი (იგი ჯერ კიდევ არ არის მცხეთის დაქვემდებარებიდან გამოსული) იძულებულია ანგარიში გაუწიოს შექმნილ ვითარებას, განდიდების გზაზე მდგარი გურიელის წინადადება მიიღოს და თვითვე აკურთხოს მისი საერისთავოს ახალი მღვდელმთავრები. ჩვენი აზრით, გამორიცხული არაა, რომ აფხაზთა კათალიკოსის ეს ნაბიჯი იმერეთის პოლიტიკური მესვეურების მიერ იყო ნაკარნახევი, რადგანაც მათ ინტერესებში არ შედიოდა გურიელის განაწყენება, პირიქით, იმ პერიოდში მისი მიმხრობა და მხარდაჭერა სჭირდებოდათ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ გურიის ეპისკოპოსების კურთხევა XV საუკუნის 70-იან წლებამდე უნდა მომხდარიყო აფხაზთა კათალიკოსის მიერ, ვიდრე ეს უკანასკნელი და იმერთა მეფე დამოუკიდებლობას მოიპოვებდნენ. დ. ბაქრაძემ შემოქმედის მონასტრის სიძველეთა შორის აღმოაჩინა დამტვრეული ვერცხლის ჯვარი ოქროთი დაფერილი, რომელზეც შემდეგი შინაარსის წარწერა იყო დატანილი: "ნებითა [და] შეწევნითა ღმრთისაითა ჩვენ პატრონმა გ(უ)რ(იე)ლმ(ა)ნ გ(იორ)გ(ი) პატრონმა ელე(ნ)ე დ(ა) ძეთა ჩ(ვენ)თა მამიამ და ქ(ე)იყ(უ)ბალი დავსვი შემოქმედს ეპისკოპოსი და დავდევით ომფორი დ(ა) მო(ვა)ჭ(ე)დ(ი)ნ(ე)თ პ(ა)ტ(ი)ოს(ა)ნ(ი) ჯ(ვა)რი" (1,136).

რას ნიშნავს „დავდევით ომფორი"? სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში ომფორს განმარტავს, როგორც „ეპისკოპოსთა მჴართ მოსახვევი" (164,603). „დავდევით ომფორი" ნიშნავს საეპისკოპოსო კათედრის

დაარსებას. იგივე არის ნათქვამი შემოქმედის მონასტრის გულანის კვინკლოსში გელათის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ – „213-1525 აქა გელათის ომფორი დადვეს" (1,136) ე. ი. საეპისკოპოსო საყდრად აქციეს.

პროფ. ქ. ჩხატარაიშვილი შემოქმედის საეპისკოპოსოს დამაარსებელ გიორგი გურიელსა და დედოფალ ელენეს აიგივებდა ლიხაურის სამრეკლოს წარწერაში მოხსენიებულ პირებთან. წარწერა შემდეგი შინაარსისაა: „ქ̃რი ყოვლად წმინდაო ღვთისმშობელო რეხეულისაო შეიწყალე გიორგი გურიელი და დედოფალი ელენე ამინ" (1,98). ქარაგმას „ქ̃რი" დ. ბაქრაძე განმარტავდა, როგორც ქორონიკონი რი 110 ანუ 1422 წელი. მაშასადამე, გიორგი გურიელი XV საუკუნის I ნახევრის მოღვაწე გახლდათ. გურიელთა ქრონოლოგიურ რიგში კიდევ გვხვდება გიორგი გურიელი, რომლის მეუღლეც დედოფალი ელენე იყო. ეს არის გიორგი I გურიელი, რომელიც სამთავროს მართავდა 1566-1583 წლებში. მაგრამ, შეუძლებელია გიორგი I გურიელი ვიგულისხმოთ საეპისკოპოსოების დამაარსებლად, რადგან ჯერ კიდევ მისი მამის როსტომ გურიელის (1534-1566) მიერ გაცემულ სიგელში იხსენიება ჯუმათელი მღვდელმთავარი სიმონ ჩხეტიძე (1,237). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ქ. ჩხატარაიშვილი ასკვნიდა: „ცხადია, რომ გურიის საეპისკოპოსოების დაარსება, შემოქმედისა მაინც, იმ გიორგი გურიელის დროს უნდა მომხდარიყო, რომელიც ფაქტიურად გიორგი I გურიელად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ახლა არსებულ გურიელთა სიებში (მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ო. სოსელია, ქ. ჩხატარაიშვილი) გურიელთა რიგში არაა ჩაყენებული (უნომროდაა), როგორც ჩანს ეს გიორგი გურიელი XV საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა" (87,143).

გურიაში საეპისკოპოსოების დაარსების თარიღად XV საუკუნეს ალიარებდა აკად. ნ. ბერძენიშვილიც. იგი აღნიშნავდა: „გურიის საეპისკოპოსო კათედრები არ უნდა იყვნენ ძველი. კერძოდ, შემოქმედის შესახებ გარკვეული ცნობაც არსებობს, რომ საეპისკოპოსო კათედრა იქ მხოლოდ XV საუკუნეში დაარსდა (136,114). განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა ს. კაკაბაძეს, მას მიაჩნდა, რომ შემოქმედის საეპისკოპოსო 1570-1590 წლებში უნდა დაეარსებინათ (77,11). ითვალისწინებდა რა, ჩვენს მიერ მოტანილ ვერცხლის ჯვარზე დატანილ იმ წარწერის შინაარსს, რომლის მიხედვითაც აღნიშნული საეპისკოპოსო გიორგი გურიელის და დედოფალ ელენეს მიერ იყო დაფუძნებული იგი წარწერაში მოხსენიებულ გიორგი გურიელს XVI საუკუნეში მოღვაწე გიორგი II მიიჩნევდა და აქედან გამომდინარე ასკვნიდა, რომ შემოქმედის მონასტე-

რი საეპისკოპოსო საყდრად ამავე ხანებში უნდა ეკურთხებინათ, თუმცა, როგორც ზემოთ მოყვანილი ცნობები მოწმობენ ამ შემთხვევაში პატივცემული მეცნიერი სცდებოდა.

XV საუკუნეში გურიაში საეპისკოპოსოების დაარსების ფაქტს იზიარებს პროფ. ი. სიხარულიძე (84,11). სადავო არ არის, რომ შემოქმედის საეპისკოპოსოს დამაარსებლები არიან გიორგი გურიელი და დედოფალი ელენე, მაგრამ მათი მოღვაწეობის განსაზღვრა ლიხაურის სამრეკლოს წარწერის მიხედვით შეუძლებელია. პროფ. ვ. სილოგავა ლიხაურის სამრეკლოს წარწერის ქარაგმას „ქ̃რი" კითხულობს, როგორც „ქ̃ში" (ქრისტე ჰოი) (170,341) ანუ წარწერის თარიღი 1422 წელი არარეალურია. აქედან გამომდინარე ჩვენ არ შეგვიძლია გიორგი გურიელი და დედოფალი ელენე XV საუკუნის I ნახევრის მოღვაწეებად მივიჩნიოთ, თუმცა შემოქმედის საეპისკოპოსოს დაარსება XV საუკუნის II ნახევარს ვერ გადასცილდება. ჩვენთვის საინტერესო შინაარსის წარწერაა დაცული შემოქმედის მაცხოვრის ხატზე, იგი ჯერ ბროსემ გამოაქვეყნა, შემდეგ დ. ბაქრაძემ, მასში ნათქვამია: „ხატო ღვთაებისაო, მეოხ და მფარველ ექმენ ერისთავთ-ერისთავს და სვანთ ერისთავსა გურიელს კახაბერს და თანამეცხედრესა მისსა ანას დედოფალსა... დავასვენეთ ხატი ესე სამიტროპოლიტოსა ხარისხსა ზედა შემოქმედს" (1,142;198,183). წარწერაში მოხსენიებული კახაბერი გურიაში მთავრობდა 1463-1483 წლებში და კახაბერ I-ის სახელით არის ცნობილი. მაშასადამე, ამ დროისათვის შემოქმედში უკვე სამიტროპოლიტო კათედრა არსებობდა. თუკი გავითვალისწინებთ ერთიანი სამეფოს დაშლის პერიოდში დასავლეთ საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა, გურიაში საეპისკოპოსოების ჩამოყალიბება XV საუკუნის შუა ხანებს უნდა დავუკავშიროთ.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით გურიის სამთავროში სამი საეპისკოპოსო არსებობდა: შემოქმედის, ჯუმათის და ხინოწმინდის (8,791). ა. ლამბერტის მიერ შედგენილ საქართველოს საეპისკოპოსოთა ნუსხაში, რომელიც მ. თამარაშვილმა გამოაქვეყნა გურიის სამთავროს ეპარქიების შესახებ შემდეგი ჩამონათვალი არსებობს: 1. წმ. მაცხოვრის შემოქმედელი; 2. წმ. ღვთისმშობლის ბლაელი; 3. წმ. იოანე ნათლისმცემლის ხინოწმინდელი (148,471).

როგორც ვხედავთ, აქ ჯუმათელი ნახსენებიც კი არ არის, ხოლო ბლაელი, რომელიც ღვთისმშობლის სახელობის კათედრას განაგებს აფხაზეთის საეპისკოპოსოთა ნუსხაშიც არის დასახელებული (148, 470).

ლამბერტის იგივე ტექსტის ბეყან გიორგაძისეულ თარგმანში აღნიშნულია: „გურია საქართველოს პროვინციებს შორის ყველაზე მცირეა, ამიტომ შედარებით ნაკლები ეპისკოპოსი ჰყავს, რიცხვით სამი: პირველი ეპისკოპოსი შემოქმედელია, ეკლესია წმინდა მაცხოვრისადმია მიძღვნილი. მეორე ეპისკოპოსი ჯუმათელია, მისი ეკლესია მიძღვნილია წმინდა მიქელ-ანგელოსისადმი. მესამე ხინოწმინდელია, მისი ეკლესია იოანესადმია მიძღვნილი" (53,14). ბლაელი მღვდელმთავარი ამ თარგმანში მხოლოდ აფხაზეთის ეპისკოპოსთა შორის იხსენიება. აფხაზეთში დასახელებულია ოთხი ეპარქია და იქვე მითითებულია: „მეხუთე საეპისკოპოსო იყო გურიაში. ლამბერტი ამბობს, რომ ახლა აღარ არისო, თუმცა კი დღემდე არსებობს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია" (53,14). ჩვენთვის გაუგებარია გურიაში არსებული ეპარქია, რომელიც ლამბერტის დროს უკვე გაუქმებული ყოფილა, რატომ არის დასახელებული აფხაზეთის საეპისკოპოსოთა შორის. ლამბერტის ცნობების სხვადასხვაგვარი თარგმანი კიდევ უფრო აბუნდოვანებს მისიონერის მონათხრობს. ერთი რამ კი დაბეჯითებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ქართული წყაროები შემოქმედის, ჯუმათის და ხინოწმინდის გარდა გურიაში სხვა საეპისკოპოსოს არ იცნობენ. ამასვე ადასტურებს ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა 1664-1666 წლებში. იგი წერს – „რაც შეეხება გურიის ქვეყანას, იქ სამი ეპისკოპოსი ზის: 1. შემოქმედელი, 2. ჯუმათელი, 3. ხინოწმინდელი. სულ ესენია, თუ არ ჩავთვლით იქ არსებულ მონასტერთა წინამძღვრებს". (22,113) პავლე ალეპოელი, რომელიც თან ახლდა მამამისს საქართველოში მოგზაურობისას განსხვავებულ ცნობებს გვაძლევს – „გურია პატარა სახელმწიფოა რიონს იქით, გადაღმა. ... მასში ოთხი საეპისკოპოსოა და ერთი მიტროპოლიტი" (28,75). ამ შემთხვევაშიც გაურკვევლობას იწვევს ერთიდაიგივე მოგზაურობისას, მოცემულ აღწერილობაში მამისა და შვილის მიერ სხვადასხვაგვარი ცნობების გამოქვეყნება. მაკარი ანტიოქიელის ცნობები ამ შემთხვევაში რომ უტყუარია დავას აღარ იწვევს. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ტრადიციულად გურიაში სამი საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა, მაგრამ მოცემული პერიოდისათვის შესაძლოა პავლე ალეპოელის ცნობებიც ჭეშმარიტებას ასახავდეს. მისი მონათხრობის თანახმად, ოთხი საეპისკოპოსოს გარდა კიდევ ერთი მიტროპოლიტი ყოფილა. საერთოდ, მიტროპოლიტის ტიტულს რომელიმე კათედრის მღვდელმთავარი ატარებდა, უფრო ხშირად შემოქმედელი, მაგრამ ამ შემთხვევაში, მიტროპოლიტი ცალკე ჩანს.

საინტერესოა, რომ XVII საუკუნის 30-იან წლებში კათოლიკე მისიონერები იხსენიებენ გურიის მიტროპოლიტს. კათალიკოსმა მალაქიამ გურიის მიტროპოლიტად დაადგინა დასავლეთ საქართველოში გადახიზნული ალავერდელი (49-118). სხვა წყაროები ამგვარი თანამდებობის არსებობას არ ადასტურებენ, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ მოცემულ პერიოდში იგი მართლაც არსებობდა და პავლე ალეპოელსაც ეს ჰქონდა მხედველობაში. რაც შეეხება დასახელებულ ოთხ საეპისკოპოსოს, გაურკვეველი მხოლოდ მეოთხე საეპისკოპოსო რჩება.

პ. ინგოროყვა ასკვნიდა, რომ XVII საუკუნის დასაწყისში გურიაში ჩნდება კიდევ ერთი საეპისკოპოსო ცენტრი სატყეპელაში. ამჯერად, კათედრას იძულებით ადგილნაცვალი მღვდელმთავარი ლაზეთის მიტროპოლიტი იკავებს. რეზიდენციის სახელი სატყეპელა, იგივე სატრაპელა ლაზეთიდან მოტანილი ტოპონიმია (149,292).

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ლაზეთი (იგივე ჭანეთი) ხან გურიის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა, ხან სამცხე-საათაბაგოში. 1463-1502 წლებში იგი გურიის სამთავროს ნაწილია, 1502-1533 წლებში – სამცხე-საათაბაგოსი, ხოლო 1535-1547 წლებში ისევ გურიას ეკუთვნის. 1461 წელს ტრაპიზონის იმპერიის დაცემის შემდეგ ოსმალეთმა მიზნად დაისახა ჭანეთის დაპყრობაც. მათ არაერთხელ დალაშქრეს საქართველოს ეს ძირძველი კუთხე. ჭანეთისათვის ბრძოლა თითქმის მთელი საუკუნე გაგრძელდა. საბოლოოდ, XVI საუკუნის 40-50-იან წლებში დაიმორჩილეს. დაპყრობილ ტერიტორიაზე ოსმალებმა დაიწყეს სარწმუნოებრივი ექსპანსია. ლაზეთის მიტროპოლიტსაც აღარ ედგომებოდა მაჰმადიანთა გარემოცვაში და XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე, დროებით გურიაში გადმოუტანიათ ლაზეთის სამიტროპოლიტო კათედრა (149,263). 1613 წელს სატყეპელაში ლაზეთის მიტროპოლიტი მოუნახულებია ფრანგ მისიონერს ლუი გრანჟიეს (147,139). იერუსალიმის პატრიარქს თეოფანეს იგი გურიაში საიერუსალიმო მამულების ვექილად დაუდგენია (15,137).

ამგვარად, პავლე ალეპოელის მიერ ნახსენები მეოთხე ეპისკოპოსი შესაძლოა ლაზეთის ემიგრირებული მღვდელმთავარი ყოფილიყო.

მ. თამარაშვილის მტკიცებით, გურიის სამთავროში კათოლიკე ეპისკოპოსიც ყოფილა. იგი, მოგვითხრობს რა, ანტიოქიის პატრიარქ მაკარის ვიზიტზე საქართველოში, აღნიშნავს, რომ მოცემულ პერიოდში მაკარი დროებით გაკათოლიკებული იყო და მან გურიაში აკურთხა კათოლიკე ეპისკოპოსი გედეონ საკეთელი (147,168). იქვე მოჰყავს კაპუცინელი

მისიონერების ცნობები, რომ საკეთელის საზოგადო ქართული სახელი არის იკანეთელი, ხოლო ბერძნულად ამ კათედრას იკანს უწოდებენ და იგი გურიაში მდებარეობს (147,168).

უპირველეს ყოვლისა, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ანტიოქიის პატრიარქის მაკარის თუნდაც დროებით გაკათოლიკებას სხვა არცერთი წყარო არ ადასტურებს. რაც შეეხება იკანეთელ, ანუ იკანელ ეპისკოპოსს ეს იგივე იშხნელი ეპისკოპოსია, რომლის კათედრაც არა გურიაში, არამედ მის მეზობელ სამცხე-საათაბაგოში მდებარეობდა. XVII საუკუნის შუა ხანებში იშხნელად მართლაც იყო ეპისკოპოსი გედეონი. თ. ჟორდანიას ქრონიკების II ტომში მოჰყავს ასეთი ცნობა: „1650 წ. აქა საფრიძეს მტბევარს იშხნელობა და მანყვერელობა მოუვიდა ხვანთქრისაგან" (44,475), ხოლო მანამდე აღნიშნულია: „1637 წელს აქა საფრიძე გედეონ მტბევარს დაჯდა" (44,452). საფრიძე ამ შემთხვევაში გადამწერის შეცდომა უნდა იყოს, რადგან საფრიძის ნაცვლად, გედეონი წყაროებში საფარელად იწოდება (45,59). როგორც ჩანს, სამცხის საეპისკოპოსოები ზედიზედ უქმდებოდა. მაჰმადიანთაგან შევიწროვებული გედეონი საფარიდან ტბეთში, ხოლო ტბეთიდან აწყურსა და იშხანში გადადიოდა. ასეთ პირობებში გამორიცხული არ არის, რომ გურიის სამთავროშიც გადმოხიზნულიყო. მაგრამ, თუკი იგი კათოლიკობას მიიღებდა, დევნას აღარ დაუწყებდნენ ოსმალები და არც სხვა სამთავროში გადახვეწა გახდებოდა აუცილებელი. ოსმალებისთვის საფრთხეს მართლმადიდებლური ეკლესია წარმოადგენდა, რადგან ოსმალეთის მიერ დაპყრობილ სამხრეთ მხარეებში საქართველოს პოლიტიკური გავლენის გამტარებლად ქართულ ეკლესიას თვლიდა. ჩვენთვის ცნობილია, რომ 1763-1764 წლებში ქართველმა ეპისკოპოსმა გიორგიმ, რომელიც საფარასა თუ აწყურში იჯდა, დატოვა რა მართლმადიდებლობა და აღიარა კათოლიკობა, მისი დევნა მაშინვე შეწყვიტეს თურქმა მოხელეებმა (159,302). აქედან გამომდინარე, ალოგიკურია გაკათოლიკებული გედეონის გურიის სამთავროში გადასვლა. ამასთანავე, თვით მაკარი ანტიოქიელი არსად საუბრობს გურიაში ახალი ეპისკოპოსის კურთხევაზე, როცა სხვა შემთხვევაში ამგვარ ფაქტებს ერთგვარი სიამაყითაც აღნიშნავს.

ამრიგად, XV საუკუნეში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მოვლენებმა ხელი შეუწყო საეკლესიო სეპარატიზმის გაღვივებასაც. მეფე-მთავრები ცდილობდნენ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის დაექვემდებარებინათ ეკლესიის ინტერესები. გამთავრების გზაზე მდგარმა გურიის ერისთავებმაც იმერეთის სამეფოსგან სრუ-

ლი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად საეპისკოპოსო კათედრები დააარსეს. გურიაში ტრადიციულად სამი საეპისკოპოსო არსებობდა, თუმცა გარკვეულ პერიოდში აქ ჩანს ადგილნაცვალი მღვდელმთავრის კათედრა, ან გურიის უმაღლესი სასულიერო პირის ტიტულს იღებს ადგილნაცვალი ეპისკოპოსი.

## § 3. გურიის ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით წინამდებარე თავში შევეცადეთ დაგვედგინა გურიის ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი. ცნობების სიმწირის გამო არ ხერხდება სრულყოფილად ამ რიგის დადგენა. განსაკუთრებით მცირეა მასალა ხინოწმინდელ ეპისკოპოსებზე, რადგან ხინოწმინდის ეპარქიის ოსმალთაგან მიტაცების შემდეგ წყაროების უმრავლესობა განადგურდა. ეპისკოპოსთა ქრონოლოგიის განსაზღვრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათი მოღვაწეობის შესაფასებლად, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა ყველა დროში სხვადასხვა მიზნებს უსახავდა საეკლესიო პირებს. მათი საქმიანობა დიპლომატიურ თუ კულტურულ სარბიელზე ნაკარნახევი იყო არსებული ვითარებით. თვით ეპისკოპოსთა ვინაობა (მათი წარმოშობისა თუ რომელიმე ფეოდალური საგვარეულოსადმი კუთვნილების მიხედვით), ხშირად დროის მიერ შექმნილი გარემოებებით იყო განპირობებული.

*ა) შემოქმედელი ეპისკოპოსები.* თავდაპირველ შემოქმედელ ეპისკოპოსთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია. ისინი წყაროებში სახელით არ მოიხსენიებიან, ამიტომაც ჭირს უწყვეტი ქრონოლოგიური რიგის დადგენა. პირველად, სადაც გურიის ეპისკოპოსები და მათ შორის შემოქმედელი მღვდელმთავარი ზოგადად იხსენიება არის გუგუნბერისძეთა სასისხლო სიგელი, რომელიც დაახლოებით 1456-1476 წლებშია გაცემული. მტკიცებით ნაწილში დასახელებულია: „გურიას გურიელი და მისნი ეპისკოპოზები“ (87,142). ასეთივე ზოგადი ცნობებია შემონახული 1533 წელს ჯიქეთში მამია I გურიელთან ერთად გალაშქრებულ ეპისკოპოსებზე (44,373).

ჩვენს ქრონოლოგიურ ნუსხაში სახელით ცნობილი პირველი შემოქმედელი ეპისკოპოსი არის ბესარიონი, რომელიც იხსენიება 1572 წლით დათარიღებულ სიგელში (1,118). ეს საბუთი გოგიტიძეთა საგვარეულოს კუთვნილი გახლავთ. მართალია, აღნიშნული დოკუმენტის თარიღი სა-

დავოა ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, შემოქმედელი ბესარიონის მოღვაწეობა შეიძლება მაინც XVI საუკუნის მიწურულით განისაზღვროს.

ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, XVII საუკუნის დასაწყისში, შემოქმედელი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო მალაქია კათალიკოსი, გიორგი I გურიელის ძე. იგი აღნიშნავდა, რომ „მალაქია წინეთ იყო ჯუმათელ-შემოქმედელ-ცაიშელი, შემდეგ 1616-1622 წწ. აფხაზეთის კათალიკოსად" (11,154). მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი სახელოვანი მეცნიერი ცდება. მალაქია, არც ერთ წყაროში არ არის დაფიქსირებული შემოქმედელ ეპისკოპოსად. ამ წოდებით XVII საუკუნის დასაწყისში ჩანს მაქსიმე მაჭუტაძე. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ კათოლიკე მისიონერები ხშირად ერთმანეთის გვერდით მოიხსენიებენ კათალიკოს მალაქიასა და შემოქმედელ ეპისკოპოსს, რომელიც მალაქია კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ კათალიკოსად აღუსაყდრებიათ (147,105).

უშუალოდ ვინ შეცვალა შემოქმედის საეპისკოპოსო ტახტზე მაქსიმე მაჭუტაძე უცნობია, მაგრამ 1647 წელს აღნიშნულ კათედრაზე უკვე იაკობ დუმბაძე გვხვდება. შესაძლოა, მანამდე, კათალიკოსობის პარალელურად შემოქმედელობაც ჰქონდა შეთავსებული მაქსიმეს, თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია არსად არის დაცული.

როგორც აღვნიშნეთ, 1647 წელს შემოქმედელი ეპისკოპოსი უკვე იაკობ დუმბაძეა – „ქ-სა ტლე (1647) აქა ქრისტიანე და ღვთისმოყვარე შემოქმედელად ეკურთხა ბატონი იაკობ" (44,460). მისი ეპისკოპოსად კურთხევის თარიღი სადავოა ქართულ ისტორიოგრაფიაში. თ. ჟორდანიასგან განსხვავებული ცნობები მოაქვს პლ. იოსელიანს. ეს უკანასკნელი, ჩვენთვის უცნობ წყაროებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ იაკობი შემოქმედის ეპისკოპოსი მხოლოდ 1682 წელს გახდა. (46,225). მისი მოსაზრება გაიმეორა დ. ბაქრაძემ (1,140) და პ. კარბელაშვილმა (59,60). იგივე თარიღი, შემდგომ ავტომატურად გაიმეორა რამდენიმე მკვლევარმა. იაკობ შემოქმედელისადმი საგანგებოდ მიძღვნილ ბროშურაში აკაკი ხინთიბიძე აღნიშნავს: „თუ ამ თარიღს ვერწმუნებით (იგულისხმება 1647 წელი თ. ქ.), სადავო ხდება იაკობის ბიოგრაფიის სხვა თარიღები, რადგან მაშინ იგი უნდა დაბადებულიყო არა უგვიანეს, 1612 წლისა (35 წლის ასაკამდე მიტროპოლიტად არ აკურთხებდნენ), ხოლო 84 წლის მოხუცს გაუჭირდებოდა მოსკოვს გამგზავრება, მით უფრო – ამის შემდეგ იერუსალიმს წასვლა" (181,9). თავისთავად, ამ ასაკში მართლაც გაუჭირდებოდა მოგზა-

ურობა და შესაძლოა სამწყსოს მართვაც კი, მაგრამ XVII საუკუნის შუა ხანებში, იგივე შემოქმედის კათედრას თითქმის 6 ათეული წლის განმავლობაში მართავს ნიკოლოზ გურიელი. ამასთანავე, გამორიცხული არაა, რომ ეპისკოპოსად კურთხევის დროს იგი 35 წლის არ იყო და უფრო ახალგაზრდაც დაადგინეს ამ თანამდებობაზე. ამისი ანალოგიები მრავლად მოიპოვება საეკლესიო ცხოვრებაში.

ამასთან, საგულისხმოა ქაიხოსრო I გურიელის მიერ გაცემული ერთ-ერთი დოკუმენტი – შეწირულობის წიგნი იერუსალიმის ჯვრის მონასტრისადმი, სადაც ქაიხოსრო I ჯვრის მამა ნიკიფორეს უმტკიცებს საჯვრისმამო ყმა-მამულს. სიგელის მტკიცებით ნაწილში მოწმეთა შორის დასახელებულია იაკობ შემოქმედელი (15,140). სიგელი უთარიღოა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ქაიხოსრო I გურიის მთავარი იყო 1640-1660 წლებში, ხოლო ნიკიფორე ჩოლოყაშვილი ჯვრის მამა 1643-1649 წლებში, ნათელი ხდება, რომ სიგელი გაცემულია XVII საუკუნის 40-იან წლებში, მაშასადამე, იაკობ დუმბაძის შემოქმედელობაც ამ პერიოდშია საგულისხმებელი, რაც თავისთავად თ. ჟორდანიასეული თარიღის 1647 წლის სასარგებლოდ მეტყველებს. იაკობ დუმბაძის გარდაცვალების თარიღი ზუსტად არ ვიცით. სავარაუდოდ მისი მოღვაწეობა XVII საუკუნის II ნახევრით უნდა განისაზღვროს.

1658 და 1689 წელს შემოქმედელ ეპისკოპოსად გვხვდება მალაქია ქაიხოსრო გურიელის ძე. შემოქმედელ მალაქიას შესახებ ცნობებს ვპოულობთ შემოქმედის მაცხოვრის ხატის წარწერაში, რომლის ზურგიც მისი დაკვეთით მოუჭედიათ 1658 წელს. ამ თარიღის სიზუსტეში ეჭვი შეჰქონდა მ. ბროსეს და მიიჩნევდა, რომ ქორონიკონი 346 (1658 წ.) შეცდომით ზის 386 (1698) წლის ნაცვლად (198,184). დ. ბაქრაძე თვლიდა, რომ მალაქია სულაც გიორგი II გურიელის ძე გახლდათ, რომელიც შემდგომ აფხაზთა კათალიკოსად დაადგინეს (1-111), მაგრამ დღეს უკვე აღიარებულია, რომ ამ შემთხვევაში პატივცემული მეცნიერის მოსაზრება არასწორია და წარწერაში მოხსენიებული მალაქიაც ნამდვილად ქაიხოსრო I გურიელის ძეა, რომელიც არასდროს გამხდარა აფხაზთა კათალიკოსი – „ბროსეც უსაფუძვლოდ ჰფიქრობს ვითომ 1658 წელი შეცდომით იყოს დაწერილი 1698 წლის მაგივრად, რადგან ჯუმათის წარწერას, შემოქმედის წარწერაც ეთანხმება და ჩვენი ქრონიკაც გვიჩვენებს მალაქიას ცოცხლად 1664 წელს" – წერდა თ. ჟორდანია (43,305-306). მაგრამ ამ წლით დათარიღებულ სიგელში, როგორც თავად აღნიშნავს, მალაქია იხსენიება არა შემოქმედელად, არამედ

ბატონიშვილად, რასაც იმ მიზეზით ხსნის, რომ ამ პერიოდში „იერუსალიმიდან დაბრუნებულა იაკობ დუმბაძე და საეპისკოპოსო კათედრაც მას დაუკავებიაო" (43,307). ამასთან, ვფიქრობთ სხვა მიზეზიც არსებობდა საიმისოდ, რომ მალაქიას დაეტოვებინა შემოქმედელობა. როგორც აღვნიშნეთ, იგი ქაიხოსრო გურიელის ძე გახლდათ. ქაიხოსროს მეტად გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა იმერთა მეფე ალექსანდრე III-სთან და სამეგრელოს მთავარ ვამეყ დადიანთან. მათ შორის მტრობა იმით დასრულდა, რომ 1658 წელს, ივლისის თვეში სოფ. ბანძასთან მოხდა ბრძოლა, სადაც ქაიხოსრო გურიელი დამარცხდა და სტამბოლს გადაიხვეწა. სავარაუდოა, რომ აღარც მისი ძე მალაქია დატოვეს ეპისკოპოსად და გადააყენეს. ჩვენ საგანგებოდ აღვნიშნეთ, რომ ზემოხსენებულ მოვლენებს ადგილი ჰქონდა ივლისის თვეში, რადგან ამავე წლით დათარიღებული ხატის წარწერაში იხსენიება მალაქია შემოქმედელად, მაგრამ როდესაც ეს ხატი მოუჭედიათ, ყოფილა დიდი პარასკევი, რაც თავისთავად მარტში ან აპრილში მოუწევდა, ხოლო ივლისის თვეში მალაქიას უკვე დაატოვებინეს კათედრა. შესაძლოა სწორედ განთავისუფლებული კათედრის დასაკავებლად იხმეს იერუსალიმიდან იაკობ დუმბაძე. მალაქიას ბედი შემდგომაც ტრაგიკულად წარიმართა. მართალია, სტამბოლიდან დაბრუნებულმა და ახალციხის ფაშის ჯარით გაძლიერებულმა ქაიხოსრომ შესძლო კვლავ დაეკავებინა გურიის სამთავროს ტახტი, ასევე შემდგომ დაემარცხებინა ვამეყ დადიანის ინიციატივით მოწყობილი კოალიციური ლაშქრობა, მაგრამ საბოლოოდ 1660 წლის დასაწყისში ქაიხოსრო გურიელს „შეუჩინეს მაჭუტაძე. მეფემან და დემეტრე გურიელმა. მან მოჰკლა ქაიხოსრო გურიელი ღალატად... ხოლო ძენი ქაიხოსროს გურიელისანი გიორგი და მალაქია წარვიდნენ წინაშე როსტომ ფაშის ახალციხეს და იმყოფებოდნენ მუნ მის თანა" (8,834). 1684 წელს მალაქია გურიის მთავარი გახდა, მაგრამ 1685 წელს ტახტი ძმისწულმა ქაიხოსრო II-მ, გიორგი III გურიელის ძემ წაართვა. მალაქია ახალციხის ფაშასთან გადავიდა, მაგრამ ქაიხოსრო II ალუთქვა ფაშას უვნებლობა ბიძისა და მალაქიაც გურიაში დაბრუნდა. ამით ისარგებლა ქაიხოსრომ და მიუხედავად დაპირებისა ბიძას თვალები დასთხარა. ამის გამგონე ფაშაც განრისხდა და თავის ქვეშევრდომებს უბრძანა ქაიხოსროს მოკვლა. იგი მართლაც მოჰკლეს და გურიელად უსინათლო მალაქია დაადგინეს. მან უსინათლობის გამო ვერ შესძლო სამთავროს მართვა, ამიტომ მცირე ხნის შემდეგ გურულებმა მოითხოვეს სამთავროს ტახტზე დაემტკიცებინათ

გიორგი III-ის ძე და ქაიხოსრო II-ის ძმა მამია, რომელიც ახალციხეში იმყოფებოდა ფაშასთან. 1689 წელს გურიის მთავარი გახდა მამია III. „ამასვე წელსა ამან მამიამ მისცა შემოქმედელობა მალაქიას და პყო მონაზონად" (8,849). შემდგომ ხანებში, მალაქია ქართლში გადასულა. 1703 წელს მას ვხედავთ ვახტანგ VI-ის კარზე. ვახტანგისა და მისი ძმების მიერ გაცემულ სიგელს ამტკიცებს სწორედ მალაქია შემოქმედელი, ხელრთვას თან ახლავს მისი ბეჭედიც (6,121). თუ, რამდენ ხანს დარჩა მალაქია შემოქმედელად ჩვენთვის უცნობია, მაგრამ XVII საუკუნის დასაწყისში შემოქმედელ მღვდელმთავრად გვხვდება იოანე. როგორც აღვნიშნეთ, მალაქია 1658 წლით დათარიღებულ წარწერაში იხსენიება ეპისკოპოსად. მომდევნო ხანის სიგელებში კი ბატონიშვილად. შესაძლოა მას დაეტოვებინა კიდეც ბერობა. მით უმეტეს, რომ იგი 1684 წელს გურიის მთავარიც გახდა, ხოლო შემდგომ 1689 წელს, მასზე საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ მონაზვნად აღკვეცეს და შემოქმედელობა უბოძეს. ცხადია, 1658 და 1689 წლებს შორის იგი ვეღარ იქნებოდა ეპისკოპოსი. XVII საუკუნის 70-იან წლებში შემოქმედელად ვხედავთ დავით ნემსაძეს. იგი პარალელურად გახლდათ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსიც. ჩვენთვის ცნობილია სიგელი „ჩრდილოსა და აფხაზთა კათალიკოსის, შემოქმედელ ნემსაძეს, პატრონ დავითის" (1,127) მიერ ბოძებული წიგნი თაყა სალუქაძისადმი, რომელსაც აჭის მონასტრის წინამძღვრობას უმტკიცებს. პ. კარბელაშვილს შემოქმედელ ეპისკოპოსთა ნუსხაში დავით ნემსაძის მღვდელმთავრობის პერიოდი 1675-1681 წლებით აქვს განსაზღვრული და აღნიშნავს, რომ შემდგომ გახდა კათალიკოსი (59,60r). 1682-1687 წლებში ასახელებს იაკობ დუმბაძეს, ხოლო 1687 წელს მალაქიას (59,60r). ჩვენ ვიზიარებთ რომ, ამ თანამიმდევრობით ცვლიდნენ ზემოხსენებული ეპისკოპოსები ერთმანეთს შემოქმედის კათედრაზე, მაგრამ თარილები არეულია. მალაქიამ, როგორც უკვე გვქონდა განხილული, კათედრა დაიკავა 1689 წელს. ამასთანავე, დავით ნემსაძე მართალია იყო აფხაზთა კათალიკოსი, მაგრამ ეს თანამდებობა შემოქმედელობის შემდეგ არ მიუღია. ეს საკითხი საგანგებოდ გამოიკვლია ნ. ბერძენიშვილმა და დაასკვნა, რომ იგი ერთდროულად ატარებდა კათალიკოსობის და ეპისკოპოსობის პატივს (136,119).

XVIII საუკუნის დასაწყისში შემოქმედის საეპისკოპოსო კათედრა უჭირავს იოანეს. იგი გვხვდება გიორგი IV გურიელის სიგელში (1,248). ჩვენ არ ვიცით, როდის არის გაცემული სიგელი. მხოლოდ ცნობილ-

ია, რომ გიორგი IV მოღვაწეობდა 1713-1716 წლებში და 1717-1726 წლებში. იოანე შემოქმედელი გვხვდება კიდევ ერთ საბუთში – წყალობის წიგნში ბეჟან ნაკაშიძისადმი, ბოძებული ლევან გურიელის მიერ, რომელიც გახლდათ ძმა გიორგი IV გურიელისა. ეს დოკუმენტიც დაუთარიღებელია. მისი გამომქვეყნებელი ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ იგი 1701-1740 წლებს უნდა ეკუთვნოდეს (6,476), მაგრამ ვინაიდან ლევან I მთავრობდა 1711-1713 წლებში, ვფიქრობთ, რომ ამ პერიოდში უნდა იყოს გაცემული. მართალია, ამ შემთხვევაში არ ხერხდება იოანე შემოქმედელის ზეობის ზუსტი წლების დადგენა, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ მისი მოღვაწეობა XVIII საუკუნის პირველ ათწლეულს უნდა დავუკავშიროთ.

იოანეს შემდეგ შემოქმედის კათედრა დაიკავა ნიკოლოზ გურიელმა. იგი გახლდათ ძე გურიის მთავრის მამია II-ისა და მისი პირველი მეუღლის ელენე აბაშიძისა. ნიკოლოზი, როგორც შემოქმედელი მღვდელმთავარი, პირველად გვხვდება 1713 წლის წარწერაში და საკმაოდ დიდხანს ყოფილა ეპისკოპოსად. მართალია, ზუსტი თარიღი მისი გარდაცვალებისა უცნობია, მაგრამ 1775 წელს გიორგი V-ის მიერ გაცემულ სიგელში ნიკოლოზი მიცვალებულთა შორის იხსენიება, „თუ დავუშვებთ, რომ იგი გარდაიცვალა ამ სიგელის დაწერამდე (1775) რამდენიმე წლით ადრე, მაშინ იგი შემოქმედელად ძალიან დიდხანს ყოფილა და ღრმა მოხუცებული გარდაცვლილა" (1,257).

ნიკოლოზ მიტროპოლიტის გარდაცვალების შემდეგ საეპისკოპოსო კათედრა არავის დაუკავებია, გურიის სამთავროსათვის მძიმე შედეგების მომტანი აღმოჩნდა რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომი, რის შედეგადაც გურიის საეპისკოპოსოები გაუქმდა. 1777 წელს მამუკა თავდგირიძის მიერ კათალიკოს მაქსიმესათვის მიცემულ პირობის წიგნში ნათქვამია, რომ „გურიის ქვეყანას ეპისკოპოსი არავინ იჯდა" (18,60). მდგომარეობის გამოსწორების მიზნით კათალიკოსი მაქსიმე გურიაში ჩავიდა და გიორგი V გურიელთან შეთანხმებით აღადგინა შემოქმედის და ჯუმათის კათედრები, შემოქმედელ ეპისკოპოსად იოსებ თაყაიშვილი დაადგინეს (18,60). ამის შემდეგ, როგორც ერთ-ერთ დოკუმენტშია აღნიშნული: „შემოქმედის იარაღი – ომფორი, მიტრა და სასანთლეები სამალავიდან გამოვიღეთ და უკლებლივ ჩავაბარეთ შემოქმედელს" (1,261), მაგრამ შემოქმედის საეპისკოპოსოს აღდგენა დროებითი აღმოჩნდა, ხოლო იოსებ თაყაიშვილის მღვდელმთავრობა, უკანასკნელი ამ კათედრაზე. თურქთა აგრესიის საფრთხემ კვლავ შეაფერხა სულიერი

ცხოვრება შემოქმედში. „ულმრთოთა აგარიანთა მძლავრობამ ისე შეაჭირვა მთავარი საყდარი და ტაძარი, რომ უბრალოცა მონაზონი და მღვდელი ვერ იცხოვრებდა შიგ" (1,263), ამიტომ იოსები იძულებული გახდა დაეტოვებინა კათედრა. 1788 წლის 3 მაისს იგი ჯუმათის ეპისკოპოსად დაადგინეს (1,263). მართლაც, ამის შემდეგ, იოსებ თაყაიშვილი ჩვენს დოკუმენტებში ყველგან გვხვდება, როგორც „შემოქმედელი მიტროპოლიტი ჯუმათელი იოსები". იოსებ თაყაიშვილი შემოქმედის გულანის მინაწერის თანახმად, 1794 წელს გარდაიცვალა (1,138). ამის შემდეგ, საშემოქმედლო ყმა-მამული 1820 წლამდე ქაიხოსრო ბატონიშვილმა დაიკავა. იგი სასულიერო სფეროში მოღვაწეობისათვის იყო განწესებული, მაგრამ თავი მიანება სასულიერო უწყებას და ვითარცა შემოქმედელი ეპისკოპოსის კათედრის დასაკავებლად მომზადებულმა 1794 წლიდან ხელთ იგდო საშემოქმედლოს ტერიტორია.

იოსებ თაყაიშვილი მართალია, უკანასკნელი შემოქმედელი გახლდათ, მაგრამ მის შემდეგ ამ წოდების მატარებელია ჯუმათელი მიტროპოლიტი ნიკოლოზი – ძე ქაიხოსრო ერისთავისა, შარვაშიძეების საგვარეულოდან. თუმცა შემოქმედში საეპისკოპოსო კათედრა აღარ აღდგენილა. ამ დროს გურიის სამთავროში მხოლოდ ერთადერთი ეპარქია იყო დარჩენილი – ჯუმათის*.

ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში შემოქმედელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი წარმოგვიდგება შემდეგნაირად:

1. ბესარიონ მაჭუტაძე, მთავარეპისკოპოსი – XVI საუკუნის I ნახევარი
2. მაქსიმე მაჭუტაძე XVII საუკუნის დასაწყისი – XVII საუკუნის 40-იანი წლები (აფხაზეთის კათალიკოსი)
3. იაკობ დუმბაძე, მიტროპოლიტი – 1647 o 1687 o 1696
4. მალაქია გურიელი, ძე ქაიხოსრო I-ისა, მიტროპოლიტი – o 1658 წელი, 1689 – დაახლ. 1703

---

* შემოქმედში საეპისკოპოსოს აღდგენა უცდიათ XIX საუკუნის 10-იან წლებში, 1819 წლისათვის. დავით ბატონიშვილი, გურიის მღვდელმთავრებს შორის ასახელებს შემოქმედელ სვიმონ გურიის ერისთავის ძეს (160,82), მაგრამ შემოქმედელი სვიმონი სხვა წყაროებში არსად არის დაფიქსირებული. სავარაუდოა, რომ სვიმონის შემოქმედელობა, ისევე როგორც დავით წერეთლის დამტკიცება ხინოწმინდის კათედრაზე ფიქტიურ ხასიათს ატარებდა. ამ პერიოდისათვის შემოქმედის კათედრის აღდგენა რუსეთის იმპერიის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, რომელსაც კურსი ეპარქიების შემცირებისაკენ ჰქონდა აღებული.

5. დავით ნემსაძე – XVI საუკუნის 70-იანი წლები, (აფხაზეთის კათალიკოსი)
6. იოანე არქიეპისკოპოსი – დაახლ. 1703-1713 წწ.
7. ნიკოლოზ I გურიელი ძე მამია III-ისა – დაახლ. 1713-1775 წწ.
8. იოსებ თაყაიშვილი, მიტროპოლიტი 1777-1788 წწ. ხოლო 1788-1794 წწ. შემოქმედელ-ჯუმათელი
9. ნიკოლოზ II შერვაშიძე, შემოქმედელი მიტროპოლიტი, ჯუმათელი ეპისკოპოსი – დაახლ. 1811-1827 წწ.

*ბ) ჯუმათელი ეპისკოპოსები.* ჯუმათის საეპისკოპოსოც შემოქმედის თანადროულად დაარსდა. ჩვენთვის ცნობილი არაა ვინ იყვნენ XV საუკუნეში ჯუმათელი მღვდელმთავრები. პირველი, ვინც ქართულ წყაროებში გვხვდება, გახლავთ სიმონ ჩხეიძე. იგი იხსენიება როსტომ გურიელის, მისი თანამეცხედრის თინათინისა და მათი ძის, გიორგის მიერ გაცემულ სიგელში (1,237). სიგელის დათარიღება შეიძლება როსტომ გურიელის ზეობის წლებით. ის გურიაში მთავრობდა 1534-1566 წლებში. მაშასადამე, ჯუმათელი სვიმონ ჩხეიძე იგივე ჩხეტიძე დაახლოებით XVI საუკუნის 30-60-იანი წლების მოღვაწე უნდა ყოფილიყო.

XVII საუკუნის დასაწყისში ჯუმათის საეპისკოპოსო ტახტი უპყრია მალაქია გიორგი II გურიელის ძეს. ამასთანავე, ის გახლდათ „ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოზი ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი მთავარეპისკოპოზი" (36,482). ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე საკამათოა მალაქია გურიელის კათალიკოსად აღსაყდრების თარიღი.

თ. ჟორდანიას თავის „ქრონიკებში" მოაქვს ცნობა გელათის წმ. გიორგის გულანის მინაწერიდან: „ქკს სჟგ (1605) აბხაზეთის კათალიკოზი ეფთ̃მ მიიცვალა და ცაიშელ-ჯუმათელი გრიგოლის შვილი მალაქია კათალიკოზად დასვეს" (44,435). იგივე მინაწერი სხვაგვარად გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ „საცაიშლო გამოსავლის დავთარში", სადაც მალაქიას გაკათალიკოსების თარიღად 1616 წელს ასახელებს (19,1). კაკაბაძისეულ წაკითხვას ეთანხმება ბ. ლომინაძე და უმატებს, რომ გელათის წმ. გიორგის გულანის ცნობა თ. ჟორდანიას შეცდომით აქვს გამოქვეყნებული (80,131). ერკეთის გულანის მინაწერის თანახმად, მალაქია 1616 წელს გახდა კათალიკოსი. ერკეთის გულანზე დაყრდნობით იგივე ცნობას იმეორებს შემოქმედის გულანის მინაწერიც: „ქ̃კს ტდ (1616) აქა აბხაზეთის ... მიიცვალა და კ̃ზად გურიელის შვილი დაჯდა" (1,136).

გურიელის შვილი, კათალიკოსი, ცხადია, მალაქიაა. მალაქიას გაკათალიკოსების შესახებ ცნობა დაცულია ცაიშის ჯვარცმის ხატის წარწერაში, სადაც აღნიშნულია: „წელსა ერთსა სრულიად ქვეყანა იძვროდა... და შეიმუსრნენ ეკლესიანი და დაირღვივნეს დაბანი, ხოლო საყდარიცა ესე ცაიშისა დაეცა". ამ მიწისძვრის შემდეგ „მეორესა წელსა ჯვარ-ჩინებითა ღმრთისათა და მოწმობითა ყოვლისა საქართველოსა ერისათა მჯდომარე კათალიკოს აფხაზეთისა ... მეორედ კელვყავ აღშენებად ტაძრისა ამის და მკობად ხატთა... ქორონიკონსა ტზ (1619)" (199,33). ამ თარიღმა მ. ბროსეს აფიქრებინა, რომ მიწისძვრა მოხდა 1618 წელს, ხოლო მისი კათალიკოსად არჩევა 1619 წელს (199,35). მაგრამ თ. ჟორდანია ამასთან დაკავშირებით შენიშნავს, ცხადია „1619 წელი არის დრო ცაიშის შენობის სრულიად დამთავრებისა და არა მაჩვენებელი მიწისძვრის და მალაქიას კ˜ზად დაჯდომის დროჲსა" (43,306). ზემოხსენებული მეცნიერი აღნიშნავს, რომ მის ხელთ არსებულ სარწმუნო ქრონიკებზე დაყრდნობით მიწისძვრა მომხდარა 1604 წელს, ხოლო მალაქია უცილობლად 1605 წელს გამხდარა კათალიკოსი. ასევე, მას ჰქონია ის სიგელ-გუჯრები, რომლებშიც მალაქია კათალიკოსად იხსენიება 1606 და 1613 წლებში (43,306), რაც სავსებით გამორიცხავს გელათის, ერკეთის და შემოქმედის გულანთა მინაწერებს. თ. ჟორდანიას ამ ცნობას უნდობლად ეკიდებოდა ნ. ბერძენიშვილი და აღნიშნავდა: „ეს გუჯრები ჩვენ არა ვიცით სად არის, რომ მათი შემოწმება შეიძლებოდეს და ამიტომ იძულებული ვართ ჯერჯერობით, სწორად წაკითხულ ქრონიკულ ცნობას ვენდოთ" (136,122). იგი იზიარებდა გელათური წმ. გიორგის გულანის მინაწერის ცნობას, რომლის თანახმადაც მალაქია 1616 წელს გახდა კათალიკოსი. ამავე თარიღს იზიარებდა ბ. ლომინაძეც (80,131), პ. კარბელაშვილსაც აფხაზთა კათალიკოსების ნუსხაში მალაქია II გურიელის ზეობა 1616-1639 წლებით აქვს განსაზღვრული (59,26r). მათგან განსხვავებით ექ. თაყაიშვილი 1615-1641 წლებს გვთავაზობს ყოველგვარი განმარტების გარეშე (13,32). თ. ჟორდანიასეული თარიღის გაზიარებაში ხელს გვიშლის ის ფაქტიც, რომ მალაქიას წინამორბედი ევთვიმე საყვარელიძე 1611 წელს ცოცხალია და, როგორც კათალიკოსი ამტკიცებს მანუჩარ დადიანის მემკვიდრეებისთვის ბოძებულ სიგელს (36,394). მაშასადამე, გამორიცხულია, რომ 1611 წლამდე მალაქია კათალიკოსად მჯდარიყო.

ვახუშტი ბატონიშვილი და ბერი ეგნატაშვილი მალაქია კათალიკოსის შესახებ ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდიან. როდესაც შაჰ-აბას I

კახეთსა და ქართლში შემოიჭრა, ამ ქვეყნის მეფეებმა თეიმურაზ I და ლუარსაბ II-მ იმერეთის სამეფოს შეაფარეს თავი. შაჰ-აბასმა დასავლეთ საქართველოში გადასვლა ვერ გაბედა, რათა თურქეთთან დადებული საზავო ხელშეკრულება არ დაერღვია, მაგრამ იმერთა მეფე გიორგი III-მ „რისხვიანი" წერილი გაუგზავნა და მოსთხოვა ლტოლვილების გადაცემა. მეფემ დიდებულთა თათბირი მოიწვია, რომელსაც სამეგრელოსა და გურიის მთავრებიც ესწრებოდნენ. მათ ერთხმად გადაწყვიტეს, რომ თეიმურაზი და ლუარსაბი არ გაეცათ. შაჰ-აბასს კი ელჩებად მიუვლინეს აფხაზთა კათალიკოსი მალაქია და ლევან აბაშიძე (8,425;7,393). მალაქია უკვე კათალიკოსია შაჰ-აბასის პირველი შემოსევის დროს. საინტერესოა, როდის მოხდა აღნიშნული ლაშქრობა. ამაზე განსხვავებული აზრია გამოთქმული ქართულ ისტორიოგრაფიაში. გ. ჯამბურია, (185,89) დ. გვრიტიშვილი (141,290), მ. რეხვიაშვილი (166,74) შაჰ-აბასის პირველ ლაშქრობას 1614 წლით ათარიღებენ. ამ საკითხს საგანგებო კვლევა მიუძღვნა მ. სვანიძემ და დაასკვნა: „წყაროების ანალიზმა და ამ პერიოდში მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების გათვალისწინებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ უფრო სწორი უნდა იყოს იმ წყაროების ცნობები, რომელთა მიხედვითაც, შაჰ-აბასის პირველი ლაშქრობა საქართველოში დაიწყო 1613 წლის შემოდგომაზე" (168,257). ჩვენთვის გადამწყვეტია არა შაჰ აბასის პირველი ლაშქრობის თარიღის დადგენა, არამედ იმის აღიარება, რომ მალაქია 1616 წლამდე გამხდარა აფხაზეთის კათალიკოსი.

გასარკვევია მალაქია ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი თუ იყო კათალიკოსობის მიღებამდე. ცაიშის ჯვარცმის ხატის წარწერაში პირდაპირ არის მითითებული, რომ ცაიშელ-ჯუმათელ მალაქიას მიუღია კათალიკოსობა (199,35), რაც შეეხება ხონელობას პ. ზაქარაია ასკვნის, რომ მალაქიას ხონელობა უფრო მოგვიანებით უნდა მიეღო, ვიდრე ცაიშელ-ჯუმათლობა, რადგან ცაიშის ჯვარცმის ხატის წარწერაში, თავის, კიდევ ერთ სამწყსოს მოუხსენებელს არ დატოვებდა (144,11). მისი ვარაუდით, მალაქიას ხონის საეპისკოპოსო 1619-1622 წლებს შორის მიუღია.

რაც შეეხება მალაქიას ცაიშლობას, უკანასკნელ ხანს წარმოებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 1612 წლისთვის მალაქია უკვე ფლობდა აღნიშნულ კათედრას (90,43). ჩვენ არ ვიცით ერთდროულად მიიღო თუ არა ცაიშისა და ჯუმათის ეპისკოპოსობა მან, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დროისთვის იგი უკვე იქნებოდა ჯუმათელი მღვდელმთავარი. ერთადერთი, რაც დაბეჯითებით შეგვიძლია ვამტკიცოთ არის

ის, რომ მალაქიას მოღვაწეობა ჯუმათის კათედრაზე XVII საუკუნის დასაწყისს უნდა დავუკავშიროთ.

მალაქია კათალიკოსი 1639 წელს აღესრულა, 62 წლის ასაკში შემოქმედის გულანის მინაწერი გვამცნობს, რომ „ქკ̃სა ტჱზ 327-1639 აქა ჯუმათელი კათალიკოსი მიიცვალა... ქკ̃სა ტჱმ 1640 აქ ჯუმათელი ნიკოლოზ მანველიშვილი დაჯდა" (44,454), მაშასადამე, ჯუმათის კათედრა მხოლოდ მაშინ განთავისუფლდა, როდესაც ჯუმათელი კათალიკოსი მიიცვალა.

1640 წელს, როგორც ზემოთ მოყვანილი შემოქმედის გულანის მინაწერი გვამცნობს კათალიკოსი მალაქია ჯუმათის საეპისკოპოსო ტახტზე შეცვალა ნიკოლოზ მანველიშვილმა (25,74). ჩვენთვის არ არის ცნობილი, თუ როდის გარდაიცვალა ნიკოლოზი. მისი მოღვაწეობა XVII საუკუნის 40-იან წლებს უნდა დავუკავშიროთ.

ნიკოლოზ მანველიშვილის შემდეგ ჯუმათის კათედრა დაიკავა მალაქია ქაიხოსრო I-ის ძე გურიელმა. იგი შემოქმედელი მიტროპოლიტი გახლდათ და ამ ტიტულით იხსენიება კიდეც 1658 წლის ჯუმათისა (44-471) და შემოქმედის წარწერებში (1,110). სავარაუდოა, რომ იგი მცირე ხნით მართავდა ორივე კათედრას. ქაიხოსრო I-ის ერთ სიგელში იგი დასახელებულია „ჯუმათელ-შემოქმედელად" (1,111), მაგრამ 1660 წლის ერთ-ერთ სიგელში ჯუმათელ ეპისკოპოსად იხსენიება ვინმე სესიაშვილი (38,739).

როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, იგი ქაიხოსრო გურიელის წინაალმდეგ ვამეყ დადიანს ემხრობოდა და იმ ლაშქრობაშიც მონაწილეობდა, რომელიც გურიელის წინაალმდეგ მოეწყო. ქაიხოსრომ მოახერხა მათი დამარცხება. ურჩი მეამბოხენი დასაჯა და რასაკვირველია, სესიაშვილსაც მოუწევდა ჯუმათის კათედრის დატოვება.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ ქრონოლოგიურ რიგში მომდევნო ეპისკოპოსი ჯუმათელ-ბოვნელი გახლავთ. საინტერესოა, რა ისტორიული ვითარების შედეგად მიიღო მან ორივე კათედრის მღვდელმთავრობა, და როდის მოღვაწეობდა? 1676 წელს ვახტანგ V შაჰნავაზის ძე ლევანმა იქორწინა თუთა ქაიხოსრო გურიელის ასულზე. თუთა გურიელის ამალაში ირიცხებოდნენ ძმები ონოფრე და მაქსიმე მაჭუტაძეები (152, 130 შენ.1). ორივე სასულიერო პირი იყო. ონოფრე მაჭუტაძე 1690 წელს ერეკლე I-ის მიერ მოწვეულმა საეკლესიო კრებამ დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვრად დაადგინა (27,10), ხოლო მაქსიმე ბოლნისის ეპისკოპოსი გახდა. იგი, როგორც ბოლნელი ეპისკოპოსი იხსენიება 1696 წლის დოკუმენტებში (44,516). ასევე 1699 წელს გაცემულ სი-

გელში (6,108) მაქსიმე მაჭუტაძე ბოლნელი უნდა ყოფილიყო 1688-1701 წლებში, რადგან 1688 წლამდე ბაგრატ მუხრანბატონის ძე ნიკოლოზია ბოლნელი, ხოლო 1701 წლიდან ბოლნელობა თბილელმა დომენტი ორბელიანმა შეითავსა. რაც შეეხება მაქსიმე მაჭუტაძის ჯუმათელ ეპისკოპოსობას, იგი ამ ეპარქიის მწყემსმთავარი უნდა ყოფილიყო ქართლში გადმოსვლამდე, ე. ი. 1676 წლამდე. მართალია, შემდგომში მან შეინარჩუნა ეს წოდება, მაგრამ მისი ჯუმათლობა ფიქტიური იყო. ჯუმათის საეპისკოპოსოს კი რეალური მღვდელმთავარი ესაჭიროებოდა. ამ მღვდელმთავრად დაინიშნა კიდეც მაქსიმე I შარვაშიძე, ანუ როგორც მას უწოდებდნენ „დიდი ჯუმათელი" (14,522). პირველად იგი გვხვდება 1677 წელს. მას კაპუცინელი მისიონერები იხსენიებენ რომში გაგზავნილ წერილში (147,166). იგი ასევე მოიხსენიება გიორგი I გურიელისა და მისი დედის ხვარამზეს სიგელში (1,244). მასთან დაკავშირებით დ. ბაქრაძე შენიშნავს, რომ „ჯუმათელი მაქსიმე მგონი ის შერვაშიძე უნდა იყოს, რომელიც შემოქმედის გულანის კვინკლოსის ნაწერით 1685 წელს გარდაიცვალა" (1,244). სავარაუდოა, რომ მაქსიმე I ჯუმათელის მღვდელმთავრად ალსაყდრება 1676-77 წლებში ხდება და საეპისკოპოსო ტახტი უჭირავს 1685 წლამდე.

შემოქმედის გულანის მინაწერი მაქსიმე შარვაშიძის შემცვლელად იოანე ბერიძეს მიიჩნევს. „1685 აქა ჯუმათელი შარაშიძე მიიცვალა. 1687 აქა ჯუმათელი ი῀ნე ბერიძე დაჯდა „ჯუმათლად" (25,75). სამწუხაროდ, სხვა ცნობები იოანე ბერიძის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება; არც ის ვიცით, როდის დატოვა მან საეპისკოპოსო კათედრა.

XVIII საუკუნის დასაწყისში ჯუმათელი ეპისკოპოსი გახლავთ გაბრიელ ჩიქვანი, რომელიც ამავე დროს ჭყონდიდელ-გაენათელიც ყოფილა. იგი მოიხსენიება გიორგი IV გურიელისა და მისი დედის ელენეს მიერ გაბრიელ თაყაიშვილისადმი ბოძებულ სიგელში (1,247) ის ჭყონდიდელი გახდა 1701 წელს, მაგრამ 1714 წელს მისმა ძმამ ბეჟანმა გადააყენა ჭყონდიდელობიდან (10,88). სავარაუდოა, რომ ალბათ მან ჭყონდიდლობასთან ერთად ჯუმათლობაც დაჰკარგა.

მომდევნო ჯუმათელი გახლავთ მაქსიმე II შარვაშიძეების საგვარეულოდან. მის შესახებ ცნობებს ვხვდებით გიორგი შარვაშიძისა და მისი მეუღლის, რაჭის ერისთავის ასულ ხვარაშანის სიგელში ერკეთის მონასტრისადმი (1,260) სიგელში მოხსენიებული პირების მიხედვით მაქსიმე II-ის მოღვაწეობა შეგვიძლია დავუკავშიროთ XVIII საუკუნის 40-50-იან წლებს.

მაქსიმე ჯუმათელის შემდეგ, საეპისკოპოსო კათედრა გენათელმა ექვთიმემ დაიკავა, რომელიც გახლავთ მისი ძმისწული, მაშასადამე შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი. მაქსიმეს უშუალო მონაცვლე რომ გენათელი ექვთიმე იყო, ამას გვიდასტურებს გიორგი გურიელის სიგელი. ნაბოძები უდაბნოს წინამძღვარ იოსებისადმი, რომელსაც სამწყსოდ აძლევს ჯუმათს და ეუბნება: „ჯერ კიდევ ჩემმა ძმამ გიბოძა ეს მოწყალება, ჩვენც ჩვენდა თავად გაგიახლეთ ჯუმათელ მაქსიმეს და შემდგომ გენათელ ექვთიმეს დამტკიცებული სიგელი" (1,259). ექვთიმემ როდის მიიღო გენათლობა არ ვიცით. იგი 1736 წელს უკვე გვხვდება ჯუმათელ ეპისკოპოსად (6,467). როგორც ჩანს, მას შემდგომ შეუთავსებია გენათლობაც და ერთ დროს გენათელ-ჯუმათელიც ყოფილა. 1767 წელს იგი ჯუმათელ ეპისკოპოსად იხსენიება (1,252). ამ დროს კი გენათელი გახლავთ იმერთა მეფის სოლომონ I-ის ძმა იოსები, რომელიც შემდგომ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსად აკურთხეს. ექვთიმე შარვაშიძის ჯუმათის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობა XVII საუკუნის 30-იან, ხოლო შემდეგ 60-70-იან წლებს უნდა დავუკავშიროთ.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ „საეპისკოპოსოების დაქვრივების" ხანაა, რომელიც 1777 წელს სრულდება და ჯუმათელ ეპისკოპოსად აკურთხებენ სიმონ აბაშიძეს (18,60). იგი კათედრას განაგებდა 1777-1778 წლებში. ამასთანავე, სიმონი გახლდათ ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი. მას განუახლებია მონასტერი, სადაც დაუკრძალავთ კიდეც 1779 წელს გარდაცვალების შემდეგ (139,228).

1780 წლის 1 აგვისტოს ჯუმათის ეპისკოპოსად დაადგინეს ხინოწმინდელყოფილი იოანე (38,722).

1788 წლიდან ჯუმათის ეპისკოპოსია შემოქმედელი იოსებ თაყაიშვილი. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული იგი გარდაიცვალა 1794 წელს (1,263).

მისი მომდევნო ჯუმათელი გახლავთ მაქსიმე IV. იგი ნიჟარაძეების საგვარეულოს წარმომადგენელი იყო და ჯუმათის კათედრას სათავეში ედგა 1811 წელს 13 სექტემბრამდე (30,264). 1717-1721 წწ. გადაწერილი ქილილა და დამანას მინაწერი გვამცნობს, რომ მიტროპოლიტი მაქსიმე ნიჟარაძე გარდაცვლილა 1810 წლის 11 სექტემბერს (40,46). მომდევნო ჯუმათელი ნიკოლოზ I შარვაშიძეა. იგი გახლდათ ერისთავ ქაიხოსრო შარვაშიძის ვაჟი, ინოდებოდა ჯუმათელ-შემოქმედელ მიტროპოლიტად, თუმცა მისი რეზიდენცია მხოლოდ ჯუმათში იყო. ფაქ-

ტიურად, ამ დროს გურიის სამთავროში ჯუმათის გარდა სხვა საეპისკოპოსო აღარ არსებობდა და ეს კათედრაც მისი უკანასკნელი ეპისკოპოსის ნიკოლოზ II შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ 1827 წელს გაუქმდა.

ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში ჯუმათელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1. სიმონ I ჩხეტიძე XVI საუკუნის 30-60-იანი წლები.

2. მალაქია I გურიელი ძე გიორგი II-ისა – XVII საუკუნის დასაწყისი – 1639 წ. (აფხაზეთის კათალიკოსი)

3. ნიკოლოზ I მანველიშვილი – XVII საუკუნის 40-იანი წწ.

4. მალაქია II გურიელი, ძე ქაიხოსრო I-ისა – XVII საუკუნის 50-იანი წწ.

5. სესიაშვილი – დაახლ. 1658-1660 წწ.

6. მაქსიმე I მაჭუტაძე – XVII საუკუნის 60-იანი წწ. – 1676, შემდეგ ჯუმათელ-ბოვნელი.

7. მაქსიმე II შარვაშიძე, 1677-1685 წწ.

8. იოანე ბერიძე ο 1687 წ.

9. გაბრიელ ჩიქოვანი – XVIII საუკუნის დასაწყისი, ჭყონდიდელ-გენათელ-ჯუმათელი.

10. ექვთიმე შარვაშიძე ο 1736 წ. ο 1767 წ.

11. მაქსიმე III შარვაშიძე – XVIII საუკუნის 40-50-იანი წწ.

12. სიმონ II აბაშიძე – 1777-1778 წწ.

13. იოანე ხინოწმინდელყოფილი – 1780-დაახლ. 1788 წ.

14. იოსებ თაყაიშვილი – 1788-1794 წლები, შემოქმედელ-ჯუმათელი მიტროპოლიტი.

15. მაქსიმე IV ნიჟარაძე – 1794-1810 წლის 11 სექტემბერი ან 1811 წლის 13 სექტემბერი.

16. ნიკოლოზ II შარვაშიძე – 1811-1827 წწ.

*გ) ხინოწმინდელი ეპისკოპოსები.* ჩვენთვის XV-XVI საუკუნეებში მოღვაწე ხინოწმინდელ ეპისკოპოსთაგან სახელით არავინაა ცნობილი. პირველი მღვდელმთავარი, რომლის სახელიც შემოგვინახა მატიანემ

არის მაქსიმე. იგი მოღვაწეობდა გიორგი III გურიელის (1664-1683) დროს. მისი სახელი გვხვდება იმ სიგელში, რომელიც გიორგი III-მ და მისმა დედამ ხვარამზემ ბოქაულთუხუცეს მირზაბეგ თავდგირიძეს უბოძეს (1,244). სხვა ცნობა მის შესახებ არ მოგვეპოვება. ასე რომ, მაქსიმე I ხინოწმინდელის ზეობა XVII საუკუნის მეორე ნახევარს უნდა დავუკავშიროთ.

ასეთივე მწირი ინფორმაცია გვაქვს ექვთიმე ართუმელაძის შესახებ. როგორც ჩანს, მას დაუწერია რამდენიმე სიგელი. კერძოდ, მამია III (1689-1711) გურიელის მეუღლის, ელენე (აბაშიძის ასული) დედოფლისა და გიორგი IV გურიელის (1711-1726) სიგელები. იგი მოიხსენიება როგორც ხინოწმინდელი არქიეპისკოპოსი (1,246-247).

მომდევნო ხინოწმინდელი გახლავთ მაქსიმე II. იგი იხსენიება 1759 წელს იმერეთის მეფე სოლომონ I-ის მიერ მოწვეული საეკლესიო კრების დადგენილებაში.

მაქსიმე ხინოწმინდელის შემდეგ საეპისკოპოსო ტახტი იოანე წუწუნავამ დაიკავა. მისი აღსაყდრება ზემოაღნიშნულ კათედრაზე XVIII საუკუნის 60-იან წლებში უნდა მომხდარიყო. იოანე ხინოწმინდელს მეტად რთული პერიოდი შეესწრო. 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ოსმალებმა მიიტაცეს ქვემო გურია, სადაც ხინოწმინდის ეპარქია მდებარეობდა. ხინოწმინდელი ეპისკოპოსი იძულებული იყო დაეტოვებინა სამწყსო და გურიის შიდა პროვინციებში გადასულიყო. ემიგრირებულ იოანეს თან გაჰყვა მრევლის ნაწილიც. მამუკა თავდგირიძე 1777 წელს გაცემულ პირობის წიგნში აღნიშნავს, რომ „სახინოწმინდლო თათართაგან დამძლავრებული იყო და ჩვენცა ფ˜დ შეიწრებული ვიყავით და მრავალი კიდეც გაათათრეს. ამისთვის არ შეიძლებოდა, რომ სახინოწმინდლოს თავისი ეკლესია და მამული დაეპყრა და არც მე ძალმედვა და ესე წიგნი მივართვი თქვენს უწმინდესობას (იგულისხმება მაქსიმე კათალიკოსი თ. ქ.) ესრეთ და ესე ვითარად, რომ ან თუ ღ˜მან წყალობა ჰყოს და უსჯულოს თათრის მონებისაგან ჩვენი ქვეყანა გამოიხსნას და შევიძლოთ დაპყრობა ქვეყნისა ჩვენისა, მწრაფლ მოვიხსენოთ ბრძანებელი თქვენ უფლისა ჩემისა და რომელიც ხინოწმინდელის მამული ან სამწყსო იყოს, სრულებით ყოველივე უცილოდ დავანებო და არარაი მოვიკლო, რომელიც ძველებურად ჰქონებოდეს ხინოწმინდელს და მისს ეკლესიას" (18,62), მაგრამ ქვემო გურიის დაბრუნება აღარ მოხერხდა და ხინოწმინდის საეპისკოპოსოც გაუქმებული დარჩა.

1780 წლის 1 აგვისტოს იოანე ხინოწმინდელი ჯუმათის ეპისკოპოსად დაადგინეს (38,722). 1782 წელს სოლომონ I-მა მას გამოჩინებულის წინამძღვრობა უბოძა (38,724). იოანე ხინოწმინდელი კათედრადატოვებული მღვდელმთავრის მდგომარეობაში აღმოჩნდა. 780 წელს კონსტანტინოპოლში მოწვეული VI მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიღებული დადგენილებით კი კათედრადატოვებული მღვდელმთავარი, სადაც არ უნდა ნასულიყო ინარჩუნებდა თავის წოდებას და თავისი ეპარქიის სახელით მოქმედებდა (156,239). მოცემულ შემთხვევაშიც, იოანე ყველა წყაროში იხსენიება, როგორც ხინოწმინდელი, ან ხინოწმინდელყოფილი. ამ წოდებას სიკვდილამდე არ კარგავს. 1828 წელს, შემოქმედის არქიმანდრიტ არსენის მიერ რუსეთის წმინდა სინოდისადმი წარდგენილ მოხსენებაში იგი აღნიშნავს: „უკანასკნელი მღვდელმთავარი იოანე არხიეპისკოპოსი ხინოწმინდელი, გვარად აზნაურთა წუწუნავათაგანი, მჯდარა თეთრისნის ნათლისმცემლის მონასტერზე, სადაც ახლა ცხოვრობენ თათარნი და რადგანაც გაძლიერებულა თათართ უფლება, ამისთვის ვერ შესძლებია წინააღმდეგობა მისი, დაუტოვებია ეპარხია და გასულა იმერეთს, სადაც მისცემია მას ხონის მონასტერი განსაგებლად და შემდგომად თხოვისაებრ მისისა გარდაყვანილ ყოფილა სამინგრელოში იქაურის მთავრისაგან ცაგერის მონასტერზე, სადაც აღსრულებულაცა" (54,17v). 1795 წლით დათარიღებულ დოკუმენტში იოანეს ვხედავთ ხონის ეპარქიაში (37,669). იოანე ხინოწმინდელი ცხოვრების უკანასკნელ წლებში ცაგერში მსახურობდა.

1798 წელს ცაგერელ მიტროპოლიტ იოანეს (კაცია დადიანის ძეს) საკათედრო ტაძრისათვის შეუწირავს იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის ჟამისწირვის ხელნაწერი. მას ბოლოში დართული ჰქონდა წირვაზე მოსახსენებელ პირთა სია, სადაც გარდაცვლილ სამღვდელოთა შორის იოანე ხინოწმინდელიც იხსენიება (9,60). შესაძლებელია, ხელნაწერს მოსახსენებელი მოგვიანებით დაურთეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, უნდა ვივარაუდოთ, რომ 1798 წლისათვის იოანე ხინოწმინდელი უკვე გარდაცვლილი იყო. ექ. თაყაიშვილის ნაშრომი, სადაც მოცემულია აღნიშნული ხელნაწერის აღწერილობა, 1991 წელს ხელმეორედ გამოქვეყნდა გ. შარაძის საერთო რედაქციით, სადაც 1798 წლის ნაცვლად 1788 წელი არის მოცემული (10,68), მაგრამ ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ექ. თაყაიშვილის ნაშრომის თავდაპირველ გამოცემას არ ვენდოთ.

XIX საუკუნის დასაწყისში, ხინოს კათედრაზე ჩვენ კვლავ გვხვდება ეპისკოპოსი. ეს გახლავთ ზურაბ წერეთლის ვაჟი დავითი. მის შესახებ დ. ბაქრაძე შენიშნავდა, რომ, მართალია ხინოწმინდელად ინოდებოდა, თუმცა, ალბათ ერთხელაც არ ენახა ხინო (1,84).

დავით წერეთელი 1805 წელს, 29 წლის ასაკში აკურთხეს მიტროპოლიტად. მისი კურთხევის შესახებ ჟურნალ „მნყემსში" გამოქვეყნებული წერილი შემდეგ გარემოებას ასახელებს: „მეფე სოლომონმა განიზრახა მისი მიტროპოლიტად კურთხევა. ამ დროს არსად იყო თავისუფალი ეპარქია და ამიტომ დავითი ხელდასხმული უნდა ყოფილიყო მღვდელმთავრად ეპარქიის დაუნიშნავად. მაგრამ მეფის ესრეთი განზრახვა გამოიწვევდა საყვედურებს მღვდელმთავრებს შორის, რომელნიც იფიქრებდნენ, რომ მათში ერთს რომელიმეს უსათუოდ უნდა დაეცალა ადგილი მეფის საყვარელი კაცის შვილისათვის და ესეთი ფიქრი გამოიწვევდა უთანხმოებას და მტრობას ახალგაზრდა მიტროპოლიტ დავითს და სხვა მღვდელმთავრებს შორის... მეფემ გამონახა თავისუფალი ეპარქია სათათრეთის გურიაში, სახელდობრ ქობულეთში, სადაც ერთ დროს ჰყაოდა შესანიშნავი მონასტერი ხინოწმინდა თავისი მშვენიერი ტაძრით" (93,3). მართალია, ამ დროს ხინო თურქებს ჰქონდათ დაკავებული და დავითის ხინოწმინდელობა მხოლოდ ფიქტიურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ სოლომონ I-მ ხაზი გაუსვა, რომ ხინო ქართული, ქრისტიანული რეგიონია და ნამოჭრა საკითხი, რომ ოდესმე ეს ტერიტორიები კვლავ საქართველოს უნდა დაბრუნებოდა.

ხინოს ტერიტორია მხოლოდ საუკუნის შემდეგ, 1878 წელს დაუბრუნდა სამშობლოს. აქ ადგილობრივი კათედრა არ აღუდგენიათ და იგი გურიის ეპარქიას შეუერთეს.

ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში ხინოწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი წარმოგვიდგება შემდეგნაირად:

1. მაქსიმე I – XVII საუკუნის მეორე ნახევარი
2. ექვთიმე ართუმელაძე, არქიეპისკოპოსი – XVIII საუკუნის დასაწყისი
3. მაქსიმე II, მიტროპოლიტი – XVIII საუკუნის 50-იანი წლები
4. იოანე წუწუნავა – XVIII საუკუნის 60-70-იანი წლები
5. დავით წერეთელი – XIX საუკუნის დასაწყისი.

## თავი II

### § 1. წიგნთსაცავები და ხელნაწერები

გვიანშუასაუკუნეების ქართული კულტურა მნიშვნელოვნად ჩამორჩება წინა პერიოდისას, რაც ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით იყო განპირობებული. ეკონომიკური კრიზისი, საგარეო მტრის თავდასხმის მუდმივი შიში, შინაფეოდალური ანარქია ხალხში ახშობდა შემოქმედებით პოტენციალს. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ საგანმანათლებლო-მწიგნობრულ კერებში ორიგინალური თხზულებები მეტად მცირე რაოდენობით იქმნებოდა და ძირითადად, ეროვნულ-ინტელექტუალური პოტენციალი საგადამწერლო სფეროში ინაცვლებდა.

ეკლესია-მონასტრებში აქტიურად მოღვაწეობდნენ კალიგრაფები. აქ ინტენსიურად მიმდინარეობდა ხელნაწერთა გადაწერა-გამრავლებისა თუ ახლის შექმნის პროცესი. იქმნებოდა ასევე პრაქტიკული დანიშნულების სასულიერო ლიტერატურა, რომელიც აუცილებელი იყო ღვთისმსახურების დროს. ამ მხრივ აღსანიშნავია ორიგინალური ქართული კომპოზიცია – გულანი, რომელიც ლიტურგიკულმა პრაქტიკამ შეიმუშავა და როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავდა, რომ სხვა ეკლესიას მისი მსგავსი არ გააჩნია (154,556). გულანში თავმოყრილია საღვთისმსახურო წიგნები. ყველა გულანი ერთნაირი შემადგენლობის არ არის. არსებობს შემოკლებული რედაქციაც, რომელსაც „ჟამნგულანი" ეწოდება და შეიცავს „ჟამნსა" და მოკლე სვინაქსარულ ცნობებს. გულანი დიდი ზომის გახლავთ, ამიტომ მისი გადაწერა საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. ყველა ეკლესია-მონასტერს არ ჰქონდა საშუალება გულანი შეეძინა, იგი მხოლოდ მდიდარი ეკლესიების კუთვნილება გახლდათ. გურიიდან შემოგვრჩა ციხის, ერკეთისა და შემოქმედის გულანები. ასევე გიორგი II გურიელისა და გიორგი III და მამია III გურიელების დაკვეთით შესრულებული გულანები. გურიაში არსებულა ჯუმათის გულანიც, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

ერკეთის გულანი (Q-47) აფხაზთა კათალიკოსის ექვთიმე საყვარელიძის (1578-1616) ბრძანებით გადაუწერიათ. კათალიკოს ექვთიმეს აღნიშნული გულანი ცაიშის საყდრისათვის შეუწირავს. ამ დროს ცაიშის ეპისკოპოსი მაქსიმე (1605-1612) ყოფილა. ექვთიმესა და მაქსი-

მეს ზეობის წლებით შეგვიძლია განვსაზღვროთ ერვეთის გულანის გადანერის თარიღი და იგი XVII საუკუნის დასაწყისს მივაკუთვნოთ. გულანი ხინოს საეპისკოპოსოში გადაუწერიათ, კონკრეტულად ჩაქვის მხარეში. გადამწერთა შესახებ ცნობებს გვაძლევს მინაწერები, სადაც აღნიშნულია: „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი იოანე ჩხარტიშვილი, ამისი მწერალი. ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ამის მწერალი ნათანაელ კარგარეთელი. ამის მწერალს ცოდვილს გაბრიელს შეუნდვნეს ღმერთმან. ღმერთო, შეიწყალე სულით და ჴორცით ფრიად ცოდვილი ამის მწერალი იოანე სვმონიძე, ამინ. ამისს შემკრავს ცოდვილს მღვდელმონაზონს მეიერუსალიმეს გრიგოლს შენდობა ჰყოფდეთ და ჩემთა დედამამათათვის. ზამთარში გავაკეთე და ბევრი ჭირი და სიცივე ვნახე ჩაქუს" (1,186). ამ მინაწერის თანახმად ნათელი ხდება, რომ კრებულის დამზადებაში კალიგრაფების მთელი ჯგუფი მონაწილეობდა. ამასთანავე, მათ საქმე განაწილებული ჰქონიათ და გადამწერების გარდა, კრებულის დამზადებაში გულანის შემკრავი მღვდელმონაზონი გრიგოლიც მონაწილეობდა.

XVI საუკუნეს ეკუთვნის გულანი (A1526), რომელმაც ძლიერ დაზიანებული სახით მოაღწია ჩვენამდე. ანდერძიდან ირკვევა, რომ გიორგი გურიელის დაკვეთით იგი გადამწერ გიორგის შეუსრულებია (33,63). მისი დამკვეთი უნდა იყოს გიორგი II გურიელი (1566-1583, 1587-1600). გულანი სხვადასხვა დროს განუახლებიათ. ქაიხოსრო გურიელი აღნიშნავს, რომ მან მეხუთედ გააკეთებინა იგი (33,63).

გულანის დამკვეთი ხშირად რომელიმე დიდგვაროვანი პირი იყო. ციხის გულანი (Q 104ა, Q 104ბ) ნაკაშიძეთა დაკვეთითაა შესრულებული. ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში აღნიშნულია, რომ გულანის წერა დაუწყიათ ბეჟან ნაკაშიძის დაკვეთით, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ გიორგი ნაკაშიძის ინიციატივით გაუგრძელებიათ. თუმცა გიორგი IV გურიელთან კონფლიქტის შემდეგ გიორგი ლეჩხუმსა და სვანეთში გადახვეწილა და მხოლოდ მთავართან შერიგების შემდეგ, სათავადოში მობრუნებულს დაუსრულებია გულანის წერა (34,123). ბეჟან ნაკაშიძე მამია III-ის (1689-1711) დროს მოღვაწეობდა, ხოლო მისი ძე გიორგი – გიორგი IV-ისა და მამია IV-ის დროს (1726 წლიდან დროგამოშვებით, 1776 წლამდე) (171,172). მაშასადამე, გულანი XVIII საუკუნის I ნახევარში არის შექმნილი. იგი ილუსტრირებულია. ამის შესახებ შ. ამირანაშვილი შენიშნავს: „მინიატურებს და განსაკუთრებით დეკორს დასავლეთ ევროპის ხელოვნების ძლიერი გავლენის ნიშნები ეტყობა.

ეს ხელნაწერი სრულად არ არის შესწავლილი. როგორც ჩანს ამ ხელნაწერის ილუსტრაციებმა ორიგინალის როლი შეასრულეს 1749 წელს შემოქმედში გადაწერილი გულანისათვის" (125,408).

გულანი ბეჟან ნაკაშიძის ბრძანებით გადაუწერია მღვდელ საბას. ერთ-ერთ მინაწერში საყურადღებო ცნობაა დაცული. მღვდელი საბა აღნიშნავს, რომ „ამის წერაშიდ ჯუმათის გულანი გავაკეთე მე და ჩემმა თაბუნმა, კიდევ ღმრთაების გულანი ჩავიგდე ჴელთ, მარტო გავაკეთე ისიც, თვრამეტს წელინადს განვასრულე" (34,124). საინტერესოა ამ მინაწერში თაბუნის მოხსენიება. თაბუნი XVII-XVIII საუკუნეებში ამქრის მნიშვნელობით იხმარებოდა. ამ შემთხვევაში გაერთიანება, გადამწერთა ჯგუფი იგულისხმება. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ რამდენიმე პირი მუშაობდა ერთი კრებულის შესრულებაზე. როგორც ივ. ჯავახიშვილი ასკვნის – „ასეთ შემთხვევებში ჩვენ ერთი წერითი განსწავლულობის და სკოლის წარმომადგენლებთან გვაქვს საქმე, რომელთაც ამ ხელოვნების ყველა მოთხოვნილება ერთნაირად ესმით და ერთი და იმავე ხელით წერა შეუძლიათ" (182,55). გადამწერთა ჯგუფისათვის ხელნაწერების შესრულება ხშირად ფინანსური შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა, არაა გამორიცხული, რომ საერთოდ ამ მიზნით იქმნებოდა ეს გაერთიანებანი. ჩვენთვის საინტერესო ცნობას ვხვდებით ნიკოლოზ ჯუმათელის შეწირულობის წიგნში, სადაც აღნიშნულია, რომ ნიკოლოზმა ჯუმათის მონასტერს შეწირა ყმა, რომელიც ვახტანგ გურიელისა და მისი ძის დათა გურიელისაგან დაუხსნია. ნიკოლოზი საგანგებოდ აღნიშნავს – „ქრთამი მივართვი ორას ოცი ყურუში ჩემი კონდაკით მოგებული" (56).

ამ მხრივ საინტერესო ცნობებს ვხვდებით მცხეთის კათალიკოს დომენტის მიერ 1713 წელს გაცემულ წყალობის წიგნში გურიელი მახარებლისადმი, სადაც აღნიშნულია: „შენ, მღვდელს მახარებელს, საყდრისათვის რომ წიგნები დაგაწერინეთ იმის ფასში ეს საკანონოდ დადებული მიწა გიბოძეთ" (36-695,696). როგორც ჩანს, ხელნაწერის დამზადებისათვის კალიგრაფი გასამრჯელოს არა მხოლოდ ფულის სახით, არამედ მიწის სახითაც იღებდა. შემოქმედის, ჯუმათისა და ციხის გულანების გადამწერი საბა საგანგებოდ აღნიშნავს „ამ სამი გულანის ნახელავი არ ამიღია" (34,123).

თაბუნები გადამწერთა გაერთიანებას წარმოადგენდნენ. XVII საუკუნეში გურიაში მოღვაწეობდა მღვდელი საბა და მის თაბუნი. მათ შეუსრულებიათ ციხის გულანი, ჯუმათის გულანი (რომელიც დღეს უკვე

ალარ არსებობს) და ღმრთაების გულანი. დ. ბაქრაძეს მიაჩნდა, რომ ღმრთაების გულანში შემოქმედის გულანი იგულისხმება (1,230), მაგრამ მის მოსაზრებაში ეჭვი შეიტანა ივ. ჯავახიშვილმა. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია სრულად მოვიყვანოთ პატივცემული მეცნიერის შენიშვნა: „დ. ბაქრაძე ამბობს, თითქოს ციხის გულანში საბა მღვდელს ნათქვამი ჰქონდეს, რომ მე და ჩემმა თაბუნმა ამ გულანზე 18 წელიწადს ვიმუშავეთო. მაგრამ თვით საბა სულ სხვას მოგვითხრობს და განსვენებულ მკვლევარს აქ შეცდომა მოსვლია. საბას ჯერ ნათქვამი აქვს: „ამის (ე. ი. ციხის გულანის) წერაშიდ ჯუმათის გულანი გავაკეთე მე და ჩემმა თაბუნმა კიდევ ღმრთაების გულანი ჩავიგდე ჴელთ, მარტო გავაკეთე, ისიც თვრამეტს წელიწადს განვასრულე"-ო. აქედან ცხადია, რომ საბა მღვდელს შემოქმედისა და „ღმრთაების გულანი" სხვადასხვა წიგნებად აქვს აღნიშნული და დ. ბაქრაძის აზრით, გულანის ამ ორი სახელის იგივეობის შესახებ თვით ამ ძეგლების გადამწერის მკაფიო ცნობას ეწინააღმდეგება. ამას გარდა, მას გარკვევით აქვს აღნიშნული, რომ შემოქმედის გულანი მან და მისმა „თაბუნმა" გადაწერა, ე. ი. რამდენიმე თანამშრომელი ჰყოლია ამ წიგნის გადაწერის დროს, და ეს გარემოება თვით შემოქმედის გულანის მინაწერ-ანდერძის ცნობითაც მტკიცდება. „ღმრთაების გულანი" კი მე მარტომ გავაკეთე"-ო, უთანამშრომლებოდ უწერია და სწორედ ამ გულანზე ამბობს, რომ 18 წელიწადს დავამთავრეო. ეს გარემოება ისედაც საფიქრებელია, რადგან მრავალი გადამწერის თანამშრომლობას ყოველგვარი აზრი დაეკარგებოდა, ეს წიგნი ამდენ ხანს რომ ეწერათ. თანაშემწენი, ცხადია, საქმისთვის უნდა ყოფილიყვნენ მოწვეულნი" (182-58). ჩვენთვის ბუნდოვანი რჩება ციხის გულანის მინაწერის განხილვისას ივ. ჯავახიშვილის დასკვნა, რომ მღვდელი საბა შემოქმედისა და ღმრთაების გულანს სხვადასხვა წიგნებად ასახელებს. საბა გადამწერი არსად საუბრობს შემოქმედის გულანის შესახებ. იგი ჩამოთვლის მის მიერ გაკეთებულ ხელნაწერებს და მხოლოდ ჯუმათის, ციხისა და ღმრთაების გულანს ასახელებს. ასე რომ, შემოქმედის გულანის მოუხსენიებლობა თავისთავად გამორიცხავს იმ აზრს, რომ მღვდელი საბასთვის სხვა იყო ღმრთაებისა და სხვა შემოქმედის გულანები. ამასთანავე, როდესაც იგი აღნიშნავს, რომ „მე და ჩემმა თაბუნმა გავაკეთეთ ეს კრებულიო" — ამას ჯუმათის გულანის შესახებ ამბობს და არა შემოქმედის გულანზე, როგორც ეს ბ-ნ ივ. ჯავახიშვილს აქვს აღნიშნული, თუმცა პატივცემულ მეცნიერს ნამდვილად ვეთანხმებით, რომ შემოქმედის გულა-

ნის ანდერძის თანახმად მასზე რამდენიმე პირს უმუშავია და თუკი გავაიგივებთ შემოქმედისა და ღმრთაების გულანებს, მაშინ გაუგებარი რჩება საბა გადამწერის სიტყვები – „მარტომ გავაკეთე ისიც, თვრამეტ წელიწადს განვასრულე"-ო.

შემოქმედის გულანი (Q 103) მამია IV გურიელის დაკვეთითაა შესრულებული. მის გადამწერთა შორის იხსენიებიან: მდივანი იოანე, მთავარდიაკვანი იოანე, ათანასე ქავჟარაძე, მღვდელი საბა და იოსებ ტუსკია, რომელიც ჯერ მღვდელმონაზვნადაა დასახელებული, შემდეგ არქიმანდრიტად. ცხადია, კრებულის დამზადებაზე რამდენიმე კალიგრაფს უმუშავია და მათ შორის ჩვენთვის კარგად ცნობილ მღვდელ საბას. ამიტომ გაურკვევლობას უნდა იწვევდეს ამ უკანასკნელის სიტყვები, რომ „მარტომ გავაკეთე". მაგრამ თუკი დავუკვირდებით ამ ანდერძის აქ აღნიშნულია: „ღმრთაების გულანი ჩავიგდე ჴელთ მარტომ გავაკეთე ისიც, თვრამეტს წელიწადს განვასრულე" (34,124), ე. ი. ღმრთაების გულანი არასრული სახით უკვე არსებობდა, რადგან მის ხელში ჩაგდებაზე საუბრობს საბა. მასზე ვიღაცას უკვე ჰქონდა ნამუშევარი. მას, რომ მთლიანად დამოუკიდებლად გადაეწერა ეს გულანი, მაშინ მხოლოდ მის დამკვეთზე და თავის მიერ შესრულებულ სამუშაოზე იტყოდა ორიოდ სიტყვას. აქ კი საკმაოდ ნათლად მიუთითებს, რომ ღმრთაების გულანი ჩაუგდია ხელში და ნიშანდობლივია, რომ მის გასრულებაზე საუბრობს და არა დაწყებაზე, რასაც წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად აღნიშნავდა, სხვა კალიგრაფების მსგავსად. მაშასადამე, ღმრთაების და შემოქმედის გულანი ერთიდაიგივეა. ამასთანავე, ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში ღმრთაების გულანი არსად იხსენიება და, არც დღემდე მოუღწევია.

შემოქმედის გულანი დასურათებულია და როგორც უკვე აღვნიშნეთ შ. ამირანაშვილის დასკვნით, ამ ილუსტრაციებისათვის ორიგინალის როლი ციხის გულანის ილუსტრაციებმა შეასრულეს (125,408). სხვადასხვა წმინდანებთან ერთად გამოსახულია სახარებისეული სცენებიც. ფურცლებზე შემორჩენილია მამია IV გურიელის ხელით მიწერილი შემდეგი სახის მითითებანი: „ამაზედ მეზვერე და ფარისეველი დახატე", „აქ გარდამოხსნა დახატე" (34,120). მაშასადამე, ხელნაწერის შექმნის პროცესში ჯერ ტექსტი იწერებოდა, ხოლო მისი დასურათება მოგვიანებით ხდებოდა.

შემოქმედის გულანი წარმოადგენს მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროსაც. იგი შეიცავს სააპსექო ციკლს ანუ კინკლოსს. კინკლოსის წლებს

შორის დაცულია ისტორიული ამბების ნუსხა. ეს მინაწერები მოიცავს ორსაუკუნოვან პერიოდს და მოგვითხრობს XVI საუკუნის დამდეგიდან ვიდრე XVIII საუკუნის მიწურულამდე. კინკლოსების ისტორიული მინაწერები მნიშვნელოვანია ქრონოლოგიური თვალსაზრისით, რადგან ამ მხრივ საისტორიო მასალა მწირია.

გურიაში გადაიწერა კიდევ ერთი გულანი კალიგრაფ გიორგის მიერ. გულანი XVIII საუკუნეს ეკუთვნის. იგი საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იქმნებოდა. მისი დამზადება დაუწყიათ გიორგი გურიელის დაკვეთით, ხოლო დაუსრულებიათ მამია გურიელის ბრძანებით (31,147), ამიტომ, ბუნებრივია, რომ მინაწერებში მოხსენიებული გურიელები გურიის მთავრები გიორგი III და მამია III უნდა იყვნენ.

განხილული გულანების გარდა გურიიდან შემოგვრჩა გულანის შემოკლებული რედაქციები ჟამნგულანები. ვანისქედის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში დაცული იყო ორი ამგვარი კრებული: "მოკლე ჟამნგულანი" და „ვრცელი ჟამნგულანი". ორივე წიგნი ერთდაიმავე პირს გრიგოლ შუბლაძეს გადაუწერია (1,175).

XVII-XVIII საუკუნეებს ეკუთვნის მღვდელ ნიკოლოზის მიერ გადაწერილი ჟამნგულანი (S1204) (41,98). მართალია, მინაწერების მიხედვით არ ირკვევა ვისი დაკვეთით, ან, რომელი მონასტრისათვის გადაიწერა ჟამნგულანი, მაგრამ მას ახლავს ისტორიული ამბების ნუსხა 1560 წლიდან 1700 წლამდე. მასში საუბარია გურიის სამთავროში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რაც ცხადყოფს, რომ ხელნაწერი გურიაშია დამზადებული.

მონასტერში გადაწერილი თუ შეძენილი ხელნაწერები წიგნთსაცავებში ინახებოდა, რომელიც ყველა დიდ მონასტერთან არსებობდა. მდიდარი წიგნთსაცავი ჰქონია შემოქმედსაც. გარდა იმისა, რომ შემოქმედი ფლობდა ისეთ კრებულს, როგორიც იყო გულანი, მისი შეძენა კი იმ პერიოდში იშვიათ ფუფუნებად ითვლებოდა, აქ დაცული იყო სხვა ძვირფასი ხელნაწერებიც. მათ შორის აღსანიშნავია „ფუტკარი" (A691), რომელიც შემოქმედის ეპისკოპოსს იაკობ დუმბაძეს შეუწირავს (50,518) თ. ჟორდანია არ გამორიცხავდა, რომ შესაძლოა „ფუტკარი" თვით იაკობის ხელითვე ყოფილიყო დაწერილი (44,302). იაკობ დუმბაძე XVII საუკუნის მოღვაწე გახლდათ და თავისთავად ხელნაწერიც ამ პერიოდით თარიღდება. „ფუტკარი" სხვადასხვა თხზულებებს შორის შეიცავს არსენ საფარელის ნაშრომს ქართლისა და სომხეთის ეკლესიების განყოფისათვის.

იაკობ ღუმბაძის მეოხებით კიდევ ერთი ხელნაწერი შემატებია შემოქმედის მონასტერს, ეს გახლავთ სახარება. ხელნაწერი XVII საუკუნისაა და, როგორც მისი ანდერძი მოგვითხრობს: „სახარებისა ამის კუბო და ერთი შეკრული ქაღალდი ესე რუსეთიდან ღუმბაძეს შემოქმედელს იაკობს შემოქმედს დასადებად გამოუგზავნია" (12,37). აქვე შევნიშნავთ, რომ სახარება და სამოციქულო გახლდათ ის უმთავრესი წიგნები, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელი იყო ღვთისმსახურების ჩატარება. ამდენად, მათი ფლობა ყველა ეკლესია-მონასტრისათვის სავალდებულო იყო.

მნიშვნელოვან ხელნაწერს წარმოადგენს XI საუკუნის ლიხაურის ოთხთავი (Q 645). იგი მეტად დაშლილი და ნაკლულია (39,97). სახარება ლიხაურში არ უნდა იყოს გადაწერილი, რადგან თვით ტაძარი XIII საუკუნეში არის აგებული; ჩანს, ოთხთავი მოგვიანებით მოხვდა ლიხაურის ეკლესიაში.

აღსანიშნავია ხევის სახარება. სოფ. ხევი მდ. გუბაზეულის ხეობაში მდებარეობს და მას მამალაძესაც უწოდებენ, აქ მოსახლე გვარის გამო. ხევის სახარება მღვდელმონაზონ მაკარიოზ მამალაძეს შეუსყიდია და შეუწირავს ეკლესიისათვის (1,189). აღნიშნული სახარება გურიაში არ ყოფილა გადაწერილი, რადგან მინაწერების თანახმად იგი დარეჯან მუხრანელ ბაგრატიონსა და მის მეუღლე ფარსადან ციციშვილს ჯვრის მონასტრისათვის შეუწირავთ. აღმოსავლეთ საქართველოდან მოხვდა ხევის ეკლესიაში სამოციქულოთა წიგნიც. იგი ერეკლე I-ის ასულის, ელენეს ბრძანებით გადაუწერიათ (1,189).

ხელით გადაწერილ სახარებათა გარდა გურიაში მოგვეპოვება ძველთაძველი, მდიდრულად შემკული, ბაქარისეული, ნაბეჭდი სახარება. იგი ოქროთი მოვარაყებულ ხავერდის ყდაშია ჩასმული და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს (1,235).

ოსმალთა მიერ შევიწროებული რეგიონებიდან ქრისტიანული სიწმინდეების დევნის ჟამს გურიაში გადმოხიზნეს საეკლესიო განძეულობა და მათ შორის სასულიერო წიგნები. წიგნების გადმოტანა ხდებოდა უმთავრესად კლარჯეთისა და მესხეთის სხვა მონასტრებიდან. სასულიერო პირები მრევლთან ერთად ტოვებდნენ სამკვიდროს და გურიის სამთავროს აფარებდნენ თავს. მათ თან მოჰქონდათ საეკლესიო განძეულობაც. ასე მოხვდა გურიაში მრავალი ძვირფასი ხატი თუ ხელნაწერი. საეკლესიო განძეულობის გადახიზვნის პროცესს ზოგიერთ შემთხვევაში თვით გურული სასულიერო პირები ხელმძღვანელობდნენ.

ამასთან დაკავშირებით ადიშის სახარების მინაწერი შემდეგს მოგვითხრობს: „სახელითა არსება-დაუბადებელისა ყოვლად წმიდისა სამებისაჲთა... მე, ნიკოლაოს (ნკ~ლს), ოდესმე ჯუმათისა მამასახლის ყოფილმან, ულირსმან და სულითა საწყალობელმან, ფრიადითა ხარკებითა აშენენ ღმერთმან კლარჯეთისა მონასტერნი!) შევიარენ და შევკრიბენ წმიდანი ესე წიგნნი: პირველად წმიდაჲ ესე სახარებაჲ ოთხთავი, და მრავალთავი, და ჴელთ კანონი, მამათა წიგნი, და კითხვა-მიგებაჲ უმეტესად აშენენ ღ~ნ შ(ატ)ბე(რ)დი (ესე) ოთხთ~ვი და ჴელთ (კანონი და) მამათა წიგნი (მა)თსა ეკლესიასა" (172,015) ვიდრე ნიკოლოზ ჯუმათელის მიერ გადმოტანილ სხვა ხელნაწერებზე ვიტყოდით რამეს, თავად ადიშის სახარებაზე შევჩერდებით. ადიშის სახარება, ანუ ადიშის ოთხთავი ლიტერატურაში ცნობილია მისი უკანასკნელი ადგილ-სამყოფელის სახელით, რადგან სვანეთის სოფელ ადიშში ინახებოდა. იგი 897 წელს გადაუწერია სოფრონ შატბერდელს და თარიღიან ოთხთავებს შორის უძველესია. ა. შანიძე ადიშის სახარებაზე ნიკოლოზ ჯუმათელის ამ მინაწერს პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XVI საუკუნით ათარიღებდა. (172,016). ე. თაყაიშვილი ფიქრობდა, რომ ამ ამბავს ადგილი ჰქონდა XVII საუკუნის მეორე ნახევარში (10,351). ჩვენ ვიზიარებთ ქ. ჩხატარაიშვილის აზრს, რომლის მიხედვითაც ნიკოლოზ ჯუმათელი მამასახლისის კლარჯეთში მოგზაურობა XVI საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე უნდა მომხდარიყო, რადგანაც მოთხრობილ ამბავში ის ეპოქა არ ჩანს, როდესაც თურქებს განმტკიცებული ჰქონდათ თავიანთი ბატონობა ჭოროხის აუზში და მონასტერიც დაცარიელებული იყო. ამაზე მიგვანიშნებს თვით გამოთქმებიც: „აშენენ ღმერთმან კლარჯეთის მონასტერნი", „უმეტესად ალაშენენ ღმერთმან შატბერდი". მაშასადამე, ეს არის ხანა, როცა კლარჯეთის მონასტრებს თურქთა შემოსევის საფრთხე დაემუქრა და ნიკოლოზ ჯუმათელმა სამხრეთ საქართველოს საეკლესიო ხელნაწერები გურიაში გადმოიტანა (174,620). მათ შორის აღსანიშნავია მრავალთავი, რომელიც გურიის უდაბნოს მონასტერში იყო დაცული და, ამიტომ უდაბნოს მრავალთავის (A 1109) სახელით არის ცნობილი. ა. შანიძეს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ მრავალთავი ის ხელნაწერი ყოფილიყო, რომელსაც ჩვენ შატბერდის კრებულს ვუწოდებთ (172,015), მაგრამ დღეს ამგვარი მოსაზრება უკვე უარყოფილია. უდაბნოს მრავალთავი X საუკუნეს განეკუთვნება.

ამ კრებულთან ერთად ნიკოლოზ ჯუმათელმა კლარჯეთიდან გადმოიტანა ხელთკანონი, რომელიც შემდგომ სვანეთში იყო დაცული

იერუსალიმის დიდი კანონის სახელით, მამათა წიგნი და წიგნი კითხვა-მიგების.

სამცხიდან გურიის სამთავროში გადმოტანილ ხელნაწერთა შორის აღსანიშნავია მარხვანი, რომელიც შენიეთის მონასტერში მოხვედრილა და შენიეთის მარხვანის (Q642) სახელითაა ცნობილი. ანდერძიდან ვიგებთ, რომ ხელნაწერი პატრონ ქეთაონის ბრძანებითა და გულმოდგინებით გადაუწერიათ 1566 წელს (3,94), ქეთაონი გახლდათ მეუღლე მესხი დიდებულისა იოსაფატ ბეენაშვილისა. პალეოგრაფიული ნიშნებისა და მოსახსენიებელის პერსონაჟების ვინაობის მიხედვით აშკარაა, რომ ხელნაწერი სამცხეშია გადაწერილი, შემდეგ გურიაში მოხვდა (173,67). უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერმა მინაწერების მიხედვით იმერეთში ყოფნის ნიშნებიც შემოგვინახა. მოგვიანებით, იოანე ცაგერელს შენიეთის მარხვანი შეუწირავს ლაბეჭინის მონასტრისადმი. დ. ბაქრაძის აზრით, ცაგერელი მიტროპოლიტი იოანე უნდა იყოს კაცია I დადიანის ძე, რომელმაც 1792 წელს ჭყონდიდის კათედრა დაიკავა და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის მოღვაწე იყო (1,181). ჩვენი აზრით კი, იოანე ხინოწმინდელყოფილი უნდა იყოს, რომელიც ხინოს საეპისკოპოსოს დატოვების შემდეგ, ჯერ ჯუმათის მღვდელმთავარი იყო, შემდეგ იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა გამოჩინებულის მონასტრის წინამძღვრად დაადგინა, მოგვიანებით კი ცაგერის ეპისკოპოსობა უბოძეს. მარხვანსაც ამიტომ ემჩნევა იმერეთში ყოფნის გავლენა. ალბათ ეს ხელნაწერი ხინოწმინდელმა იოანემ გურიიდან იმერეთში გადაიტანა, ხოლო როდესაც ცაგერელად დაადგინეს შემდგომ შესწირა ლაბეჭინის მონასტერს. შენიეთის წმ. გიორგის ეკლესიას ეკუთვნოდა გიორგი III გურიელის (1664-1683) შეწირული XI საუკუნის მათეს სახარების იოანე ოქროპირისეული განმარტებანი (Q99,Q100) (34,112-114).

გარდა იმისა, რომ სამცხიდან გადმოჰქონდათ ხელნაწერები, ამასთანავე, სამცხიდან გურიაში გადმოხიზნული პირები უკვე თავიანთ ახალ ადგილსამყოფელში იწყებდნენ საგადამწერლო საქმიანობას. საინტერესოა XVI-XVII საუკუნეებით დათარიღებული მარხვანი (S1249), რომელიც მღვდელ გიორგი ჯაყელს გადაუწერია. მას აღუდგენია მელიქედურის ეკლესია, რომლისთვისაც შეუწირავს აღნიშნული მარხვანი, ასევე სხვა წიგნებიც: ოთხთავი, სახარება, სამოციქულო, პარაკლიტონი და ზატიკი (72, ყდის საცავი ფურცელი). მატერიალური სიდუხჭირე მძიმე მდგომარეობაში აგდებდა კალიგრაფებს. მარხვანის მინაწერებში აღნიშნულია, რომ ქაღალდის სიძვირის გამო მჭიდროდ, წვრილი ხელით

უწერიათ. ამასთანავე, სათანადოდ არ მზადდებოდა ხელნაწერები: „ეს ქაღალდი გაუხამებელი არის... და კარგი ხელი აღარ დავეძიე და ამისათვის ნუ მწუკვით" (72,350v).

XVII-XVIII საუკუნეებს ეკუთვნის მღვდელმონაზონ მათე სალუქვაძის მიერ შეკაზმული მარხვანი (S1250) (41,123). ჩვენ არ ვიცით მარხვანი რომელ მონასტერს ეკუთვნოდა, მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ, რომ მინაწერში იხსენიება შემოქმედელი მიტროპოლიტი (41,123), შესაძლებელია მარხვანიც შემოქმედის კუთვნილებად მივიჩნიოთ.

1791 წელს ვახტანგ გურიელის დაკვეთით გიორგი კომახიძეს გადაუწერია მარხვანი (S1347), როგორც ჩანს, კალიგრაფობა მათი საგვარეულო პროფესია ყოფილა. იგი მიუთითებს, რომ მამამისი ასევე გიორგი კომახიძე გადამწერი იყო (73, ქვემო ყდის შიდა გვერდი) ანდერძის ქვემოთ სხვა ხელით, ფანქრით არის მინაწერი: „კომახიძე იყო ხინოს ხინოწმინდელთან." 1791 წელს ხინოწმინდელის და მისი კალიგრაფის ხინოში ყოფნა გამორიცხულია. გიორგი კომახიძე ხინოწმინდელის მრევლის იმ ნაწილის წარმომადგენელი უნდა იყოს, რომელიც თავის მწყემსმთავარს ხინოს ოსმალთაგან მიტაცების შემდეგ გურიის შიდა პროვინციებში გადმოყვა. ხელნაწერი შემკულია ილუსტრაციებით, რომლებიც ან პირდაპირ ქაღალდზეა დახატული ან შემდეგ არის ჩაწებებული. მოგვიანებით ჩამატებული სურათები მდარე ხარისხისაა.

გადამწერთა კერა ყოფილა თეთროსნის მონასტერიც. იგი მდ. კინტრიშის ხეობაში, სოფ. ღვარაში მდებარეობს. აქ XVI საუკუნეში გადაუწერიათ დავითნი, რომელიც დღეს თეთროსნის დავითნის (H-75) სახელითაა ცნობილი. მისი გადამწერი კი გახლავთ გერმანოზ კალიგრაფი. (29,60). წიგნი ათაბაგის ასულ თამარისა და მისი ძის ქაიხოსრო გურიელის ბრძანებით გადაუწერიათ და შეუმკიათ. დედოფალი თამარი იყო მეუღლე ვახტანგ გურიელისა, რომელიც 1583-1587 წლებში მთავრობდა გურიაში. აღსანიშნავია, რომ თეთროსანი ვახტანგ I-ის საბატონიშვილოში მდებარეობდა. როგორც ჩანს, თეთროსნის დავითნის გადაწერის დროს ვახტანგი ცოცხალი აღარ იყო და ამ მიზეზით არ იხსენიება სავედრებელ მინაწერში.

ფსალმუნებს ხშირად სასწავლო წიგნადაც იყენებდნენ. გარდა იმისა, რომ თხზულება შეიცავდა ზნეობრივ დარიგებებს, რაც ბავშვის სულიერი აღზრდის ერთ-ერთი საშუალება იყო, ამასთანავე, მას იყენებდნენ ანბანის შესასწავლად და საკითხავ წიგნად. თეთროსნის დავითნი გურიელთა სახლის ყრმა ბატონიშვილების სასწავლო წიგნად გამოიყენე-

ბოდა. ამას ადასტურებს დავითნზე დართული მინაწერები: „ბატონის შვილის ოტიას არის, ღმერთო, ამ დავითნის მადლით მე სწავლა მალირსე, სიმართლეში, კარგად ყოფნაში და მომეხმარე მე – ბატონიშვილის ოტიას, ამინ და კირიელეისონ" (86,109). ეს დავითნი მხოლოდ ოტია ბატონიშვილს არ ეკუთვნოდა. დართული მინაწერების თანახმად მსგავსი მიზნით იგი სხვა ბატონიშვილებსაც გამოუყენებიათ.

თეთროსნის დავითნს ეშჩნევა, რომ კალიგრაფის მიერ არის გადაწერილი. წიგნი შემკულია 55 მინიატურით, მაგრამ ისინი გერმანოზის მიერ არ არის შესრულებული. მინიატურები ხელნაწერზე ადრინდელია, სხვა წიგნიდანაა ამოჭრილი და შემდეგ თეთროსნის დავითნში ჩაკრული (131,65). თეთროსნის დავითნი სხვა სამუზეუმო განძეულობასთან ერთად 1921 წელს საქართველოდან წაიღო ექ. თაყაიშვილმა და მხოლოდ 1945 წელს დაუბრუნდა სამშობლოს (126,18).

ხელნაწერებს ადგილობრივი კალიგრაფების გარდა ჰქმნიდნენ საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩამოსული გადამწერები. XVII საუკუნეს ეკუთვნის სასულიერო შინაარსის კრებული (S1163), რომელიც სხვადასხვა თხზულებებს აერთიანებს. მისი გადამწერი დიაკონი გიორგი აღნიშნავს, რომ საწერი ქაღალდი მოიპოვა მოურავ სააკაძის განჯაში ლაშქრობის დროს, რომელსაც თან ჰხლებია (41,62). იგი სააკაძის მომხრეთა დაჯგუფებას ეკუთვნოდა, ამიტომ მისი მარცხის შემდეგ ქართლი დაუტოვებია და გურიაში გადახვეწილა, სადაც აღნიშნული ხელნაწერი დაუმზადებია.

საეკლესიო წიგნებს შორის აღსანიშნავია სვიმონ ქორიძის მიერ გადაწერილი კონდაკი, XVI-XVII საუკუნეების კურთხევანი, ლაზარე ხავთასის გადაწერილი (H 3027) (32,345), რომელიც მდ. სუფსის ხეობის სოფ. ვანის ეკლესიაში ინახებოდა (1,191).

სასულიერო პირების გარდა ხელნაწერების გადაწერა-გამრავლებაზე დიდად ზრუნავდნენ გურიის მთავრები და თავადები. გიორგი გურიელის კარზე მოღვაწეობდა კალიგრაფი გაბრიელ საბლუა, რომელსაც მთავრის დაკვეთით შეუსრულებია თვენი (A 1483). ანდერძში აღნიშნულია: „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე მისი მჩხრეკელი გაბრიელ საბლუა, ამინ" (33,31).

ხელნაწერები თუ ნაბეჭდი წიგნები ინახებოდა მონასტრებთან არსებულ წიგნთსაცავებში. უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ მდიდარი წიგნთსაცავი ჰქონდა შემოქმედის მონასტერს. ასევე მდიდარი წიგნთსაცავი ჰქონია უდაბნოს მონასტერს. ამ მხრივ საინტერესოა უდაბნოს მამა

იოსების ანაწერი და ანდერძი, სადაც აღნიშნულია, რომ უდაბნოს მონასტერში ინახებოდა იოსებ კათალიკოსის შეწირული ზატიკი, კურთხევანი და დავითნი. მეფე სოლომონ I-ის მიერ შეწირული „სტამბის მარხვანი" ე. ი. დაბეჭდილი მარხვანი, ასევე ქუთათელის შეწირული „სტამბის მარხვანი". მარიამ დედოფლის ნაწყალობევი კონდაკი, ნაბეჭდი პარაკლიტონი, სამოციქულო, სახარება, დავითნი, კურთხევანი და ცხრა ნეტარების წიგნი. უცნობი დაყუდებულის შეწირული ხელნაწერი სადღესასწაულო და დამასკელის ნაბეჭდი თხზულებანი, სახარება და სამოციქულო (57,2r). ცხადია ეს არ არის სრული სია უდაბნოს მონასტერში დაცული წიგნებისა. როგორც შინაარსიდან ირკვევა აქ ჩამოთვლილია ის წიგნები, რომელიც იმერეთის პოლიტიკურ თუ სასულიერო მოღვაწეებს შეუწირავთ. წიგნთსაცავში დაცული წიგნებით სარგებლობის გარკვეული წესი არსებობდა. მაგალითად, მელიქედურის ეკლესიის წიგნთსაცავიდან ხელნაწერების გატანა მხოლოდ ერთი დღით შეიძლებოდა (72, ყდის საცავი ფურცელი).

ხელნაწერები უმთავრესად ნუსხა-ხუცურით ან მხედრულით არის ნაწერი. არსებობდა მათი სხვადასხვა ვარიაციებიც. შემოქმედელი ეპისკოპოს იაკობ დუმბაძეს მრგვლოვანი დაქსელილი ასოებით უწერია (97,62). დაქსელილი ანუ თხზული ენოდებოდა განსაკუთრებულ დამწერლობას, რომელიც დამყარებული იყო ასოთა გადაწვნა-გადახლართვაზე და სტრიქონი ამ დროს წარმოადგენდა ერთ მთლიან უწყვეტ ჩუქურთმას.

გურიაში მოპოვებული ხელნაწერების უმრავლესობა ილუსტრირებულია. XVII-XVIII საუკუნეების ილუსტრაციები აგრძელებენ ქართულ ხელოვნებაში შემუშავებულ ტრადიციებს. ამ პერიოდში ძირითადად ხდება გულანების, ღვთისმშობლის აკათისტოსა და წმინდანთა ცხოვრებანის დასურათება. ჩვენთვის საინტერესოა, რომ ხელნაწერის დამზადების დროს ჯერ ტექსტი იწერებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ ხატავდნენ საგანგებოდ დატოვებულ, დაუწერელ ფურცლებზე. ასე მოქცეულან შემოქმედის გულანის დამზადების დროს. ხშირად მინიატურები განსაკუთრებულ ფურცლებზე სრულდებოდა. ასეთ ფურცლებზე შესრულებულ მინიატურებს ტექსტში მოგვიანებით აწებებდნენ მისთვის განკუთვნილ ადგილზე. ხელნაწერის ილუსტრაციები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფოდა: 1. ტექსტთან დაკავშირებული ცალკეული პირების პორტრეტები (მახარებელთა, წმინდანთა, ბიბლიური პერსონაჟებისა და სხვა) 2. ტექსტში მოთხრობილი ამბების ამსახველი. ორივე ჯგუფის

ილუსტრაციები გვხვდება შემოქმედისა და ციხის გულანში. თეთროსნის დავითნში კი მხოლოდ მეორე ჯგუფის ილუსტრაციებია თავმოყრილი. გვიანშუასაუკუნეებში ქართულ ხელოვნებაში იჭრება დასავლეთ ევროპული კულტურის ნიშნები. გურიის სამთავროს სიახლოვემ ზღვასთან, რაც ხელს უწყობდა მის დაკავშირებას ევროპის ქვეყნებთან, და მჭიდრო ურთიერთობამ კათოლიკე მისიონერებთან, მას საშუალება მისცა გაცნობოდა ევროპულ კულტურას. ევროპული კულტურის გავლენა შეიმჩნევა ხელნაწერების დამზადების დროსაც. მაგალითად: ციხის გულანის მინიატურებსა და განსაკუთრებით, დეკორს დასავლეთ ევროპის ხელოვნების ძლიერი გავლენის ნიშნები ეტყობა (125,408).

საეკლესიო ხელნაწერების მოხატულობა და ილუსტრაციები საქართველოს სოციალურ და კულტურულ-ისტორიულ ცხოვრებას ასახავენ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია თეთროსნის დავითნის მინიატურები. გარდა იმისა, რომ მათ გააჩნიათ მხატვრული ღირებულება, ამასთანავე მკაფიო წარმოდგენას გვიქმნიან მოცემული ეპოქის ყოფა-ცხოვრების შესახებ. „ბიბლიურ ტექსტებზე აგებულ ბატალურ სიუჟეტებში გადმოცემულია როგორც საერო სცენები, ასევე აქ წარმოდგენილია სამხედრო შეიარაღება, სამეფო კარის ჩაცმულობა და რეგალიები" (131,16).

მრავალი ხელნაწერი დაიღუპა მტრის გამანადგურებელი შემოსევების დროს. მუსლიმი დამპყრობლები ანადგურებდნენ ქრისტიანული მწერლობის ძეგლებს. ცნობილია, რომ თურქების მიერ მიტაცებულ ქართულ ტერიტორიებზე დამპყრობლები არწმუნებდნენ მოსახლეობას, რომ ქართული წიგნების შენახვა მკრეხელობად ითვლებოდა და საჭირო იყო მათი მოსპობა. გარდა ამისა, ხდებოდა ხელნაწერების დატყვევებაც, ქვეყანაში შემოჭრილი მტერი ხელში ჩაიგდებდა ამა თუ იმ ხელნაწერს და დიდი საფასურის გაღების შემდეგ ისევ უბრუნებდა ქართველებს. ასე გამოუსყიდია მამია IV-სა და მის მეუღლე დედოფალ როდამს განთვისული სახარება და სვეტიცხოვლისათვის შეუწირავთ (S 5228) (42,174-175).

ხელნაწერებს შემოსეული მტრის გარდა ადგილობრივი მოსახლეობის გულგრილობაც აზიანებდა. გრიგოლ გურიელი შენიშნავს: „გურიაში ძლიერ ბევრი ყოფილა სხვადასხვა შესანიშნავი ძველი ხელნაწერი წიგნები, როგორც საეკლესიო, ისრე საეროც, მაგრამ ჩვენში ბეჭდვის შემოღების შემდეგ ხელთ-ნაწერთა წიგნთა პატივი სრულიად დაჰკარგვიათ და მრავალი მათგანი მოსპობილა, რადგან სახვევი ქაღალდის ადგილზე უხმარიათ" (108,2). ასევე დაუზიანებიათ უდაბნოს მრავალთავი

ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებს. მათ ფურცლები ამოუჭრიათ და თავიანთი სახელმძღვანელოების ყდებად გამოუყენებიათ (161,68). ხელნაწერებს ანადგურებდა ნესტი, წვიმა, ქარი და ჩრჩილი. თ. სახოკიას გურიაში მოგზაურობის დროს აკეთის ეკლესიაში უნახავს „ნაფლეთებად ქცეული საეკლესიო წიგნი, ტყავზე დაწერილი, ზოგი ფურცელი ჩრჩილისაგან საცოდავად დახრული იყო, ზოგი სქელ მტვერს დაეფარა და ზოგსაც წვიმის წყალი მოხვედრია, დაობებულა და ერთმანეთს მიჰკვრია" (167,75). უპატრონობით ილუპებოდა უძველესი ხელნაწერები სოფ. აკეთის მახლობლად თოხაძეების საგვარეულო საჯვარეშიც. დანგრეულ საკურთხეველში თავისუფლად აღწევდა წვიმა და თოვლი, რომელიც მთლიანად რეცხავდა ფურცლებიდან მელანს (121,3). ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ოზურგეთის არქივის „120 ფუთი ქაღალდები ოზურგეთის ვაჭრებზე იქნა დაყიდული, აქა იქ მეწვრილმანის დუქნებში შევკრიბე ესენი და „წერა-კითხვის საზოგადოებას" გადავეცი. გურიამ ამით დიდი ძალი მასალები დაკარგა და ნამეტური გლეხკაცობამ თავის წინაპართა თავგადასავალთა მრავალი ძვირფასი ცნობები" (178-26).

როგორც დავინახეთ, გურიის სამთავროში მრავალი „ხელსაყრელი" პირობა არსებობდა ხელნაწერთა გასანადგურებლად. გვიანშუასაუკუნეებში, დასავლეთ საქართველოში, ქართული კულტურის დაქვეითების ფონზე, გურიის სამთავროში საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს გადამწერთა კულტურულ-მწიგნობრული საქმიანობა. სასულიერო შინაარსის ხელნაწერების ის რაოდენობა, რომელიც შემოგვრჩა გურიის სამთავროდან, ნათლად მიუთითებს ამ პროცესების ინტენსივობაზე. ამასვე ადასტურებს მსხვილ ეკლესია-მონასტრებთან მდიდარი წიგნთსაცავების არსებობა.

ხელნაწერის დამზადებაზე რამდენიმე კაცი მუშაობდა. მათ შორის შრომა განაწილებული იყო. გურიის სამთავროში არსებობდნენ კალიგრაფთა გაერთიანებანი თაბუნები. გადამწერთა ჯგუფებისთვის ხელნაწერთა შესრულება ხშირად ფინანსური შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. კალიგრაფები უმთავრესად სასულიერო პირები იყვნენ, ხოლო ხელნაწერები, ძირითადად, მთავართა და თავადთა დაკვეთით სრულდებოდა.

ხელნაწერის დამზადების ტექნიკა სრულიად აკმაყოფილებდა იმ პერიოდში არსებულ მოთხოვნილებებს. კალიგრაფების გვერდით მუშაობდნენ წიგნის შემკვრელები და ამკინძავები. ამასთან, ხდებოდა

მათი დასურათებაც. საწერ მასალად გამოიყენებოდა, როგორც ეტრატი, ისე ქაღალდი. ილუსტრაციების გარდა წიგნს ამკობდა დეკორი და ლამაზად გაფორმებული საზედაო ასოები თუ სათაურები.

გურიის სამთავროს ახლო მდებარეობა ზღვასთან საშუალებას აძლევდა მას, დაკავშირებოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებს, გაეცნო მათი კულტურა. ევროპული კულტურის შეთვისება ხდებოდა კათოლიკე მისიონერების საშუალებითაც. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ევროპული კულტურის გავლენა შეინიშნება ხელნაწერთა მინიატურებსა და დეკორზე.

უკანასკნელად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოსმალთა აგრესიის გააქტიურების შემდეგ, კულტურული ცენტრების ჩრდილოეთით გადანაცვლების ჟამს სწორედ გურიის სამთავროში მოიყარა თავი სამცხე-საათაბაგოდან გადატანილმა უძვირფასესმა და უნიკალურმა წიგნებმა.

ხელნაწერების სიმრავლე, მართალია ადასტურებს გურიის სამთავროში კულტურულ-მწიგნობრული საქმიანობის განვითარებას, მაგრამ ის ფაქტი, რომ ძალიან მცირე რაოდენობით იქმნება ორიგინალური თხზულებები კულტურის დაქვეითებას მოწმობს, რისი მიზეზიც თავის მხრივ გართულებული საგარეო თუ საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა და მძიმე ეკონომიკური კრიზისი იყო.

## § 2. გურიის საეპისკოპოსოთა ეკლესია-მონასტრები

გვიანშუასაუკუნეებში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები: პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, რთული საშინაო თუ საგარეო ვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საეკლესიო ცხოვრებაზე და აფერხებდა მის წინსვლას. მიუხედავად ამისა, ეკლესია-მონასტრები კვლავაც კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრებს წარმოადგენდნენ. აქ იქმნებოდა ახალი ხელნაწერები, ფრესკული მხატვრობის, ოქრომჭედლობისა თუ ნაქარგობის შესანიშნავი ნიმუშები. აქვე იყო საგანმანათლებლო კერებიც. ეკლესია-მონასტრებში სულიერი თუ მატერიალური ღირებულების ძეგლები იქმნებოდა, როგორც საეკლესიო მსახურებისათვის, ამასთანავე თავის თავში გულისხმობდა ქრისტიანული რწმენის დაცვისა და განმტკიცებისათვის ზრუნვას.

გურიის საეპისკოპოსოებში მიმდინარე პროცესების შესახებ წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია ამ ეპარქიათა ეკლესია-მონასტრების, როგორც მისი შემადგენელი ერთეულების ისტორიის განხილვის გარეშე. ამდენად წინამდებარე თავში მიმოვიხილეთ, როგორც საეპისკოპოსოთა კათედრალური ცენტრების, ასევე მსხვილი მონასტრების ისტორია.

შემოქმედი. შემოქმედი გახლავთ შემოქმედის საეპისკოპოსოს კათედრალური ტაძარი. იგი გურიელთა სამთავრო დომენში მდებარეობდა და „გურიის მთავარი ტახტი და ტაძარი" იყო, ამასთან ის გურიელთა საძვალეს წარმოადგენდა. შემოქმედის ხუროთმოძღვრული კომპლექსი ოთხ ძეგლს მოიცავს, მათგან ორი ეკლესია: 1. შემოქმედის ღვთაების ეკლესია, 2. ე. წ. „ზარზმა". იგი გურიის მთავარმა ვახტანგ I-მა საგანგებოდ ააშენებინა ზარზმის მონასტრიდან XVI საუკუნეში გადმოტანილი ფერისცვალების ხატის დასასვენებლად და ეკლესიამაც სახელი აქედან მიიღო. 3. XVI საუკუნის სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობანი. 4. სამრეკლო. ამასთანავე, შემოქმედის კომპლექსს მიეკუთვნება ეკლესია „გორის გვერდისა". იგი განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლადაა მიჩნეული და დღეს მისი გალავანი და ნანგრევებია შემორჩენილი.

შემოქმედის მონასტერი მდ. ბჟუჟის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ოზურგეთიდან სამხრეთ-დასავლეთით 7-8 კმ-ის დაშორებით. იგი დაბალ მთაზეა აშენებული და როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: „ციხე ასკანისა სამჴრით, მთის ძირში არის შემოქმედის ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი, შემკული ყოვლითა. იყო ესე საარქიმანდრიტო და აწ არის საეპისკოპოსო, ზის ეპისკოპოსი მწყემსი მის ქუეითისა გურიისა" (8,796). შემოქმედის მონასტერი შედგება ერთმანეთზე მიდგმული ორი ტაძრისაგან. 1828 წელს დაწერილ მოხსენებაში შემოქმედის არქიმანდრიტი არსენ მგალობლიშვილი აღნიშნავს, რომ შემოქმედის მაცხოვრის ეკლესია ძველია, შიგნით და გარეთ ნაგებია თლილი ქვით, აქვს მარმარილოს იატაკი – „მასში სამღუდელმთავრო დასაჯდომი არის შესაბამისი სუეტებითა და გუმბათითა" (54,17v). ეპისკოპოსის ტახტი უნახავს დ. ბაქრაძესაც (1,106), მაცხოვრის ტაძარზე „ზედ მიდგმულია სამწირველო სახელსა ღვთისმშობლისა შობისასა. გუმბათიანი აღშენებულ თლილის ქვითა შიგნით და გარეთ და ესე ვითარ იატაკითა" (54,18r). მას ორი მცირე ეკვდერი ჰქონია, რომელშიც სიძველის გამო აღარ იწირებოდა, აღსანიშნავია, რომ ამ ეკლესიაში კრძალავდნენ გურიის მთავრებს (54,18r).

შვეიცარიელი მოგზაური დიუბუა დე მონპერე შემოქმედის ზარზმის შესახებ წერდა, რომ „მცირე ზომის ეკლესია უფრო ძველია. ნაგებია აგურით, მოპირკეთებულია ცისფერი პორფირის კვადრებით, დროის მიერ გამოფიტული, რაც შენობას ძველ იერს აძლევს. აქ არის გურიელთა საძვალე," (200,106-107) ხოლო შემოქმედის მაცხოვრის ტაძრის შესახებ აღნიშნავდა: „ახალი ეკლესია არის უფრო დიდი შიგნიდან და გარედან ნაგებია თლილი ქვით... ზოგან ღია ცისფერი, მუქი ლურჯი, მჭახე წითელი და ყვითელი ფერის ქვები შენობას ანიჭებენ თვალწარმტაც იერს" (200,108). დიუბუა დე მონპერეს შეცდომით ჰგონია, რომ „ზარზმა" უფრო ძველია, ვიდრე მაცხოვრის ეკლესია. როგორც თავად აღნიშნავს ზარზმის ცისფერი პორფირი, რომლითაც მოპირკეთებული იყო ტაძარი გამოფიტული ყოფილა, რაც შენობას სიძველის ეფექტს უქმნიდა. საზოგადოდ გურიის ეკლესიათა უმრავლესობა, მათ შორის შემოქმედიც აგებულია გორისფერდის მოლურჯო სამშენებლო ქვით, რომელსაც შემოქმედის მახლობლად მოიპოვებენ.

შემოქმედი სრულყოფილად აღწერა და შეისწავლა დ. ბაქრაძემ, რომელმაც 1873 წელს იმოგზაურა გურიასა და აჭარაში. იგი აგვიწერს: „მონასტერი ერთმანეთთან შეერთებული ორი ეკლესიისგან შედგება. ერთი მათგანი მაცხოვრის სახელობის უგუმბათო, ნამდვილი შემოქმედია, ხოლო მეორე გუმბათიანი უფლის ფერისცვალების სახელობისა, ცნობილია ზარზმის სახელით. ამ ეკლესიების გარეგნობა სულაც არ შეეფერება მათს ისტორიულ მნიშვნელობასა და სიმდიდრეს. ეკლესიები არ არის ვრცელი. ამასთანავე, დასახიჩრებულია გვიანდელი მინაშენებით და უხეირო ყავრის სახურავით" (1,105). ამის თაობაზე გვინდა შევნიშნოთ, რომ გურიის ეკლესიები იმდენად არ გამოირჩევიან არქიტექტურული გრანდიოზულობით, რამდენადაც მათში დაცული უძვირფასესი ჯვარ-ხატებითა და სხვა საეკლესიო განძეულობით. აქვე დავამატებთ, რომ პატივცემული მეცნიერი ცდება, როცა ზარზმას უფლის ფერისცვალების სახელობისად მიიჩნევს. მართალია, სამცხის ზარზმა მაცხოვრის სახელობისა იყო და მისი წმიდათაწმიდაც უფლის ფერისცვალების ხატი გახლდათ, მაგრამ გურიაში აგებული ზარზმა ღვთისმშობლის შობის ეკლესიად მოიხსენიება. ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ შემოქმედის კათედრალური ტაძარი მაცხოვრის სახელს ატარებდა და, ამიტომ ახალი ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე ააგეს. ამ გარემოებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ სამცხიდან გადმოტანილ ხატებს შორის მაცხოვრის ფერისცვალების ხატის შემდეგ ყვე-

ლაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ლაკლაკისძეთა ღვთისმშობლის ხატი.

შემოქმედის მაცხოვრის ეკლესია სამნავიან უგუმბათო ნაგებობას წარმოადგენს. ზუსტად არ ვიცით მისი აგების თარიღი, სავარაუდოდ ის XIII-XIV საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს (133,174). საუკუნეების განმავლობაში იგი მრავალჯერ გადაუკეთებიათ. ვ. ბერიძის მოსაზრებით ეკლესია თავდაპირველად ერთნავიანი უნდა ყოფილიყო. მოგვიანებით, მას სიგრძივი კედლები მოარღვიეს და ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნავები მიუშენეს. ამდენად შუა ნავიდან მხოლოდ ერთი-ორი ფრაგმენტილა გადარჩა (133,173). ნავების მიშენების შემდგომ ეკლესია ახალი პერანგით შემოსეს და ჭადრაკულად განლაგებული სხვადასხვა ფერის ქვებით მოაპირკეთეს. ამ გადაკეთებათა შესახებ უნდა მოგვითხრობდეს ეკლესიის წარწერები: „ქ(რისტ)ე ყ(ოვლა)დ ძლ(იე)რო" შ(ეიწყალ)ე აფხ(ა)ზთ(ა) კ(ათალი)კ(ოს)ი ბ(ა)ტ(ონ)ი მ(ა)ქსიმე ა(მი)ნ (1,105). აქ მოხსენიებული მაქსიმე ჯერ შემოქმედის ეპისკოპოსი გახლდათ, ხოლო 1639 წლიდან აფხაზეთის კათალიკოსი, ვიდრე 1658 წლამდე. შემოქმედის აღმოსავლეთ ფასადის ლავგარდანის ქვეშ დატანილ წარწერაში იხსენიება იაკობი – „მე ფ(რია)დ ც(ოდვ)ილი იაკ(ო)ბ", (1,105) იგი XVII საუკუნის მოღვაწე გახლდათ და როგორც ჩანს, მაქსიმეს დროს დაწყებული სამუშაოები მას დაუმთავრებია.

რაც შეეხება შემოქმედის ზარზმას, იგი გუმბათით დასრულებულ ერთ ნავს წარმოადგენს – ხუთწახნაგა აფსიდით. ეკლესია მრავალჯერ გადაუკეთებიათ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გუმბათი ან არ არის თავდაპირველი, რაც უფრო საფიქრებელია, ან მის გასამაგრებლად შემდეგ დაუმატებიათ კონსტრუქციები: ა) გადაკეთებულია გაზრდა-ნაგრძელების მიზნით სამხრეთის კედლის ორი შვერილი; ბ) საკურთხევლის კონქის წინ ჩამატებულია მეორე, უფრო შემაღლებული გუმბათქვეშა საბჯენი თაღი; გ) გაფართოებული უნდა იყოს მეორე საბჯენი თაღი – დასავლეთისა, შემდეგ გადაკეთებულს ჰგავს ჩრდილოეთის თაღიც, ე. ი. ფაქტობრივად მთელი გუმბათქვეშა კონსტრუქცია ჩამატებულია. გუმბათის ყელი შიგნიდან მრგვალია, გარედან რვაწახნაგა, რვა სარკმლით (133,173). საინტერესოა ეკლესიის შესასვლელის თავზე გამოსახული სამი მედალიონი: შუაში თანაბარმკლავებიანი ჯვარი, მარცხნივ – ექვსქიმიანი ვარსკვლავი, მარჯვნივ კი ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

როდის აშენდა შემოქმედის ზარზმა, ან რა მიზნით, ამას ვიგებთ ერთ-ერთი ძველი დოკუმენტიდან, რომელიც ქართულ ისტორიოგრა-

ფიაში ცნობილია „გოგიტიძეების საგვარეულო სიგელით". იგი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროდ ვთვლით ვრცელი ტექსტის მოყვანას. „... ნებითა და ჯერ ჩინებითა ღვთისათა ყოვლისა მპყრობელისათა, ან უკუე მონამან შენმან გიორგის შვილმან პატრონმან გურიელმან ვახტანგ გიძლუენ შენ მთასა წმიდასა, თაბორის განბრწყინებულისა ხატსა ღმრთაებისასა, ოდეს ცოდვათა ჩვენთა და უსჯულოებისათვის ჩუენთა შემცირდა ჭეშმარიტებანი ძეთა კაცთანი და უმეტეს ჩვენ ქრისტიანეთანი.

მას ჟამსა შინა, ოდეს პატიოსანი და დიდი სა(ა)თაბაგო საქრისტიანო უსჯულოებათაგან და ულმრთოთა აგარიანთა მიერ განირყუნა, ინყო მოკლებად სჯულმან ჩვენმან და აღორძინებად სჯულმან მახმედისმან, მაშინ მას ჟამს საათაბაგოს ურწმუნოთა და თათართაგან განირყუნა ზარზმის საყდარი, მონასტერი მოიშალა და მოოხრდა და აიშალა, და ზარზმის ხატი შენი ძლიერი თაბორსა განბრწყინებული აქ გურიას ჩამოასვენეს, ვითარცა ექსორიაქმნილი.

მას ჟამსა შინა ალვაშენეთ და შევამკეთ ზარზმის საყდარი შემოქმედს და დავასვენეთ საძუალესა ჩუენსა წმიდა ხატი ესე შენი, მეოხებად ცოდვილისა სულისა ჩუენისა გურიელისა მამიას გასამარჯვებლად და ძეთა და ასულთა მისთა საოხად და აღსაზრდელად" (38,657). აქ მოყვანილ სიგელს აქვს ვახტანგ გურიელის ხელრთვა და მინაწერი: „ზარზმის საყდარი, რომ აღუშენებიათ სჲ ეს ქორონიკონი ყოფილა" (38,657). ქორონიკონი სჲ-260 აღნიშნავს 1572 წელს. ამ სიგელის სისწორეში ეჭვი შეიტანა ვახტანგ ბერიძემ (130,128). სიგელში ვახტანგი გიორგი გურიელის ძედ და მამიას ძმად იხსენიება, როცა სხვა საბუთებით მათი ამგვარი ნათესაობა არ დასტურდება. სიგელის თარიღად 1572 წლის მიღება კიდევ უფრო ართულებს საქმეს, რადგან ამ დროს გურიელად გიორგი იყო და არა ვახტანგი. ამასთან, შემოქმედის ზარზმისთვის შეწირული ერთ-ერთი ხატის წარწერა ტაძრის მშენებლად ასახელებს არა ვახტანგს, არამედ მამია გურიელს. აქვე მოვიყვანთ ამ წარწერასაც: „ქ. მე გურიელმან ბატონმან მამია ფრიად ცოდვილმან და თანამეცხედრემან ჩემმან პატრონმან თინათინ მოვაჭედინეთ ესე ხატი სახსრად და საოხად სულისა ჩვენისათვის დღესა მას დიდსა მეორედ მოსვლასა შენისასა და მოვაჭედინეთ მას ჟამსა ოდეს ხელვყავით აღშენება ტაძრისა ამის" (1,117). მართლაც, საუბარია მამიას მიერ შემოქმედში ზარზმის მშენებლობაზე, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ. ამ სიგელში ყველაზე დამაეჭვებლად ვ. ბერიძეს ის მიაჩნია, რომ თარიღი

მინაწერშია დასმული და არა ძირითად ტექსტში. ამასთან, მინაწერის ავტორი საბუთის თანამედროვე რომ არ ყოფილა ჩანს მისი სიტყვებიდან „ალუშენებია", „ყოფილა". ზმნათა ამ ფორმით ხმარება საბუთის თანამედროვეს მხრიდან წარმოუდგენელია. თვით თარილიც კი ქორონიკონი სჲ ანუ 1572 წელი ცნობილია საიდან არის აღებული. ჩვენს მიერ ხსენებულ ხატს, რომლის წარწერაშიც საუბარია მამიას მიერ ზარზმის ეკლესიის აგების შესახებ, დაკრული აქვს ივანე მონისძის მიერ შესრულებული ფირფიტა წმ. ნიკოლოზის გამოსახულებით და მასზე წარწერაა: „სახელითა ღვთისა შეიქმნეს მამასახლისობასა ეფთვიმეს ხელითა ივანე მონისძისათა ქორონიკონი იყო სჲ" (1,117). ქორონიკონი სჲ 260 თუკი XIV მოქცევას მივაკუთვნებთ, მაშინ გამოდის 1572 წელი, მაგრამ დღეს უკვე დადგენილია, რომ ივანე მონისძის ფირფიტა შესრულებულია XI საუკუნეში და აქედან გამომდინარე ცხადია, რომ 1572 წელს ვერ მივიჩნევთ იმ თარილად, როდესაც აიგო ზარზმა და მითუმეტეს, იგი არ გამოდგება გოგიტიძეების სიგელის დასათარილებლად.

მართალია, მინაწერის ამგვარი შეუსაბამობა თარილის შესახებ გვაეჭვებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თვით საბუთი ნაყალბევია, მასში მოთხრობილი ამბავი კი მცდარი და არარეალური. პირიქით, მრავალი ცნობა გვიმოწმებს, რომ ზარზმის მთელი ქონება ხატები, ჯვრები და სხვა საეკლესიო ნივთები სწორედ გურიაში გადაიტანეს. ისმის კითხვა – როდის მოხდა ყოველივე ეს? ცხადია, „მას ჟამსა შინა, ოდეს პატიოსანი და დიდი საათაბაგო საქრისტიანო უსჯულოთაგან და ულმრთოთა აგარიანთა მიერ განირყუნა" (38,657). სამცხის შევიწროებამ თურქთაგან XVI საუკუნის 70-იან წლებში ინტენსიური ხასიათი მიიღო, მაგრამ არც ეს ფაქტი მეტყველებს 1572 წლის სასარგებლოდ, რადგანაც ზარზმის (სამცხე) სამრეკლოს ქვემო სართულში არსებული იოანე მახარებლის ეკლესიის 1577 წლის წარწერაში ამ მხარის გამგებელი ფარსმან ხურციძე მოხსენიებულია „აგარიანთა პირის დამყოფელად" (130,126). აშკარაა, რომ ამ პერიოდში ზარზმა არ არის დაცარიელებული. ამ ამბების დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ ლალა ფაშას 1578 წლის ლაშქრობა, რის შედეგადაც 1579 წელს ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოს დაპყრობილ ტერიტორიაზე ჩილდირის (ახალციხის) საფაშო დააარსეს, ხოლო მანუჩარ ათაბაგი გაამაჰმადიანეს და ჩილდირის ფაშად დანიშნეს. ამის შემდგომ „იწყო მოკლებად სჯულმან ჩუენმან და აღორძინებად სჯულმან მახმედისმან". ამ ამბების შემდეგ უნდა მომხდარიყო ზარზმის სიწმინდეების გურიაში გადახიზვნა და შესაბა-

მისად, შემოქმედის ზარზმის აგებაც XVI საუკუნის მიწურულში უნდა ვივარაუდოთ. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ მის ამშენებლად ერთგან ვახტანგ I გურიელი, ხოლო მეორეგან მამია II გურიელი მოიხსენიება, უნდა მიგვითითებდეს ორივეს ღვაწლზე ამ მნიშვნელოვან საქმეში. ამასთან საგულისხმოა, რომ ვახტანგ I-ის მეუღლე სამცხის ათაბაგის ასული თამარი გახლდათ. ჩანს, ამ პერიოდში საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობაა დამყარებული სამცხესა და გურიას შორის. შესაძლოა სწორედ თამარის ინიციატივით დაიწყო სამცხის სიწმინდეების გადახიზვნა და შემოქმედში ზარზმის ეკლესიის მშენებლობა. ამ ამბებს XVI საუკუნის I ნახევარს უკავშირებს ექ. თაყაიშვილიც (146,105).

შემოქმედი და ზარზმა ერთ სამონასტრო ორგანიზაციას წარმოადგენდა. მას ჰქონდა თავისი სამმართველო აპარატი. მონასტრის სათავეში იდგა წინამძღვარი – არქიმანდრიტი. სამონასტრო ყმა-მამულს განაგებდა საშემოქმედლოს მოურავი. იგი საერო პირი გახლდათ. ამ თანამდებობას ნაკაშიძეთა საგვარეულო ფლობდა. მონასტრის საეკლესიო ქონება (ბარძიმი, ფეშხუმი, სამოსელი და სხვ.) კანდელაკს ებარა. შემოქმედელ მიტროპოლიტებს ჰყავდათ ქორეპისკოპოსები ანუ მეომვორეები.

შემოქმედის მონასტერი მდიდარ მამულებს ფლობდა. საყანე მიწები ჰქონდა მდ. სუფსის პირას ხაშიაში, საიდანაც ყოველწლიურად შესდიოდა სამოცი ქილა ღომი და სიმინდი. ვენახიანი მამულები თერთმეტ სხვადასხვა ადგილას იყო გაშენებული. შემოქმედის კუთვნილ ტყეში მონადირებული ირმებისა და ღორების ნახევარი მონასტერს ეკუთვნოდა. სამონასტრო გლეხებისაგან წლიური შემოსავალი შეადგენდა თოთხმეტ ღორს, ან თხას, ხუთას ქათამს, ასოთხმოც ქილა ღომს და ოთხას საწყავ ღვინოს, ორბათმან სანთელს და ხუთ მინალთუნ თეთრს. შემოქმედის კუთვნილი 68 კომლი აზნაური და აზატი ყოველ მესამე წელიწადს იხდიდა ორმოცდაათ ქილა ღომს, ორმოცდაათ საწყავ ღვინოს და ორმოცდაათ ქათამს (54,20v).

შემოქმედში მრავალი ძვირფასი ხატი და საეკლესიო ინვენტარი იყო დაცული. მათი უმრავლესობა ადგილობრივ იყო მოჭედილი, ნაწილი კი საქართველოს სხვა კუთხეებიდან (ძირითადად სამცხე-საათაბაგოდან) გადმოხიზნული (1,109-134).

შემოქმედის მონასტერში ინახებოდა გიორგი გურიელისა და ელენე დედოფლის შეწირული მაცხოვრის ოქროს ხატი; ვახტანგ I გურიელის მეუღლის, დედოფალ თამარის შეწირული ღვთისმშობლის ოქროს ხატი. ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ხატის გარშემო დაკრული იყო სხვადა-

სხვა დროს შესრულებული ჩვიდმეტი ფირფიტა სახარებისეული სცენებითა და წმინდანების გამოსახულებებით. ფრიად საინტერესოა ვერცხლის ხატი 12 მოციქულის გამოსახულებით. ამ ხატის შუაგულში მოთავსებულია ღვთისმშობლის ჩასადგმელი ოქროს ხატი 24 ძვირფასი თვლით. მამია I გურიელისა და დედოფალ თინათინის შეწირული. მასზე დატანილი წარწერის თანახმად ყოველ ახალ წელს, მეკვლეობას, ამ ხატს მთავართან მიასვენებდნენ, ამგვარადვე ულოცავდნენ აღდგომას. ხატი ოქრომჭედელ ივანე ნიქრიძეს შეუსრულებია 1601 წელს. მამია I და დედოფალ თინათინის შეწირული იყო მაცხოვრის ოქროს ხატი. შემოქმედში იყო დაცული სოფ. გიგოეთიდან გადმოსვენებული წმ. დემეტრეს მოოქრული ვერცხლის ხატი, სპონიეთიდან გადმოსვენებული მოოქრული ვერცხლის ხატი ღვთისმშობლისა, წმ. გიორგის ხატი ამაღლებიდან, წმ. გიორგის ოქროს ხატი, რომელსაც საინტერესო წარწერა აქვს „წმიდის გიორგის ხორხი და ძვალი". როგორც ჩანს ამ ხატში წმიდა ნაწილები იყო დაცული. საეკლესიო ინვენტარიდან აღსანიშნავია ნიკოლოზ შემოქმედელის განახლებული ოქროს ბარძიმი 46 ძვირფასი ქვით, ოქროს ფეშხუმი, ოქროს მასიური დაფარნა და ჯვრის მტვირთველის მიერ სამწყსოში გამოსასვენებელი ჯვარი, მოოქროულ ვერცხლის ბურთულაზე 46 ძვირფასი ქვით, XVI-XVII საუკუნეების ვერცხლით მოჭედილი სახარების ყდები.

XVI-XVII საუკუნეებში შემოქმედში თავი მოიყარა მესხეთის ზარზმის უძვირფასესმა ნივთებმა. ზარზმა ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა და აქ შექმნილმა ჭედური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებმა საბოლოოდ გურიაში დაივანა. მათგან, უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ წმიდათაწმიდა ზარზმის ტაძრისა ფერისცვალების ხატი. იგი დღემდე შემორჩენილ ქართულ ხატებს შორის უძველესია და 886 წლით თარიღდება.

ზარზმიდან გადმოსვენებული მეორე სიწმინდე გახლდათ ლაკლაკიძეთა ღვთისმშობლის ხატი – XI საუკუნის ქართული ოქრომჭედლობის შედევრი. აღსანიშნავია 1008 წლის ვერცხლის ფირფიტა, თამარ ხურციძის შეწირული ღვთისმშობლის ოქროს ხატი 87 ძვირფასი თვლით შემკული, ვერცხლის ჯვარი გაბრიელ ხურციძის შეწირული, მაცხოვრის ფერისცვალების ოქროს ხატი, რომელიც კანდელაკმა იესემ განაახლა, ვერცხლის ბარძიმი ორი ფეშხუმით, სამწერობელნი. სამცხე-საათაბაგოს სხვა ეკლესიებიდან გადმოუსვენებიათ მოოქრული ვერცხლის ჯვარი, ღვთისმშობლის ოქროს ხატი 32 ძვირფასი თვლით შემკული,

მღვდელმთავრის კვერთხი ოქროსა და ვერცხლისაგან დამზადებული 117 ძვირფასი თვლით და შესანიშნავი სიფაქიზით ნაკეთები წვრილმოზაიკური ჯვარცმით, ღვთისმშობლის მოოქრული ვერცხლის ხატი, რომელიც ქაიხოსრო გურიელს 700 მარჩილად შეუძენია და საათაბაგოდან ჩამოუსვენებია. ხატი წმინდა ნაწილებით ყოფილა შემკული, მაგრამ დაზიანებულა. იგი ჯერ იაკობ შემოქმედელს, ხოლო შემდეგ ნიკოლოზ შემოქმედელს განუახლებია. გიორგი გურიელსა და ელენე დედოფალს განუახლებია კავკასიძეთა დაკვეთით ოქრომჭედელ გრიგოლის შესრულებული ღვთისმშობლის ტრიპტიხი. ხატი აჭარელმა მაჰმადიანებმა გაძარცვეს და ძვირფასი თვლები მოიპარეს, მასზე მხოლოდ 26 ცარიელი ბუდეა დარჩენილი. შემოქმედში მრავლად ყოფილა დაზიანებული საეკლესიო ნივთები. ხატებზე აგლეჯილ ქვებს შორის აღმოჩნდა უამრავი იაგუნდი, ზურმუხტი, ფირუზი, ალმასი და მარგალიტი.

შემოქმედი, როგორც ერთ-ერთი უმდიდრესი მონასტერი მძარცველთა ხელს ვერ გადაურჩა. 1828 წელს შემოქმედის არქიმანდრიტი არსენი აღნიშნავდა: „ზედა დასხმისაგან უსჯულოთა აგარიანთა მრავალი ეკლესიის ნივთთაგანი დაკარგულნი არიან" (54,18r). 1861 წელს მაჰმადიან აჭარლებს გაუძარცვავთ მონასტერი. მართალია, მოპარული ნივთები წაურთმევიათ, მაგრამ ბევრი მათგანი უკვე საკმაოდ დაზიანებული ყოფილა. ამასთან დაკავშირებით თ. სახოკია შენიშნავდა: „მათი კვალი ახლაც ატყვია შემოქმედის მონასტერში დაცულ ხატებს: ზოგს თვალები აქვს დათხრილ-დაჩიჩქნილი, ზოგს თვალ-მარგალიტი აქვს ამოგლეჯილი ბუდიდან" (167,53). 1873 წელს შემოქმედი მოინახულა და მისი განძეულობა აღწერა დ. ბაქრაძემ, ხოლო 1889 წელს ნიკომიდე კონდაკოვმა. ამ დროისათვის შემოქმედის მონასტრიდან 8 ხატი უკვე დაკარგული იყო.

1919 წლის 6 აპრილს გაზ. „საქართველოში" გამოქვეყნებული კორესპონდენცია შემოქმედის გაძარცვას იუწყებოდა. „მთელი სიმდიდრე, 30 მილიონ მანეთად ღირებული: პატიოსანი თვლებით მოოჭვილი მიტრა, ძველი ხატები, ოქროქსოვილები სულ ჩაუტანიათ ბათუმს და იქიდან ოსმალეთში გაუგზავნიათ" (113,2).

შემოქმედიდან გატანილი ძვირფასეულობა უცხოელი კოლექციონერებისა თუ მუზეუმების კუთვნილება გახდა. შემოქმედის ჯვარ-ხატები და სხვა საეკლესიო ნივთები მრავლად იყო ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1921 წელს გატანილ ქართულ საგანძურში. საბედნიეროდ ისინი დალუპვას გადაურჩნენ და დღეს კვლავ საქართველოს კუთვნილებას წარმოად-

გენენ. საქართველოში დაბრუნებული შემოქმედის სიძველენი სრულად აღნუსხა შალვა ამირანაშვილმა (126,47-48).

გარდა იმისა, რომ XIX საუკუნეში შემოქმედის მონასტერმა დაკარგა პირველი განძეულობა, თვით ტაძარიც კატასტროფულ მდგომარეობაში ჩავარდა. პრესაში გამუდმებით იბეჭდებოდა წერილები შემოქმედის სავალალო მდგომარეობის შესახებ. დარაჯების გაუგონარი საქციელის გამო მრავალი ფრესკა დაიღუპა. ისინი მონასტრის დასავლეთ მინაშენში ბუხრის უქონლობის გამო შუაგულ ოთახში ანთებდნენ ცეცხლს გასათბობად. მჭვარტლმა ფრესკები ისე შემურა, რომ რაიმეს გარჩევა ჭირდა (106,1). ამას ემატებოდა წვიმის წყალი. წვიმა ყველგან ატანდა, მხატვრობა სულ ჩამოირეცხა, ეკლესიის ნივთები დანესტიანდა. 1897 წელს შემოქმედი მოინახულა თ. სახოკიამ. იგი წერდა: „წვიმას თავისუფლად უდენია და კედლები ისე დამსკდარა, რომ მათი შეკეთება და განახლება შეუძლებელია. ამ უკანასკნელ ხანს როგორც იყო, ყავრით გადაუხურავთ, მაგრამ ამით ბევრი ვერაფერი შველებია გაფუჭებულ საქმეს“ (167,52). იმავე წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული კორესპონდენცია იუწყებოდა: „საჭიროა ამ სასიქადულო ნაშთს ძველის დიდებისას სათანადო ყურადღება მიაქციონ, რომ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ყველას თვალწინ არ დაირღვეს ჩვენთა წინაპართა ნაამაგევი“ (120,2). როგორც ჩანს ეს მონოდება მხოლოდ ფურცელზე არ დარჩენილა. მოგვიანებით იმავე გაზეთში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ბატონ ნიკო გალოგრეს ორასი მანეთი შეუწირავს შემოქმედის მონასტრის შესაკეთებლად.

შემოქმედის ეპარქიაში კათედრალური ცენტრის გარდა 45 ეკლესია-მონასტერი არსებობდა. მათი ნუსხა 1828 წელს შეადგინა შემოქმედის არქიმანდრიტმა არსენ მგალობლიშვილმა. ჩვენ მოვიტანთ ამ ნუსხას (54, 128-131v). რომელ ძეგლებზეც მოვახერხეთ ცნობების შეკრება შედარებით ვრცლად განვიხილავთ და შევნიშნავთ, რომ ჩამოთვლილი ეკლესიებიდან ნაწილი დღეს განადგურებულია.

1. აჭი. აჭის წმინდა გიორგის ეკლესია (ოზურგეთის რ-ნი) მდ. აჭისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. იგი დარბაზული ტიპისაა და ნაგებია კარგად გათლილი ქვის სწორი კვადრებით. დასავლეთ და სამხრეთ კარის თავზე მოჩუქურთმებული ჯვრებია გამოსახული. სამხრეთ კარის თავზე ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა: „წმიდაო გიორგი, მეოხ ექმენ პატრონთ სალირს რატის და უშანიანს და მეოხ ექმენ ნიკოლოზ აჭიელსა და გალატოზთა მიქელს და მჯეციძესა“ (12,24).

ამ წარწერიდან არ ირკვევა ეკლესიის აგების თარიღი, მხოლოდ ქტიტორთა სვანური სახელით მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ საქმე უნდა გვქონდეს სვანთა ერისთავების გურიაში დამკვიდრების პერიოდთან. არქიტექტურული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ აჭში მეორდება XI-XII საუკუნის მოტივები, მაგრამ მასში არის XIII საუკუნისთვის დამახასიათებელი ახალი სტილისტიკური ნიშნებიც (193,14). ხელოვნებათმცოდნეები აჭს XIII საუკუნის მიწურულით ათარიღებენ.

ეკლესია მოხატულია. წარწერები ფრესკებზე მეტწილად ბერძნულად არის შესრულებული. ფრესკებზე დაკვირვებით განირჩევა ოთხი მხატვრის ხელი. ერთ-ერთი ფრესკის წარწერა იხსენიებს ონისიმე ტრაპიზონელს, რომელიც დ. ბაქრაძის აზრით მხატვარი უნდა ყოფილიყო (1,95). მართლაც, ფრესკების ნაწილი კავშირს პოულობს ტრაპიზონის ხელოვნების ტრადიციებთან. აჭის მხატვრობაში ჭარბობს ოქროსფერი, წითელი და ნათელი მწვანე ტონები, რომელიც ჰარმონიულადაა შერწყმული მონაცრისფრო-ცისფერ ფონთან. სახეების წერის მანერა მას XIII საუკუნის მიწურულს პალეოლოგოსთა ხანის ძეგლებთან აახლოებს. ამავე დროს ჩანს ორგანული კავშირი ქართულ-იკონოგრაფიულ ტრადიციებთან. აჭის ფერწერა ერთ-ერთი ის უკანასკნელი ძეგლთაგანია, რომელშიც ჯერ კიდევ ჩანს ოსტატობის მაღალი დონე და განსხვავდება შემდგომი ხანის პრიმიტიული მოხატულობისაგან.

აჭის ეკლესიის მიმართ გურიის მთავრები განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ. სვიმონ II გურიელმა აჭი სანინამძღვროდ აქცია (38,662-663). ქაიხოსრო I მას უხვი შეწირულობა უბოძა და შემოქმედის მეტოქად-ჰყო (38,667). აჭის წინამძღვრობა მინიჭებული ჰქონდათ სალუქვაძე-თაყაიშვილების საგვარეულოს (1,97). მათგან აღსანიშნავია XVII საუკუნეში მოღვაწე წინამძღვარი იოსებ თაყაიშვილი, რომელიც შემდგომ შემოქმედის მიტროპოლიტი გახდა. მას განუახლებია ვერცხლით მოჭედილი ჯვარცმის ხატი და მხატვარ იობისა და ოქრომჭედელ გრიგოლის შესრულებული წმ. გიორგის მოოქრული ვერცხლის ხატი (1,96).

2. ლიხაური. ლიხაურის, ძველად რეხუელად ან ლეხუერად წოდებული ეკლესია მდებარეობს ოზურგეთის რაიონის ამავე სახელწოდების სოფელში. იგი რაიონული ცენტრიდან სამხრეთით 5-6 კმ-ით არის დაშორებული. ლიხაური გურიის სამთავროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. აქ იყო მთავრის საზაფხულო სასახლე და კარის ეკლესია (167,96). აგრეთვე ციხე-სიმაგრე, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი იხსენიებს თავის თხზულებაში. (8,791). ციხე აკონტროლებდა

ქობულეთიდან შემოსასვლელ გზებს და ამდენად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ლიხაურის ღვთისმშობლის ეკლესია სოფლის ცენტრში შემაღლებულ ბორცვზე დგას, რომლის ირგვლივ სასაფლაოა. ეკლესიის გვერდით სამრეკლოა აღმართული. დ. ბაქრაძის ცნობით, ეკლესიის მცირე ქვის ერთი მხრიდან იცავდა ქვის გალავანი, რომელშიც სამრეკლო იყო დატანებული, (1,107) ამჟამად ეს გალავანი აღარ არსებობს.

ეკლესია დარბაზული ტიპის ნაგებობაა, დასავლეთიდან მიშენებული აქვს კარიბჭე, რომელიც მოგვიანებით უნდა იყოს მიდგმული. ეკლესიას ეტყობა გადაკეთებათა კვალი. საშენ მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის კარგად გათლილი, მონაცრისფრო კვადრები, სახურავისთვის კი – ორფერდა კრამიტი.

ეკლესიას სამშენებლო წარწერა არ გააჩნია. ამდენად მისი აგების შესახებ პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება. დ. ბაქრაძე და ექ. თაყაიშვილი თვლიდნენ, რომ ტაძარი XIV საუკუნეს ეკუთვნოდა, ეყრდნობოდნენ რა ლიხაურში დაცულ ღვთისმშობლის ხატის წარწერას, რომელიც შემდეგი შინაარსისაა: „ქ. მ. ყ(ოვლა)დ წ(მიდა)ო მეოხ და მფ(ა)რვ(ე)ლ ექმ(ენ) პ(ა)ტრონსა კ(ა)ხ(ა)ბ(ე)რს და მ(ი)სსა მ(ე)უ(ღლე)სსა ვიოქს ჩნნ და მ(ი)სს მშენებ(ე)ლსა ...ვსდ... მსმნრქე" (1,99) დ. ბაქრაძის აზრით წარწერის შინაარსის მიხედვით „ქ.მ." ანუ ქორონიკონი „მ" არის 1352 წელი, როდესაც კახაბერს აუგია ლიხაურის ეკლესია. ექვთიმე თაყაიშვილი ოდნავ განსხვავებულად კითხულობდა წარწერას: „ქორონიკონი მ ყოვლად წმიდაო, მეოხ დამფარველ ექმენ პატრონს კახაბერს და მისსა მეუღლესა სავჩუქს, ამინ და ამის მაშენებელსა თავს (?) და მის მონას მიქე(ლს)" (12,28). იქვე აღნიშნავს, რომ წარწერის ქორონიკონი „მ" უჩვენებს 1352 წელს, ამ დროს მიაწერენ ლიხაურის ეკლესიის აშენებასო (12,28). თ. ჟორდანიას ეჭვი შეჰქონდა წარწერის ამგვარ წაკითხვაში და ქარაგმებს „ქ.მ." კითხულობდა, როგორც „ქ" „ფ" ანუ „ქრისტიანე ჰოი". იგი თვლიდა, რომ წარწერაში მოხსენიებული კახაბერი XV საუკუნის მოღვაწეა, ამიტომ მას არასწორად მიაჩნდა ლიხაურის ტაძრის აგების 1352 წლით დათარიღება (44,183). ამგვარ მოსაზრებებს თავად დ. ბაქრაძემ დაუდო სათავე, როდესაც ლიხაურის ხატის წარწერაში მოხსენიებული კახაბერი გააიგივა შემოქმედის მაცხოვრის ხატის წარწერაში მოხსენიებულ კახაბერთან. ეს პირები სხვადასხვა პერიოდში მოღვაწეობდნენ. ლიხაურის მაშენე-

ბელი კახაბერ I XIV საუკუნეში მართავდა გურიას, ხოლო კახაბერ II – XV საუკუნეში.

ლიხაურის ტაძრის დათარიღებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ხელოვნებათმცოდნეების დასკვნას ენიჭება. ინა გომელაურმა დეკორატიული მორთულობის ანალიზის საფუძველზე, ეკლესია XIII საუკუნის II ნახევრით დაათარიღა (89,27). ამ ეპოქისათვის დამახასიათებელია სამშენებლო კულტურის ერთგვარი დაქვეითება, რაც გამოწვეული იყო საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისით. მართალია, ხუროთმოძღვრები კვლავ იმეორებენ XI-XIII საუკუნის I ნახევრისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, მაგრამ აშკარად იგრძნობა ოსტატობის დაქვეითება და ნაგებობათა ნაწილების მთელისადმი დაქვემდებარების მექანიკური მიდგომა. ეს ტენდენცია ნათლად ჩანს ლიხაურის ეკლესიის საერთო სახეში და მის დეტალებშიც. კერძოდ, ირღვევა ფასადთა გაფორმების კომპოზიციური სრულყოფა. ჩნდება ე. წ. „ჩაძირული" პროფილი, როცა სარკმელთა მოჩარჩოების ჩუქურთმები ჩაჭრილია კედლის სიბრტყეში და ამ სიბრტყესთან გასწორებულ პროფილს ქმნიან. ორნამენტები მკვეთრად გეომეტრიზირებულ ფორმებს ატარებენ, თუმცა ლიხაურის ეკლესიაში ჯერ კიდევ შემორჩენილია XI-XIII საუკუნის I ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ორნამენტები. ყოველივე ამის საფუძველზე ხელოვნებათმცოდნე გია ჭანიშვილი ასკვნის: „ლიხაურის ეკლესია უფრო ახლოს დგას XIII საუკუნის I ნახევრის ძეგლებთან და საშუალედო ადგილი უკავია მათსა და XIII-XIV საუკუნეთა მიჯნის ეკლესიებს შორის" (176,11). ამდენად, ლიხაურის ეკლესიის მშენებლობის დაკავშირება XIV საუკუნეში მოღვაწე კახაბერ გურიელთან გამორიცხულია. მკვლევარის აზრით, ლიხაურის ამშენებელი შესაძლოა იყოს მარუშიან ვარდანისძე, რომელსაც იხსენიებს ლიხაურში დაცული წმ. იაკობის ხატის წარწერა. მარუშიან ვარდანისძე XII-XIII საუკუნეებში, თამარის ეპოქაში მოღვაწე პირი ჩანს. ძეგლის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ზემოხსენებულ კახაბერს ეკლესიის სტოა აუგია (176,12).

მოგვიანო პერიოდისაა ლიხაურის ეკლესიის სამხრეთ ფასადიც, რომელიც მორღვეულია და ქვითა და აგურით აღუდგენიათ. მასზედ დატანებული სარკმლები გვიანი შუასაუკუნეების ტიპიურ ნიმუშებს წარმოადგენს და იდენტურია ასევე აღდგენილ, ჯუმათის სამხრეთ ფასადის სარკმლებისა, რაც თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ ლიხაურსა და ჯუმათში აღდგენითი სამუშაოები ერთი და იგივე პირს უწარმოე-

ბია. დ. ბაქრაძის აზრით, ჯუმათში აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარებიათ გიორგი IV გურიელსა და დედოფალ ხვარამზეს. ისინი XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ცხოვრობდნენ, რაც სრულიად შეესაბამება ლიხაურის სამხრეთ ფასადის ხასიათსაც.

ლიხაურის ეკლესია მოხატული იყო, მაგრამ მოხდა პარადოქსული რამ, მრავალ განსაცდელს გადარჩენილი ფრესკები, რამდენიმე წლის წინ მოხატულობის განახლების მიზნით ჩამოფხიკეს.

ეკლესიის დასავლეთით, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, აგებულია ორსართულიანი სამრეკლო. სტილისტიკური ნიშნებით იგი XV-XVI საუკუნის ნიმუშებს უკავშირდება (89,28). სამრეკლოს ქვედა სართული თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი, განსხვავებით მეორე სართულისაგან. ნაგებია ბაცი ნაცრისფერი მაგარი ქვით. დ. ბაქრაძის მიერ აღწერილი ყურძნის მტევნებისა და ფოთლების გამოსახულებანი სამრეკლოს არ შემორჩენია.

ლიხაურის ტაძარში ინახებოდა ტყავზე ნაწერი XI საუკუნის ოთხთავი. აქვე იყო დასვენებული მაცხოვრის XI საუკუნის ოქროს ხატი (194,134) XII-XIII საუკუნეების წმ. იაკობის ოქროს ხატი, XII-XIII საუკუნეების ტრიპტიხი პეტრე და პავლე მოციქულებისა და მთავარანგელოზების გამოსახულებით, XIV საუკუნის ღვთისმშობლის ვერცხლის ხატი, XVII-XVIII საუკუნეების ღვთისმშობლის მოოქრული ვერცხლის სასწაულთმოქმედი ხატი, რომელსაც „საზაროს" უწოდებდნენ. ამ ხატის წინაშე ხალხი ფიცს დებდა. თუ ვინმე ტყუილად დაიფიცებდა ღვთისმშობელი შერისხავდა და ზარს დაცემდა, სახელწოდებაც აქედან მიუღია ხატს. ტაძრის მახლობლად მდგარა მუხის ხე. აქ ხატზე გადასაცემად მოდიოდნენ. თ. სახოკია ასეთ ჩვეულებას აგვიწერს: „ჩაარჭობდნენ თურმე ლურსმანს ძირამდე და იტყოდნენ: ლეხოურის ღვთისმშობელო, ამას და ამას (სახელი და გვარი) მანამდე ნუ მისცემ ხსნასა და შვებას, სანამ კბილით არ ამოიღოს ეს ლურსმანი ამ მუხიდანო" (167,75). ცხადია ეს ჩვეულება წარმართობის გადმონაშთი გახლდათ.

ლიხაურის ეკლესიის სამრევლო 60 კომლს აერთიანებდა, მაგრამ XVIII საუკუნის მიწურულს ოსმალთა თარეშს იმდენად შეუწუხებია მოსახლეობა, რომ სხვა ეკლესიას შეხიზვნია და 40 კომლი წმ. გიორგის ტაძრის (უცნობია რომელი თ. ქ.) მრევლში გადასულა (54,130r).

3. ექადია. ექადიას წმ. გიორგის ეკლესია მდებარეობს ქ. ოზურგეთიდან დაახლოებით 1-1,5 კმ-ის დაშორებით, ამავე სახელწოდების სოფლის სასაფლაოს ტერიტორიაზე. იგი არასრული სახით არის შემორ-

ჩენილი. ტაძარი დარბაზული ტიპისაა და თავისუფალ ჯვარს წარმოადგენს. დაახლოებით X-XI საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს. მოგვიანებით, ჩრდილოეთით და სამხრეთით მიუშენებიათ მკლავები. გვიანდელი გადაკეთების კვალი ეტყობა ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილსაც. ძველი ეკლესიიდან გადარჩენილია დასავლეთის კედელი, ასევე ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლის ნაწილი სარკმლებითურთ.

XVIII-XIX საუკუნეებისათვის ექადიას ეკლესიას საკმაოდ მრავალრიცხოვანი მრევლი ჰყავდა. მის სამრევლოში 70 კომლი შედიოდა.

4. ბასილეთი – წმ. ბასილის ეკლესია, ნაგები ხით. აქ ინახებოდა მოოქრული ვერცხლის ჭედური ხატები, რომელიც გადმოცემის თანახმად სამცხეში ისლამის გავრცელების შემდეგ ჯერ ქობულეთში გადმოუსვენებიათ, შემდეგ კი ბასილეთში ჯაშების საგვარეულოს წარმომადგენლებს (1,177). ბასილეთის ეკლესიის სამრევლოში 27 კომლი შედიოდა.

5. ვანისქედი – იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, ნაგები ქვით. გარშემო ქვის გალავნით. აქ ინახებოდა ვრცელი და მოკლე ჟამნ-გულანები (1,170). მის სამრევლოში შედიოდა 90 კომლი. ოქროსქედი და ვანისქედი შედიოდა ერკეთის თემში, რომელიც მამია IV გურიელმა 1764 წელს გადასცა ზაალ ერისთავს (14,520).

6. მელიქედური – იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია ნაგები ხით. როდის აშენდა იგი არ ვიცით. ერთ-ერთი მარხვანის მინაწერში, რომელიც მღვდელ გიორგი ჯაყელს გადაუწერია, აღნიშნულია, რომ მელიქედურის ნათლისმცემლის ტაძარი ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო ნამხდარი და აოხრებული იყო. გიორგი ჯაყელს საკუთარი თავი შეუწირავს საყდრისათვის. გიორგი გურიელის შემწეობით აუგია ეკლესია, რომლისთვისაც შეუწირავს ოთხთავი, სახარება, სამოციქულო, პარაკლიტონი, მარხვანი, ზატიკი, კამარა, ბარძიმი, ფეშხუმი, ოცდარვა მორჩილის რუსული ოდიკი. როგორც ჩანს შეწირული წიგნების უმრავლესობა მის მიერ იყო გადაწერილი (72, ყდის საცავი ფურცლის ქვედა მხარე). როდის მოღვაწეობდა გიორგი ჯაყელი, ან რომელი გიორგი გურიელი შეეწია მას, არ ვიცით. ხელნაწერი XVI-XVII საუკუნეებით არის დათარიღებული. ზემოხსენებული პირები ალბათ XVII საუკუნის მოღვაწეებად უნდა მივიჩნიოთ. ჯაყელების გვარი სამცხე-საათაბაგოს მიტაცების შემდეგ დამკვიდრდა გურიაში. ამასთანავე, მინაწერში ნახსენებია რუსული ოდიკი. გურიის სამთავროშ კი რუსეთთან კავშირი XVII საუკუნიდან დაამყარა.

7. მელიქედური – წმ. გიორგის ეკლესია ნაგები ხით. მისი სამრევლო 33 კომლს აერთიანებდა.

8. ოქროსქედი – მთავარანგელოზთა ეკლესია, ნაგები ქვით. მის სამრევლოში შედიოდა 55 კომლი.

9. მთისპირი – წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები ქვით. მის სამრევლოში შედიოდა 63 კომლი.

10. მთისპირი – იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია ნაგები ხით. სამრევლოში 12 კომლი შედიოდა.

11. ფამფალეთი – წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები ხით. სამრევლო 36 კომლს აერთიანებდა.

12. ბახვი – ღვთისმშობლის შობის ეკლესია. ნაგები ქვით. მის სამრევლოში შედიოდა 83 კომლი.

13. ვაკისჯვარი – წმ. გიორგის ხის ეკლესია, სამრევლო 35 კომლს აერთიანებდა.

14. სტეფანეწმინდა – წმ. სტეფანეს სახელობის ხის ეკლესია, 36 კომლიანი სამრევლოთი.

15. უჩხობი – წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები ხით. ჰქავდა 38 კომლიანი სამრევლო. უჩხობში იყო მთავრის სასახლე.

16. კოტიზეთი – წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები ხით. მის სამრევლოში 50 კომლი შედიოდა.

17. კარისყურე – წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები ხით. სამრევლო 20 კომლს აერთიანებდა.

18. გორისფერდი – წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები ხით, თუმცა ძველად ის ქვით იყო აშენებული. XX საუკუნის დასაწყისში აქ შემორჩენილი იყო ძველი ეკლესიის ნაშთები, რომელზე დაკვირვებითაც ე. თაყაიშვილი ასკვნიდა, რომ ტაძარი თავის დროზე გუმბათიანი უნდა ყოფილიყო. ამასთანავე, შემორჩენილი ყოფილა კანკელის ფრაგმენტები, რომელზეც გამოსახული იყო სახარების სცენა. გორისფერდში დარჩენილი ქვების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ გორისფერდის ეკლესია საუკეთესო ყოფილა გურიაში. მის სამრევლოში 45 კომლი შედიოდა.

19. წითელი მთა – წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები ხით. 26 კომლიანი სამრევლოთი.

20. დუაბზუ – წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები ქვით. მის სამრევლოში 68 კომლი შედიოდა.

21. ბახუაური – წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები ხით, გარშემო ქვის გალავანი. სამრევლოში 33 კომლი შედიოდა.

22. ჭალა – მთავარანგელოზთა ეკლესია, ნაგები ხით. სამრევლო 40 კომლს აერთიანებდა.

23. კვირიკე – წმ. კვირიკეს ეკლესია ნაგები ქვით. მოთარეშე ოსმალებს გუმბათი და ეკვდერები დაუნგრევიათ. მის სამრევლოში 17 კომლი შედიოდა, მაგრამ დარბეულ მოსახლეობას სხვა ეკლესიის სამრევლოსთვის შეუფარებია თავი.

24. მაკვანეთი – მთვარანგელოზთა ეკლესია, ნაგები ხით. გარშემო ქვის გალავნით. მის სამრევლოში 58 კომლი შედიოდა.

25. ჭანიეთი – მთავარანგელოზთა ეკლესია, ნაგები ხით. აქ ინახებოდა ღვთისმშობლის ვერცხლის ხატი, რომელსაც როგორც მისი წარწერა მოგვითხრობს ამაგრებდნენ ტარზე და დროშის სახედ იყენებდნენ. წარწერაში მოხსენიებულია დედოფალი რუსუდანი, რომელიც სავარაუდოდ, იყო და მეფე გიორგი II-ისა და თამარ მეფის მამიდა (1,94). ჭანიეთის სამრევლოში 75 კომლი შედიოდა.

26. ქაქუთი – მაცხოვრის ეკლესია, ნაგები ხით. იგი თავდგირიძეთა მამულში მდებარეობდა. აქ დაუკრძალავთ გიორგი თავდგირიძე, რომელიც დ. ბაქრაძის აზრით XVIII საუკუნის დასასრულს, გიორგი III გურიელის დროს მოღვაწე ცნობილი პიროვნება უნდა იყოს (1,93). მას ეკლესიისათვის შეუწირავს მოოქრული ვერცხლის ხატი მაცხოვრისა. აქ ინახებოდა პაატა ბოლქვაძის მიერ მოჭედილი ვერცხლის ფეშხუმი. ქაქუთის სამრევლო 19 კომლს მოიცავდა.

27. გურიამთა – ღვთისმშობლის ეკლესია, ნაგები ქვით. მის სამრევლოში 50 კომლი შედიოდა. მ. ბროსე აღნიშნავდა, რომ ბეჟან ნაკაშიძეს 1720 წელს ეკლესიისათვის შეუწირავს გარდამოხსნა. თუმცა დღეს იგი აღარ არსებობს (132-53).

28. პატარა ბაილეთი – წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები ხით. მის სამრევლოში შედიოდა 8 კომლი.

29. კახური – წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები ხით. მისი სამრევლო 25 კომლს აერთიანებდა.

30. მონასტერი – მთავარანგელოზთა ეკლესია, ნაგები ხით. მისი სამრევლო 86 კომლს აერთიანებდა.

31. ზედობანი – მთავარანგელოზის ეკლესია, ნაგები ქვით. მისი სამრევლო მოიცავდა 51 კომლს.

32. ვაკე – ღვთისმშობლის ეკლესია, ნაგები ქვით. სამრევლოში 13 კომლი შედიოდა.

33. ხრალეთი – მთავარანგელოზთა ეკლესია, ზღვის მახლობლად, ნაგები ქვით. სამრევლოში 9 კომლი შედიოდა.

34. მიქელგაბრიელი – მთავარანგელოზთა ეკლესია, ზღვის მახლობლად, ნაგები ქვით. მისი სამრევლო მოიცავდა 31 კომლს.

35. სამღთო – ნათლისმცემლის ეკლესია ზღვის მახლობლად, ნაგები ხით. მისი სამრევლო 50 კომლს აერთიანებდა.

36. გოგორეთი – წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები ხით. სამრევლოში 60 კომლი შედიოდა.

37. ახალსოფელი – წმ. ნიკოლოზის ეკლესია, ნაგები ქვით. მისი სამრევლო 15 კომლს მოიცავდა.

38. კონჭკათი – წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები ქვით. მის სამრევლოში 8 კომლი შედიოდა.

39. გომი – ნათლისმცემლის ეკლესია, ნაგები ხით, გუმბათიანი. მისი სამრევლო 20 კომლს აერთიანებდა, მაგრამ ოსმალებს აუოხრებიათ ეკლესია. მოსახლეობა კი სხვა ეკლესიის მრევლში გადასულა.

40. სურები – წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები ხით. მისი სამრევლო 29 კომლს მოიცავდა.

41. სურები – მაცხოვრის ეკლესია, ნაგები ქვით. მისი სამრევლო 20 კომლს მოიცავდა.

42. სურები – წმ. გიორგის ეკლესია ლომისკარელად იწოდება. მის სამრევლოში 24 კომლი შედიოდა. იგი ერისთავ შარვაშიძეების კუთვნილებას წარმოადგენდა. დავით შარვაშიძემ და მისმა ძმამ ზაალმა წმ. გიორგის ლომისკარელის სამწყსო უბოძა ტრაპაიძეებს. ანიზდარ ტრაპაიძეს მოუჭედინებია თუ განუახლებია ლომისკარელის ჯვარი (1,191) ლომისკარელში ინახებოდა წმ. გიორგის ხატი, რომელიც მთელ გურიაში სახელგანთქმული იყო. თუ ვინმე დაკარგავდა რაიმეს, მომპარავს ხატზე გადასცემდა. „იგი უეჭველად აყვირებს ქურდს. ესე იგი ავად გახდის, ვიდრე ნაქურდალს პატრონს არ დაუბრუნებს. ან დააფიცებენ ლომისკარელზე საეჭვო ადამიანებს და რაც უნდა სულით დაცემული იყოს ადამიანი, სიცრუის დაფიცებას ვერ გაბედავს" (107,4). შემდგომ

ლომისკარელის სასწაულთმოქმედი ხატი სოფ. ციხეში მოხვედრილა. ათეიზმის ბატონობის პერიოდში, როდესაც განსაკუთრებული სისასტიკით შეურაცხყოფდნენ საეკლესიო სიწმინდეებს, ხატი ჩოხატაურში ნაუსვენებიათ, სადაც აგიტატორმა, შემდგომში ცკ-ს წევრმა თენგიზ ყლენტმა რევოლვერით დაცხრილა. სულ მალე იმავე რევოლვერით მოუკლავთ იგი (91,98).

ჯუმათი. ჯუმათი გახლდათ გურიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ამავე სახელწოდების საეპისკოპოსოს კათედრალური ცენტრი. იგი ოზურგეთიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს დაახლოებით 15 კმ-ის დაშორებით. ტაძარი აღმართულია ჩოხატაურის ქედის ერთ-ერთ თხემზე, კერძოდ ჯუმათის მთაზე, რაც შესანიშნავ პანორამას უქმნის მონასტერს. ჯუმათის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: „ლანჩხუთის სამხრით წარმოვალს მთა საჯავახოს მთიდამ დასავლეთად და სადაც დასწყდების მთა ესე, არის ამ მთის მაღალს თხემსა ზედა ეკლესია ჯუმათის, დიდი გუმბათიანი, დიდშენი, მჭურეტი ზღვისა და გურია-ოდიშისა არამედ ზამთარი გაუსაძლისი და ზაფხული საამო, მშვენი, კეთილჰაეროვანი, ზის ეპისკოპოზი მწყემსი სუფსეის მდინარისა და რიონს შორისის ადგილთა" (8,791). ჯუმათის მონასტერი შემოქმედის შემდეგ ყველაზე თვალსაჩინო როლს ასრულებდა გურიის ისტორიაში. „იგი ჯუმათელ ეპისკოპოსთა მდიდარი და პატივდებული კათედრა იყო. ჰქონდა დიდძალი უძრავი ქონება და ძვირფასი ხატები" (1,217). იგივეს მოგვითხრობს გერმანელი მოგზაური იოჰან გიულდენშტედტი, რომელმაც 1772 წელს იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში. იგი გვამცნობს: „შემოქმედის მონასტრის გარდა მნიშვნელოვანი ადგილები გურიაში არის ჯუმალი (ჯუმათი თ. ქ.) და ხინო" (4,129).

ჯუმათის ეკლესია აქაურ მწყემსმთავართა საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა, ხოლო საზამთრო რეზიდენცია მდ. სუფსის პირას მდებარე სოფ. ბოგირი იყო, როგორც ჩანს ზამთარში უგზოობისა და მკაცრი კლიმატური პირობების გამო შეუძლებელი იყო ეპისკოპოსთა ჯუმათში ცხოვრება, ამიტომ ისინი ბარში ინაცვლებდნენ.

ჯუმათის ხუროთმოძღვრული კომპლექსი მოიცავს: ეკლესიას, გალავანს და კარიბჭე სამრეკლოს, რომელიც გალავნის კედლებშია ჩართული.

ჯუმათელ ეპისკოპოსთა რეზიდენცია იყო მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სახელზე აგებული უგუმბათო ეკლესია. მართალია,

ვახუშტი ბატონიშვილი თავის თხზულებაში მას მოიხსენიებს, როგორც გუმბათიან ტაძარს, მაგრამ აშკარად სცდება. 1737 წელს შედგენილ ლიხთიმერეთის რუკაზე იგი აღნიშნულია, როგორც ერთნავიანი უგუმბათო საყდარი (88,195). ჯუმათი კონსტრუქციით შემოქმედის ტაძარს ჰგავს. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, აღმოსავლეთი ნახევარწრიული აფსიდით. ნაგებია თლილი ქვით. საშენ მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ჯიშის ქვა, ძირითადად: ქვიშა-ქვა, ალაგ-ალაგ კი შირიმია ნახმარი. კედლებზე რამდენიმე სამშენებლო შრე იკითხება. ყველაზე ადრეული ფენა შემორჩენილია ეკლესიის სამხრეთ და დასავლეთ კედელზე. დანარჩენი ნაწილები გვიანდელი გადაკეთების შედეგი უნდა იყოს. დ. ბაქრაძე ვარაუდობს, რომ გიორგი IV გურიელსა (1713-1716, 1717-1726) და დედოფალ ხვარამზეს აქ სამშენებლო საქმიანობა უწარმოებიათ, რის გამოც ისინი გამოუსახავთ ჯუმათის ტაძარში (1,218). მართლაც, ეკლესიას ეტყობა XVIII საუკუნეში ჩატარებული რესტავრაციის კვალი. სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარებიათ 1846 წელსაც და ეკლესია რუხი პორფირით მოუპირკეთებიათ. ამასთანავე, სამხრეთიდან მიუშენებიათ ღვთისმშობლის სახელობის ეკვდერი (1,217). ეკვდერის მიშენებისას, კედლის ამოყვანის დროს, მის მიღმა მოყოლილა ფრესკული მხატვრობა. ამჟამად, მინაშენის კედლის დაზიანების გამო, ძველი მხატვრობა კარგად განირჩევა. აქ გამოსახულია რამდენიმე წმინდა მეომრის ფრესკა, რომელიც ნათელი ტონალობით – ცისფერით, ნარინჯისფერითა და ღვინისფერებით არის შესრულებული და პალეოლოგოსთა სტილს უახლოვდება (142,7). თავად ტაძრის მოხატულობა XVI-XVII საუკუნეებს განეკუთვნება (107,3). მისი ზედა ნაწილი XIX საუკუნეში შეათეთრეს, ქვემო კი ხელუხლებლადაა დარჩენილი.

ეკლესიის დასავლეთით, 1904 წელს მიუდგამთ სამრეკლო. ამას გვაუწყებს გაუნაფავი ხელით, მხედრულად შესრულებული წარწერა. იგი ასე იკითხება: „1904წ. ხელობა ივანე მენაბდისა არქიმანდრიტი ა. გერასიმე დარჩიასაგან" (79,204). ჯუმათის ეკლესიის სამხრეთით, გალავანში დატანილია ნახეთქი ქვით ნაგები ორსართულიანი, კვადრატული სამრეკლო. მას აქვს კარი, თორმეტსაფეხურიანი ქვის კიბე, ექვსარკმლიანი გუმბათი და სამრეკლოს ქვემო ნაწილი გალავნის შესასვლელს წარმოადგენს. სამრეკლომ ჩვენამდე ძლიერ დაზიანებული სახით მოაღწია. ჩვენ შემორჩენილი გვაქვს XX საუკუნის დასაწყისში დ. ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტო, რომელზეც სამრეკლო ჯერ კიდევ სრული, ორსართულიანი სიმაღლით არის დაფიქსირებული. არქიტექტურუ-

ლი შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სამრეკლო მრავალჯერ გადაუკეთებიათ, ამიტომ მისი დათარიღება ძნელია. იგი უფრო ახლოს დგას XV-XVII საუკუნეების სამრეკლოებთან და სტილით ეხმაურება ხობისა და ცაიშის სამრეკლოებს (165,3).

ჯუმათის მონასტერი მძლავრ ფეოდალურ ერთეულს წარმოადგენდა. იგი ფლობდა საკმაოდ მდიდარ მამულებს გურიის სამთავროს სხვადასხვა კუთხეში: ჩიბათში, ჩოჩხათში, შუხუთში, აკეთში, ლანჩხუთში, ასკანასა და გურიამთაში. საკუთრივ მონასტერი მოიცავდა შემდეგ ტერიტორიას. მარჯვნივ საზღვრავდა ლესის წყალი, მდ. ფიჩორი პალიასტომის ტბამდე, მარცხნივ კი მდ. რუხმელა და მდ. სუფსა, ვიდრე შავ ზღვამდე (54,25v).

ჯუმათის მონასტერი ორასოცდათხუთმეტ კომლ გლეხს ფლობდა. ისინი იხდიდნენ 23 ქილა ღომს, 280 სარწყავ ოთხდოქიან ღვინოს, ყოველ სამ წელიწადში თითო ძროხას, 800 ქათამს, 600 კვერცხს და 12 ქილა ლობიოს (54,21r). ვენახიანი მამულებიდან 20 საწყავი ღვინო შესდიოდა მონასტერს. ჯუმათში წელიწადში ორჯერ იმართებოდა ვაჭრობა. XIX საუკუნის დასაწყისში ვაჭრები ორთუმნამდე რაოდენობის ბაჟს იხდიდნენ, რომლის ნახევარიც რუსეთის იმპერატორის ხაზინას ეკუთვნოდა. მდ. სუფსის სანაოსნოდანაც ყოველწლიურად ორი თუმანი ბაჟი შედიოდა, რომლის შემოსავალსაც ასევე ხაზინა იყოფდა. მონასტრის შემოსავალს ემატებოდა საჯუმათლო ტყიდან ნადირი და მდ. მალთაყვის თევზი. ჯუმათელ ეპისკოპოსს ეკუთვნოდა პალიასტომის ტბაში დაჭერილი თევზის მეათედიც. ჯუმათელ მღვდელმთავრებს ბაჟის ასაღებად საგანგებოდ აუგიათ კოშკი მდ. მალთაყვაზე, მაგრამ მღვდელმთავრობის უყოლობის პერიოდში – ჯუმათის საეპისკოპოსოს დაქვრივებისას, იგი სხვებს მიუტაციათ და შესაბამისად შემოსავალიც დაუკარგავთ, ჯუმათის მამულებს კი საერო პირები დასაკუთრებიან.

ჯუმათის მონასტერი მძლავრ კულტურულ-მწიგნობრულ კერას წარმოადგენდა. აქ გადაუწერიათ ჯუმათის გულანი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია (1,230). აქვე ყოფილა დაცული ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშები. დ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ „ჯუმათში ხატები ცოტაა, მაგრამ ფრიად ძვირფასი" (1,218). ჯუმათის მონასტერში ინახებოდა XI საუკუნის ვარდან ვარდანისძის მიერ შეწირული წმ. გიორგის ოქროს ხატი. იგი დიდად იყო სახელგანთქმული მთელ გურიაში თავისი ძალითა და შემწეობით. ხატზე წმ. გიორგი გამოსახულია ქვეითი მეომრის სახით. წმ. გიორგის ამგვარი ფორმით გამოსახვა წინ უსწრებს

გველეშაპთან მებრძოლი წმ. გიორგის კომპოზიციას და გაცილებით ადრინდელია. XI საუკუნე ქართულ ხელოვნებაში ის პერიოდია, როცა სკულპტურული ამოცანების გადაწყვეტა ზუსტდება და მკვიდრდება. ეს ნათლად ჩანს ჯუმათის წმ. გიორგის ხატზე. ამასთანავე ამ ხატმა შემოგვინახა იმდროინდელი მეომრის ჩაცმულობის სახე და ქართული კალიგრაფიის საუკეთესო ნიმუში. გარდა ვარდან ვარდანისძის წარწერისა, ხატზე არის მოგვიანო პერიოდის წარწერა ბეშქენისა და მისი ძის მიქელ გურიელისა. მათ ალბათ განაახლეს ხატი, თუმცა გ. ჩუბინაშვილი გამოთქვამდა ეჭვს, რომ შესაძლოა ნაწილი, რომელზეც ბეშქენის წარწერა იყო დატანილი, სხვა დალუპულ ხატს ეკუთვნოდა და წმ. გიორგის ხატს უბრალოდ დააკრეს (196,246). წმ. გიორგის ხატი უკვე ძლიერ დაზიანებული იყო 1889 წლისათვის, როცა იგი მოინახულა და აღწერა ნ. კონდაკოვმა (194,106-109). 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დავალებით აღწერეს ჯუმათის მონასტრის ქონება. იმავე წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში მონასტერი გაიძარცვა. ამ დროს დაიკარგა წმ. გიორგის ხატი. მისი ფრაგმენტები მოგვიანებით იპოვეს თბილისში ბაზრობაზე, რომელიც შემდეგ პეტერბურგში, ერმიტაჟში მოხვდა. (196,245). ჯუმათის წმ. გიორგის ხატი შემოგვრჩა მხოლოდ დ. ერმაკოვის მიერ გადაღებულ ფოტოზე. ჯუმათის მონასტერში დაცული იყო მამია გურიელისა და დედოფალ თინათინის შენირული გაბრიელ და მიქაელ მთავარანგელოზების ოქროს ხატი. გიორგი გურიელისა და დედოფალ ელენეს შენირული მიქაელ მთავარანგელოზის ოქროს ხატი მრავალი ძვირფასი თვალით შემკული, თავისივე ვერცხლის კუბოთი. მათივე შენირული მიქაელ მთავარანგელოზის ოქროს ხატი, შარავანდის ირგვლივ 7 ძვირფასი თვალით და 12 მარგალიტით მოჭედილი, კარედზე მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების მოღვაწეობის სცენებით. მარეხ ანთიძის შენირული მაცხოვრის მოოქრული ვერცხლის ხატი მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების რელიეფური გამოსახულებით. ჯუმათის მონასტრის კუთვნილება იყო ვეებერთელა სანინამძღვრო ჯვარი, ბაჯაღლო ოქროს ბურთულით, რომელსაც გუმბათიანი ეკლესიის ფორმა აქვს. ჯვრის მკლავებზე რელიეფურად გამოსახულნი არიან წმინდანები. ჯვარი ძვირფასი თვლებითაა მოოჭვილი. იგი შეუწირავს გიორგი გურიელს და დედოფალ ხვარამზეს, შემდეგ შეუმკია ჯუმათელ მიტროპოლიტ მაქსიმე შარვაშიძეს. აღსანიშნავია, ერისთავ გიორგი გურიელის, მისი ძის ლომასა და მეუღლე ადასულტანის მიერ შემკობილი მიქაელ მთავარანგელოზის ოქროს ხატი, არშიებზე 10 მი-

ნაწერის მედალიონითა და ფირუზისა და მარგალიტის თვლებით. კახაბერ გურიელის შეწირული გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი, ასევე 10 მინანქრის მედალიონით.

ჯუმათის მონასტერი, XIX საუკუნეში მრავალჯერ გაიძარცვა. ფოტოგრაფმა საბინვუსმა, რომელსაც უმაღლესი რუსი სასულიერო პირები მფარველობდნენ, ვითომ რესტავრაციის მიზნით ჯუმათის მონასტრიდან გაიტანა ზემოხსენებული მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების მინანქრიანი ხატები. მიქაელ მთავარანგელოზის მინანქრის მედალიონები ა. ბობრინსკისა და მ. ბოტკინის ხელში მოხვდა. ხატის ქვედური ნაწილი კი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ – ერმიტაჟში. რაც შეეხება გაბრიელ მთავარანგელოზის ხატის მინანქრის მედალიონებს ისინი კოლექციონერ ალ. ზვენიგოროდსკის კუთვნილება გახდა (189,257). მისი მთელი კოლექცია შეისყიდა ჯ. მორგანმა და თავისი შვილის სახელით 1917 წელს შეწირა ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმს (145,408; 155,67).

შ. ამირანაშვილის დასკვნით მიქაელ მთავარანგელოზის ხატის მინანქრის მედალიონები ქართული ხელობისაა, ხოლო გაბრიელ მთავარანგელოზის ხატის მედალიონები ბიზანტიური (189,257). დ. ბაქრაძე ზემოხსენებული ხატების აღწერისას აღნიშნავდა, რომ მიქაელ მთავარანგელოზის ხატის მედალიონებს ქართული წარწერები აქვს, ხოლო გაბრიელ მთავარანგელოზის ხატს ბერძნული. პატივცემული მეცნიერი თვლიდა, რომ ხატები ერთდროულადაა დამზადებული და ერთიდაიგივე ხელობისაა (1,220). როგორც ჩანს, ბერძნულ წარწერებიანი მედალიონი ბიზანტიური წარმოშობისაა და იგი, მოგვიანებით დაუკრავთ გაბრიელ მთავარანგელოზის ხატზე.

ჯუმათის მონასტრის განძეულობის უმრავლესობა დაკარგულია. ნაწილი უცხოეთის სხვადასხვა მუზეუმებში ინახება, ნაწილი – საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

ჯუმათის ეპარქიაში კათედრალური ცენტრის გარდა 35 ეკლესია-მონასტერი არსებობდა. ამ შემთხვევაში ჩვენ ვეყრდნობით 1828 წელს შემოქმედის არქიმანდრიტ არსენ მგალობლიშვილის მიერ შედგენილ მოხსენებას (54). თუმცა, ამ დროისათვის სავგავახოს ტერიტორიაზე მდებარე ჯუმათის საეპისკოპოსოს კუთვნილი 19 ეკლესია ქუთათელის დაქვემდებარებაში იყო გადასული. ჩვენ მოვიტანთ არქიმანდრიტ არსენის მიერ შედგენილ ნუსხას ჯუმათის ეპარქიის ეკლესია-მონასტრებისა (54,120r-124r), ხოლო, მეტ-ნაკლებად რომელზეც მოვახერხეთ

ცნობების შეკრება, ვრცლად განვიხილავთ. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩამოთვლილი ეკლესიებიდან ნაწილი დღეს აღარ არსებობს.

1. აკეთი. მდ. აცაურას ნაპირას (მდ. სუფსის მარჯვენა შენაკადი) სოფ. აკეთში მდებარეობს მაცხოვრის ეკლესია, სამრეკლოთი და ქვის გალავნით. ეკლესია არც ისე დიდია. იგი ჯვრის ფორმისაა სამწახნაგოვანი საკურთხევლით და რვაწახნაგიანი გუმბათით. ჩრდილოეთიდან მიშენებული აქვს ეკვდერი და ნაგებია ტლანქად გათლილი ქვით.

უცნობია როდის აშენდა აკეთის ტაძარი. 1891 წელს გაზეთ „ივერიაში" დაბეჭდილი წერილი იუწყებოდა, რომ აკეთის ტაძრის სამხრეთ შესასვლელთან იატაკის ქვაზე ამოკვეთილია სამშენებლო წარწერა, მაგრამ ქარაგმებით, რის გამოც ამ წარწერის ბევრი სიტყვათაგანი დარჩა ამოუკითხავი (110,3). გადმოცემის თანახმად ეკლესია თამარ მეფეს აუშენებია. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ მეფემ ოსტატები საბერძნეთიდან ჩამოიყვანა და უბრძანა ორი ეკლესია აეგოთ. სოფ. აცანის ეკლესიის მშენებლობა თავად ოსტატს დაუწყია, ხოლო აკეთში შეგირდი შედგომია მუშაობას. საქმის დამთავრების შემდეგ მეფის მიერ დანიშნულ მოხელეებს დაუთვალიერებიათ ორივე ეკლესია. შეგირდის აშენებული მოსწონებიათ და უხვადაც დაუჯილდოებიათ. ოსტატი გაწაწყენებულა და საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ შეგირდისათვის მარჯვენა მოუჭრია (110,3). აღსანიშნავია, რომ მსგავსი ლეგენდა არსებობს შემოქმედისა და გორისფერდის ეკლესიების მშენებლობაზე და საერთოდ, ხუროთმოძღვრისათვის მარჯვენის მოჭრის სიუჟეტი ფრიად პოპულარული ყოფილა ძველ საქართველოში.

აკეთის ტაძარი და მისი მამული აფხაზთა საკათალიკოსოს კუთვნილებას წარმოადგენდა. იგი, როგორც საკანონო დიმიტრი და სვიმონ გურიელებმა შეწირეს საკათალიკოსოს. ამის შემდეგ, როგორც ჩანს, აკეთი თავადართომელაძეების ხელში გადასულა. გიორგი IV გურიელმა 1713 წ. ართომელაძეებს ჩამოართვა და კვლავ აფხაზთა საკათალიკოსოს შესწირა.

ქვემო გურიის გათათრების შემდეგ აკეთში თავადი თავდგირიძეები დასახლდნენ. მათ აკეთის ტაძარში გადმოასვენეს თეთრონის ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატები. აქვე იყო სოფ. გვარადან გადმოსვენებული გვარისთავის წმ. გიორგის ხატი. აღსანიშნავია, რომ ამ ხატებზე სალოცავად დღესასწაულებში თვით მუსლიმი ქართველებიც კი მოდიოდნენ და საკლავსაც წირავდნენ (167,96), მაგრამ იყო შემთხვევები მაჰმადიანი ბეგების მიერ ეკლესიის დარბევისაც. 1784 წელს

აკეთი დალაშქრა აჭარის ბეგმა აბდულ ხიმშიაშვილმა. ამ ლაშქრობის დროს ძლიერ დაზიანდა აკეთის ტაძრის კედლები და გუმბათი. თავდამსხმელებმა მისი გაძარცვა ვერ მოახერხეს, რადგან საეკლესიო განძეულობა გადამალული იყო (99,135).

აკეთის ტაძრის მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენდნენ თავდგირიძეები. ეკლესია გიორგი თავდგირიძეს განუახლებია, რის შესახებაც ვიგებთ მისი ეპიტაფიიდან: „...შევალებინეთ წმიდა ესე საყდარი მაცხოვრისა. ძველადგან ქვისა იყო და ახლად გავაკეთებინეთ, გარდავაჭედინეთ და დავახატვინეთ ჩვენთვის ამ სოფლის სადღეგრძელოდ..." (1,204). როგორც ჩანს აკეთის ეკლესია მოხატული ყოფილა, მაგრამ დ. ბაქრაძეს, 1873 წ. იგი უკვე შეთეთრებული დახვდა. ფრესკები მხოლოდ გუმბათში ყოფილა შემორჩენილი (1,203). აკეთში დაცული იყო საკმაოდ ძვირფასი ხატები და საეკლესიო ინვენტარი, ამიტომ ეკლესია სამჯერ გაძარცვეს – 1853 წელს, 1859 წელს და 1873 წელს, მათგან მხოლოდ უკანასკნელად გატანილი ნივთების დაბრუნება გახდა შესაძლებელი.

2. აცანა. სოფ. აცანა ლანჩხუთის რაიონში, გურიის ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს. სოფ. აცანაში ორი ეკლესია იყო. ერთი ხის, გუმბათიანი, მაცხოვრის სახელობისა, რომელიც XIX საუკუნეს განეკუთვნება, ხოლო მეორე ოქონის მონასტერი, ისიც მაცხოვრის სახელზე აგებული. ოქონა შუა საუკუნეების ძეგლი გახლავთ. ამ პერიოდითვე თარიღდება ქვის გალავანი, რომელიც მონასტერს აქვს შემოვლებული. როგორც საკურთხევლის მარჯვენა ნიშში მოთავსებული წარწერა მოწმობს ნინამძღვარ ქრისტეფორე კობალაძეს მოუხატვინებია საყდარი. ამასთანავე, შეუწირავს ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა, კოვზი, საწური, საცეცხლური, ტაკუკი, სახარება, სამოციქულო, ორი კომლი კაცი კი სატრაპეზოდ გაუჩენია (1,208). დ. ბაქრაძის მოგზაურობისას, 1873 წლისათვის, მონასტერი უკვე მიტოვებული ყოფილა. მოგვიანებით, მოძღვრისა და ადგილობრივი მოსახლეობის მცდელობით ეკლესია ამოქმედებულა. 1897 წელს „კვალში" გამოქვეყნდა ცნობა, რომლის თანახმადაც „სოფელ აცანის ოქონის მონასტერი ბლალოჩინ მღვდელ მამა ჩხაიძის თაოსნობით დაანგრიეს და ახალი ააშენეს" (119,563), მაგრამ როგორც თვით მღვდელ ჩხაიძის წერილიდან ირკვევა, მას კი არ დაუნგრევია ძველი ეკლესია, არამედ ჩამონგრეული კედლების ნაცვლად ახალი აუშენებია. კერძოდ, მთლიანად აღუდგენია დასავლეთის კედელი და სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლების ნაწილი, ხოლო საკურთხეველი თავისი მხატვრობით ხელუხლებლად დაუტოვებია (118,699-700).

**3. ბაილეთი.** ბაილეთის მთავარანგელოზთა ეკლესია ოზურგეთის რაიონში, ნასაკირალის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარეობს. მისი აგების შესახებ ცნობა მოგვეპოვება XVII-XVIII საუკუნეში გადაწერილ ჟამნგულანის მინაწერში, სადაც აღნიშნულია შემდეგი: „სჟზ (1609) აქა დედოფალი თინათინ მი(ი)ცვალა. აქ აშენეს ბაილეთის საყდარი" (41,98). მაშასადამე, ტაძარი 1609 წელს აუშენებიათ. იგი აგურითა და ნატეხი ქვით არის ნაგები, ხოლო გუმბათი – თლილი ქვით, რომელიც XIX საუკუნეს ეკუთვნის. ეკლესია 1827 წელს მოუხატავთ და განსაკუთრებით მდიდარია გურიელთა საგვარეულოს წარმომადგენელთა პორტრეტებით.

ბაილეთი იერუსალიმის საპატრიარქოს კუთვნილი ტაძარი იყო. მას ჯვრისმამა განაგებდა. მამია I გურიელმა იგი შენირა თავისი მეუღლის, თინათინის სულის საოხად. ეს შეწირულობა მომდევნო მთავრებმაც დაამტკიცეს და განაახლეს. აქ ინახებოდა ძვირფასი ხატები წმ. თევდორეს, მიქაელ მთავარანგელოზის, ღვთისმშობლის, მაცხოვრის, წმ. თევდორესა და წმ. გიორგის, ასევე ღვთისმშობლის ხატი წმინდა ნაწილებით (1,226-228). აღსანიშნავია ასევე, ვერცხლის ჯვარიც, რომლის წარწერიდანაც ვიგებთ გურიის სამთავროში მოღვაწე ერთ-ერთი ოქრომჭედლის ომანის სახელს (1,227).

ბაილეთი გურიის სამთავროს მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. ეკლესიის გარდა, აქა მდებარეობდა გურიელთა სასახლე და გვიანშუასაუკუნეებში აგებული ციხე-სიმაგრე.

**4. მამათი.** მამათის წმ. იაკობის ეკლესია მდებარეობს ლანჩხუთის რაიონის ამავე სახელწოდების სოფელში. როგორც ჩანს, სოფელმა სახელწოდება მიიღო აქ არსებული მამათა მონასტრის მიხედვით. ეკლესია ნაგები იყო ხით, გარშემო ქვის გალავნით. XIX საუკუნის დამდეგს მისი მამული გიორგი ბატონიშვილს (ლევანის ძეს) მიუტაცია. ეკლესიის სამრევლო 62 კომლს აერთიანებდა (54,123v). გადმოცემის თანახმად ეკლესიაში ინახებოდა იერუსალიმიდან გადმოსვენებული წმ. იაკობის ხატი (122,3). სოფ. მამათი ჯვრისმამის კუთვნილებას წარმოადგენდა.

**5. ჯიხეთი.** ჯიხეთის მაცხოვრის ეკლესია ნაგებია ქვით. მის სამრევლოში შედიოდა 58 კომლი. ეკლესია მდებარეობს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჭყონაგორას მიდამოებში, ჯიხეთის ანუ ჯიხათის მთაზე. როგორც ჩანს აქ ერთ დროს ციხე იყო აღმართული. ამას თვით მთის სახელწოდება ჯიხათი გვაფიქრებინებს. „ჯიხა" ზანურად ციხეს ნიშნავს.

ზანური სუფიქსი „-ათ" შეესატყვისება გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელ ქართულ „-ეთ"-ს. ზეპირ გადმოცემათა თანახმად, ჯიხეთის ეკლესია თამარის მეფობის პერიოდში აუგიათ, თუმცა XIX საუკუნის ბოლოს აქ უკვე მისი ნაშთები მდგარა. გაუკაცრიელებულ და მიტოვებულ ჯიხეთში 1886 წელს ბინა დაიდო მონაზონმა ელენე მგალობლიშვილმა, რამდენიმე მონაზონთან ერთად. შემდეგ ეს ადგილები სთხოვეს მაჭუტაძეებს და მათაც ჯიხეთი მონასტერს შეწირეს. მოსაგრეთა რიცხვის ზრდის გამო მათ ახალი ეკლესიის აშენება განიზრახეს. 1893 წელს წმიდა სინოდმა ნება დართო დედათა სავანის აგების შესახებ. 1896 წელს ნაეკლესიარის გორის აღმოსავლეთით კიდეც ააგეს ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების დიდი ეკლესია (115,2).

**6. ძიმითი.** ძიმითის წმ. კვირიკეს სახელობის ეკლესია ნაგები იყო ხით. გარშემო ქვის გალავნით. მის სამრევლოში შედიოდა 64 კომლი. 1660-1662 წლებში ვამეყ დადიანმა ძიმითი აფხაზეთის საკათალიკოსოს შეწირა (38,671). ეკლესია გუგუნავების სათავადოში მდებარეობდა და მათი მზრუნველობით სარგებლობდა. გიორგი და სიმონ გუგუნავებმა ძიმითს შეწირეს ზარი. აქვე ინახებოდა წმ. გიორგის ხატი, რომლის ბუდეც ვახუშტი გუგუნავას შეუწირავს – ჯიხანჯირის წმ. გიორგისათვის (1,207). როგორც ჩანს, ეს ხატი ოსმალთაგან ქვემო გურიის მიტაცების შემდეგ გადმოუსვენებიათ ძიმითში, ვინაიდან ჯიხანჯირის წმ. გიორგის ეკლესია ხიწოწმინდის ეპარქიაში მდებარეობდა. 1901 წლის 15 იანვარს ძიმითის ეკლესიას ცეცხლი გაუჩნდა და მთლიანად განადგურდა. ხანძარმა იმსხვერპლა თავად გუგუნავების კუთვნილი საგვარეულო ნივთები, რომელთა უმრავლესობა საეკლესიო დანიშნულების იყო. იმ პერიოდში გაიჟღერა აზრმა, რომ შესაძლოა ნივთები ვინმემ გაიტაცა და კვალის დასაფარავად ტაძარი დაწვა (112,3). შესაძლოა ასეც იყო. ეს ეჭვი, შემდგომ ხანებში, არც უარუყვიათ და არც დაუდასტურებიათ.

**7. ვანის მაცხოვრის** ეკლესია ძველად ხით იყო აგებული, შემდგომ ააშენეს ქვის. ვანის საყდარში ინახებოდა სიმონ ქორიძის გადაწერილი კონდაკი. ქობულეთიდან აქ გადმოუსვენებიათ ოქრომჭედელ პაატა ბოლქვაძის მოჭედილი წმ. გიორგის ხატი (1,191).

**8. წმინდა მარინეს,** ასეთი სახელწოდება მიიღო ადგილმა აქ არსებული წმ. მარინეს სახელობის ეკლესიიდან გამომდინარე. ეკლესია ნაგები იყო ხით, მის სამრევლოში შედიოდა 20 კომლი.

9. გორისფერდის წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები ქვით, ირგვლივ ქვის გალავნით. მისი სამრევლო აერთიანებდა 61 კომლს.

10. შუხუთის ღვთისმშობლის ეკლესია, ნაგები ქვით, ასევე ქვის გალავნით. მისი სამრევლო 12 კომლს მოიცავდა.

11. შუხუთის მთავარანგელოზის ეკლესია, ნაგები ქვით. სამრევლოში შედიოდა 14 კომლი.

12. ლანჩხუთის ნათლისმცემლის ეკლესია. ნაგები ქვით და ქვის გალავნით. მის სამრევლოში შედიოდა 90 კომლი.

13. ლანჩხუთის წმ. გიორგის ეკლესია ნაგები ხით. სამრევლო 87 კომლს აერთიანებდა.

14. გუმბარაულის წმ. გიორგის ეკლესია. ნაგები ქვით. სამრევლოში შედიოდა 50 კომლი.

15. ჯუნჯვათის მაცხოვრის ეკლესია. ნაგები ქვით, ირგვლივ ქვის გალავნით. აქ ყოფილა მამია გურიელის (უცნობია რომელი) შენირული მაცხოვრის ხატი. (1,214) მისი სამრევლო მოიცავდა 37 კომლს.

16. ორაგვეთის მაცხოვრის ეკლესია ძველად ქვით ყოფილა აგებული. სიძველის გამო დანგრეულა, შემდეგ კი ხის აუშენებიათ. მისი სამრევლო 15 კომლს აერთიანებდა.

17. ჭინათის წმ. კვირიკეს ეკლესია ნაგები ხით. მის სამრევლოში 50 კომლი შედიოდა.

18. ჩიბათის წმ. გიორგის ეკლესია ნაგები ქვით და ასევე ქვის გალავნით. მის სამრევლოში შედიოდა 135 კომლი.

19. ჩიბათის მეორე ეკლესია წმ. გიორგისა აერთიანებდა 50 კომლს.

20. ბაღლების მაცხოვრის ეკლესია ნაგები ქვით. როდის არის აშენებული არ ვიცით. სამხრეთ შესასვლელის მარცხნივ გამოსახული ყოფილა ახალგაზრდა კაცი, რომლის წარწერა თითქმის გადაშლილია, მაგრამ დარჩენილი ტექსტიდან ირკვევა, რომ ეს პიროვნება ბეშქენ ვარდანისძე უნდა იყოს. იგი XIII საუკუნის მოღვაწე გახლდათ და სავარაუდოა, რომ საყდარიც მას აუშენებია. ეკლესია მოხატული იყო. დასავლეთის შესასვლელში მოთავსებული წარწერა გვამცნობს, რომ მხატვარი ვინმე მანუელი ყოფილა (1,214). ეკლესიის სამრევლოში 77 კომლი შედიოდა.

21. ყელას წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები ხით. აქვეა მთავარანგელოზის ხის ეკლესია. მათ საერთო სამრევლო ჰყოლიათ, რომელშიც 30 კომლი შედიოდა.

22. ყელას წმ. ნიკოლოზის ეკლესია ნაგები ქვით. მისი სამრევლო 30 კომლს აერთიანებდა.

23. ბულუხაურის წმ. კვირიკეს ქვის ეკლესია. მის სამრევლოში შედიოდა 24 კომლი. დ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ შუხუთის, ლანჩხუთის, ჯუნჯვათის, ჩიბათის, ყელას, ჩონჩხათისა და ბულუხვაურის ეკლესიები არ არის ძველი და არც ძველი ხატებია მათში დაცული (1,214).

24. ჩანჩეთის წმ. გიორგის ეკლესია ნაგები ხით. მის სამრევლოში შედიოდა 15 კომლი.

25. გეშმანეთია დამახინჯებული ფორმაა გეთსიმანიის. აქ ყოფილა მთავარანგელოზთა ხის ეკლესია. მის სამრევლოში შედიოდა 40 კომლი.

26. ღვედის წმ. ანდრია მოციქულის ეკლესია ნაგები ქვით. მის სამრევლოში შედიოდა 78 კომლი.

27. მთავარმოწამე, ასეთი სახელწოდება მიიღო ადგილმა, სადაც წმ. გიორგის სახელობის ქვის ეკლესია იყო აღმართული. მის სამრევლოში შედიოდა 78 კომლი.

28. კუნჭულის მთავარანგელოზის ეკლესია ნაგები ქვით. სიძველის გამო დანგრევის პირას მისული. მის სამრევლოში შედიოდა 14 კომლი.

29. კაკათის მთავარანგელოზის ეკლესია ნაგები ხით. მის სამრევლოში 17 კომლი შედიოდა.

30. გულიანის წმ. გიორგის ქვის ეკლესია სამრევლოში აერთიანებდა 70 კომლს.

31. კონჭკათის მთავარანგელოზის ეკლესია ნაგები ხით. მისი სამრევლო 15 კომლს მოიცავდა. სოფელი ჯვარისმამის კუთვნილებას წარმოადგენდა.

32. მევგორას წმ. გიორგის ეკლესია ნაგები ქვით. მის სამრევლოში შედიოდა 20 კომლი.

33. შუბანის მაცხოვრის ეკლესია ნაგები ხით. მისი სამრევლო 50 კომლს მოიცავდა.

34. ჭანჭათის მთავარანგელოზის ეკლესია ნაგები ხით. მისი სამრევლო 50 კომლს აერთიანებდა.

35. ნიგოზდიდი წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები ქვით; მის სამრევლოში შედიოდა 93 კომლი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, როდესაც XIX საუკუნის დასაწყისში, ზემომოტანილი ნუსხა შედგა, ჯუმათის ეპარქიის 19 ეკლესია ქუთათელის სამწყსოში იყო გადასული. ამ ეკლესიებიდან ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით უდაბნოს მონასტერს, რომელიც გურიის სამთავროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კულტურულ კერას წარმოადგენდა.

უდაბნო. უდაბნოს მონასტერი მდებარეობს ჩოხატაურის რაიონში სოფ. შუაგანახლების მახლობლად, 2 კმ-ის დაშორებით. იგი ამაღლების მთის ფერდობზეა აღმართული. (ძველად სოფელსაც ამაღლება ერქვა).

უდაბნო იოანე ნათლისმცემლის სახელზე აგებული ეკლესიაა. როგორც სახელწოდება მიგვანიშნებს იგი მონასტერი ყოფილა. უდაბნო უშენ ადგილს ნიშნავს, ხოლო მეუდაბნოეობა ბერ-მონაზვნობის ის სახე იყო, როდესაც განდეგილი, განმარტოებულ ცხოვრებას ეწეოდა. საბოლოოდ, მეუდაბნოეობა სამონასტრო წესად შეიცვალა (184,33).

ეკლესია ნახევრად კლდეში ნაკვეთი, მცირე ზომის დარბაზულ ნაგებობას წარმოადგენს. ამას გარდა მთაგრეხილის ქვედა ნაწილში კიდევ ოთხი გამოქვაბულია, რომელთაც ერთი მხრიდან ხელოვნურად აქვს მიცემული აბსიდის ფორმა და ამდენად, სავარაუდოა, რომ სალოცავის მოვალეობას ასრულებდნენ. უდაბნოს მონასტრის აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილი კლდეშია გამოკვეთილი, ხოლო მშენებლებს მხოლოდ დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლის ნახევარი აუგიათ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ნაგებობა კლდის ქვეშ არის შეყუჟული. მონასტერი ნაგებია კარგად გათლილი, ღია ფერის კვადრებით და შემკულია სხვადასხვა რელიეფური გამოსახულებებით. უდაბნოს მონასტერი ერთ-ერთი უძველესია გურიაში. მისი დათარიღება დღემდე ვერ მოხერხდა. დ. ბაქრაძე, რომელმაც მონასტერი 1873 წელს მოინახულა, წერდა, რომ ადგილზე მოპოვებული ცნობებით უდაბნოს დამაარსებელი არის იოსებ ტუსკია, რომელიც XVII საუკუნეში იყო მონასტრის წინამძღვარი (1,202), თუმცა ეს რეალობას არ შეესაბამება და მონასტერი გაცილებით ადრინდელია. ზოგი მეცნიერი მას VI საუკუნის ძეგლად მიიჩნევს (124,3), მაგრამ, რადგანაც ამ ეპოქის სხვა ძეგლი გურიის ტერიტორიაზე არ შემორჩენილა (თუ არ ჩავთვლით ვაშნარსა და პეტრას), უდაბნოს მონასტრის ანალოგიების მოძებნა ძნელდება. მონასტრის დათარიღებას ართულებს ის ფაქტიც, რომ ის მრავალჯერ გადაუკეთებიათ, ხოლო აღდგენის დროს სამშენებლოდ ძველი ნანგრევები გამოუყენებიათ. ხელოვნებათმცოდნე გია ჭანიშვილმა ძეგლის შესწავლის შემდეგ დაასკვნა, რომ „აქ საქმე უნდა გვქონდეს გარ-

დამავალი ხანის ბოლო პერიოდთან IX ს. ან უშუალოდ მის მომდევნო ხანასთან, X ს-ის დასაწყისი. სწორედ ამ დროს ხდება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიათა გაერთიანება მცხეთის კათალიკოსის განმგებლობაში და სამონასტრო ცხოვრების ხელახალი აღორძინება საქართველოში" (177,9). თუმცა იქვე დასძენდა, რომ ეს დათარიღება მყარი არ არის და მხოლოდ მიახლოებითია (177,9).

ამაღლების მთის ფერდობის ზედა ნაწილში მღვიმე ეკლესიიდან დაახლოებით 200 მ-ის დაშორებით მდებარეობს იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია, რომელიც 1858 წელს აუშენებიათ. ტაძარი დარბაზული ტიპისაა, ღრმა ნახევარწრიული შვერილი აბსიდით, ნაგებია კარგად დამუშავებული მოყვითალო ფერის კვადრებით. იგი 1958 წლამდე ხელუხლებლად იყო შემონახული, ხოლო შემდეგ ადგილობრივ ხელისუფლებას საგანგებოდ დაუნგრევია სამშენებლო მასალის იოლად მოპოვების მიზნით. საბედნიეროდ, ეკლესიის მთლიანად დანგრევა ვერ მოუხერხებიათ და მონგრეული ქვების დიდი ნაწილიც იქვეა მოგროვებული.

უდაბნო ქართული კულტურის ერთ-ერთი კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი კალიგრაფები, მათ შორის აღსანიშნავია მონასტრის წინამძღვარი იოსებ ტუკია, რომელსაც, შემოქმედის გულანი გადაუწერია. ხელნაწერებს უდაბნოს წიგნსაცავში ინახავდნენ. უდაბნოს ხელნაწერთაგან ყველაზე თვალსაჩინო და უძველესია „მრავალთავი". იგი XVI საუკუნეში ჩამოუტანია ნიკოლოზ ჯუმათელს კლარჯეთის მონასტრების მოლოცვის შემდეგ, თუმცა უკანასკნელ ხანს გამოითქვა მოსაზრება, რომ შესაძლებელია მრავალთავი ადგილობრივ, უდაბნოს მონასტერში იყოს გადაწერილი (95,5). გარდა მრავალთავისა უდაბნოდანაა შემორჩენილი სხვა ხელნაწერები. უდაბნოს ბიბლიოთეკაში ნაბეჭდი წიგნებიც მრავლად ყოფილა.

უდაბნო საკმაოდ მდიდარი მონასტერი იყო. ამ მხრივ საგულისხმოა XVII საუკუნის ერთ-ერთი დოკუმენტი „ანაწერი და ანდერძი გურიის უდაბნოს მამისა იოსებისა" (57), სადაც აღწერილია უდაბნოს მონასტრის ქონება. ამასთანავე, შემორჩენილი გვაქვს მთელი წყება სიგელ-გუჯართა, რომელშიც ჩამოთვლილია გურიელების, ერისთავებისა და სხვა სამღვდელო პირთა თუ ერისკაცთა შეწირულობანი უდაბნოსადმი. დოკუმენტების ეს კრებული დ. ბაქრაძემ თბილისში ჩამოიტანა და დღეს ინახება საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში.

გაზეთ „ივერიაში" 1889 წელს დაბეჭდილი კორესპონდენცია იუწყებოდა, რომ უდაბნოს მონასტრიდან საეკლესიო მუზეუმისათვის ჩამოი-

ტანეს მრავალი საეკლესიო ნივთი, მათ შორის გამოირჩევა ბრწყინვალე ოსტატობით ნაქარგი სამღვდელმთავრო შესამოსლები (109,2).

XIX საუკუნეში მონასტერში პირველდაწყებით განათლებას იღებდნენ ახალგაზრდები. ათეისტური რეჟიმის ბატონობისას უდაბნო არაერთხელ დაარბიეს და გაძარცვეს. ამჟამად, ადგილობრივ მცხოვრებთა ინიციატივით გააკეთეს ხის კანკელი. მონასტერს შეწირეს ოთხი ახალი ზარი და ხატები.

ხინოწმინდა. ხინოწმინდის ეპარქიის საკათედრო ტაძარი მდებარეობს სოფ. ზემო ხინოში. დღესდღეობით მხოლოდ მისი ნაშთებია შემორჩენილი. შემოქმედისა და ჯუმათისაგან განსხვავებით ხინოწმინდის ბედი სხვა გზით წარიმართა. XVIII საუკუნის დამდეგიდან ოსმალეთმა ნელ-ნელა დაიკავა ხინოს საეპისკოპოსოს სამხრეთი ნაწილი, 1772 წელს კი მთელი ხინო მიიტაცა და ხინოწმინდის ეპარქიაც გაუქმდა. გადმოცემის თანახმად, ტაძარი თურქთა პირველივე ლაშქრობის დროს დაზიანებულა. მტერი ჭვანიდან შემოსულა და ტაძარი ცეცხლისათვის მიუცია. თუკი რამ ხის ჰქონია ტაძარს, ყველაფერი დამწვარა და კარგა ხანს ქვის გამურული კედლები მდგარა. 1873 წელს დ. ბაქრაძეს ეს ეკლესია ძლიერ დაზიანებული დახვდა, მხოლოდ საკურთხევლის ნაწილი და ეკვდერი ყოფილა შემორჩენილი, ფრესკები ჩამოცვენილი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით ტაძარი გუმბათიანი ყოფილა, მაგრამ დ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ ხინო კონსტრუქციით აჭს მიაგავდა და მაშასადამე, უგუმბათო იყო. ადგილობრივ მოპოვებული ცნობით საყდარი განზრახ დაუნგრევიათ 1864 წ. (1,83). მის შემდგომ დაზიანებაში დიდი წვლილი შეუტანია მიწისძვრასაც, რომლის შედეგადაც თითქმის ყველა კედელი დახეთქილა. საბოლოოდ კი 1919 წელს განადგურებულა ემილ ტარიელაძის „წყალობით". მას უბრალო ფიცრული სახლი ჰქონია ეკლესიის მახლობლად. გადაუწყვეტია დაენგრია ეკლესია და მისი ქვებით სახლი აეგო. დაუქირავებია კიდეც ლაზი მოხელეები. მათ იმდენად გაძნელებიათ ტაძრის დანგრევა, რომ ბოლოს დინამიტი დაუდიათ და ისე აუფეთქებიათ. რამდენიმე დღეში მომუშავე ლაზები გაპარულან, როგორც შემდგომ აღმოაჩინეს, ლაზებს აქ უპოვნიათ თიხის ქოთნით განძი, მოუპარიათ და წასულან. ემილ ტარიელაძემაც ვერ შეძლო სახლის აგება. იგი ეკლესიის დანგრევიდან მალევე დაიღუპა – მდინარე კინტრიშში დაიხრჩო (169,115). 1920 წლისათვის ხინოს ეკლესია უკვე აღარ არსებობდა.

ხინოს საყდარი ოსმალთა გაბატონების შემდეგაც არ მიუტოვებია ხალხს. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას რჯული

გამოცვლილი ჰქონდა და მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე იყო გადასული, მაინც არ ტოვებდნენ საყდარს და მამაპაპეულ სამლოცველოში დადიოდნენ. ამის ყველაზე ნათელი დადასტურებაა ის ახალი სანთლები, რომელიც დ. ბაქრაძემ იპოვა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის საკურთხეველში.

ხინოწმინდის საეპისკოპოსოს ეკლესია-მონასტრების უმრავლესობა განადგურდა. მათგან ჩვენთვის ცნობილია: 1. ჯიხანჯურის წმ. გიორგის 2. წმ. სამების (სოფ. სამებაში) 3. ზენითის ნათლისმცემლის 4. მახინჯაურის წმ. გიორგის 5. შუა (ორთა) ბათომის წმ. გიორგის 6. ახალშენის წმ. გიორგის 7. ვარჯანეულის 8.ცხრაფონის წმ. სამების 9. ჩეხედენის წმ. გიორგის 10. ჩაქვისთავის მთავარანგელოზის 11. დაგვის წმ. გიორგის 12. ჩაქვის მიქაელ მთავარანგელოზის 13. კვესელეულის 14. გვარისთავის წმ. გიორგის 15. ხუცუბნის თეთროსნის ღვთისმშობელი 16. ალამბარის.

ამ ტაძრებიდან მხოლოდ რამოდენიმეს შევეხებით. სამწუხაროდ, ეკლესია-მონასტრებთან ერთად განადგურდა მათ შესახებ არსებული წყაროებიც.

ალამბარი. ალამბარი გურიის მთავართა რეზიდენციას წარმოადგენდა. აქ იყო წმ. გიორგის სახელობის საყდარი. ადგილობრივი მოსახლეობა მას შუშანეთის წმ. გიორგის უწოდებდა. ეკლესია თავის დროზე ქვისაგან ყოფილა აგებული. 1891 წელს ზ. ჭიჭინაძეს იგი დანგრეული დაუხვდა. „მე მაჩვენეს ეს ადგილი და ერთი ქვის გვერდით ორი კოშტი წმიდა სამთელის ნაჭერი ვიპოვნე, ერთზე 3 კაპიკიანი იყო მიკრული, ხოლო მეორეზე – 2 კაპიკიანი. ერთი კვირის წინეთ შეეწირათ ეს ფული ერთი ოჯახიდან, რადგანაც ბავშვი გახდომოდათ ავათ" (179,19). როგორც ჩანს მოსახლეობა გამაჰმადიანების მიუხედავად დიდ პატივს სცემდა ქრისტიანულ სალოცავებს.

ჩეხედენა. ჩეხედენას წმ. გიორგის საყდარი. მდ. კინტრიშის ხეობაში მდებარეობს. იგი მამია II გურიელმა 1609 წელს ააგო თავისი მცირეწლოვანი შვილის მანუჩარის სულის საოხად. ამ პერიოდში გურიაში იმყოფებოდა იერუსალიმის პატრიარქი თეოფანე, რომელმაც აკურთხა ტაძარი, მამია II-მ მას შეწირა: ხატი, ჯვარი, წიგნები, ოქროს ომფორი და ბისონი (15,138). იგი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეტოქად დააფუძნეს. გურიის სამთავროში ჩამოსულ იერუსალიმის პატრიარქს ჩეხედენას ტაძარში უნდა დაეყენებინა წირვა-ლოცვა.

თეთროსანი. თეთროსნის საყდარი ხინოს ეპარქიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. ა. იოსელიანმა გამოთქვა აზრი, რომ წინაქრისტიანულ ხანაში აქ საკულტო ცენტრი უნდა ყოფილიყო. „იგი თეთრი გიორგის, ე. წ. წმინდა გიორგის კულტთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელია" (150,54). ქ. ჩხატარაიშვილმა საგანგებოდ გამოიკვლია, თუ რომელი წმინდანის ეპითეტად გამოიყენებოდა თეთროსანი და დაასკვნა: „საქართველოში ღვთისმშობლის ერთ-ერთ წოდებულებად („ეპითეტონ ორნანს") იხმარებოდა „თეთროსანი" (რაც ნიშნავს „თეთრით შემოსილს"). თეთროსანი ღვთისმშობლის ეკლესიები საქართველოს სხვადასხვა მხარეებშია დადასტურებული. (არაგვის ხეობა, ქსნის ხეობა, სამეგრელო, სვანეთი, გურია...)" (86,106). განთქმული იყო თეთროსნის ღვთისმშობლის ხატი. დ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ ეს ხატი აკეთში გადმოასვენეს ქობულეთიდან გადმოსახლებულმა თავდგირიძეებმა (1,204-205), თუმცა ხატის წარწერაში მოხსენიებული პირების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ იგი სამეგრელოში უნდა იყოს შექმნილი და მხოლოდ ამის შემდეგ მოხვედრილი გურიაში. თეთროსნის ღვთისმშობლის შესახებ არის მეორე ცნობაც. ე. თაყაიშვილი მოგვითხრობს რა, ძიმითის წმ. გიორგის ეკლესიაში დაცული სიწმიდეების შესახებ, აღწერს თეთროსნის ღვთისმშობლის ხატს, რომელიც ნასხიდ გუგუნავას მოუჭედინებია. რეალურია, რომ ეს ხატი ძიმითში ქვემო გურიის გამაჰმადიანების შემდეგ გადმოუსვენებიათ თავად გუგუნავებს (86,106-107).

თეთროსანი მწიგნობრულ-კულტურული კერა იყო. აქ გადაიწერა ე. წ. „თეთროსნის დავითნი" (H 75). თეთროსანის ტაძარი დღეს აღარ არსებობს. როგორც ჩანს, ხინოს გამაჰმადიანების დროს დაუნგრევიათ. XIX ს-ის I ნახევარში მაქსიმ (სულეიმან) ბეგ თავდგირიძის მეუღლე უკვე თეთროსნის ნაეკლესიარზე დაუკრძალავთ (178,29).

გვიანშუასაუკუნეებში გურიის სამთავროში მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა იყო შექმნილი. შინაფეოდალური ბრძოლებით დასუსტებულ სამთავროს სასიცოცხლო ძალებს აცლიდა ოსმალთა გამუდმებული ლაშქრობები. ამგვარ ფონზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეკლესია-მონასტრების, არა როგორც მხოლოდ სასულიერო ცენტრების, არამედ როგორც კულტურულ-მწიგნობრულ კერების არსებობას.

ეკლესია თავისთავად კულტურის ძეგლს წარმოადგენს. განსახილველ პერიოდში, მართალია, არა ძველებური მასშტაბებით, მაგრამ მაინც

შენდება ახალი ტაძრები და საფუძველი ეყრება ახალ კულტურულ კერებს. ამ მხრივ ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ გვიანი შუა საუკუნეების სანყისი ეტაპი, როდესაც აღნიშნული პროცესები უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს. XIV-XV საუკუნეებში აგებული ეკლესიები არქიტექტურული თვალსაზრისითა და სტილისტიკური ნიშნებით დამახასიათებელია მოცემული პერიოდისათვის და დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებსა და სამცხე-საათაბაგოში აგებულ ტაძრებთან. ამ ძეგლებში შეინიშნება პროფესიული დონის დაქვეითება, მაგრამ ოსტატები მტკიცედ იცავენ ეროვნულ ხუროთმოძღვრულ ტრადიციებს. რაც შეეხება მოგვიანო პერიოდს, გურიაში ვითარება დაიძაბა. ოსმალთა ლაშქრობების შედეგად მრავალი ეკლესია განადგურდა. ეკონომიკურად მოუძლურებულ სამთავროში მთავარი აქცენტი გადატანილი იყო დანგრეულის შეკეთება-აღდგენაზე. ამასთანავე, გურიის ეკლესიების უმრავლესობა ხით იყო აგებული, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევია, ამდენად სრულყოფილი სურათის შექმნა გვიჭირს და რაიმე განსაკუთრებული არქიტექტურული ნიშნების შესახებ საუბარი არ შეგვიძლია.

ეკლესია-მონასტრებში დასვენებული ჯვარ-ხატებისა და სხვა საეკლესიო ინვენტარის უმრავლესობა ადგილობრივ იყო შექმნილი. მართალია, გვიანშუასაუკუნეებში შექმნილი ოქრომჭედლობის ნიმუშები ჩამოუვარდება წინა პერიოდისას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხელოვნების ეს დარგი აქტიურად ვითარდება გურიის სამთავროში. მთავრის კარზე და საეპისკოპოსო კათედრებთან არსებობდა საოქრომჭედლო სახელოსნოები, სადაც იქმნებოდა ახალი ჯვარ-ხატები, ამასთანავე, ხდებოდა ძველის განახლება და შემკობა. ადგილობრივ მოჭედილი ხატების გარდა გურიის ეკლესიებში თავი მოიყარა მეზობელი მხარეებიდან გადმოტანილმა საეკლესიო განძეულობამ, ძირითადად სამცხე-საათაბაგოდან. ამასთანავე, თვით გურიაში, თურქთაგან ხინოწმინდის საეპისკოპოსოს მიტაცების შემდეგ სხვადასხვა სიწმინდეები გადაასვენეს მის ჩრდილოეთ ნაწილში.

ეკლესია-მონასტრებში აგრეთვე მოღვაწეობდნენ: მწერლები, კალიგრაფები, „წიგნის მკაზმველნი". გურიის სამთავროში არაერთი ძვირფასი ხელნაწერი შეიქმნა, რაზეც ცალკე თავში უკვე გვქონდა საუბარი.

ამგვარად, გურიის სამთავროს ეკლესია-მონასტრებში აქტიურად მიმდინარეობდა კულტურულ-შემოქმედებითი პროცესები. აქ შექმნილმა ხელოვნების ნიმუშებმა საპატიო ადგილი დაიკავა ქართული კულტურის საგანძურში.

# თავი III

## § 1. გურიის ეპისკოპოსთა საეკლესიო-კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა

XV საუკუნეში ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია დაიშალა. პოლიტიკური დაქუცმაცების შესაბამისად დანაწევრება ქართულ ეროვნულ კულტურას არ განუცდია და არც ლოკალური კულტურები ჩამოყალიბებულა კუთხეების მიხედვით. სამეფო-სამთავროთა შორის ხშირი პოლიტიკური დაპირისპირების მიუხედავად მათ შორის ყოველთვის არსებობდა ცხოველი კულტურული ურთიერთობანი. წინა საუკუნეების მსგავსად გვიანშუასაუკუნეებშიც ქართული კულტურის ავანგარდში სასულიერო პირები იდგნენ. თითქმის ყოველგვარი შემოქმედებითი პროცესი სასულიერო პირების ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით წარიმართებოდა. ზრუნვა ქართული კულტურის დაცვისა და განვითარებისათვის თავის მხრივ განაპირობებდა ქრისტიანული იდეოლოგიისა და ეროვნული ცნობიერების განმტკიცება-გაძლიერებას, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გურიის სამთავროში, ვინაიდან სამხრეთიდან გამქრობლებული თურქეთი ყოველთვის ქმნიდა „გათათრების" საფრთხეს. საშიშროება განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც გურიის სამთავროს ჩამოაცილეს ჭანეთი და აჭარა და მიტაცებულ ტერიტორიებზე ფართოდ გაავრცელეს ისლამი. შექმნილ მდგომარეობაში გურული სასულიერო პირები, არა მხოლოდ კულტურულ-იდეოლოგიური საშუალებებით უპირისპირდებოდნენ მოძალებულ მაჰმადიანობას, არამედ გურიის მთავართა მხარდამხარ ცდილობდნენ პოლიტიკური და სამხედრო კავშირი დაემყარებინათ სხვა სამეფო-სამთავროებთან და აქტიურად მოღვაწეობდნენ დიპლომატიურ სარბიელზე.

წინამდებარე თავში ჩვენ სათითაოდ შევეხეთ გურიის საეპისკოპოსოების იმ მღვდელმთავართ, რომელთაც გარკვეული წვლილი მიუძღვით ამ მხრივ.

ა) შემოქმედელი ეპისკოპოსები. ჩვენთვის ცნობილი პირველი შემოქმედელი ეპისკოპოსი ბესარიონ მაჭუტაძე XVI საუკუნის I ნახევრის მოღვაწეა. იგი მოიხსენიება 1572 წლით დათარიღებულ გოგიტიძეთა საგვარეულო სიგელის მტკიცებით ნაწილში. საბუთი ეხება შემოქმედში

ზარზმის ეკლესიის მშენებლობას, როცა თურქთაგან შევიწროებული ზარზმის საყდარი მოიშალა და მისი უდიდესი სიწმინდე ფერისცვალების ხატი გურიაში გადმოაბრძანეს. ამ ხატის პატივად შემოქმედში საგანგებოდ აგეს ახალი ეკლესია, რომელსაც „ზარზმა" უწოდეს. ცხადია, ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორი გურიის მთავართან და სხვა მოღვაწეებთან ერთად შემოქმედელი მღვდელმთავარიც იქნებოდა. ამაზე უნდა მეტყველებდეს ბესარიონის გამოსახვა ზარზმის ტაძარში (74,13v). ბესარიონს შეუწირავს შემოქმედის მონასტრისათვის უძვირფასესი ხატი მაცხოვრისა, თორმეტი საუფლო დღესასწაულის გამოსახულებით (198,183).

XVII საუკუნის დასაწყისში შემოქმედის საეპისკოპოსო კათედრა დაიკავა მაქსიმე მაჭუტაძემ. მისი ინიციატივით დაარსდა თეატინელთა მისიონი გურიაში. 1634 წელს როსტომ მეფისა და დედოფალ მარიამის ქორწინების გამო, ამ უკანასკნელს ამალაში ახლდნენ გურია-სამეგრელოს რჩეული თავადები და ეპისკოპოსები. მათ შორის იყო მაქსიმე მაჭუტაძე. იგი გორში შეხვდა თეატინელთა პრეფექტს პიეტრო ავიტაბილეს და სთხოვა მისიონერები გაეყოლებინა გურიაში. თანხმობის მიღების შემდეგ მაქსიმემ გურიაში ჩამოიყვანა ქრისტოფორო კასტელი, პატრი ანტონიო ჯარდინა და ბერი კლაუდიო (147,105). მაქსიმეს ავტორიტეტზე და გავლენაზე მეტყველებს ისიც, რომ მალაქია კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ 1639 წელს იგი დაუდგენიათ აფხაზეთის კათალიკოსად (44,454).

მაქსიმე მაჭუტაძეს ასე გვიხასიათებს მისი თანამედროვე არქანჯელო ლამბერტი: „ოდიშის აწინდელი პატრიარქი (ოდიშის პატრიარქში იგი დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს მოიაზრებს – თ. ქ.) წინანდელთან შედარებით უკეთესია და ამიტომაც წმინდა კაცად მიაჩნიათ საერთოდ. მართლაც, თუ გარეგნობის კვალობაზე შევადგენთ მის შესახებ აზრს, უნდა ვთქვათ, რომ იგი ღვთის წინაშეც დიდ გულმოდგინებას იჩენს ლოცვაში და კაცთა მიმართაც ძლიერ მოწყალეა. ყოველ ღამე უსათუოდ დგება მეტად გრძელ ლოცვაზე. ყველაზე პირველად ტანს იგი იცვამს და პირველადვე იგი შედის ეკლესიაში, სადაც ატარებს უმეტეს ნაწილს ღამისას და დღისასაც. რაც შეეხება მოყვასისადმი მოწყალებას, იგი ისეთ გულკეთილობას იჩენს, რომ არ მოიძებნება არც ერთი ღარიბი და არც ერთი უბედური, რომ იგი არ იცნობდეს და თავის მოწყალების კალთას არ აფარებდეს. თუ ვინმე ღარიბმა გაიარა, როცა იგი პურის ჭამად ზის, მაშინვე დაუძახებს,

თავისთან დაისვამს და უმეტეს ნაწილს თავის საჭმლისას უთავაზებს. თუ გაიგონა, რომ სადმე სანყალი ავადმყოფი არის, მეტად გაჭირვებული, სხვადასხვა შემწეობას თავის ხარჯით მიანოდებს. გარდა ამისა, იმდენად ერთგულია იერუსალიმის წმინდა ადგილებისა, რომ სამჯერ იყო მათ სანახავად და ყოველთვის დიდი შენირულობა ნაუღია" (21,119). თუკი გავითვალისწინებთ, რომ კათოლიკე მისიონერები ანტიპატიურად იყვნენ განწყობილნი მართლმადიდებელი სასულიერო პირების მიმართ და მათ მოღვაწეობასაც ტენდენციურად აშუქებდნენ, ამ ფონზე მაქსიმე მაჭუტაძის ამგვარი შეფასება არქანჯელო ლამბერტის მიერ, მაქსიმეს დიდ პიროვნულ ღირსებებზე უნდა მიგვითითებდეს.

ამ პერიოდში დიდ მატერიალურ სიდუხჭირეს განიცდიდა იერუსალიმის ქართველთა კოლონია. უბრალო მისაგრე ცხოვრებაც კი უჭირდათ უსახსრობის გამო. ასეთ ვითარებაში სამშობლოდან გაგზავნილ დახმარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაქსიმეს მიერ გაღებული შესაწირავი დიდად წაადგა ჯვრის მონასტერს. ამ ღვაწლის დასაფასებლად იგი მონასტრის ერთ-ერთ კედელზე გამოუსახავთ (2,82). თუმცა სამწუხაროდ, მისი ფრესკა დღემდე არ შემოგვრჩენია.

პლ. იოსელიანი აღნიშნავს, რომ კონსტანტინოპოლის იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში უნახავს ქართულ ენაზე შესრულებული მსოფლიო წმინდანთა აღწერილობა, რომლის მინაწერშიც ნათქვამი იყო: „ეს მამათა ცხოვრება მიკვნა ტრაპიზუნტის არქიმანდრიტმან პამფილემ, და დავჰსდევ აქა საპატრიარქოსა იერუსალიმისასა ჩემდამდე ცოდვილმან და ულირსმან, სახელით ოდენ კათალიკოსმან აფხაზეთისა მაქსიმე" (24,159). ამ უკანასკნელ ფრაზასთან დაკავშირებით ბ. ლომინაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა მაქსიმემ ცხოვრების ბოლო წლები ბერობაში გაატარა იერუსალიმში (80,132). იგივე ცნობას, წყაროების დაუმოწმებლად გვაძლევს პოლიევქტოს კარბელაშვილი: „მაქსიმე მიიცვალა იერუსალიმის ჯვარის მონასტერში, სადაც ახატია კიდეც და მუნვე დაეფლა" (100,8). გამორიცხული არაა, მაქსიმე იერუსალიმის ჯვრის მონასტერში დარჩენილიყო და ემსახურა, მაგრამ მისი სიტყვები „ცოდვილმან და ულირსმან, სახელით ოდენ კათალიკოსმან აფხაზეთისა მაქსიმე" მიგვანიშნებს არა კათალიკოსობის დატევებაზე, არამედ მაქსიმეს თავმდაბლობას გამოხატავს. მსგავსი ფორმულირება სხვა კათალიკოსების დროსაც გვხვდება.

მაქსიმე სიკვდილის ბოლომდე არ დარჩენილა შემოქმედელ ეპისკოპოსად. საერთოდ, უცნობია შემოქმედელობას ითავსებდა თუ არა კათა-

ლიკოსად კურთხევის შემდეგ. ერთი ცხადია, მაქსიმე, კათალიკოსის პატივში ამაღლებული კვლავ განაგრძობდა შემოქმედის საკათედრო ტაძარზე მზრუნველობას. როგორც ჩანს, მაქსიმეს სამშენებლო სამუშაოები უწარმოებია შემოქმედში და მინაშენით გაუფართოებია ეკლესია (1,105). მაქსიმე შემოქმედის საეპისკოპოსო ტახტზე იაკობ დუმბაძემ შეცვალა.

„ქ~კსა ტლე (1647) აქა ქრისტიანე და ღვთის-მოყვარე შემოქმედელად ეკურთხა ბატონი იაკობ. ღმერთმან ღირს ყოს მარჯვენით ნაწილსა წმიდათასა. ეს იაკობ ცნობილია მეცნიერებით, მელექსეობით, მაჰმადის რჯულის წინაგანწყობით და აღმოსავლეთ ეგვიპტე-ევროპაში მგზავრობით" (44,460). იგი გურიის აზნაურ დუმბაძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი გახლდათ. საზოგადოდ, დუმბაძეთა გვარი სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა. მის შესახებ ბიოგრაფიულ ცნობებს გვაძლევს პლ. იოსელიანი, რომლის თანახმადაც იაკობ დუმბაძეს თავდაპირველი განათლება ტრაპიზონში მიუღია. აფხაზთა კათალიკოსმა დავით ნემსაძემ 1687 წელს იგი რომში გააგზავნა, სადაც დიდი პატივით მიიღო პაპმა ინოკენტი XI. პაპმა და კარდინალებმა იაკობს წერილები და საჩუქრები გამოატანეს მეფესთან და კათალიკოსთან, ამასთანავე კათოლიკობის საქადაგებლად შვიდი მისიონერი გამოაყოლეს. მართალია, შემოქმედელმა თავად ჩამოიყვანა კათოლიკე მისიონერები, მაგრამ, როდესაც მათ ლათინთა მოძღვრების გავრცელება დაიწყეს და მრავალი გადაიყვანეს თავის აღმსარებლობაზე, ისევ იაკობის ინიციატივით განდევნეს ისინი (46,225). ზ. ჭიჭინაძე ამ ცნობებზე დაყრდნობით უფრო შორსაც მიდის და აცხადებს: „ლათინ მოძღვრებს ... იაკობ დუმბაძე აუტყდათ მრისხანებით და ეს თავგადადებული მამანიც დაახოცვინა სხვადასხვა საიდუმლო კაცის მკვლელებითა" (180,34). რა თქმა უნდა, ეს სინამდვილეს არ შეეფერება. ჩვენთვის უცნობია რა წყაროებით სარგებლობდა პლ. იოსელიანი იაკობ დუმბაძის ბიოგრაფიის დადგენისას, რაც შეეხება იაკობ შემოქმედელის მოგზაურობას რომში და იქიდან კათოლიკე მისიონერების ჩამოყვანას, ჭეშმარიტებას უნდა შეესაბამებოდეს. მას საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა პატრებთან, ისე რომ საზოგადოებაში ეჭვიც კი გაჩენილა შემოქმედელი მიტროპოლიტის კათოლიკური აღმსარებლობის შესახებ. ამიტომ რამდენიმე ხელნაწერში საგანგებოდაა აღნიშნული „ეს იაკობ იყო არაგანლათინებული".

ქართველი პოლიტიკოსებისა თუ სასულიერო პირების თბილი დამოკიდებულება კათოლიკე მისიონერებისადმი გამოწვეული იყო არა იმდენად მათი პირადი სიმპათიებით კათოლიციზმისადმი, რამდენადაც

სურვილით მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინათ დასავლეთთან. კათოლიკე მისიონერების მეშვეობით ცდილობდნენ გაცნობოდნენ დასავლური კულტურის მიღწევებს. ნიშანდობლივია, რომ ჩამოყვანილმა პატრებმა, როდესაც კათოლიციზმის ქადაგება დაიწყეს და მრავალიც გადაიბირეს, მათი განდევნა ისევ იაკობმა იკისრა, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მათ აღმსარებლობას არ იწყნარებდა.

იაკობ შემოქმედელი XVII საუკუნის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურა გახლავთ. იგი მოღვაწეობდა როგორც პოლიტიკურ, ასევე ლიტერატურულ სარბიელზე და ამ მხრივ მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მისი თხზულებების შექმნა მხოლოდ პოეტური ნიჭით არ ყოფილა ნაკარნახევი, მათ დიდი იდეოლოგიური დატვირთვაც გააჩნდათ. ოსმალეთის და ირანის მხრიდან მაჰმადიანობის გაძლიერებული პროპაგანდის შედეგად, ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერება საფრთხის წინაშე იდგა. იაკობმა, როგორც შემოქმედელმა ეპისკოპოსმა და გურიის სამთავროს წარმომადგენელმა ყველაზე მწვავედ იგრძნო „გათათრების" საშიშროება. როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა: „ფიზიკურ საშუალებათა გვერდით თანდათან შემუშავდა მტრის შემოტევის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის საშუალებანი. თანდათან ჩამოყალიბდა იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასი, – პოეტ-ლიტერატორები, მეცნიერ-ისტორიკოსები, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწენი. სათანადო მებრძოლი მოტივები გაჩნდა პოეზიაში (არჩილი, იოსებ თბილელი), საამისოდ გაიმართა ისტორიაც („ახალი ქართლის ცხოვრება"), გაჩაღდა მაჰმადიანობის წინააღმდეგ პროპაგანდა (იაკობ დუმბაძე), დაიწყო ქრისტიანობის აღდგენისაკენ მიმართული ენერგიული მოქმედება (არჩილი, ვახტანგ VI, დომენტი)" (135,150). ქართველ მოღვაწეთა დასში თავისი აქტიურობით გამოირჩეოდა იაკობ დუმბაძე. მან თავისი კალამი მიმართა ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობის დასაცავად. იაკობმა ქართლის მეფე გიორგი XI-ის ბრძანებით გალექსა ბაგრატ მუხრანბატონის მიერ ბერად შედგომის ჟამს დაწერილი ანტიმაჰმადიანური თხზულება „უსჯულო მაჰმადიანთა და ქრისტიანთა გაბაასება". როგორც ნაწარმოების შინაარსი მოწმობს ავტორს შესანიშნავად სცოდნია მუჰამედის ცხოვრება და ის აზრები, რომელსაც ქრისტიანობის წინააღმდეგ ავრცელებდნენ. იგი ქრისტიანთა სახელმძღვანელო წიგნს წარმოადგენდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა საზოგადოებაში. ამას, ის უამრავი ხელნაწერიც ადასტურებს, რომელთაც აღნიშნული ნაწარმოები შემოუნახავს.

იაკობ ღუმბაძეს ეკუთვნის არჩილ მეფისადმი მიძღვნილი ხოტბა; გარდა ამისა, მან გადააკეთა „აბდულმესია" და იქ, სადაც თამარი, ან დავითი იყო ნახსენები არჩილი ჩაწერა. XIX საუკუნეში ძველი ხელნაწერების აღნუსხვისას საეკლესიო მუზეუმის კატალოგში მის შესახებ შემდეგი განმარტება ჩაუწერიათ: „ქართულ მწერლობაში უცნობი პოემა ცნობილის მწერლის მიტროპოლიტ იაკობ ღუმბაძისი „შესხმა მეფისა არჩილისა" (123,2). ამასთან დაკავშირებით მოსე ჯანაშვილი შენიშნავს: „ეს თხზულება პატივცემულ ავქსონს არ წაუკითხავს, რომ წაეკითხა, დაინახავდა, რომ თავიდან ბოლომდე მოყვანილია იოანე შავთელისა და არა იაკობ შემოქმედელისა" (123,2). უკანასკნელ ხანს ბ. დარჩიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ იაკობ ღუმბაძეს არ გადაუკეთებია აბდულმესია და თხზულება მის ორიგინალურ ნაწარმოებს წარმოადგენს (105). იაკობ ღუმბაძეს ლიტერატურული გაპაექრება ჰქონდა იოსებ თბილელთან. ლექსებიდან ჩანს მისი ბრწყინვალე პოეტური ნიჭი და გონებამახვილობა. იაკობს დიდ შეფასებას აძლევდნენ მისი თანამედროვენი. არჩილ მეფემ საგანგებო სტროფიც კი მიუძღვნა მას (127,4).

დავით გურამიშვილი თავის ლექსებში იაკობს იხსენიებს რუსთაველის, თეიმურაზის, არჩილისა და ვახტანგ VI-ს გვერდით (143,24).

მამუკა ბარათაშვილი, რომელმაც ხოტბა მიუძღვნა ვახტანგ VI და მეფე ბაქარს, თვლიდა რომ ლექსების შეთხზვისას ჩახრუხაძესა და იაკობს ბაძავდა.

ანტონ I კათალიკოსი კი შემდეგნაირად ახასიათებდა მას:

„იაკობ კაცი სიბრძნის მოყუარე ფრიად,
კეთილ გამომთქმელ, მეშაირე შუენიერ
მაღალ გონება, საუნჯე მრავალთ ცნობათ
ღუთივ-მომგე, მადლითა კეთილ მხმეველი მათი
ყოვლად საქებელი მაშინდელ ანინდელად
იაკობ ღირს-არს, ხსენებისა ვითარმედ
ჰშურებოდა ესე, სიბრძნის მოყუარებისად,
ღრმად გამოჰსთქმიდა, ძნელთა აღჰხსნიდა ადვილ
კეთილ-სულობდა, მწყემსი მოციქულებრი,
იერუსალიმს დაჰხდა, დაჰმრიტა სხივნი" (46,225).

საქებელ სიტყვებს არ იშურებს იოანე ბატონიშვილიც: „მამა იაკობ შემოქმედელი, გურული, ესე იყო ფილოსოფოსი და კეთილი მოშაირე. ღრმად მწერალი და ძნელთა ადვილად ამხსნელი და მწყსიდა სამწყ-

სოსა თვისსა კეთილად და მერმე წარვიდა იერუსალიმად, და მუნიდამ-ცა წარმოხცნა წერილნი და გარდაიცვალა მუნ. და დაეფლა ქართველთა მონასტერსა შინა" (16,168). იოანე ბატონიშვილი შეცდომით მიაწერს იაკობ დუმბაძეს ლეილ-მაჯნუნიანის თარგმნას. „არავითარი ცნობა არ არსებობს იმის სასარგებლოდ, რომ იაკობ შემოქმედელს ასეთი რამე ეთარგმნოს. ეს შრომა ეკუთვნის პოეტ თეიმურაზ I" (153,387). იაკობ დუმბაძეს შესანიშნავად სცოდნია გალობაც (180,36).

იაკობ დუმბაძის მოღვაწეობა მხოლოდ მწერლობით არ ამოიწურე-ბა. იგი, როგორც შემოქმედის უმაღლესი სასულიერო ხელისუფალი დიდად ზრუნავდა თავისი ეპარქიისა და საეპისკოპოსო საყდრისათვის. შემოქმედის მრავალი ხატის წარწერას შემოუნახავს მისი სახელი. მაცხ-ოვრის ოქროს ხატს ზურგის ქვემო ნაწილზე ასეთი შინაარსის წარწ-ერა დაუცავს: „ღვთაებისა უცვალებელო ხატო იხსენ ნახდენისა და წარწყმედისაგან შემოქმედელი მიტროპოლიტი იაკობ დუმბაძე და ძმა მისი კანდელაკი იესე" (1,110). იგივე პირებს ვხვდებით წმ. დიმიტრის მოოქრულ ხატის წარწერაში, რომელიც შემოქმედში გიგოეთიდან ჩამოუსვენებიათ (1,113). შემოქმედის ღვთისმშობლის ხატის წარწერი-დან ვიგებთ, რომ იაკობს განუახლებია საათაბაგოდან ჩამოსვენებული ეს ხატი (1,126). საინტერესოა მაცხოვრის ხატის წარწერაც, რომლის შინაარსიდანაც ვიგებთ, რომ იაკობს სხვადასხვა ძვირფასეულობით შეუმკია იგი (198,184). იაკობის ინიციატივით რესტავრაცია ჩაუტარდა შემოქმედის მაცხოვრის ეკლესიას, რომლის აღმოსავლეთ ლავგარდა-ნის ქვეშ იკითხება „...მე ფრიად ცოდვილი იაკობ" (1,105).

იაკობის სახელი არა მხოლოდ შემოქმედის ხატებს, არამედ შემო-ქმედის ხელნაწერებსაც შემორჩენია. მათ შორის აღსანიშნავია „ფუთკარი". თ. ჟორდანია არ გამორიცხავდა, რომ შეიძლება „ფუთკარი" იაკობის მიერვე ყოფილიყო დაწერილი (43,302). იაკობ დუმბაძეს მრგვლოვანი დაქსელილი ასოებით უწერია. იაკობის დაკვეთით დაუწერიათ შემოქმე-დის სახარება. წიგნის მინაწერში აღნიშნულია, რომ სახარებისათვის ქაღალდი რუსეთიდან გამოუგზავნია შემოქმედელს (12,39). იაკობ შემო-ქმედელი რუსეთში მართლაც იმყოფებოდა 1696 წელს. დონის მონას-ტრის სულთა მატიანეში აღნიშნულია, რომ იაკობს მონასტრისათვის შავი ცხენი შეუწირავს და სულის მოსახსენებელი გაუჩენია (96,63).

მაჰმადიანთა მოძალების პერიოდში ძალიან გაუჭირდა საზღვარგ-არეთ არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებს. ერთ დროს მძლავრ კულტურულ კერებში ჩაცხრა ქართველ მოღვაწეთა აქტივობა. შემცირდა

პილიგრიმთა რიცხვი. იაკობ შემოქმედელს კარგად ჰქონდა გააზრებული მათი არსებობის მნიშვნელობა. იგი იერუსალიმის ჯვრის მონასტერს ეწვია და იქ დაიდო ბინა. ალ. ხახანაშვილის აზრით, იაკობი იერუსალიმში XVII საუკუნის მესამე მეოთხედში უნდა ჩასულიყო (197,324), მაგრამ ჩვენი აზრით ამ ფაქტს ცოტა მოგვიანებით ჰქონდა ადგილი, რადგან იაკობმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა იერუსალიმში, სადაც აღესრულა და როგორც საფიქრებელია წმინდა ქალაქშივე უნდა დაეკრძალათ. ამიტომ იაკობი XVII საუკუნის მიწურულს უნდა ჩასულიყო იერუსალიმში. თუმცა გამორიცხული არაა, რომ მანამდე XVII საუკუნის მესამე მეოთხედშიც ჩასულიყო საქართველოდან გაგზავნილი შეწირულობების ჩასატანად. იაკობ დუმბაძეს იხსენიებენ ჯვრის მონასტრის ხელნაწერები: „მკითხველნო... ცოდვილი მიტროპოლიტი იაკობ შეიწყალეთ" (43,181). ანდა „მეოხ ექმენ წიგნისა ამის წამკითხავსა მიტროპოლიტს დუმბაძეს იაკობს (43,179) ანტონ I კათალიკოსისა (46,225) და იოანე ბატონიშვილის (16,168) ცნობით, იაკობი იერუსალიმში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს.

იაკობ შემოქმედელი XVII საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა იმ დასს ეკუთვნოდა, რომელთაც შესანიშნავად ჰქონდათ გააზრებული ქართული კულტურის მნიშვნელობა ეროვნული ცნობიერების გადარჩენისათვის ბრძოლაში, ამიტომ დაუცხრომლად მოღვაწეობდა კულტურის სხვადასხვა სფეროში და აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ-ქრისტიანული იდეოლოგიის დაცვასა და გავრცელებაში.

შემოქმედელ მღვდელმთავართა შორის იაკობ დუმბაძის გარდა კიდევ გვხვდება პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ეპისკოპოსი. ეს გახლავთ მიტროპოლიტი ნიკოლოზი, ძე გურიის მთავრის მამია II-ისა. სამწუხაროდ ნიკოლოზ შემოქმედელის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან მხოლოდ ერთი ლექსი გვაქვს შემორჩენილი.

ნიკოლოზის მღვდელმთავრობის პერიოდი გამოირჩევა დიდი გამოცოცხლებით. საეკლესიო ნივთებზე დატანილი წარწერები ცხადყოფენ, რომ ნიკოლოზი ინტენსიურად ენეოდა ძველი ჯვარ-ხატების აღდგენა-შემკობას. მისი მზრუნველი ხელის მიერ არის განახლებული მრავალი ხატი და საეკლესიო ინვენტარი. მათ შორის, ოქროს სასაყდრე ბარძიმი. ოქროს ფეშხუმის ძირზე დატანილი წარწერაც მის სახელს იხსენიებს (1,115). ჯვრისმტვირთველის მიერ სამწყსოში გამოსასვენებელი ძვირფასი თვლებით შემკულ ჯვარს ზურგზე აწერია: „ახლად შემამკობელი და განმაახლებელი ჯვრისა ამის პატიოსნის, ძე გურიელისა

მამიასი შემოქმედელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ, შეიწყალე ჯვარო და მასზედ ჯვარცმულო ქრისტე ღმერთო" (1,115). ნიკოლოზმა განახლა შემოქმედის მაცხოვრის ხატი და „ ... დასვა თავსა ზედა მრავალ-ფასი ესე იაგუნდი" (198,185).

ნიკოლოზ შემოქმედელი პოლიტიკურ ასპარეზზეც მოღვაწეობდა. იგი მამია IV-ის დავალებით დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა ერეკლე II-სთან. თურქთაგან შევიწროებული მამია IV ძლიერ მოკავშირეს ეძებდა და, როდესაც თბილისის ციხეში გამაგრებული ერეკლე II ავგან-ყებულ აბდულა-ბეგს, მის მომხრე სპარსელებსა და ლეკებს ებრძოდა „გურიელს თავისი ბიძა შემოქმედელი ეპისკოპოსი გამოეგზავნა, მოურთ-მევინა ფეშქაში მეფის ერეკლესათვის და შემოხვეწოდა ურუმზე მიხ-მარებასა" (26,142). ეს ელჩობა 1748 წელს მოეწყო. ნიკოლოზ შემო-ქმედელის ამავე მისიით ქართლში ვხედავთ 1756 წელს. ამჯერადაც მამია IV დავალებით წარმოგზავნილს. მამია IV თავისმა ძმამ გიორგი V ოსმალთა დახმარებით გურიიდან განდევნა. იგი რაჭის ერისთავთან აფა-რებდა თავს. მან ერეკლე II-ს სამთავროს დასაბრუნებლად დახმარება სთხოვა. „მოვიდა გურიელის ბიძა შემოქმედელი ეპისკოპოსი, შემოეხ-ვეწა მეფეთა შველას გურიელსა" (26,239). ნიკოლოზ შემოქმედელის მისიამ შედეგი გამოიღო. ერეკლე II კონსტანტინე მუხრანბატონის შუა-მდგომლობით მამია IV გურიელი და ახალციხის ფაშა ერთმანეთთან შეარიგა და მამიას სამთავრო დაუბრუნა.

ნიკოლოზ შემოქმედელი აქტიურად იყო ჩაბმული დასავლეთ საქართ-ველოს საეკლესიო ცხოვრებაში. იგი მონაწილეობდა 1759 წლისა და 1761 წლის საეკლესიო კრებებში.

1771-1772 წლებში ნიკოლოზ შემოქმედელი იმერეთის სამეფო კარ-ზე ჩანს. იგი მოუნახულებია იმჟამად დასავლეთ საქართველოში მყოფ გერმანელ მოგზაურს იოჰან გიულდენშტედტს, რომელიც შემდეგს მო-გვითხრობს: „გურიელთა თავადური გვარიდან კარზე იყო ეპისკოპოსი გურიისა, რომელსაც აქვს საყდომი შემოქმედში და მას ჰქვია შემოქმე-დელი. მეფეს გურიელთან ურთიერთობა ჰქონდა და მძევლები ყავდა მისგან აყვანილი. ამ ურთიერთობას აწარმოებდა ეპისკოპოსი, 70 წლის მოხუცი" (4,129). როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ნიკოლოზი ცდილობდა მშვიდობიანი ურთიერთობა დაემყარებინა მამია IV-სა და სოლომონ I-ს შორის. 1771 წელს სოლომონ I გურიაში შეიჭრა, გადააყენა გიორგი V და ტახტი მამია IV-ს დაუბრუნა. სოლომონმა გურიის დიდებულებს ფიცი დაადებინა ერთგულებაზე, მათ შორის იყო ნიკოლოზ შემოქმედე-ლიც (52,178).

XVII ს. 70-იან წლებში თურქთა განუწყვეტელი თარეშის გამო შემოქმედის საეპისკოპოსო გაუქმდა. 1777 წელს მართალია, კათედრა აღადგინეს, ეპისკოპოსად აკურთხეს იოსებ თაყაიშვილი, მაგრამ საეპისკოპოსომ დიდხანს მაინც ველარ იარსება. 1788 წელს კვლავ გაუქმდა. ამგვარ სიტუაციაში ყველანაირი მოღვაწეობა ჩაცხრა. ოდნავი გამოცოცხლება შეინიშნება XIX საუკუნის დასაწყისში, თუმცა შემოქმედის ეპარქია დამოუკიდებლად ველარ ჩამოყალიბდა და ჯუმათის ეპარქიასთან გაერთიანებული განაგრძობდა არსებობას 1827 წლამდე.

*ბ) ხინოწმინდელი ეპისკოპოსები.* ხინოწმინდელ ეპისკოპოსებზე საკმაოდ მწირი ცნობები მოგვეპოვება. სრულყოფილად თვით მღვდელმთავართა ქრონოლოგიური რიგის დადგენაც არ ხერხდება. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ხინოწმინდელთა კულტურულ და სასულიერო მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ პერიოდში, რადგან ხინო იყო გურიის სამთავროს სამხრეთი ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა თურქეთს, ხინო ირბეოდა თურქთაგან ყველაზე ინტენსიურად და ამდენად, ხინოს ემუქრებოდა „გათათრების" დიდი საფრთხე.

ხინოწმინდის ეპისკოპოსთაგან გამოვყოფდით მაქსიმე I-ს. იგი XVII საუკუნის 50-იან წლებში მოღვაწეობდა. ამ პერიოდში იმერეთის მეფე სოლომონი აქტიურად უტევს თურქებს და დასავლეთ საქართველოდან აძევებს მათ. თურქთა ბატონობის წინააღმდეგ მიმართული აქტი იყო 1759 წელს მოწვეული საეკლესიო კრება, რომელმაც სასტიკად აკრძალა ტყვის სყიდვა. კრებაში მონაწილეობდნენ როგორც სასულიერო, ასევე საერო იერარქებიც. მათ მეფეს პირობა მისცეს ტყვის გაუსყიდველობის შესახებ. კრებას ესწრებოდა და მიღებულ დოკუმენტს ხელს აწერდა ხინოწმინდელი მაქსიმე. იგი იწოდება, როგორც „ხონთქრის ხინოწმინდელი მთავარეპისკოპოსი მაქსიმე", ასევე იწოდება მამია გურიელიც „ყმა ხონთქრისა, ხანი გურიისა მამია" (38,715). ეს წოდება ნათლად გამოხატავს იმ პერიოდის პოლიტიკურ ვითარებას.

ხინოწმინდელ მაქსიმეს სახელს ვხვდებით მოჭედილი ჯვრის წარწერაში. მაგრამ უცნობია რომელ მაქსიმეზეა საუბარი პირველზე თუ მეორეზე. ჯვარი იმერეთის სოფელ ზარათში წმ. კვირიკესა და ივლიტეს ეკლესიაში უნახავს გ. ბოჭორიძეს. ამიტომ მას „კვირიკეს ხატს" უწოდებენ. ჯვარი ვერცხლითაა ნაჭედი. მასზე გამოსახულია ჯვარცმის, წმ. გიორგის, კვირიკესა და ივლიტეს ხატები. ეს ჯვარი გადმოცემით იმერეთში სვანეთიდან მოხვედრილა (139,14). არ ვიცით რამდენად ახლო-

საა ეს გადმოცემა ჭეშმარიტებასთან, მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ ჯვარი მართლაც სვანეთიდან გადმოუტანიათ იმერეთში, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ თვით სვანეთში გურიიდან გადაუხიზნავთ. შესაძლოა ეს მოხდა ხინოს მხარის თურქების მიერ მიტაცების დროს, როცა მაჰმადიანებმა სიწმინდეების მისპობა და განადგურება დაიწყეს.

ოსმალთაგან ქვემო გურიის დაპყრობა და ხინოწმინდის საეპისკოპოსოს გაუქმება იოანე წუწუნავას ეპისკოპოსობის დროს მოხდა, რომლის მოღვაწეობა ხინოწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე XVII საუკუნის 60-70-იან წლებს უკავშირდება. კათედრაგაუქმებული ეპისკოპოსი საქრისტიანო გურიაში გადაიხიზნა. მას მრევლის ნაწილიც თან გაჰყვა. ამის საილუსტრაციოდ საინტერესოა ერთი სიგელი იოანე ხინოწმინდელის წყალობის წიგნი გაბრიელ მონყობილისა და მის შვილ იობასადმი (36,938).

იოანე ხინოწმინდელს საეკლესიო სიწმინდეები გადმოაქვს გამოჩინებულის მონასტერში. მნიშვნელოვანია ღვთისმშობლის ოქროს ხატი, რომელიც ამჟამად უკვე აღარ არსებობს, რადგან 1905 წელს მძარცველებმა გაიტაცეს და დაიკარგა. გ. ბოჭორიძე შენიშნავს, რომ „გადმოცემით ხატი გადმოტანილი ყოფილა ხინოწმინდის ეკლესიიდან ხინოწმინდელი ეპისკოპოსის იოანე თავდგირიძისა და მღვდელ გაბრიელ მონყობილის მიერ კლარჯეთის გამაჰმადიანების დროს. გამაჰმადიანებულ ქართველებს ხატი უკანვე გაუტაციათ, ხოლო მათგან დაუხსნია მამია გურიელს, რის თაობაზეც გაუკეთებია მასზე წარწერა (მხედრულად): „ღმერთო და ყ~დ წ~ო, გურიელი მამია აცხოვნე“ (139,40). დ. ბაქრაძე მიიჩნევს, რომ წარწერაში მოხსენიებულია მამია I გურიელი, რომელიც 1512-1534 წლებში მოღვაწეობდა (1,198). ჩვენთვის უცნობია ამ პერიოდში მოღვაწე, რომელიმე ხინოწმინდელი იოანე. გაურკვეველია კლარჯეთის გამაჰმადიანებაში ისტორიულ კლარჯეთს გულისხმობს ავტორი თუ ხინოს მხარის მიტაცებაზე აქვს საუბარი. ამას გარდა, ხინოწმინდელი იოანე გვარად წუწუნავა იყო და არა თავდგირიძე. თუ გავიზიარებთ იმ ვარაუდს, რომ ხატი ხინოდან გამოჩინებულში წაასვენეს, ხოლო გამაჰმადიანებულმა ქართველებმა იქიდან გაიტაცეს, მაშინ მისი დახსნა მამია IV-ს (1771-1776) უნდა მივაწეროთ და არა მამია I-ს. მითუმეტეს, რომ მამია I-ის (1512-1534) ზეობის პერიოდში კლარჯეთი არ იყო გამაჰმადიანებული და არც სიწმინდეების გადახიზვნის საკითხი იდგა დღის წესრიგში. დ. ბაქრაძემ მამია I მიიჩნია ღვთისმშობლის ხატის განმაახლებლად, რადგან ღვთისმშობლის ხატი იმ ჯვარის თანადროული ეგონა, რომელიც ასევე გამოჩინებულის მონასტერს

ეკუთვნოდა და, რომლის წარწერაშიც ჯავახ ჭილაძე და მამია გურიელი იხსენიებიან, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჯავახ ჭილაძე უფრო გვიან მოღვაწეობდა, ვიდრე მამია I. რაც შეეხება ჯვრის ბურთულაზე მოხსენიებულ მამია გურიელს, შესაძლოა წარწერა მოგვიანებით არის შესრულებული და მასში შეიძლება ნებისმიერი მამია ვიგულისხმოთ.

იოანე ხინოწმინდელს ძველ ხელნაწერებზეც უზრუნია. ცაგერის ეპისკოპოსად დადგინებისას მას ლაბეჭინის მონასტრისათვის შეუწირავს XVI საუკუნის ხელნაწერი მენიეთის მარხვანი (39,95).

ხინოს ეპარქიის გაუქმების შემდეგ აქ საეკლესიო ცხოვრება და კულტურულ-შემოქმედებითი პროცესები შეწყდა. იოანე ხინოწმინდელისა თუ მრევლის სხვა რიგითი წევრების მეცადინეობით შესაძლებელი მხოლოდ სიწმინდეებისა და კულტურის ძეგლების მცირე ნაწილის გადარჩენა გახდა.

**გ) ჯუმათელი ეპისკოპოსები.** ჯუმათელ ეპისკოპოსთაგან ჩვენთვის სახელით ცნობილი პირველი მღვდელმთავარი სვიმონ ჩხეტიძე გახლავთ. მისი მოღვაწეობა XVI საუკუნის პირველ ნახევარს უკავშირდება. ამ დროს მაღალ სასულიერო თანამდებობებზე წინაურდება ჩხეტიძეების გვარი, რაც იმერთა მეფე ბაგრატ III საეკლესიო პოლიტიკის ნაწილი იყო. ჩხეტიძეები მეფის მომხრე ფეოდალების რიგს ეკუთვნოდნენ და მათი დაწინაურებაც ამით იყო განპირობებული. XVI საუკუნის დასაწყისში ჩხეტიძეების საგვარეულოს წარმომადგენლები დასავლეთ საქართველოს ხუთ საეპისკოპოსო კათედრაზე გვხვდებიან. ჩხეტიძეების საგვარეულოს წარმომადგენელი იყო ჯუმათელი ეპისკოპოსი სვიმონიც. როგორც ჩანს მისი აღსაყდრება ამ პოსტზე იმერთა მეფე ბაგრატ III-ის გავლენით უნდა მომხდარიყო. ბაგრატ III ცდილობდა მოესპო ფეოდალურ-სეპარატისტული განწყობილება და ძლიერი ხელისუფლება შეექმნა: ამასთანავე, ზრუნავდა საზოგადოების ზნეობრივ-მორალურ მდგომარეობაზე. აკრძალა ტყვეთა სყიდვა, ამის მიღწევა კი შეუძლებელი იყო ეკლესიის თანადგომისა და გაძლიერების გარეშე, ამიტომაც მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე თავისი ერთგული სასულიერო პირები დააწინაურა.

XVII საუკუნის დასაწყისში ჯუმათის კათედრა მალაქია გურიელს უჭირავს. მალაქია გიორგი II გურიელის უმცროსი ძე გახლდათ, ამდენად მას სამთავრო ტახტი არ ეკუთვნოდა და სავარაუდოა, ბავშვობიდანვე სასულიერო მოღვაწეობისათვის ამზადებდნენ. მან შესაბამისი განათლება მიიღო და როგორც ჩანს სასულიერო წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. XVII საუკუნის დასაწყისში უკვე განაგებდა

დასავლეთ საქართველოს ორ უძლიერეს კათედრას – ჭყონდიდს და ცაიშს. შემდგომ აფხაზთა კათალიკოსად აკურთხეს, მოგვიანებით ხონის მთავარეპისკოპოსიც გახდა. უმაღლეს სასულიერო ძალაუფლებასთან ერთად იგი საერო ხელისუფლებასაც ფლობდა, რაც საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა იყო.

1600-1625 წლებში გურიის სამთავროს განაგებდა მალაქიას ძმა მამია II გურიელი. 1625 წელს მას აუჯანყდა თავისი შვილი სიმონი, რომელმაც მოკლა მამა და თვითონ დაიკავა სამთავრო ტახტი. ეს ფაქტი გახდა საბაბი სამეგრელოს მხრიდან გურიის სამთავროს საშინაო საქმეებში ჩარეულიყო. ლევან II დადიანმა სიმონის წინააღმდეგ გაილაშქრა, როგორც კათოლიკე მისიონერი ქრისტოფორო კასტელი მოგვითხრობს: „დადიანმა თავისი მტერი სიმონ-ხანი ბრძოლაში დაამარცხა, ტყვედ ჩაიგდო, თვალები დასთხარა და გურიის სამთავროდან განდევნა. სიმონის ბიძა, გურიის მთავარი მალაქია ამ მხარის მთავრად და პატრიარქად დაადგინა" (20,73) ვიდრე სიტყვას გავაგრძელებდეთ, აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ქართული წყაროები, კერძოდ, ვახუშტი ბატონიშვილი და ახალი ქართლის ცხოვრება სიმონ I-ის მომდევნო მთავრად ვახტანგ ქაიხოსროს ძეს ასახელებენ. მაგრამ ამ შემთხვევაში კათოლიკე მისიონერების ცნობები უფრო სანდო და მისაღებია, რადგან ისინი თვითმხილველნი იყვნენ იმ ამბებისა, რომელსაც თავიანთ თხზულებებში მოგვითხრობენ.

მეორე მისიონერი ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი მოგვითხრობს, რომ დადიანმა ღალატით დაატყვევა სიმონ გურიელი და ამ ღალატის მიზეზი კათალიკოსი მალაქია გახლდათ. ამის შესახებ კათალიკოსის სიცოცხლეში ხმას ვერ იღებდნენ და მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ ალაპარაკებულან (49,34). ქრისტოფორო კასტელი აკონკრეტებს ამ ამბავს და მოგვითხრობს, რომ მალაქია კათალიკოსმა ჯარი მიაშველა სიმონის წინააღმდეგ გალაშქრებულ ლევან დადიანს (20,48). როგორც ჩანს გურიის სამთავროს კარზე ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ბანაკი არსებობდა. შესაძლოა მალაქიას ძალაუფლების ხელში ჩაგდების წყურვილიც ამოძრავებდა.

აღსანიშნავია, რომ სიმონი დადიანის სიძე იყო. არქანჯელო ლამბერტის ცნობით ლევან დადიანს სხვა საბაბიც ჰქონდა სიმონთან ანგარიშის გასასწორებლად, იგი მონაწილე ყოფილა დადიანის წინააღმდეგ პაპუნა ვეზირის მიერ მოწყობილი შეთქმულებისა (21,21). ცხადია, ლევან დადიანს თავისი ინტერესები ამოძრავებდა. მან ფაქტიურად

სამეგრელოს სამთავროს გავლენის ქვეშ მოაქცია გურია. ამაზე ნათლად მიგვანიშნებს თვით ის ფაქტიც, რომ მალაქია მთავრად ლევან დადიანმა დაადგინა.

მალაქიას მრავალმხრივი მოღვაწეობიდან აღსანიშნავია მისი კულტურული საქმიანობა. მან მოახატვინა ცაიშის ტაძარი. როგორც პ. ზაქარაია ვარაუდობს შესაძლოა ძველი მხატვრობა რაღაც მიზეზით ჩამოცვივდა და ამიტომ მალაქიამ განაახლა იგი, ან უფრო ნაკლებ სავარაუდოა, რომ ტაძარი სულაც არ ყოფილა მოხატული (144,12). მიწისძვრამ სრულად დაანგრია ტაძარი. მალაქიამ ხელმეორედ ააშენებინა, მოახატვინა და ჯვარ-ხატებით შეამკობინა. მალაქიას ინიციატივით აშენდა ჯეგეთას ეკლესია.

სტიქიური უბედურების გარდა ტაძრებს, ძველ ხელნაწერებსა და ხატებს მტრის შემოსევებიც ანადგურებდა. XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბას I-ის ინტენსიურმა ლაშქრობებმა აარხრა აღმოსავლეთ საქართველო. სპარსელთაგან ლტოლვილმა თეიმურაზ I-მა და ქართლის მეფე ლუარსაბ II-მ იმერეთის სამეფოს შეაფარეს თავი. მათთან ერთად დასავლეთ საქართველოში გადავიდა მცხეთის კათალიკოსი იოანე და სვეტიცხოვლის სიწმინდეები გადახიზნა. მალაქიას განუახლებია სვეტიცხოვლის რელიქვიებით შემკული ხატის ჩასასვენებელი კუბო, რომელსაც ქადაგების დროს გულზე იდებდა (148,460).

მალაქია ფრიად ენერგიული ორგანიზატორი გახლდათ. მან მოაწესრიგა აფხაზთა საკათალიკოსოს სამეურნეო საქმე. აღწუსხა სხვადასხვა სამთავროსა თუ სამეფო ტერიტორიაზე მდებარე საკათალიკოსო სენიორიები, რომელიც ამ პერიოდში 24-25 მსხვილი მამულისაგან შედგებოდა, მასზე მოსახლე ყმა-გლეხების რიცხვი კი 547 კომლს აღემატებოდა. ყმა გლეხების გარდა საკათალიკოსოს დაქვემდებარებაში რამდენიმე ათეული კომლი ყმა-აზნაურიც იყო. ბეგარის აკრეფა მამულებში არსებული სასახლეების მეშვეობით წარმოებდა. სასახლე ამ შემთხვევაში ყმა-მამულის მართვის ტექნიკური საშუალება გახლდათ (81,105). მალაქიამ შეწირულობების ხარჯზე გაზარდა საკათალიკოსო ყმა-მამულის რიცხვი. ასევე გაიზარდა სასახლეთა რაოდენობა. მისი მწყემსმთავრობის დროს აფხაზთა საკათალიკოსო უკვე 23-ზე მეტ სასახლეს ფლობდა. ყმა-მამულის გარდა მან საკათალიკოსოს შეწირა მრავალი ძვირფასი ხატი, წიგნი და სხვადასხვა განძეულობა. ლამბერტის ცნობით: „ოდიშის პატრიარქს თავის საბრძანებელში ისეთი ძალა აქვს, ისეთი სიმდიდრე და სასახლეები, იმდენი ყმები ჰყავს, რომ არამცთუ ეთანას-

წორება მთავარს, რომელიც მას ირჩევს, არამედ ალემატება კიდეც" (21,119). მალაქია საკმაოდ მდიდარი ადამიანი გახლდათ, მისი ქონება თითქმის ერთი მილიონი ღირებულებისა იყო (49,77).

მალაქია კათალიკოსმა მოაწესრიგა ხონისა და ცაიშის ეპარქიებიდან შემოსავლის მიღების საკითხი. მიწისძვრის დროს განადგურდა ცაიშის სიგელ-გუჯრები, ამიტომ გაურკვეველი იყო საეკლესიო მამულებისა და ყმა-გლეხთა რაოდენობა. მალაქიას ინიციატივით შეიქმნა საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი. ასევე შეადგინა ხონის ეპარქიის გამოსავლის დავთარიც.

მალაქია კათალიკოსის მოღვაწეობის შესახებ შემდეგ შეფასებას გვაძლევს ს. კაკაბაძე: „როგორც მისი გავლენა, ისე პირადი ენერგია უძლური იყო იმ უდიდესი ბოროტების – ტყვეთა ყიდვის წინაშე, რომელსაც თანდათან ფეხი მოკიდებული ჰქონდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და ამ დროს ქვეყნის დამღუპველ ხასიათს ღებულობდა. მეფის ცენტრალური ძალაუფლების დაქსაქსვამ, მეფე-მთავართა და ცალკე დიდ თავადებს შორის გამწვავებულმა ურთიერთობამ, გახშირებულმა ხდომა-რბევამ, უფრო ღრმა ეკონომიკურ მიზეზებთან ერთად გაამრავლა ტყვის ყიდვა. როგორც ოდიშიდან, ისე გურიიდან ოსმალეთის ბაზრებზე ყოველ წელს გაჰყავდათ გემებით რამოდენიმე ათასი ტყვე. ეკლესია და მალაქია კათალიკოსი ებრძოდნენ ამ ბოროტმოქმედებას, მაგრამ საერთო სტიქიურ მოვლენას მარტო ზნეობრივი ხასიათის ზომები, რასაკვირველია ვერ შეაჩერებდა" (151,91). ჩვენთვის უცნობია, ამგვარი შეფასების დროს რა ცნობებს ეყრდნობოდა პატივცემული მეცნიერი. უნდა შევნიშნოთ, რომ იმ პერიოდის წყაროები საპირისპიროს მოგვითხრობენ. 1639 წლის 25 აპრილით დათარიღებულ დოკუმენტში თეიმურაზ I აღნიშნავს, რომ მალაქია ტყვეებით ვაჭრობდა და ყოველწლიურად 12 ათას ბავშვს ყიდდა (191,43). ეს ცნობა, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია და კათალიკოსთან თეიმურაზის პირადი მტრობით არის გამოწვეული, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ მალაქია, მართლაც ეწეოდა ტყვეებით ვაჭრობას. 1639 წელს სამეგრელოში ელჩად მყოფი თეოდოტე ელჩინი მოგვითხრობს: "Дадиянскои же царь и патриарх, митрополиты и архиепископы и поместные азнауры людей своих и крестьян продают в турки, и в кизилбаши..." (190,334-336) ამასთან დაკავშირებით ჯუდიჩე მილანელი საგანგებოდ შენიშნავს, რომ კათოლიკე მისიონერებმა მალაქიას ხელი აალებინეს იმ მავნე ჩვეულებაზე, რომელსაც მისდევდა (49,68).

ტყვეთა სყიდვა საკმაოდ გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში, მათ შორის გურიის სამთავროში. მან განსაკუთრებით აქტიური ხასიათი მიიღო XVII საუკუნის პირველ ნახევარში. მის წინააღმდეგ საბრძოლველად დავით გარეჯის უდაბნოდან საგანგებოდ ჩასულმა ბერმა ბესარიონმა ტყვეთა სყიდვის აღკვეთის მიზნით ფიცის წიგნი ჩამოართვა გურიის მთავარს მამია II გურიელს. მართალია, ამ დოკუმენტში მამია პირობას დებს, რომ არც თვითონ და არც მისი სამთავროს სხვა პირი ტყვეს აღარ გაყიდის, მაგრამ იქვე დასძენს: „რაც ხვანთქრისა და ვეზირისა მართებულობა და საბრძანებელი შემოგვივარდეს რომ მტრისაგან არ ვიჩაგროდეთ ან ქვეყნის შემოსავლები საქმე მოგვიხდეს თუ არა მას გარეთ „ეს ასრე აგითაოთ“ (76,183). მაშასადამე, გურიელი ტყვის სყიდვას საბოლოოდ ვერ აღკვეთდა, რადგან ამას ითხოვდა მისი ჰეგემონი – თურქეთის სახელმწიფო. როგორც ჩანს იმდენად ფესვგადგმული იყო ეს სენი ქართველებში, რომ თითქმის ცხოვრების წესად იქცა. ქართველი ფეოდალები იმდენად ინტენსიურად ეწეოდნენ ტყვეთა სყიდვას, რომ ამგვარი მასობრიობის ფონზე ეს უზნეობა ერთგვარად ფერმკრთალდებოდა.

რაც შეეხება ჩვენს მიერ ზემოხსენებულ თეიმურაზ I-ის პირად მტრობას მალაქიასადმი, შესაძლებელია ავხსნათ იმ ფაქტით, რომ მალაქიამ, როგორც გურიის მთავარმა იმერეთის მეფე გიორგი III-სა და სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანთან ერთად ფიცის წიგნი დაუდო თეიმურაზის მოწინააღმდეგე გიორგი სააკაძეს და ერთგულება აღუთქვა. ამასთანავე საჭირო შემთხვევაში დახმარებასაც დაჰპირდა (36,484). ამდენად ადვილი გასაგებია თეიმურაზის აგრესიული განწყობა მალაქიასადმი.

მაჰმადიანთაგან შევიწროებული ქართველი პოლიტიკოსები თუ სასულიერო პირები ცდილობდნენ გამოსავალი დასავლეთ ევროპასთან კავშირით ეპოვნათ. XVII საუკუნის 20-30-იანი წლები ის პერიოდია, როდესაც საქართველოთი დიდად ინტერესდება რომი. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდე სამისიონერო მოღვაწეობისათვის აქ აგზავნის კათოლიკე პატრებს. მათი საშუალებით ქართველი მოღვაწენი უკავშირდებიან ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს. მალაქია კათალიკოსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა რომთან ურთიერთობას. იგი ხელს უწყობდა მისიონერებს, რათა დამკვიდრებულიყვნენ გურიის სამთავროში. მისიონერები თავად აღწერენ, რა თბილი დამოკიდებულება ჰქონდა მალაქიას მათთან. 1630 წლით დათარიღებულ რელაციაში ჯოვანი-ჯულიანი და ლუკა აღნიშნავს, რომ კათალიკოსთან აკავშირებ-

და მეგობრობა და მისთვის მშვენიერი საჩუქარიც მიუძღვნია, რის სანაცვლოდაც მალაქიამ მას მოახლე აჩუქა (192,331).

ქართლში როსტომის გამეფების შემდეგ კათოლიკე მისიონერები მეტად ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელმა და არქანჯელო ლამბერტმა ქართლი დატოვეს და სამეგრელოში გადასვლა განიზრახეს. მათ გზად გურიის სამთავროში გაიარეს. მალაქიამ ისინი გულთბილად მიიღო და გურიაში დარჩენა სთხოვა, მაგრამ პატრებმა დასახული გეგმა აღარ შეცვალეს. 1634 წელს ლევან I დადიანის და, დედოფალი მარიამი როსტომ მეფეზე დაქორწინდა. დედოფლის ამალაში სხვა ნარჩინებულ პირებთან ერთად შემოქმედელი ეპისკოპოსიც გახლდათ. იგი უკან დაბრუნების დროს ქალაქ გორში კათოლიკეთა მისიონის პრეფექტს პიეტრო ავიტაბილეს შეხვდა. მას სთხოვა რამდენიმე პატრი გაეყოლებინა გურიაში, რაზეც თანხმობა მიიღო. მალაქიამ, თავდაპირველად ისინი საკუთარ სახლში მოათავსა, შემდეგ მისცა სახლი და ყველაფერი, რაც კი ესაჭიროებოდათ. ასევე, აუშენა მცირე ხის ეკლესია, სადაც შეეძლოთ ენირათ კათოლიკეებს. ისინი თავიანთ წერილებში მალაქიას მფარველსა და გამორჩეულ კეთილისმყოფელს უწოდებენ. „უვლიდა და მფარველობდა პატრებს როგორც საკუთარ შვილებს" (49,76). მალაქიას არ შეუზღუდავს კათოლიკეები ექადაგათ თავიანთი მრწამსი, მაგრამ მათ დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ გურიაში მყოფი ბერძენი სამღვდელო პირები. ისე რომ „მთელ სამთავროს, რომ რომაული რწმენა არ უღიარებია, ეს ბერძენი სამღვდელოების ბრალია, რომელიც განუწყვეტლივ ეწინააღმდეგებოდა მისიონერებს" (148,459). ბერძენ სამღვდელოებაში მაინცდამაინც ეროვნებით ბერძენი პირები არ უნდა ვიგულისხმოთ, მათში ბერძნული ანუ მართლმადიდებლური აღმსარებლობის სასულიერო წოდება იგულისხმება. კათოლიკეებს განსაკუთრებით დიდ წინააღმდეგობას უწევდა ალავერდელი ეპისკოპოსი, რომელიც გურიის მიტროპოლიტიც იყო და პატრიარქის შემდეგ მეორე პირი გახლდათ. როსტომის ქართლში გამეფების შემდეგ იგი სამეგრელოში გადაიხვეწა და აქედან იმერეთში ჩავიდა თეატინელ მისიონერთა წინააღმდეგ სამოქმედოდ. მან საჯარო დისპუტები გაუმართა მისიონერებს და პაექრობაზე გამოიწვია საღვთისმეტყველო საკითხების გასარკვევად. რასაკვირველია, ალავერდელის ამგვარ საქციელში მალაქიას ორმაგი პოლიტიკა უნდა დავინახოთ. იგი ერთი მხრივ იწყნარებდა კათოლიკე მისიონერებს, როგორც დასავლეთ ევროპის წარმომადგენლებს, რომელთა საშუალებითაც შესა-

ძლებელი იყო ევროპის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება და მათი მიღწევების შეცნობა. თითქოს არ ზღუდავდა თავიანთი მრწამსის ქადაგების დროს, მაგრამ მისი კურთხევით გურიის მიტროპოლიტად დადგენილი ალავერდელი და მასთან ერთად მართლმადიდებელი სამღვდელოება უპირისპირდება კათოლიკე პატრებს და მათ არ აძლევს მოსახლეობის გაკათოლიკების საშუალებას.

სასულიერო პირების გარდა მისიონერებს დაუპირისპირდა მალაქია კათალიკოსის ძმა ვახტანგ გურიელი. მან რამდენიმეჯერ სთხოვა მალაქიას გურიიდან განედევნა ისინი, როგორც მწვალებლები და ორთოდოქსალური სარწმუნოების შემბღალავნი. საგულისხმოა, მალაქიას პასუხი ძმისადმი: „სარწმუნოებიდან გამორიცხული უნდა იყოს ყოველგვარი უთანხმოება, რადგან ასეთი ბრძენი და კეთილი ადამიანები არასოდეს არ მოსულან ჩემს სამფლობელოშიო" (49,76).

კათოლიკე მისიონერებმა საგანმანათლებლო მოღვაწეობა გაშალეს გურიის სამთავროში. ოზურგეთში მთავრის სასახლის ბაღში დააარსეს სკოლა. როგორც თავად ქრისტოფორო კასტელი მოგვითხრობს, აქ „ასწავლიდნენ მონა ყმაწვილებს, რომელთაც ჩვენ გვაძლევდა მთავარი, იგივე პატრიარქი გურიელი და მისი სხვა დიდი ბატონები. დანარჩენნი თვით მამებისგან გვყავდა აყვანილი და რადგანაც არ შეეძლოთ მათი სიცოცხლის დაცვა, ნებაყოფლობით გვაძლევდნენ თავიანთ ბავშვებს, რომ თურქებზე არ გაეყიდათ ისინი. მათ ავიყვანდით ხოლმე, ვზრდიდით და ვასწავლიდით სარწმუნოებას, სხვადასხვა მეცნიერებას და ქრისტიანულ მოძღვრებას" (20,63). როგორც ჩანს პატრები იცავდნენ იმ ბავშვებს, რომელთაც თურქეთის ბაზარზე ტყვედ გაყიდვა ემუქრებოდათ. იცავდნენ და სათანადო განათლებასაც აძლევდნენ. სწავლას დანაფულ ყმაწვილებს არ გაუმტყუნებიათ მისიონერთა იმედები. „პატრები ძლიერ აქებდნენ გურულების ნიჭიერებას და მათ ყველაფრისადმი ადვილად შეთვისების უნარს. გურულების საოცარი ნიჭის მიზეზით მისიონერებმა დააპირეს რამდენიმე ყმაწვილი იტალიაში გაეგზავნათ, რათა აქ მაღალი სწავლა მიეღოთ და შემდგომ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ მამულში საშრომად, მაგრამ მისიონერები მტრებს მოერიდნენ, იქნება ხალხში ხმა გაავრცელონ და სთქვან, რომ პატრებმა ყმაწვილები თათრებს მიჰყიდესო, ამის გამო ყმაწვილები ევროპაში აღარ გაგზავნეს" (147,156).

გურიის სამთავროში სკოლა დაფუძნდა ანტონიო ჯვარდინას ინიციატივით. მას იმდენად კარგად სცოდნია ქართული, როგორც მშობლი-

ური ენა. ასევე შეუდგენია ქართული გრამატიკა. პროფ. ილია ტაბაღუამ ვატიკანის არქივში აღმოაჩინა თეატინელთა მიერ გურიაში დაარსებული სკოლის სურათი, რომელზეც ოცი მოსწავლეა გამოსახული. შუაში ზის ანტონიო ჯარდინა, მარცხნივ კი დგას ქრისტოფორო კასტელი. სურათის ახლავს შესაბამისი წარწერა (116,2). სკოლამ არსებობა შეწყვიტა 1637 წელს, ანტონიო ჯარდინას მოულოდნელ გარდაცვალების გამო. მარტო დარჩენილ ქრისტოფორო კასტელს ფრიად გაუჭირდა, ხოლო, როდესაც, 1639 წელს სამთავროს ტახტზე მალაქიას გარდაცვალების შემდეგ ვახტანგი ავიდა, რომელიც დიდ წინააღმდეგობას უწევდა კათოლიკეებს, კასტელი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამთავრო და სამეგრელოში გადასულიყო. ამის შემდეგ თეატინელთა მისიონმა გურიაში არსებობა შეწყვიტა.

კათოლიკე მისიონერების ჩანაწერები მრავალ მნიშვნელოვან ცნობას გვაძლევენ მალაქიას შესახებ. ქრისტოფორო კასტელის ალბომში მისი პორტრეტიც არის შემონახული. ღრმა პატივისცემის ნიშნად კასტელმა მას უძღვნა პოემა „განზრახვა ქრისტეს ვნებისათვის" (39,54).

მალაქია კათალიკოსი, გარდაიცვალა 1639 წელს, 62 წლის ასაკში. მისიონერები მოგვითხრობენ, რომ მალაქია გარდაცვალებისას პაპის მიერ ნაბოძებ ოქროს მედალს ამბორს უყოფდაო, რომელიც კათოლიკე პატრების ხელშეწყობისათვის მიუღია.

მალაქია კათოლიკოსი საკმაოდ ენერგიული მოღვაწე გახლდათ. მან მოაწესრიგა აფხაზთა საკათალიკოსოს შემოსავლის საკითხი, შეწირულობების ხარჯზე გაზარდა ამ შემოსავლის რაოდენობა, გააძლიერა და მატერიალურად უზრუნველყო დასავლეთ საქართველოს ეკლესია. აღადგინა და გაამშვენიერა ეკლესია-მონასტრები თუ ჯვარ-ხატები.

მალაქია ჯუმათის საეპისკოპოსო ტახტზე შეცვალა ნიკოლოზ მანველაშვილმა. მას მთელი ოჯახით ვხვდებით აკეთის ეკლესიის მრევლში სატარებელი ვერცხლის ჯვრის წარწერაში. როგორც ჩანს, ეს ჯვარი ნიკოლოზ ჯუმათელის მამის დაკვეთითაა შესრულებული (1,203).

ჯუმათელ მღვდელმთავართაგან საინტერესოა მაქსიმე მაჭუტაძის მოღვაწეობა. იგი ჯუმათის კათედრას განაგებდა XVII საუკუნის 60-70-იან წლებში. მოგვიანებით ბოვნელი ეპისკოპოსი გახდა. 1676 წელს ვახტანგ V შაჰნავაზის ძე ლევანმა იქორწინა თუთა ქაიხოსრო გურიელის ასულზე. თუთა გურიელის ამალაში იყვნენ ძმები ონოფრე და მაქსიმე მაჭუტაძეები. ონოფრე მაჭუტაძე 1690 წელს ერეკლე I-ის მიერ მოწვეულმა საეკლესიო კრებამ დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვრად

დაადგინა, ხოლო მაქსიმე ბოლნისის ეპისკოპოსი გახდა. ონოფრე კულტურის დიდი მოღვაწე გახლდათ. მას გარევჯის „მეორედ აღმაშენებელს“ უწოდებდნენ. ამ საქმეში მისი თანამდგომი იყო მაქსიმეც. მაქსიმეს „სათნო ყოფით“ გარეჯელ ბერს ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილს 1696 წ. განუახლებია და შეუკაზმავს ჟამისწირვის ხელნაწერი.

მაქსიმეს აღმოსავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ ჯუმათის კათედრა მაქსიმე II შარვაშიძემ დაიკავა. მას „დიდ ჯუმათელს“ უწოდებდნენ (14,522). მაქსიმეს უცდია განეახლებინა კავშირი კათოლიკე მისიონერებთან. ამ დროს გორში კაპუცინელი მისიონერები იმყოფებოდნენ. 1677 წელს გიორგი II გურიელმა, მაქსიმე მიტროპოლიტმა და მთავრის სახლის სხვა წევრებმა კაპუცინელებს გაუგზავნეს დესპანები და სთხოვეს გურიის სამთავროში ჩამოსულიყვნენ. მათ პირდებოდნენ თეატინელების დატოვებულ ეკლესიას, მამულებს, საქონელს, და აგრეთვე ერთ სოფელს, რომელშიც 20 მოსახლე იყო (147,166). მათი მიწვევა გარკვეული პრობლემებით იყო განპირობებული. გიორგი გურიელი და მიტროპოლიტი მაქსიმე კაპუცინელებს სთხოვენ მკურნალობისა და ქირურგიის მცოდნე პატრები გაეგზავნათ მათთვის.

ჯუმათის ეპისკოპოსობა XVII-XVIII საუკუნეებში ფაქტიურად შარვაშიძეთა საგვარეულომ დაიმკვიდრა. ასევე მათ სამკვიდრო სახელოს წარმოადგენდა ერკეთის მონასტრის წინამძღვრობა. ერკეთის წინამძღვარი მაქსიმე შარვაშიძე XVIII საუკუნის 50-იან წლებში ჯუმათის მიტროპოლიტი გახდა (1,186). მღვდელმთავრად კურთხევის შემდეგ იგი კვლავ დიდ მზრუნველობას იჩენდა ერკეთის მიმართ. მისი ბრძანებით აუგიათ მონასტრის კანკელი და მოუხატავთ საკურთხეველი. იგი გამოსახულია ეპისკოპოსის სამოსლითა და მიტრით ეკლესიის მარჯვენა კედელზე, სათანადო წარწერით (1,182). როგორც ჩანს სარესტავრაციო სამუშაოებამდე ერკეთის მონასტერი დაზიანებული ყოფილა და ვინაიდან კანკელიც კი აღარ არსებობდა, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ შეწყვეტილი იყო ღვთისმსახურებაც. ფრიად საგულისხმოა გიორგი შარვაშიძისა და მისი მეუღლის რაჭის ერისთავის ასულის ხვარაშანის სიგელი ერკეთის მონასტრისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ „ეს მონასტერი, რომელსაც გურიელები ძველთაგან ამკობდნენ, მძიმე ჟამთა ვითარებისა და ჩვენი ქვეყნის გაუკაცრიელების გამო უგლეხოდ დარჩა. ამ დროს ჩემი ძმა ჯუმათელი მაქსიმე ორ წელიწადს ქართლში იყო, რომ დაბრუნდა და ჩვენი დაქვეითება შეიტყო, მომელაპარაკა და ჩვენ, როგორც შევძელით მოვიყრიბეთ ჩვენი გლეხები და თქვენვე დაგიმტ-

კიცეთ" (1,260). გურიის სამთავროში, ისევე როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, მოცემულ პერიოდში, მონასტრების ნაწილი გაუქმებული იყო. ამგვარ ვითარებას განაპირობებდა ოსმალთა მიერ წარმოებული აგრესიული პოლიტიკა და ასევე ეკონომიკური სიდუხჭირე. გურიის სამთავროში გართულებული იყო საშინაო მდგომარეობაც. მამია IV-მ მხარი დაუჭირა იმერეთის მეფე სოლომონ I-ის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებას, რისთვისაც მეფემ იგი დასაჯა, სამთავროდან გააძევა და ტახტი მის უმცროს ძმას გიორგი V გურიელს გადასცა. მამია IV-მ რაჭის საერისთავოს შეაფარა თავი და 1756 წელს დახმარება სთხოვა ერეკლე II-ს. დიპლომატიური მისია ნიკოლოზ შემოქმედელმა ითავა (26,238). ვფიქრობთ, ამ მისიაში მონაწილეობდა მაქსიმე II ჯუმათელიც. ზემომოყვანილ სიგელიდან ორი წლინადის განმავლობაში მაქსიმეს ქართლში ყოფნა შესაძლოა ამ მოვლენებს დავუკავშიროთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ მაქსიმეს ძმის გიორგის მეუღლე რაჭის ერისთავის ასული იყო, ჩვენი ეჭვი უფრო საფუძვლიანი ხდება.

თურქთა ინტენსიური თავდასხმები აფერხებდა სულიერი ცხოვრების განვითარებას. ამ მიზეზით მონასტრები ხშირად ცარიელდებოდა. დაახლოებით 1772 წლის „დიდი თურქობის" შედეგად საეპისკოპოსო კათედრებიც გაუქმდა. საეკლესიო მამულები საერო პირებმა დაისაკუთრეს. ჯუმათის კათედრის აღდგენის შემდეგაც გრძელდებოდა საეკლესიო ყმა-მამულის მიტაცება. ამ ნიადაგზე ჯუმათელ მაქსიმე IV-სთან კონფლიქტი ჰქონდათ დავით გიორგის ძე გურიელსა და ვახტანგ გურიელს. მათ ძალით წაურთმევიათ საჯუმათლო მამულები ახნაურნი და გლეხნი (38,453). როდესაც წანართმევი დაუბრუნებიათ, ამ დროისათვის მაქსიმე უკვე გარდაცვლილი ყოფილა. ამიტომ საჯუმათლო და ყოველივე, რაც დავთრით შეწირული იყო მისი ახალი ეპისკოპოსის ნიკოლოზ II-სთვის დაუბრუნებიათ.

მაქსიმე ჯუმათელის პიროვნებას შესანიშნავად ახასიათებს ერთ-ერთი საბუთი, რომელიც 1810 წლის 15 მაისს გაუცია. ეს გახლავთ „წიგნი მაქსიმე ჯუმათელისა დადიანისა და სახლთუხუცესის უჯერო ქორწინების შესახებ" (36,1009). იგი მიმართავს ქუთათელ, გენათელ, ნიკორწმინდელ ეპისკოპოსებს და სამღვდელოებას არ დაუშვან დადიანსა და მის სახლთხუცესს შორის უჯერო ქორწინება, რადგან ისინი ნათესავები არიან. როგორც ჩანს, სასულიერო წოდება ვერ ბედავდა დადიანის წინაშე ხმის ამაღლებას. ამიტომ მათ ქრისტესმიერი თავმდაბლობით ამხელს და სიყვარულით შეაგონებს მაქსიმე ჯუმათელი.

„ერთი მეორეს ნუ მიუდგებით, შენი სამწყსოა, შენ სთქვიო. არამედ ერთად ბრძანეთ და ესე უჯერო საქმე დახსენით, სჯობს თუ ეს არ დახსნათ, დიდსა და მცირეზედ ბრძანება გაეცით, რომ ვინც ინებოს და სადა ესევითარი შეყრა, ნურავის აყენებთ, თორემ რომელსამე მისცემთ სიმაღლით და რომელსამე არა სიმდაბლით, ესე კაცთ-მოთნეობაა, რომელი არა ჯერ-არს თქუენ მიერ, ვევედრები თქვენს მეუფებას, ეს წიგნი წყალობად აღმიბექდოთ, რომელი განმზადებულ არს სჯულსა ურჩთათვის. თქვენი მშვიდობის ამბავს წყალობად ვითხოვ" (36,1009). ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ყოფილა მაქსიმე ჯუმათელისათვის ზნეობრივი კრიტერიუმების დაცვა. იგი მიუკერძოებელი ქრისტიანია. სწორედ მან ერთადერთმა აღიმაღლა ხმა რჯულის დამრღვევთა წინააღმდეგ და პირდაპირ განაცხადა, რომ ღვთის წინაშე ყველა თანასწორია.

მაქსიმე ნიჟარაძეს სამღვდელმთავრო კონდაკი (H891) და დოგმატიკურ-პოლემიკური კრებული (S248) შეუწირავს სხვადასხვა მონასტრისათვის.

ჯუმათის უკანასკნელი ეპისკოპოსი ნიკოლოზ II გახლდათ, ვაჟი ერისთავ ქაიხოსრო შარვაშიძისა. ისიც თავისი წინამორბედის მსგავსად შემოქმედელ-ჯუმათელი მიტროპოლიტის წოდებას ატარებდა. მას მღვდელმთავრობა XIX საუკუნის დამდეგს მოუწია, მაშინ როდესაც რუსეთს აღმოსავლეთ საქართველო უკვე დაკავებული ჰქონდა და ცდილობდა დასავლეთ საქართველოშიც მოეკიდებინა ფეხი.

რუსეთის სტრატეგიული ინტერესები დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით იზრდებოდა თურქეთთან წარმოებული ომების პერიოდში. 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ლიხთიმერეთის მეფე-მთავრების პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. რუსებზე განაწყენებული მამია გურიელი ოსმალებისთვის სამხედრო დახმარების გასაწევად ემზადებოდა. მის გადმოსაბირებლად დიდი როლი შეასრულა რუსული ორიენტაციის მქონე ნიკოლოზ ჯუმათელმა. მისი შუამავლობით, „რუსეთის მთავრობამ მამია გურიელი დაარწმუნა, რომ იმპერატორისაგან გამოითხოვდა გურიის სამთავროს დამოუკიდებლობას, გაათავისუფლებდა იმერეთის მეფისადმი მორჩილებისაგან და დადიანივით გაუფორმებდა საქვეშევრდომო ხელშეკრულებას, თუკი ახლა რუსეთის ჯარს დაეხმარებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მამია გურიელი, რომელსაც იმერეთის მეფისაგან დამოუკიდებლობის მოპოვება სურდა, რუსეთის მხარეზე გადავიდა"(166,363).

ნიკოლოზ ჯუმათელი, როგორც ჩანს საზოგადოების იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელნიც იმედის თვალით შეჰყურებდნენ რუსეთის დამკვიდრებას საქართველოში და სჯეროდათ, რომ ერიც და ბერიც საბოლოოდ თავს დააღწევდა მაჰმადიანურ აგრესიას. შესაძლოა ნიკოლოზ ჯუმათელმა გარკვეული პერიოდის შემდეგ პოზიცია შეიცვალა. 1827 წელს მას ვხვდებით გურიის იმ თავადაზნაურთა შორის, რომელთაც მთავარმართებელ ა. ერმოლოვს მიმართეს თხოვნით გაეუქმებინათ გურიის სამთავროს სამმართველო საბჭო (175,82). საბჭო, ფაქტიურად რუსეთის ინტერესების დამცველი უნდა ყოფილიყო, მის არსებობას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა დედოფალი სოფიო, გარდაცვლილ მამია V-ის მეუღლე.

1827 წელს გარდაიცვალა ნიკოლოზ II შარვაშიძე. ამის შემდეგ გურიის ეკლესიები საგამგეოდ ჩააბარეს შემოქმედის მონასტრის არქიმანდრიტ არსენს. 1833 წელს ჯუმათის ეპარქია გააუქმეს და იმერეთისას შეუერთეს. მთავარმართებელმა გ. როზენმა გურიის ეკლესიები იმერეთის არქიეპისკოპოსს სოფრონიოსს დაუქვემდებარა, მაგრამ ფაქტიურად გურიის ეკლესიის მმართველად კვლავ არქიმანდრიტი არსენი (მგალობლიშვილი) რჩებოდა. 1842 წელს იგი გარდაიცვალა. 1844 წლის 1 აპრილს გურიაში აღადგინეს საეპისკოპოსო, გურიის ეპარქიის სახელწოდებით, კათედრალური ცენტრი ჯუმათში. მოგვიანებით, 1885 წლის 12 ივნისს გურია-სამეგრელოს ეპარქია გაერთიანდა.

გურიის საეპისკოპოსოების არსებობა მოიცავს ძირითადად გვიანშუასაუკუნეებს. (XIX საუკუნის დამდეგს მხოლოდ ჯუმათის ეპარქია ფუნქციონირებს). ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში გაბატონებულმა ფეოდალურმა სეპარატიზმმა მძლავრი გამოვლინება ვერ ჰპოვა ეკლესიაში. მართალია მეფე-მთავრები ცდილობდნენ პოლიტიკური ძლიერების პარალელურად გავლენა ეკლესიაზეც დაემყარებინათ, მაგრამ ეკლესია ყოველთვის ერთიან, ძლიერ ორგანიზაციად რჩებოდა და არასოდეს შემოფარგლულა ვიწრო კუთხური ინტერესებით. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ თვით საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში ორი საკათალიკოსო წარმოიშვა, მათ შორის ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა.

საქართველოს ეკლესიას დიდი წვლილი მიუძღვის ერთიანი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება-გადარჩენის საქმეში. ეროვნულ ცნობიერებას ფეოდალური სეპარატიზმის გარდა საფრთხეს უქმნიდა დაპირისპირება ისლამური ქვეყნების მხრიდან. ამ შემთხვევაშიც ქრის-

ტიანული ეკლესია მონოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. შემოქმედელი მიტროპოლიტის იაკობის მიერ გაილექსა ანტიმაჰმადიანური თხზულება. დაარსდა საგანმანათლებლო კერები. განადგურების პირას მყოფი უნიკალური ქართული ხელნაწერები კლარჯეთიდან გურიის სამთავროში გადახიზნეს. ხელნაწერებთან ერთად ჩამოასვენეს ხატები და სხვადასხვა საეკლესიო ინვენტარი. მათი უმრავლესობა განაახლეს და ძვირფასი თვლებით შეამკეს. ამასთანავე სასულიერო პირების დაკვეთით, თუ უშუალო მონაწილეობით ადგილობრივ სამთავროში შეიქმნა ახალი ხელნაწერები, ხატები, მოიხატა და რესტავრაცია ჩაუტარდა ტაძრებს. მათი ყურადღება სწვდებოდა საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სავანეებს. შეწირულობათა გაღებით ცდილობდნენ დაეძლიათ სავანის ძმების მატერიალური სიდუხჭირე.

გურიის მწყემსმთავრებს თავისი ცდა არ დაუკლიათ ქართული კულტურისა და ქრისტიანობის დაცვისა და გადარჩენის საქმეში. ისინი მძლავრად იყენებდნენ იმ იდეოლოგიურ საშუალებებს, რომლითაც ქვეყანას იხსნიდნენ გათათრების საფრთხისაგან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პოლიტიკური და ეკლესიური ერთობა იმჟამად დარღვეული იყო, ისინი არასოდეს შემოზღუდულან ვიწრო სეპარატისტული მისწრაფებებით და თანაბარი აქტიურობით მოღვაწეობდნენ, როგორც თავიანთ საეპისკოპოსოებში, ასევე მეზობელ სამეფო-სამთავროებში და საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სამონასტრო ცენტრებში.

## § 2. გურიის მთავრები და გურიის საეპისკოპოსოები

გურიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას სამთავროს სათავეში მდგომი გურიელები წარმართავდნენ. საუკუნეების განმავლობაში ქართული ეკლესია წარმოადგენდა ეროვნული სახელმწიფოს იდეოლოგიურ დასაყრდენს და ამდენად, მის ინტერესებში ყოველთვის შედიოდა ძლიერი ქრისტიანული ეკლესიის არსებობა. ეს ფაქტორი მძლავრად იჩენდა თავს გურიის სამთავროში, სადაც საერო თუ სასულიერო ხელისუფალნი ერთობლივად უპირისპირდებოდნენ სამხრეთიდან მოახლოებულ ოსმალურ აგრესიას.

გურია სამთავროდ XV-XVI საუკუნეებში ჩამოყალიბდა. მის სათავეში იდგნენ დასავლეთ საქართველოს უძლიერესი ფეოდალური საგვარე-

ულოს – გურიელების წარმომადგენლები. მათი წარმომავლობის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: „ხოლო გურიელი ვარდანისძეობასა იტყვის" (8,37). ვახუშტისეულ ცნობას ვიდასტურებს გურიის ეკლესიებში დაცული მრავალი ხატის წარწერა, სადაც გურიელები საკუთარ თავს ვარდანისძეებს, მანდატურთუხუცესებს და სვანთ ერისთავებს უწოდებენ (1,129-218). ვარდანისძეები სვანეთის საერისთავოს განაგებდნენ XI-XIV საუკუნეებში.

გურიაში შემორჩენილი ეკლესიების ქტიტორები უმრავლესად გურიელები არიან, ხოლო მათში დაცული ხატები ან გურიელთა დაკვეთით იყო შესრულებული, ან მათ მიერ განახლებული. ჩვენს მიერ ქვემოთ მოყვანილი გურიელები როსტომ I-მდე მთავრებად, ამ სიტყვის სრული გაგებით არ ჩაითვლებიან, მაგრამ, როგორც გურიის უძველეს გამგებლებს ნაშრომში ჩვენ მაინც შევეხეთ. გურიელთა წინაპარი პირველი ვარდანისძე, რომლის სახელიც შემორჩენია გურიაში დაცულ ხატებს გახლავთ ვარდან ვარდანისძე, რომელსაც ჯუმათის წმ. გიორგის ხატი მოუჭედინებია. ვინაიდან ხატი XI საუკუნეს ეკუთვნის, მისი დამკვეთიც ამ პერიოდში მოღვაწედ უნდა მივიჩნიოთ. აღსანიშნავია, ლიხაურის ეკლესიის წმ. იაკობის ხატის წარწერა, რომელიც მარუშიან ვარდანისძეს იხსენიებს (1,99). დიმიტრი ბაქრაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის აზრით მოხსენიებული მარუშიან ვარდანისძე XII საუკუნის მოღვაწე უნდა იყოს (1,101;12,26). სავარაუდოა, რომ ეს ხატები მოგვიანებით დაასვენეს აღნიშნულ ტაძრებში. არც იმის მტკიცება შეგვიძლია, იყო თუ არა ხატები ადგილობრივ გურიაში მოჭედილი. ვარდანისძეთა დაკვეთით შესრულებული უძველესი და უძვირფასესი ოქროს ხატები ძირითადად ჯუმათის მონასტრიდან შემოგვრჩა. შემწირველთა ვინაობისა და მოღვაწეობის პერიოდის განსაზღვრა თვით ხატებზე დატანილი წარწერების შინაარსით ხერხდება. ივანე ვარდანისძეს ჯუმათისათვის შეუწირავს გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი 10 მინანქრის მედალიონით. წარწერაში იხსენიება „სუანთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი ივანე მსახურთუხუცესი" (1,220). ერისთავთ-ერისთავ ვარდან ვარდანისძის შეწირული ჯუმათის წმ. გიორგის ხატის წარწერა იხსენიებს ბეშქენ და მიქელ გურიელებს (1,218), რომელთაც ხატი ან განაახლეს და შეამკეს ან მათი წარწერიანი ფირფიტა უბრალოდ ძველ ხატს დააკრეს. იგივე პირები მოხსენიებულნი არიან ბაღლების მაცხოვრის ეკლესიის წარწერაში. სამხრეთის შესასვლელის მარცხენა მხარეს ახალგაზრდა მამაკაცია გამოსახული, რომელიც ალბათ ბეშქენ გურიელი უნდა იყოს. წარწერა, ნაწ-

ილობრივ გადაშლილია, მაგრამ გაირჩევა ბეშქენის, მისი მეუღლე მარიამისა და ვაჟის მიქაელის სახელები (1,215).

ბეშქენ გურიელის სახელს ვხვდებით იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპებში. ფორთოხ გარეყანის ძეს, რომელსაც ცოლად ჰყავდა ბეშქენ ვარდანის ძის ასული ხათოთა მონასტრისათვის შეუწირავს ორი ათასი თეთრის წითელი, ანუ ოქრო, რათა ყოველი წლის 12 ნოემბერს პანაშვიდი და ალაპი გადაეხადათ ბეშქენ მანდატურთუხუცესის სულის საოხად (23, 32,84,134).

1340-1350-იან წლებს უკავშირებს სვიმონ I გურიელის მმართველობას ს. კაკაბაძე (75,242). თუმცა ჩვენ ვიზიარებთ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას, რომ ვარდანიძეებმა გურია საერისთაოდ მიიღეს 1361 წლის შემდეგ, როდესაც აჯანყებულ სვანთა ერისთავს მეფე ბაგრატ V-მ სვანეთი ჩამოართვა და გურიას უბოძა. ამდენად სვიმონ გურიელი XIV ს. 60-იან წლებში უნდა ყოფილიყო გურიის გამგებელი. წყაროების სიმწირის გამო მის შესახებ ბევრი არაფრის თქმა შეგვიძლია. იგი ბერის სამოსით გამოსახულა ზარზმის ტაძრის (იგულისხმება ისტორიული ზარზმა მესხეთში თ. ქ.) ჩრდილო-დასავლეთით, გუმბათქვეშა ბურჯის სამხრეთ პირზე. ფრესკას თან ახლავს წარწერა: „ერისთავთ ერისთავი, მსახურთუხუცესი, სუანთ ერისთავი სუიმეონ გურიელი" (130,130). როგორც ჩანს პოლიტიკურ საქმეებს ჩამოსცილებია სვიმონი და ბერად აღკვეცილა. ამასთანავე, ცხადია, მას განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ზარზმის ტაძრის წინაშე, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გამოსახვა ეკლესიაში ალოგიკურია.

XV საუკუნეში გიორგი გურიელისა და დედოფალ ელენეს ინიციატივით დაარსდა შემოქმედის საეპისკოპოსო კათედრა. სავარაუდოა, რომ გურიის დანარჩენი საეპისკოპოსოებიც მათ მიერ იყოს დაარსებული. ამაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ, რადგან აღნიშნული საკითხები ფართოდ გვაქვს განხილული პირველ თავში. მათ მრავალმხრივი ღვაწლი გასწიეს აღნიშნული ეკლესიების საკათედრო ტაძრებად ჩამოყალიბების საქმეში. ჯუმათის ეკლესიაში დაცული იყო მათ მიერ შეწირული ხატები. ძვირფასი თვლებით მოოჭვილი მიქაელ მთავარანგელოზის ოქროს ხატი, ამავე ხატის ვერცხლის კუბო (1,222). მათვე შეუმკიათ ჯუმათის მიქაელ მთავარანგელოზის ოქროს ხატი (1,223). გიორგი გურიელსა და მის ვაჟს ლომას ძვირფასეულობით შეუმკიათ ჯუმათის მიქაელ მთავარანგელოზის სხვა ხატიც (1,220). გიორგი გურიელსა და დედოფალ ელენეს აუგიათ ლიხაურის სამრეკლო. გიორგის ძე ლომა

და მისი მეუღლე ადასუქანი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ იერუსალიმის ჯვრის მონასტრისადმი. მათ სახელებს არაერთხელ ვხვდებით მონასტრის ალაპებში. ელ. მეტრეველმა ლომა გურიელის ალაპი კალიგრაფიის მიხედვით XV საუკუნის შუა წლებით დაათარიღა (23,77). გიორგი გურიელსა და დედოფალ ელენეს ეკლესიისთვის შეუწირავთ წმ. თევდორეს ვერცხლის ხატი და ვერცხლის ჯვარი (1,226-227). შემოქმედის სიძველეთაგან მხოლოდ მოოქრულ ვერცხლის ჯვარს შემორჩენია გიორგი გურიელისა და მისი მეუღლის სახელი (1,130). გიორგი გურიელისა და დედოფალ ელენეს მიერ შეწირული თუ განახლებული ხატების ასეთი სიმრავლე გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა გიორგი გურიელის კარზე არსებობდა საოქრომჭედლო სახელოსნო. თუმცა, ამ საკითხს ხელოვნებათმცოდნეთა მიერ ჩატარებული საგანგებო კვლევა ესაჭიროება.

შემოქმედის საკათედრო ტაძრის გაძლიერებაზე ზრუნავდნენ მომდევნო გურიელებიც. კახაბერ გურიელსა და მის მეუღლეს ანას შემოქმედისათვის შეუწირავთ მაცხოვრის ხატი. სავედრებელ წარწერაში ნათქვამია: „...დავასვენეთ ხატი ესე სამიტროპოლიტოსა ხარისხსა ზედა შემოქმედს" (198,129). აღსანიშნავია, რომ შემოქმედი ამ დროს უკვე სამიტროპოლიტო კათედრას წარმოადგენს. მართლაც, მომდევნო პერიოდში მიტროპოლიტის პატივს უმეტესად შემოქმედელი მღვდელმთავრები ფლობდნენ.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან ერთად გურიელები ეკონომიკურ დახმარებას უწევდნენ სინას მთაზე არსებულ ქართულ სავანეს. მამია I-ს (1512-1534) თავის მეუღლე ქეთევანთან ერთად შეწირულობები გაუღია სინას მონასტრისადმი, რასაც ადასტურებს ერთ-ერთ ხელნაწერში მათი მოსახსენიებლის არსებობა (47,241).

გურიელები უხვ შეწირულობებს იღებდნენ აფხაზეთის საკათალიკოსოსადმი. როსტომ გურიელმა (1534-1566) ბიჭვინთის ღვთისმშობელს შეწირა სოფ. ოცხანა ოცი კომლით და სოფ. ხევი იქ მოსახლე ერთი კომლი თეიმურაზ სალუქაძით (61), ამასთანავე, აფხაზეთის კათალიკოსის ევდემონის მიერ დადებული „საკანონის" გამო საკათალიკოსოს შეწირა სამეგრელოს სოფ. ხიბულა სასახლით და ორმოცი კომლით (38,655). „საკანონო" რჯულის დარღვევისათვის დადებული გადასახადი იყო. როსტომი თავადაც აღნიშნავს სიგელში: „შემოგწირეთ მას ჟამსა ოდეს შეგვემთხვია უმსგავსო ცოდვა" (38,655). წყაროებიდან უცნობია, რომელ დანაშაულზე ლაპარაკობს იგი. ჩანს, როსტომი ოდიშის სამ-

თავროზეც ავრცელებდა თავის გავლენას. ამ საბუთს ი. დოლიძე 1557-1562 წლებით ათარიღებდა (38,654). თუკი გავითვალისწინებთ, რომ 1557 წელს ოდიშის მთავარი ლევან I დადიანი ოსმალეთშია წასული, ცხადი გახდება, რომ როსტომს ოდიშის დასაკავებლად გზა ხსნილი ჰქონდა. ამ მხრივ საინტერესოა როსტომ გურიელის შეწირულობის წიგნი აფხაზეთის საკათალიკოსოსადმი, სადაც აღნიშნულია: სამეგრელოსა და გურიაში ვინც „თავადი კაცი მოკვდებოდეს თავი ნიშანი კათალიკოზს მიეცემოდეს" (61). როსტომ I გურიელი წარმოგვიდგება, როგორც უმაღლესი ხელისუფალი გურიისა და ოდიშისა. სიგელი საგულისხმოა იმითაც, რომ როსტომი აფხაზეთის კათალიკოსს უკანონებს „თავი ნიშანის" გადახდას, რაც გულისხმობდა გარდაცვლილის პირადი ქონების ნაწილის კათალიკოსისათვის მიცემას.

XVI საუკუნეში, სამხრეთიდან გამძლავრებულმა თურქეთმა დიდად შეავიწროვა ქართული პროვინციები – უპირველეს ყოვლისა სამცხე-საათაბაგო. სამცხის დაპყრობა ეტაპობრივად მიმდინარეობდა. თავდაპირველად, ოსმალებმა ჭოროხის აუზი მიიტაცეს, შემდეგ კი მისი აღმოსავლეთი ნაწილიც დაიკავეს. თურქი დამპყრობლები ქართველ მოსახლეობას აიძულებდნენ მაჰმადიანობა მიეღოთ. ამასთანავე, შეურაცხყოფდნენ ქრისტიანულ სიწმინდეებს, დევნიდნენ სასულიერო პირებს. ამ პერიოდიდან იწყება საეკლესიო სიწმინდეების გადახიზვნა შედარებით უსაფრთხო ადგილებში. მათი დიდი ნაწილი გურიის სამთავროში მოხვდა. გურიელების მეოხებითა და მეცადინეობით ხელოვნების ეს ბრწყინვალე ნიმუშები განადგურებას გადაურჩა. ასევე აღდგა და განახლდა ჟამთა სიავისაგან დაზიანებული ხატები. ამ მხრივ საინტერესოა შემოქმედის ღვთისმშობლის ხატის მოოქროული კუბო, რომელიც გიორგი კაკასიძის დაკვეთით მოუჭედიათ (1,126). როგორც ჩანს, იგი განუახლებია გიორგი გურიელს და დედოფალ ელენეს, რის გამოც მათი რელიეფური გამოსახულებები მოუთავსებიათ ღვთისმშობლის მარჯვნივ და მარცხნივ შესაფერისი წარწერებით. გიორგი გურიელი რიგით მეორე გახლავთ. იგი სამთავროს მართავდა 1564-1583, 1587-1600 წლებში. გიორგი II და მისი მეუღლე გამოსახულნი არიან ჯუმათის მიქაელ მთავარანგელოზის ხატზე (94,261-262). სამწუხაროდ, ეს ხატი მონასტრის გაძარცვის შედეგად დაიღუპა 1920 წელს. წარწერის შინაარსიდან ვიგებთ, რომ მათ შეუმკიათ და განუახლებიათ იგი.

გიორგი II გურიელისავე დაკვეთით უნდა იყოს შესრულებული შემოქმედის მაცხოვრის ხატი, რომლის არშიებზე თორმეტი საუფლო დღე-

სასწაულის სცენებია დატანილი. მისი წარწერა სხვადასხვაგვარად აქვს გამოქვეყნებული მ. ბროსეს და დ. ბაქრაძეს. ბროსესეულ გამოცემაში ნათქვამია: „ხატო ღვთაებისაო, შეიწყალე გიორგი გურიელი და თანამეცხედრე მათი დედოფალი ელენე და ძე მათი მამია, ჩვენ ყოვლადსამღვდელომან შემოქმედელ მიტროპოლიტმან ბესარიონ მაჭუტაძემან, შევამკობინეთ ხატი ესე ღვთაებისა ათორმეტთა საუფლოთა, რათა მეოხ გვექმნეს. დღესა ამას განკითხვისასა და შემრაცხო მემარჯვენეთა თანა ამინ“ (198-186). დ. ბაქრაძე ფაქტიურად იგივე შინაარსს იმეორებს იმ განსხვავებით, რომ შემოქმედელ მიტროპოლიტ ბესარიონ მაჭუტაძის ნაცვლად, წინამძღვარ სერაპიონ მაჭუტაძეს კითხულობს (1,109). ბაქრაძისეული შინაარსია მოყვანილი ნ. კონდაკოვის ნაშრომში: „Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии“, რაც არაა გასაკვირი, რადგან ნ. კონდაკოვის თანაავტორი გახლდათ დ. ბაქრაძე. წარწერის დათარიღება მასში მოხსენიებული პირების მიხედვითაა შესაძლებელი. გურიის მთავართა შორის ორია გიორგი გურიელი, რომლის მეუღლესაც ელენე ერქვა, ხოლო მათ ძეს მამია. პირველი ჩვენს მიერ აღნიშნული გიორგი გურიელია, რომელიც XV საუკუნეში მოღვაწეობდა და რომელმაც დააარსა შემოქმედის საეპისკოპოსო კათედრა. დ. ბაქრაძეს წარწერაში მოხსენიებულ პირად, სწორედ ეს გიორგი მიაჩნია (1,108), მაგრამ ჩვენი აზრით, აქ გიორგი II-ის შესახებ არის საუბარი. წარწერის ბროსესეული შინაარსი უფრო მართებულად მიგვაჩნია და ვთვლით, რომ წინამძღვარ სერაპიონის ნაცვლად მიტროპოლიტი ბესარიონ მაჭუტაძე იხსენიება. რადგან სერაპიონ მაჭუტაძე ისტორიული წყაროებისთვის უცნობია. თუკი ხატის შემწირველი შემოქმედის საეპისკოპოსოს დამაარსებელი გიორგი გურიელი იქნებოდა, ამ ფაქტის ხაზგასასმელად, სავარაუდოა, რომ წარწერაში შემოქმედელ მიტროპოლიტს უფრო მოიხსენიებდნენ, ვიდრე მის წინამძღვარს. გარდა ამისა შემოქმედელი ბესარიონი ჩვენთვის ცნობილია 1572 წლის გოგიტიძეების საგვარეულო სიგელიდან. მართალია სიგელის დათარიღების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ ფაქტია, რომ იგი XVI საუკუნის ბოლო მეოთხედს განეკუთვნება, როცა გიორგი II მართავდა სამთავროს.

სამცხიდან გადმოსვენებულ სიწმინდეებს შორის, აღსანიშნავია, ზარზმის ფერისცვალების ხატი. მის პატივსაცემად შემოქმედის გვერდით აიგო ახალი ტაძარი, რომელსაც ასევე „ზარზმა“ უწოდეს. ტაძრის მშენებლობის შესახებ მოგვითხრობს გოგიტიძეების საგვარეულო სიგე-

ლის სახელით ცნობილი დოკუმენტი, სადაც ამ საქმის ინიციატორად დასახელებულია ვახტანგ გურიელი. სიგელი, მართალია, 1572 წლით არის დათარიღებული, მაგრამ მისი შინაარსიდან გამომდინარე რიგი გაურკვევლობები იქმნება, რაც საეჭვოს ხდის ამგვარ დათარიღებას. ვახტანგ გურიელი სამთავროს ტახტზე 1583 წელს ავიდა, მას შემდეგ რაც მამია დადიანმა გიორგი II გააძევა სტამბულში. თუკი სიგელი 1572 წელს არის დაწერილი, როდესაც გიორგი II მთავრობდა, საკითხავია, რატომ არის მისი ავტორი ვახტანგი. ო. სოსელიას მოსაზრება ვახტანგის შესახებ, რომ „შეიძლება დასახელებულ საბუთში „გურიელი" მხოლოდ გვარის მნიშვნელობით იყოს ნახმარი და არა მთავრის ხელისუფლების მქონე პიროვნების გაგებით" (85,135). დასაშვებია, მაგრამ დღესდღეობით თითქმის დამტკიცებულია, რომ სიგელი 1572 წელს არ განეკუთვნება და აქედან გამომდინარე, ვახტანგ გურიელს შეეძლო თავისი ზეობის პერიოდშიც დაეწერა. ქართული წყაროების თანახმად, ვახტანგი არ იყო გიორგი II-ის მემკვიდრე. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, იგი „ტომით გურიელთა იყო" (8,819). აღსანიშნავია, რომ სიგელში გიორგი I-ის პირმშოს მამიას ვახტანგი თავის ძმას უწოდებს, რითაც ცდილობს ხაზი გაუსვას საკუთარ კანონიერ უფლებებს სამთავროს ტახტზე. ამასთანავე, თავის ცოდვების შენდობასთან ერთად ღმერთს ევედრება მამიასა და მისი შვილების შეწევნასა და გამარჯვებას, მაშინ როცა საკუთარ მემკვიდრეს არც კი ახსენებს. ვახტანგ I-მა შემოქმედს შეწირა ოთხმოცი კომლი ახნაურიშვილი, სანინამძღვროზე კანდელაკად დაადგინა მგალობელი იოანე გოგიტიძე (38,657). აფხაზთა საკათალიკოსოს შეწირა რიყეს სასახლესთან მდებარე დიდი საოჩე (66).

ვახტანგი გარდაცვალების შემდეგ შემოქმედში დაკრძალეს. მისი სულის საოხად დედოფალმა თამარმა ეკლესიას ღვთისმშობლის ხატი შესწირა. აქვე შევნიშნავთ, რომ დედოფალ თამარისა და მისი ძის ქაიხოსროს დაკვეთით დაიწერა ლიტერატურაში საკმაოდ კარგად ცნობილი თეთროსნის დავითნი.

ვახტანგ I-თან ერთად ზარზმის ეკლესიის მაშენებლად ჩანს მამია I გურიელი (1600-1625). შემოქმედის მაცხოვრის ხატის წარწერა მოგვითხრობს: „ქ. მე გურიელმან ბატონმან მამია ფრიად ცოდვილმა და თანამეცხედრემან ჩვენმან პატრონმან თინათინ მოვაჭედინეთ ესე ხატი ... მას ჟამსა ოდეს ხელვყავით აღშენება ტაძრისა ამისა" (1,117). მამია I-მ ვახტანგის მომდევნო პერიოდში დაიკავა ტახტი. სავარაუდოა, რომ ორივეს მიეღოთ მონაწილეობა ტაძრის მშენებლობაში, რომელიც საკ-

მაოდ ხანგრძლივ სამუშაოებს მოითხოვდა. ზარზმის წინაშე მამიას და თინათინის მიერ გაწეულ ღვაწლზე უნდა მეტყველებდეს მათი ფრესკების გამოსახვა ეკლესიის სამხრეთ კედელზე, შესაბამისი წარწერებით (74,12v). მამიასა და თინათინ დედოფალს მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ოქროს ხატი შეუწირავთ ჯუმათის მონასტრისათვის (1,222). თინათინის სახელი შემოუნახავს ბაილეთის მიქაელ მთავარანგელოზისა და ღვთისმშობლის ხატის წარწერებს (1,227-228).

მამია I-მ საკმაოდ უხვი შეწირულობები გაიღო იერუსალიმის საპატრიარქოსადმი. საზოგადოდ, იერუსალიმის საპატრიარქო მდიდარ მამულებს ფლობდა საქართველოში. ამ მიზნით აღმოცენდა იერუსალიმის მეტოქი ტაძრები. საპატრიარქომ მათი მართვა მიანდო იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ძმობას.

XVI საუკუნის 10-იან წლებში გურიას ეწვია იერუსალიმის პატრიარქი თეოფანე. მთავარი მამია I, თავის რეზიდენციაში, ჩეხედენაში იმყოფებოდა, სადაც მისი მცირეწლოვანი პირმშო მანუჩარი იყო გარდაცვლილი. თეოფანე პატრიარქის კურთხევით მამიამ თავის შვილისა და მეუღლის თინათინ ათაბაგის ასულის სულის საოხად აგო ტაძარი, რომელიც იერუსალიმის მეტოქად ჰყო. ამასთანავე, შესწირა ჯვარ-ხატები, წიგნები, ოქროს ომფორი, ბისონი და ერთი ხელი იარაღი (15,137). თეოფანე პატრიარქმა ჩეხედენას მეტოქ საყდარზე ვექილად დაადგინა ალანიის მიტროპოლიტი გაბრიელი. გაბრიელი ალანიის, იგივე ლაზეთის მიტროპოლიტი გახლდათ, რომელიც თურქთაგან დევნილი გურიაში გადაიხიზნა. იგი განაგებდა იერუსალიმის საპატრიარქოს მამულებს გურიაში. იერუსალიმის პატრიარქი ჩეხედენაში ფლობდა სასახლეს და ათ კომლს, ხოლო ბაილეთში სასახლეს და ოც კომლს. მათ დაკისრებული ჰქონდათ მკაცრად განსაზღვრული ბეგარა, რომლის შეკრება და პატრიარქისთვის გაგზავნა, ვექილის ფუნქციებში შედიოდა. საჯვრისმამო მამულების გაყიდვის უფლება მთავარსაც არ ჰქონდა. ამასთანავე, აკრძალული იყო ამ ყმების აყრა და სხვა ადგილას გადასახლება, ან ამ ყმა-გლეხებისათვის დამატებითი გადასახადების შეწერა.

გვინდა შევეხოთ ლაზეთის მიტროპოლიტის გურიაში ყოფნის ფაქტს. ჭანეთის ოსმალთაგან მიტაცების შემდეგ ლაზეთის სამიტროპოლიტო კათედრა გადმოაქვთ გურიის სამთავროში. ეს, რა თქმა უნდა, საეკლესიოსთან ერთად პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტიც გახლდათ. მართალია, ლაზეთის მიტროპოლიტის ძალაუფლება საკუთრივ ჭანეთზე ფიქტიური იყო, მაგრამ მისი არსებობა ქმნიდა შესაძლებლობას ჭანეთზე

გარკვეული გავლენის შენარჩუნებისა. ლაზეთის მიტროპოლიტი დიდად მიღებული იყო მთავრის კარზე. როგორც ვნახეთ მამია II-ის თანხმობით მას ნიშნავენ იერუსალიმის საპატრიარქოს მამულების ვექილად. 1613 წელს გურიაში მყოფი ფრანგი ბერი ლუი გრანჟი აღნიშნავს, რომ ლაზეთის მიტროპოლიტი, მამია II-ის მიწვევით ბაილეთში იმყოფებოდა შობის დღესასწაულზე მწირველად (147,139). ამ ფაქტით ხაზგასმულია, რომ ლაზეთის მიტროპოლიტის უფლებები და პატივი თანასწორია გურიის სხვა მაღალი სასულიერო იერარქებისა.

მამია გურიელი 1625 წელს მოკლა საკუთარმა შვილმა სიმონმა და თვითონ გამთავრდა. ლევან II დადიანმა ხელსაყრელად მიიჩნია ეს დრო, რათა გურიის სამთავროს საშინაო საქმეებში ჩარეულიყო. იგი ლაშქრით შეიჭრა გურიაში, სიმონი ტახტიდან ჩამოაგდო და თვალები დასთხარა. მის ნაცვლად მალაქია კათალიკოსი, გიორგი II-ის ძე გაგურიელა. ამასთანავე, თავისი და მარიამი, რომელიც სიმონ II-ის მეუღლე გახლდათ დისშვილ ოტიასთან ერთად წაჰგვარა მას. დედოფალი მარიამი შემდგომ ქართლის მეფე როსტომის თანამეცხედრე გახდა, ხოლო ოტია ბატონიშვილი მცირეწლოვანი გარდაიცვალა. ქრისტოფორო კასტელის ცნობით, სიმონი იერუსალიმში წავიდა, სადაც ბერად აღიკვეცა და იქვე აღესრულა (20,49). მან ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა. 1672 წ. კიდევ ჰქონდა მიმოწერა თავის ყოფილ ცოლთან დედოფალ მარიამთან (140,312). ამ ცნობებს ადასტურებს თ. ჟორდანიაც (44,444).

სიმონის მომდევნო მთავარზე, მალაქია კათალიკოსზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან სასულიერო პირებზე საუბრისას უკვე განვიხილეთ მისი მოღვაწეობა. მალაქია სამთავრო ტახტზე მისმა ძმამ ვახტანგ II-მ შეცვალა. იგი ხანმოკლე პერიოდში მთავრობდა. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში სხვა გურიელთა შორის მისი სახელიც გვხვდება (23,76).

საჯვრისმამო მამულების განახლების მიზნით გურიის მთავარს ქაიხოსრო I-ს (1640-1660) ეწვია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი იგივე ნიკიფორე ირბახი. ქაიხოსრო I-მა განუახლა მამია II-ის შეწირულობის სიგელი (15,140). სავარაუდოა, რომ ნიკიფორე ირბახს ქაიხოსრო გურიელის წინაშე უშუამდგომლა შემოქმედელმა მთავარეპისკოპოსმა იაკობ დუმბაძემ. ცნობილია, რომ იგი რამდენიმეჯერ ჩავიდა იერუსალიმში და დიდად ილვწოდა ქართული სავანეების საკეთილდღეოდ, საგულისხმოა ის ფაქტიც,

რომ სიგელის მტკიცებით ნაწილში გურიის ეპისკოპოსებიდან მხოლოდ იაკობ შემოქმედელი იხსენიება (15,140). ნიკიფორე ირბახმა ქაიხოსროს ვაჟს ოტიასაც გაუჩინა ალაპი ჯვერის მონასტერში (23,95).

1658 წელს ბანძასთან დამარცხებული ქაიხოსრო სტამბოლს გადაიხვეწა. იმერთა მეფე ალექსანდრემ გურიაში გაამთავრა უსინათლო სვიმონ II და მისი შვილობილი ბერი დიმიტრი, რომელიც მონასტრიდან გამოიყვანეს და გაპარსეს. კათალიკოსმა ზაქარია ქვარიანმა სვიმონს და დიმიტრის, მანამდე არ მისცა შენდობა და კურთხევა, სანამ მათ აფხაზეთის საკათალიკოსოს საკანონოდ არ შეწირეს აკეთის საწინამძღვრო. ამასთანავე, როგორც კათალიკოსი აღნიშნავს: „გურიელს აკეთის წყევლა-კრულობით შესაწირავი საფიცარი სიგელები დავადებინეთ, რომ ეს... საყდარი ბიჭვინთის ღვთისმშობელს არასოდეს მოეშალოს" (36;477, 533,536).

ქაიხოსრო I-მა 1659 წელს ახალციხის ფაშის დახმარებით დაამხო სიმონი და კვლავ დაიბრუნა გურიის ტახტი, ხოლო დემეტრე იმერეთში განდევნა, რამაც დიდი არეულობა გამოიწვია. ნაწილი ფეოდალებისა დაუპირისპირდა ქაიხოსროს. ამით ისარგებლა ვამეყ დადიანმა და გურიის სამთავროში შეიჭრა. ქაიხოსრო იძულებული გახდა აჭის ეკლესიისთვის შეეფარებინა თავი, სადაც ძალები მოიკრიბა და თავის მოწინაღმდეგეებს გაუსწორდა. ამ გამარჯვების აღსანიშნავად აჭის ეკლესიას შეწირა სამი კომლი კაცი, ნაალაფევი ვერცხლისძისეული ჯაჭვი, ხმალი და ლახტი, განუწესა ბაჟიდან ხუთი ოკა რკინა (38,667).

ქაიხოსროს დიდხანს აღარ დასცალდა გურიის სამთავროს მართვა. იმერეთში გადახვეწილმა დემეტრემ და ალექსანდრე III-მ „შეუჩინეს მაჭუტაძე... მან მოჰკლა ქაიხოსრო გურიელი ღალატად" (8,834). გურიას კვლავ დემეტრე დაეუფლა. 1660 წელს, როდესაც გარდაიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდრე II სამეგრელოს მთავარმა ვამეყ დადიანმა დაიკავა იმერეთი და როგორც ჩანს, თავისი გავლენაც დაამყარა გურიის სამთავროზე. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთ სიგელში იგი საკუთარ თავს გურიის მპყრობელადაც იხსენიებს და აფხაზეთის საკათალიკოსოს სწირავს სოფ. ძიმითის წმ. კვირიკეს საყდარს ყმა-მამულით (38,671).

1664 წელს ახალციხის ფაშის დახმარებით გურიის სამთავრო დაიკავა ქაიხოსრო I-ის ძემ გიორგი III გურიელმა (1664-1684). მან ტახტზე ასვლისთანავე აფხაზეთის საკათალიკოსოს განუახლა ძიმითის წმ. კვირიკეს საყდარი (38,675). ამ პერიოდში აფხაზეთის კათალიკოსი გახლდათ ფრიად ენერგიული მოღვაწე სვიმონ ჩხეტიძე (1660-1666). იგი

შეეცადა დაებრუნებინა მთავართა მიერ დატაცებული საკათალიკოსო მამულები, აღედგინა კათალიკოსთა შერყეული ძლაუფლება. ამ მიზნით, 1661 წელს მან პირობის წიგნი დაადებინა ოდიშის მთავარს ვამეყ III დადიანს, ხოლო 1664 წელს ახლადგამთავრებულ გიორგი III გურიელს. შეუვალობის სიგელში გიორგი III პირობას დებდა, რომ კათალიკოსის ნებართვის გარეშე არც გადააყენებდა ეპისკოპოსს და არც კათედრას უბოძებდა, არც საწინამძღვროს გასცემდა და არც რჯულის საქმეზე შერჩვენებულ პირს მიიღებდა. რაც, მის სამთავროში კათალიკოსებს გურიელებისაგან პატივი ჰქონდათ, ისეთივე პატივით მოეპყრობოდა, ხოლო საკათალიკოსო მამულებს დაიცავდა და „საძალოდ და საავკაცოდ არავის დაანებებდა" (38,675).

დაახლოებით 1675 წლისათვის იერუსალიმის საპატრიარქოსათვის შეწირული მამულების განსაახლებლად გურიის სამთავროს ეწვია ჯვრისმამა იოსები. გიორგი II-მ მას განუახლა ბაილეთისა და ჩეხედენას ყმამამული, ასევე ჩოჩხათში ორი კომლი, ნაცხავატევში ერთი კომლი, ჩაქვისთავს სამი კომლი (67). ეს უკანასკნელნი დასახელებულნი არიან მოგვიანებით, გიორგი IV-ის მიერ გაცემულ სიგელში (69).

გიორგი III დიდ ყურადღებას უთმობდა ხელნაწერთა გამრავლებასაც. მისი დაკვეთითაა შესრულებული თვენი (A 1488), გულანი (H1714), რომელიც მის ძეს მამია II-ს დაუმთავრებია.

გიორგი II აქტიურად იყო ჩართული დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ შინაომებში. 1681 წელს მან ისარგებლა იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის გარდაცვალებით, რომლის მემკვიდრეც ამ დროს ქართლში იმყოფებოდა მძევლად და იმერეთის სამეფო დაიკავა. იგი ცდილობდა ოდიშის სამთავროს დაკავებასაც. ამ დროისათვის ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი უკვე გარდაცვლილი იყო, მისი ერთადერთი კანონიერი ვაჟი მანუჩარი კი გიორგი III გურიელს თავისთან ჰყავდა მძევლად. ოდიშს ფაქტიურად ჩიქვანები განაგებდნენ. ცხადია, ისინი დაუპირისპირდებოდნენ გიორგი II-ს, მაგრამ როგორც ჩანს, ამ უკანასკნელმა გარკვეული ხნით მაინც მოახერხა ოდიშის სამთავროს დაკავება. ორ დოკუმენტში რომელიც 1682 წლით არის დათარიღებული გიორგი III იმერეთისა და ოდიშის მფლობელად იხსენიება (129,219). 1683 წელს, სულთნის ბრძანებით იგი მეფობიდან გადააყენეს. როგორც ჩანს, გურიის სამთავრო ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. 1683 წელს ჯვრისმამა ქრისტეფორემ გიორგი II-ს სთხოვა წმინდა მიწის კუთვნილი მამულების განახლება, ვინაიდან ისინი საერო პირთა ხელ-

ში იყო გადასული და აღებული ბეგარაც ადგილობრივ რჩებოდა. მაგრამ გიორგი გურიელმა ვერ მოახერხა ამ მიწების დაბრუნება, ამიტომ მან ყოველწლიურად იკისრა ორასი მარჩილი თეთრის გადახდა, რის სანაცვლოდაც ჯვერისმამას გურიელის სულის საოხად წელიწადში ორი წირვა უნდა დაეყენებინა (15,141). მეფობის დაკარგვის შემდეგ გიორგი I სათავეში ჩაუდგა დასავლეთ საქართველოს მსხვილ ფეოდალთა კოალიციას იმერეთის ახლადგამეფებული ალექსანდრე IV-ის წინააღმდეგ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, საბრძოლველად მიმავალმა გურიელმა „განსძარცუა ხატი ვლაქერნისა ღვთისმშობელი და ჰყო სამკაულად თვსად" (8,847). როგორც ჩანს, ვლაქერნის ხატის გაძარცვა, გარდა გურიელის ნაკლებმორწმუნეობისა მატერიალურ სიდუხჭირესთანაც იყო დაკავშირებული. 1684 წელს როკითთან ბრძოლაში გიორგი გურიელი დამარცხდა და დაიღუპა კიდეც.

იმერეთის ტახტის დაკავება რამდენიმეჯერ მოახერხა გიორგი I-ის ძემ მამია III-მ. 1696 წელს, მან თურქეთის სულთანთან შეთანხმებით თავისი გავლენა დაამყარა ოდიშის სამთავროზეც. ერთ-ერთ სიგელში იგი თავის თავს უწოდებს „ჴელმწიფეთ-ჴელმწიფე დადიან გურიელს" (38,684). მან ბიჭვინთის ღვთისმშობელს განუახლა კათალიკოს დავით ნემსაძის მიერ ოდიშის სამთავროდან შეწირული 17 კომლი კაცი, რომელიც დროთა განმავლობაში დადიანების მიერ ისევ გამოწირული იყო (38,684). მამია III გარდაიცვალა 1713 წელს. იგი დაკრძალეს შემოქმედის მონასტერში, სადაც მისი ფრესკაა გამოსახული (45,39).

გურიის სამთავროში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაღვივებას დიდი ეროვნულ-იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა, რადგანაც გურიის სამხრეთით გამეზობლებული ოსმალეთის იმპერიის გაძლიერება საფრთხეს უქმნიდა ქართველი ხალხის კულტურულ თვითმყოფადობას. ამიტომ, ქართული კულტურის დაცვისა და განვითარებისათვის ზრუნვა, ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც ერის ფიზიკური გადარჩენისათვის. ეს კარგად ჰქონდათ გააზრებული გურიის პოლიტიკურ და სასულიერო მოღვაწეებსაც. გურიის მთავარი გიორგი IV გურიელი (1713-1716; 1717-1726) და ხინოწმინდელი ეპისკოპოსი (სავარაუდოდ ექვთიმე ართუმელაძე თ. ქ.) კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის აღორძინებით ცდილობდნენ მოძალებული ოსმალეთის გავლენის შეჩერებას. ამ მიზნით მათ სინოპიდან გურიაში მოიწვიეს ქართველი სასულიერო პირი პიმენი, რომელიც ბავშვობაში თუშეთიდან გაუტაციათ და ტყვედ გაუყიდიათ სინოპში. აქაურ ბერძენ ეპისკოპოსს იგი დაუხ-

სნია და ალუზრდია კიდეც. პიმენი გიორგი IV-ის უახლოესი პოლიტიკური მრჩეველი გახდა. მან ქვემო გურიაში, რომელიც ხინოწმინდის საეპისკოპოსოს მოიცავდა და რომელსაც ყველაზე მეტად ემუქრებოდა თურქეთის საფრთხე, გახსნა სკოლა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმე გააცხოველა (103,112). თუმცა, იმ პერიოდში ოსმალთა აგრესიას, მხოლოდ იდეოლოგიური საშუალებით ვერ გაუმკლავდებოდნენ და შევიწროებული პიმენი იძულებული გახდა დაეტოვებინა გურიის სამთავრო და ქართლის სამეფოში ვახტანგ VI-ის კარზე გადასულიყო. აქვე შევნიშნავთ, რომ ქართული მხარეების მიტაცების დროს ისლამის ფართოდ გავრცელების მიზნით თურქებმაც ანალოგიურ ხერხს მიმართეს. სამცხის ტერიტორიაზე მათ დააარსეს პირველდაწყებითი სასულიერო სასწავლებლები – „ჰადისების სახლები", სადაც სასწავლო პროცესს მოლები წარმართავდნენ (159,297).

გიორგი IV-მ 1713 წელს აფხაზეთის საკათალიკოსოს შესწირა მამუკა ართომელაძისეული აკეთის მამული, ვინაიდან ამ უკანასკნელს „საკანონო საქმე დაედვა". შეწირულ მამულში შედიოდა: სასახლე, სასაფლაო, ტყე, წყალი, ყანა. აქ მოსახლე 18 კომლი გლეხი, ლანჩხუთში მოსახლე ერთი კომლი გლეხი, ასკანას ერთი მარანი და ნვიტაისშვილისეული პარტახი (63). სხვა სიგელით გიორგი IV აფხაზეთის საკათალიკოსოს სწირავს გავერანებულ ადგილს – სამოსახლოდ და გასაშენებლად – სოფ. ქორაისუბანს, იგივე ქორეთისუბანს, ერთი მოსახლე კაცით, მაგრამ ქორეთისუბნის ტყეს და წყალს შუაზე უყოფს: „რაც ნადირი მოკვდებოდეს ნახევარი ჩუმნთვს სარგოდ იყოს და ნახევარი ნარიონალის თექში რაც დაიჭიროდეს ჩუმნთვს სარგოთ იყოს" (64). გიორგი IV-მ, დედამის ელენესთან ერთად აფხაზეთის საკათალიკოსოს შეწირა ბეჟან ოქრომჭედელი, რომელიც მთავრის საფლავისა და მონასტრის მსახური იყო (65).

გიორგი IV-მ 1716 წელს სიმონეთთან ბრძოლაში დაამარცხა იმერეთის მეფე გიორგი VI და ტახტი დაიკავა, თუმცა დროებით. 1717 წელს გურიის სამთავროს ენვია ჯვერისმამა ზაბილონი. საჯვერისმამო მამულები მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. როგორც თავად გიორგი IV გურიელი აღნიშნავს: „საჯვერისმამო მამულებს დიაღ ძალ დაემართა ჩვენს ჴელშიდ და რაც თქვენ მობრძანდით, თქვენის მამულის საქმე, დიაღ თავს შეიდევით და ჩვენცა და ჩვენი დარბაზის ერმანცა გავსინჯეთ რომ ქრისტიანის ბატონისაგან თქვენის მამულს ნახდენა და სყიდვა არა ჯერ იყო" (69). გიორგი IV უმტკიცებს ძველთ-

აგანვე შეწირულ მამულებს და პირობას დებს მათი გაუყიდაობის და აუოხრებლობის შესახებ. გიორგი IV საკმაოდ გამჭრიახი პოლიტიკოსი გახლდათ. მან სწორად შეაფასა ქართულ სამეფო სამთავროებში შექმნილი მდგომარეობა და ძლიერი მოკავშირის შეძენის მიზნით ვახტანგ VI-ს დაუკავშირდა. ქართლის სამეფოსთან დიპლომატიური კავშირი არც გიორგის მემკვიდრეს მამია IV-ს გაუწყვეტია. მან ტახტი 1726 წელს დაიკავა.

XVIII საუკუნის შუა წლებში გურიის სამთავროს ეკლესია-მონასტრებში გაცხოველდა კალიგრაფთა მოღვაწეობა, იქმნება უამრავი ახალი ხელნაწერი. მამია IV-მ დაამზადებინა სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი შემოქმედის გულანი. მტრის მუდმივი თარეშის გამო მრავალი ხელნაწერი განადგურდა, მრავალიც უცხოეთში გაიტაცეს. მათ დაბრუნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურისათვის. მამია IV-სა და მის მეუღლეს როდამს ტყვეობიდან დაუხსნიათ და სვეტიცხოვლის ტაძრისათვის შეუწირავთ განთვისული სახარება (42,175).

XVIII საუკუნის დასაწყისში იერუსალიმის საპატრიარქო გურიის სამთავროში ჩეხედენასა და ბაილეთის გარდა ფლობდა მამათს, კონჭკათს, ჩოჩხათს და ჩაქვისთავს. ამ მამულებს მამია IV ორჯერ უმტკიცებს ჯვრის მონასტერს, პირველად ჯვრის მამა ტიმოთეს, ხოლო შემდეგ გერასიმეს (15,143-144). მამია IV-ის ვაჟი გიორგი ამავე ხანებში, ბატონიშვილობის დროს ქრისტეს საფლავს სწირავს ყმას იავანა კილაძეს ცოლ-შვილით და იესე ნაკვერცხლისეულ მამულს (15,146). 1761 წელს მამია IV-მ კიდევ ერთხელ დაუმტკიცა იერუსალიმის მამულები ჯვრის მამა სვიმონს და ნაწყალობევ ყმებს მისცა პირობის წიგნი. მათ მოვალეობათა გასაცნობად ინტერესმოკლებული არ არის სიგელის ეს ნაწილი. მამია IV ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ჯვრის მონასტრის ყმაზე ხელი არ გვქონდეს, არც ბეგარის აღებით, არც საუდიეროს გარდახდევინებით, არცა შინ დგომით, არც თეთრის გარდახდევინებით, არც საბაზიეროს გარდახდევინებით, არც შინაყმის გაყვანით... თუ მჭობლობით დავპატიჟოთ და ნადი მოვიხმაროთ" (55). აღსანიშნავია, რომ ყველა სიგელში პირობის ეს ნაწილი მკაცრად არის დაცული, რაც თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ ხშირად არღვევდნენ მას.

1770 წელს მამია IV-მ უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტერს შესწირა მეწიის მამული ორი კომლი კაცით (38,718).

სოლომონ I-ის იმერეთის ტახტზე ასვლის შემდეგ დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვნად შეიცვალა პოლიტიკური მდგომარეობა. მან

მიზნად დაისახა სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაცია. მსხვილ ფეოდალთა ინტერესების შეზღუდვამ მათი უკმაყოფილება გამოიწვია. სოლომონ I-ის წინააღმდეგ, მისი გამეფებისთანავე მოეწყო შეთქმულება, რომელსაც იმერეთის თავადების გარდა მხარს უჭერდა გურიის მთავარი მამია IV. სოლომონ I-მა მოახერხა აჯანყებულთა დამარცხება და დასჯა. მან მამია IV გააძევა გურიიდან და მთავრად მისი ძმა გიორგი V გურიელი დასვა. მართალია, მამიამ მოკლე დროში ისევ დაიბრუნა გურიელობა, მაგრამ იძულებული გახდა სოლომონ I-ის მორჩილი ყოფილიყო. მეფემ აქტიურად შეუტია გარეულ თუ შინაურ მტერს. ამ ღონისძიებების განსახორციელებლად მხარში ეკლესია ამოიყენა. სოლომონ I-ს შესანიშნავად ჰქონდა გააზრებული, რომ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო-ერთობის განმტკიცებით მოახერხებდა საკუთარი ძალაუფლების გავრცელებას აფხაზეთის საკათალიკოსოს მასშტაბით. მაგრამ მოცემულ პერიოდში ეკლესია ფრიად დასუსტებული იყო. მეფეს კი ძლიერი მოკავშირე ესაჭიროებოდა. ამდენად, ეკლესიის რეორგანიზებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა. 1759 წელს სოლომონ I-მა საეკლესიო კრება მოიწვია, რომელსაც დასავლეთ საქართველოს უმაღლესი სასულიერო პირების გარდა ესწრებოდნენ მთავრები და თავადები, გურიიდან მთავარი მამია IV და გურიის თავადები, ხოლო სასულიერო ხელისუფალთაგან ნიკოლოზ შემოქმედელი და მაქსიმე ხინოწმინდელი. კრების დადგენილებათა თანახმად მოგვარდა საეკლესიო საქმეები, აიკრძალა ტყვის სყიდვა. ეს იყო სოლომონ I-ის პოლიტიკური წარმატება, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „1759 წლის საეკლესიო კრებაზე მეფე მთელი ლიხთიმერეთის საერთო საქმეებში ხელმწიფედ გამოდიოდა და მთავრები (დადიანი, გურიელი) და თავადები მისი მორჩილნი და ბრძანების აღმასრულებელნი იყვნენ" (137,416). ამასთანავე, სოლომონ I-მა სამღვდელოებას ფაქტიურად პირობა დაადებინა, რომ საკუთარი ბატონის ნებართვის გარეშე საქვეყნო საქმეებში მეფეს მიემხრობოდნენ (137,417). ასე რომ, ეკლესია დასავლეთ საქართველოში მეფის პოლიტიკის გამტარებელი გახდა.

აფხაზეთის კათალიკოსის ძალაუფლების განმტკიცების მიზნით 1761 წელს სოლომონ I-მა კვლავ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც დაადასტურა აფხაზეთის კათალიკოსის უფლებები თავის კუთვნილ ყმა-მამულზე და ყველა ფეოდალი დაავალდებულა უზრუნველეყოთ ამ უფლებების განხორციელება. მან ჯერ კიდევ 1760 წლის 10 თებერვალს მამია IV-მ შემოქმედელ და ხინოწმინდელ მიტროპოლიტებთან ერთად,

გურიის სამთავროში მყოფ კათალიკოსს ბესარიონ ერისთავს შეუვალობის წიგნი მისცა და საკათალიკოსო ყმა-მამულის ხელშეუხებლობის პირობა დაუდო (38,716).

1768 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის ომი დაიწყო. ომში ჩაებნენ ქართული სამეფო-სამთავროებიც და თურქებისგან მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების იმედით მხარი რუსებს დაუჭირეს. ამ დროს მეტად გართულებული საგარეო ვითარების პარალელურად საშინაო მდგომარეობაც დაიძაბა გურიის სამთავროში. სამთავროს ტახტის დასაუფლებლად მამია IV-ს დაუპირისპირდა თავისი ძმა პროთურქული ორიენტაციის მქონე გიორგი V და ოსმალთა ძალის დახმარებით კიდეც მოახერხა გურიელობის მოპოვება. ძმებს შორის ამგვარი გამწვავებული ურთიერთობით ისარგებლა სოლომონ I-მა და კიდევ უფრო აქტიურად ჩაერია გურიის სამთავროს საშინაო საქმეებში. 1771 წლის იანვარში მან გაილაშქრა გურიაში, დაამარცხა თურქთა სამხედრო კორპუსი, გააძევა მათი მომხრე გიორგი V გურიელი და ტახტი მამია IV-ს დაუბრუნა. ბატონიშვილებმა, თავადებმა, აზნაურებმა და ანტითურქულად განწყობილმა სამღვდელოებამ, (ამ შემთხვევაში მათი წარმომადგენელი იყო ნიკოლოზ შემოქმედელი) მეფეს ერთგულების ფიცი მისცეს (52,178). ამით სოლომონ I-მა გურიის სამთავრო იმერეთის მეფის გავლენის ქვეშ მოაქცია. საგულისხმოა ერთი ფაქტიც, გურიაში ლაშქრობის დროს სოლომონ I-მა ქუთაისის ღვთისმშობლის საყდარს გადასცა გურიის სოფ. ბახვი თავისი გლეხებით (99,119.შენ.5). როგორც აღვნიშნეთ, გურიაში საეპისკოპოსოების ჩამოყალიბებამდე, ეს მხარე ეკლესიურად ქუთათელის სამწყსოში იყო გაერთიანებული. მაშასადამე, გამორიცხული არაა, რომ ქუთათელს გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა გურიის მიმართ. ეს ნათლად ჩანს 1578 წელს შედგენილ, ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგარის დავთრიდან, სადაც ქუთაისის საყდრის კუთვნილ მამულებსა და ყმა-გლეხებს შორის იხსენიება გურიის, უმთავრესად სოფ. ბახვის საეკლესიო გლეხობა. საინტერესოა, რომ ისინი გამოსაღების სახეობით განსხვავდებიან დავთრის სხვა ნაწილში მოხსენიებული გლეხებისაგან (36,336), რაც მათ განსაკუთრებულ მდგომარეობაზე უნდა მიგვითითებდეს. 1578 წლისათვის ქუთაისის საყდრის დავთარში სოფ. ბახვის მოხსენიება არარეალურია და უფრო ძველი ვითარების ამსახველი უნდა იყოს. სოლომონ I-ის მიერ სოფ. ბახვის კვლავ ქუთათელისთვის გადაცემა, ამ უკანასკნელს გურიაში ფეხის მოკიდების საშუალებას აძლევდა. ცხადია, მეფის მხრიდან ეს ნაბიჯი ისტორიული სამართლიანობის

აღდგენის მცდელობა არ ყოფილა. გურიის სამთავროს სოფ. ბახვის ქუთათელის ხელში გადასვლა მეფის პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა და გურიის სამთავროზე იმერეთის სამეფოს გავლენის განმტკიცებას ისახავდა მიზნად.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, სოლომონ I-ს ერთგულების ფიცი მისცეს უმაღლესმა საერო და საეკლესიო ხელისუფლებმა, მაგრამ მეფესა და გურიელს შორის ურთიერთობა კვლავ გამწვავდა. ამ კონფლიქტში გურიის სასულიერო პირები მამია IV-ის მხარეს აღმოჩნდნენ, დაახლ. 1775 წელს გურიის სამთავროზე ბატონობის განმტკიცების მიზნით, სოლომონ I-მა მამია IV-ის ვაჟი დავითი ქუთაისში გაიწვია აღსაზრდელად, მაგრამ მემკვიდრე დააბრმავა და გურიაში შექრა გადაწყვიტა. მეფეს წინ აღუდგნენ ნიკოლოზ შემოქმედელი და მაქსიმე ჯუმათელი. მათთან ერთად თავად-აზნაურები და გლეხები. მათი წინააღმდეგობის შედეგად გურიის იმერეთთან შეერთების გეგმა ჩაიშალა. ასეთ პირობებში გურიის სამთავრო ტახტი კვლავ გიორგი V-მ დაიკავა. ამჯერად უკვე საბოლოოდ. ნ. დადიანის ცნობით მამია IV-მ თვითონ თქვა უარი მთავრის ტახტზე და ბერად აღიკვეცა (5,184).

გიორგი V გურიელის გამთავრების შემდეგ სოლომონ I-ს თავისი დამოკიდებულება გურიის სამთავროსადმი არ შეუცვლია. კვლავაც აქტიურად მართავდა საეკლესიო პოლიტიკურ კურსს. მოცემულ პერიოდში გურიის ეკლესია კრიზისულ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. სამთავროში არცერთი საეპისკოპოსო აღარ მოქმედებდა. ასეთი ვითარება რუსეთ-თურქეთის 1767-1774 წლების ომის შედეგად შეიქმნა. ამ საკითხების მოსაგვარებლად 1777 წელს გურიის სამთავროს ეწვია აფხაზ-იმერთა კათალიკოსი მაქსიმე. გიორგი V-სთან წარმოებული მოლაპარაკების შედეგად ეკლესიებს დაუბრუნდათ კუთვნილი ქონება. აღდგა შემოქმედისა და ჯუმათის კათედრები, რომლის მღვდელმთავრებადაც კათალიკოსმა სასურველი პირები დააყენა. ეს ფაქტი ხაზგასმითაა აღნიშნული გიორგი V-ის პირობის წიგნში (18,62). ტრადიციულად ეპისკოპოსებს გურიის მთავრები ადგენდნენ თავისი შეხედულებისამებრ, მაგრამ ამ შემთხვევაში გიორგი V იძულებული გახდა დამორჩილებოდა მაქსიმე კათალიკოსს, რომლის ვიზიტსაც გურიაში ზურგს უმაგრებდა სოლომონ I. შემოქმედის ეპისკოპოსად იოსებ თაყაიშვილი დაადგინეს, ხოლო ჯუმათის ეპისკოპოსად – სვიმონ აბაშიძე. როგორც ჩანს, არც სვიმონ აბაშიძის პიროვნება იყო შემთხვევითი, იგი იმერეთის დიდგვაროვანი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი, ჯრუჭის მონას-

ტრის წინამძღვარი და მაშასადამე, სოლომონ I-ის პოლიტიკის გამტარებელი გახლდათ.

1780 წელს მაქსიმე კათალიკოსი კვლავ ეწვია გურიის სამთავროს და გიორგი V-ს მოსთხოვა გურიელების მიერ აფხაზეთის საკათალიკოსოსთვის ბოძებული აკეთის საწინამძღვროს შეწირულობის განახლება. გიორგი V-მ განუახლა აკეთის საწინამძღვრო და დამატებით რამდენიმე კომლი შეწირა (38,724).

გიორგი V-მ შეწირულობის წიგნი განუახლა ბაილეთის ეკლესიას, რომელიც დროთა ვითარებაში დაკარგული იყო, რის გამოც შესავალ-გასავალი საქმეები არეული იყო ამ საკითხის მოსაწესრიგებლად. გიორგი V-მ გამოიძია, თუ რა შეწირულობანი გააჩნდა ბაილეთს და ყოველივე ხელახლა დაუმტკიცა (38,726-727). მან დედოფალ მარიამთან ერთად შემოქმედის მონასტერს შეწირა ერთი კომლი სურგულაძე „მისი გადასახადი ბეგრით". ერთი კომლიც ლიხაურიდან (54,67r) შემოქმედს დაუბრუნა „უკეთურთა და ურწმუნოთა მიერ დაფანტული" ყმა-მამული (98,157).

1787 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი დაიწყო. ოსმალებმა გააქტიურეს თავდასხმები გურიის სამთავროზე. „ულმრთოთა აგარიანთა მძლავრებამ ისე შეაჭირვა მთავარი საყდარი და ტაძარი (იგულისხმება შემოქმედი თ. ქ.), რომ უბრალოცა მონაზონი და მღვდელი ვერ იცხოვრებდა შიგ" (1,263). ამიტომ, იოსებ შემოქმედელი იძულებული გახდა დაეტოვებინა კათედრა. საგარეო მტრის თავდასხმებს ერთვოდა სამთავროს შიგნით გართულებული პოლიტიკური მდგომარეობა. გიორგი V-ს დაუპირისპირდა თავისი ვაჟი ვახტანგი. იგი უგულებელყოფდა მთავრის უფლებებს და თვითნებურად აწარმოებდა საქმეს. 1788 წელს მან ჯუმათელ ეპისკოპოსად დაადგინა შემოქმედელი იოსები. ვახტანგ III-ს პოზიციების განსამტკიცებლად სურდა იოსებ ეპისკოპოსის გადაბირება, ამიტომ მისთვის ბოძებულ სიგელში აღნიშნავს: „ჩვენ გურიიდან ვერ გაგიშვით და ჯუმათის ეკლესიაში დაგადგინეთ და გიბოძეთ, თუ ჩვენი ნებისა იქნებით და ერთგული თქვენი სამწყსოს მიწასა და ეკლესიას არ გამოგწირავთ" (1,263). იოსებმა ცხოვრების ბოლომდე შეინარჩუნა შემოქმედისა და ჯუმათის მღვდელმთავრობის პატივი. იგი ორივე ეპარქიას განაგებდა. პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორების შემდეგ შემოქმედში კვლავ შეიკრიბნენ ბერ-მონაზვნები და საეკლესიო მოღვაწეთა დასი. მატერიალური შემწეობის აღმოჩენის მიზნით გურიელებმა განუახლეს ძველი შეწირულობანი. სვიმონ გური-

ელმა (1788-1792) და დედოფალმა მარინემ შემოქმედის მონასტერს შენირეს შემოქმედის დეკანოზის გაბრიელისეული ყმა-მამული. ასევე ერთი კომლი კაცი ბუჭუა დგებუაძე კუთვნილი ყმებით (54,67r).

იოსებ შემოქმედელი 1794 წელს გარდაიცვალა. ამის შემდეგ საშემოქმედლო ყმა-მამულს ქაიხოსრო ბატონიშვილი დაეპატრონა. ქაიხოსრო გურიის მთავრის გიორგი V-ის ვაჟი გახლდათ. იგი განწესებული იყო სასულიერო სფეროში მოღვაწეობისათვის. როგორც რუსი ისტორიკოსი პოტტო აღნიშნავს: „თავად ქაიხოსრო გურიელი გახლდათ ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება თავისი გონებით, სიმდიდრითა და გავლენიანობით. მან მიიღო თავისი დროისათვის ბრწყინვალე განათლება. იგი დედანში კითხულობდა ბერძენ და ლათინ ავტორებს" (195,514). ქაიხოსრომ ბერობა მიატოვა და როგორც შემოქმედის ეპისკოპოსის კათედრის დასაკავებლად მომზადებულმა 1794 წლიდან ხელთ იგდო საშემოქმედლოს ტერიტორია.

1792 წელს გურიის მთავრის სვიმონ III-ის გარდაცვალების შემდეგ, ტახტი მისმა ძმამ ვახტანგმა დაიკავა, ისარგებლა რა მემკვიდრის მამია V-ის მცირეწლოვანებით. ვახტანგ გურიელმა იერუსალიმის საპატრიარქოს განუახლა მამია IV-ის მიერ შეწირული სიგელი. თვით მამია IV-ის სიგელის არშიაზე განსხვავებული ხელით აწერია „ეს წიგნი რომ დაიწერა მას მერმეთა გურიელი გიორგი გურიელად დაჯდა. ის რომ მიიცვალა მე მისმა შვილმა გურიელმა ვახტანგ წიგნი დავამტკიცე. ამჟამად მობრძანდა ჯვარის მამა არქიმანდრიტი ათანასი. მისი სიტყვით, ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია როგორც მამია აცხადებს, ქკს˜ქეს აქათ ათას შვიდას ოთხმოცდა ათექვსმეტსა" (55). ამ სიგელს 1817 წელს ანახლებს დავით ბატონიშვილი.

გურიაში შექმნილმა რთულმა საგარეო მდგომარეობამ დიდად დააზარალა საჯვრისმამო ყმა-მამული. დაიკარგა თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე მდებარე მამულები. თუმცა, ზოგიერთი იმ ყმის შენარჩუნება მოახერხეს, რომელმაც თავი საქრისტიანო გურიას შეაფარა. მათ შორის ყოფილან ხომერიკები, ისინი ნაკაშიძეთა მამულში ჩასახლებულან. 1796 წელს გურიაში მყოფი ჯვრისმამა ათანასი, ლომკაც, კაცო და ბეჟან ნაკაშიძეებს ლოცავს და ემადლიერება მისი ყმების შენახვისა და მოვლისათვის და საგანგებო სიგელით მათ აბარებს ამ ყმებს (71). „თათარში დაკარგული" ყმა ყოფილა იაკობა ხელაძე, რომელიც დედოფალ მარინა წერეთელს (სვიმონ II-ის მეუღლე) დაუხსნია. მარინა წერეთლის გარდაცვალების შემდეგ, მამია V, დედამისის სულის

საოხად ამ ყმას უმტკიცებს არქიმანდრიტ იოაკიმეს 1814 წელს (68). იგივე იოაკიმე 1817 წელს თავისი ყმებისათვის ბოძებულ თარხნობის განახლების სიგელში ყმა-გლეხებს შორის იხსენიებს აღნიშნულ ხელაძეებს (70).

ვახტანგ II გურიელის მმართველობის დროსაც გრძელდებოდა საეკლესიო მამულების მითვისება. როგორც თვით ვახტანგ გურიელი აღნიშნავს: „ჩვენი ქვეყანა ძალიან შეჭირვებული იყო შეჩვენებული მაჰმადის მსახურთაგან და ჯუმათის მამულს ჩვენ ვსარგებლობდით, როგორც სახაზინო ქონებას და რამდენჯერაც არ მოვიწვიეთ მღვდელმთავარი, იგი ადგილზე ვერ დადგა, ჩვენს ხორციელ ტანჯვას შეეძინა სულიერი მწუხარებაც, რამეთუ უმწყემსოდ ვიყავით და ბევრი ღვთის საწყენი საქმე მოხდა ჩვენს ქვეყანაში" (1,265-266). სიგელი 1797 წლის 1 ივლისითაა დათარიღებული. როგორც ჩანს, ამ დროისათვის ჯუმათის კათედრა კვლავ თავისუფალი ყოფილა. გარდა ამისა, სიგელის მტკიცების ნაწილში მხოლოდ ქუთათელი და გენათელი ეპისკოპოსები იხსენიებიან. ვახტანგ გურიელმა იმჯერად, ჯუმათს დაუბრუნა ყმა-მამული. მოგვიანებით, როცა ჯუმათელ ეპისკოპოსად მაქსიმე ნიჟარაძე დაადგინეს, ვახტანგ გურიელს კვლავ მიუტაცია საჯუმათლო ყმა-მამული. როგორც თავად აღნიშნავს მაქსიმე ჯუმათელთან კონფლიქტის გამო, მას ყმები და ადგილ-მამული დაუკავებია (38,453). მოგვიანებით, მათ შორის მოგვარდა დავა, მაგრამ ამასობაში მაქსიმე ჯუმათელი გარდაიცვალა. ამიტომ ვახტანგ გურიელმა 1812 წელს ნიკოლოზ ჯუმათელს დაუბრუნა საჯუმათლო ყმა-მამული (38,454). ჯუმათის ყმების მონასტრისადმი დაბრუნებას ამტკიცებს ვახტანგის ვაჟის დავით ბატონიშვილის სიგელი, რომლითაც თავადაც უახლებს მამის მიერ გაღებულ შეწირულობას (38,739).

1797 წელს ვახტანგი მისმა ძმამ ქაიხოსრომ გადააყენა, თუმცა მთავრად არ დამჯდარა და მხოლოდ რეგენტის უფლებებით დაკმაყოფილდა. ქაიხოსრო აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას შეუდგა. მან გადამჭრელი ზომები მიიღო სამთავროში ფესვგადგმული ტყვის სყიდვის აღმოსაფხვრელად. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე მოიწვია გურიის სასულიერო და საერო ხელისუფალთა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ იმერეთის სამეფოს წარმომადგენლებიც. მათ აკრძალეს ტყვის სყიდვა და სათანადო დოკუმენტიც მიიღეს (175,15). ტყვის მსყიდველი სასტიკად ისჯებოდა, მას წვავდნენ. ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გასატარებლად ქაიხოსროს მხარში ამოუდგა სასულიერო წოდება.

ქაიხოსროსა და ჯუმათელის გადაწყვეტილებით ტყვის მსყიდველი კაცი მართლაც დაწვეს გურიაში (1,291).

ქაიხოსრო ბატონიშვილმა შემოქმედის მონასტერს ხელახლა შეწირა სვიმონ გურიელის მიერ შეწირული გაბრიელ დეკანოზისეული ყმა-მამული, რომელიც სვიმონის გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ გურიელმა გამოწირა და ლომკაც ნაკაშიძეს უბოძა. ქაიხოსრო ბატონიშვილმა გამოისყიდა ეს ყმა-მამული და კვლავ შემოქმედის მონასტერს დაუბრუნა. ქაიხოსროსვე შეუწირავს შემოქმედისათვის ერთი მღვდელი და 17 კომლი გლეხი 1803-1807 წლებში (54,67v).

1809 წლისათვის ქაიხოსრო ბატონიშვილი სამთავროს საქმეებს ჩამოსცილდა და მამია V დამოუკიდებლად შეუდგა სამთავროს მართვას. 1810 წელს გურიის სამთავრო რუსეთის მფარველობაში შევიდა. ამჯერად, გურიის სამთავროს მესვეურებმა, იმერეთის სამეფოსგან დამოუკიდებლად გააფორმეს სამფარველო ხელშეკრულება.

მამია V-ის მმართველობის პერიოდში სამთავროში ჩნდება ევროპული ყოფისთვის დამახასიათებელი ნიშნები. შემოდის ევროპული ნივთები, ევროპული ტანსაცმელი, მთავრის კარზე იმართება ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი მეჯლისები. მამია V დიდად ზრუნავდა საგანმანათლებლო საქმის დაწინაურებისათვის. მან ოზურგეთში დააარსა სკოლა.

მამია V-მ უხვი შეწირულობები გაიღო შემოქმედის მონასტრისადმი, რომელსაც უბოძა ერთი კომლი აზნაური, დაუბრუნა გომში მცხოვრები მახარაძენი, რომელნიც დროთა განმავლობაში გამოწირულნი იყვნენ (54,67r). მამია V-მ დედამისთან, დედოფალ მარინესთან და ბიძასთან ქაიხოსრო ბატონიშვილთან ერთად 1809 წელს შემოქმედს შეწირა ერთი მღვდელი და ერთი კომლი გლეხი (54,67v), 1814 წელს განსვენებული დედოფლის მარინეს სულის საოხად შემოქმედს შეწირა ყმა-მამული უჩხობს, ბახვს, ასკანას და ოზურგეთს, რომელნიც საწინამძღვროდ განაწესა, ხოლო წინამძღვრად ცნობილი სასულიერო მოღვაწე არსენი დაუყენა (38,738).

გურიის სამთავროში თავისი მამულები ჰქონდა, კუნძულ კვიპროსზე მდებარე გიქკოს მონასტერს. შეწირულობების განახლების მიზნით, XIX საუკუნის დამდეგს, დასავლეთ საქართველოში ჩამოვიდა გიქკოს მონასტრის არქიმანდრიტი გერმანე. მან მამია V-ს მოსთხოვა გიორგი V-ისა და სვიმონ II-ის მიერ გაღებული შეწირულობების დამტკიცება. როგორც მოძიებული ძველი სიგელებით გაარკვიეს გიქკოს მონასტერს ეკუთვნ-

ოდა იხურგეთში მდებარე ეკლესია და სოფელ კვირიკეწმინდაში არსებული კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია ორი კომლით, ასევე ორმოცი მარჩილი ყოველწლიურად. მამია V-მ გერმანე არქიმანდრიტს დაუმტკიცა აღნიშნული შეწირულობანი (60).

მართალია, ჩვენამდე არ მოუღწევია იმ სიგელებს, სადაც საუბარია გურიელების შეწირულობებზე ათონის ივერთა მონასტრისადმი, მაგრამ ცხადია გურიის სამთავროში მთაწმინდის ქართველთა სავანეს თავისი ყმები ჰყოლია. ამის შესახებ, თვით ათონელმა ბერებმა მოახსენეს იმერეთში მყოფ რუს ელჩებს ტოლოჩანოვსა და იევლევს (51,157). არქივში მუშაობის დროს ნავანყდით მამია V გურიელის მიერ გაცემულ სიგელის პირს. დოკუმენტი XIX საუკუნის დამდეგს ეკუთვნის. მამია V გურიელი მამა პართენს უმტკიცებს მთაწმინდის კარის (პორტაიტის) ღვთისმშობლისადმი შეწირულ ყმებს ოქროსქედსა და გურიანთაში. საბუთის ბოლოს საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ მამია გურიელმა „ძველთა მამა-პაპათა დამტკიცებული სიგელი" განაახლა და აღადგინა (58).

1810 წელს გურია-რუსეთს შორის დადებული სამფარველო ხელშეკრულებით, გურიის სამთავრო ავტონომიურ უფლებებს ინარჩუნებდა. ამ დროისათვის გურიაში მხოლოდ ჯუმათის ეპარქია მოქმედებდა. 1811 წელს მცხეთის საკათალიკოსოს, ხოლო 1814 წელს აფხაზთა საკათალიკოსოს გაუქმების შემდეგ ჯუმათის ეპარქია და სამღვდელოება ავტომატურად ეგზარხოსისა და სინოდის კანტორის დაქვემდებარებაში შევიდა. ამასთანავე, რუსეთი ცდილობდა საეკლესიო ყმა-მამული სახაზინოდ ჩაერიცხა. ფაქტიურად, რუსეთის ხელში გადადიოდა დამოუკიდებელი სამთავროს ტერიტორიაზე მდებარე მიწების საკმაოდ დიდი ნაწილი და მდიდარი საეკლესიო ქონება, რაც აშკარად ხელყოფდა სამთავროს ავტონომიურ უფლებებს. მამია გურიელთან ერთად ამ რეფორმას წინ აღუდგა ლევან დადიანი. ისინი თბილისში შეხვდნენ მთავარმმართებელ რტიშჩევს და საკუთარი პრეტენზიები განუცხადეს. რტიშჩევი დროებით დათმობებზე წავიდა. 1816 წლისთვის მან გურიისა და სამეგრელოს მთავრები დაითანხმა, რათა სასულიერო საკითხებში მათ სამთავროში შემავალ ეკლესიები დამორჩილებოდნენ იმერეთის ეკლესიის გამგებელს, ქუთაისის მთავარეპისკოპოსს დოსითეოსს (175,63-64). დოსითეოსის უფლებებში შედიოდა მღვდელმთავართა ზნეობრივი საქციელისათვის თვალყურის დევნა, ეკლესიათა კეთილმოწყობა, საეკლესიო დადგენილებების ცხოვრებაში გატარება. საშემოსავლო საქმეებს

ადგილობრივი მღვდელმთავრები განაგებდნენ, ეპისკოპოსთა კურთხევა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის დასტურით ხდებოდა, რის შემდეგაც საკითხს რუსეთის სინოდი განიხილავდა (175,64).

რუსეთის მიერ გატარებულმა საეკლესიო რეფორმებმა დასავლეთ საქართველოში ხალხის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რასაც შედეგად მოჰყვა 1819-1820 წლების იმერეთ-გურიის აჯანყება. აჯანყებაში მონაწილეობდნენ მოსახლეობის როგორც დაბალი ფენები, ისე თავადაზნაურობა. გურიის მთავარი მამია V აჯანყებაში არ ჩაბმულა. აჯანყება სისხლში ჩაახშვეს. მამია V-ის ხელისუფლებასაც არ ეწერა დიდი დღე. მთავარი დასნეულდა და 1826 წელს გარდაიცვალა. ძალაუფლება ხელში აიღო მამიას მეუღლემ სოფიო წულუკიძის ასულმა. თუმცა ა. ერმოლოვის ბრძანებით 1827 წლის 3 იანვარს დაარსდა გურიის სამთავროს სამმართველო საბჭო, რომელსაც სამთავრო უნდა ემართა, სანამ ტახტის მემკვიდრე სრულწლოვანი გახდებოდა. საბჭოს თავმჯდომარედ დედოფალი დაამტკიცეს, მაგრამ საბჭოში ზოგიერთი მისი აშკარა მტერი შეიყვანეს, რის გამოც დედოფალმა სოფიომ პროტესტი განაცხადა. გურიის თავადაზნაურობის ნაწილმა, მათ შორის ნიკოლოზ ჯუმათელმა მთავარმართებელ ერმოლოვს მიმართა თხოვნით საბჭოს გაუქმების შესახებ. მართალია, საბჭო არ გაუქმებულა, მაგრამ დედოფალი სოფიო უგულებელყოფდა მის არსებობას. დედოფალსა და რუსეთის მთავრობას შორის კონფლიქტმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. 1828 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს სოფიო იძულებული გახდა გურია მიეტოვებინა და თურქეთში გადახიზნულიყო. 1829 წელს გურიის სამთავრო გაუქმდა.

როგორც დავინახეთ, გურიის მთავრები აქტიურად მონაწილეობდნენ საეკლესიო ცხოვრებაში. ძლიერი ეკლესიის არსებობა თავისთავად შედიოდა მთავართა ინტერესებში. ამიტომაც უმაღლეს საეკლესიო თანამდებობებს ხშირად გურიელთა სახლის წარმომადგენლები ან აფხაზთა კათალიკოსის გვერდის ავლით მთავრის სასურველი კანდიდატები იკავებდნენ. ეკლესიას მატერიალურად ძირითადად მთავრები უზრუნველყოფდნენ. საეპისკოპოსო ტაძრებისა თუ სხვა მონასტრების კუთვნილი მამულების უმრავლესობა გურიელთა მიერ იყო შეწირული. ამიტომ ისინი ზრუნავდნენ კიდეც მოეწესრიგებინათ მათი სამეურნეო საქმეები, აღედგინათ ან შეექმნათ მოსაკრებლობის დავთარი. გურიელთა მატერიალური მხარდაჭერით მრავლდებოდა ხელნაწერები, იჭედებოდა ხატები, შენდებოდა ეკლესიები.

გურიის სამთავროში საკმაოდ მდიდარ მამულებს ფლობდა აფხაზთა საკათალიკოსო, იერუსალიმის საპატრიარქო. გურიელებს შენირულობები გაუღიათ სინას მთის, კუნძულ კვიპროსზე მდებარე გიქკოსა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრებისადმი.

გურიელებმა საეკლესიო პირების შემწეობით და თანადგომით დიდად შეუწყვეს ხელი საქართველოს ამ კუთხეში მართლმადიდებლური ეკლესიის დაცვას და ქართული კულტურის განვითარებას.

## დასკვნა

XV საუკუნეში ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქიის დაშლის შედეგად ჩამოყალიბდა გურიის სამთავრო. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა ხელი შეუწყო საეკლესიო სეპარატიზმის გაღვივებასაც. მეფე-მთავრები ცდილობდნენ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის დაექვემდებარებინათ ეკლესიის ინტერესები. ვინაიდან გურიის ტერიტორია ეკლესიურად ქუთათელის სამწყსოში შედიოდა გამთავრების გზაზე მდგარმა გურიის ერისთავებმა იმერეთის სამეფოსაგან სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ახალი საეპისკოპოსო კათედრები დააარსეს. გურიელი, თუკი მხოლოდ პოლიტიკური ძალაუფლებით შემოიზღუდებოდა, ხოლო ეკლესიურად მისი საგანმგებლო იმერეთის სამეფოს ერთ-ერთ საეპისკოპოსოს დაემორჩილებოდა, ყოველთვის იმერეთის მეფეზე იქნებოდა დამოკიდებული, ამიტომ, მას ესაჭიროებოდა თავისი პოლიტიკის გამმართლებელ-გამტარებელი სასულიერო კრებული. გურიელები ხშირად საკუთარი შეხედულებისამებრ ადგენდნენ ეპისკოპოსებს, ამასთანავე, სამღვდელმთავრო კათედრებს გურიელთა სახლის შვილები იკავებდნენ. ამდენად, გურიელთა ინტერესებში ყოველთვის შედიოდა ძლიერი ეკლესიის არსებობა. ეკლესიას მატერიალურად ძირითადად მთავრები უზრუნველყოფდნენ. საეპისკოპოსო ტაძრებისა თუ სხვა მონასტრების კუთვნილი ყმა-მამულის უმრავლესობა გურიელთა მიერ იყო შეწირული. თვით ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, თუ აღდგენა ხშირ შემთხვევაში გურიელების ინიციატივით ხდებოდა.

გარდა იმისა, რომ ეკლესია-მონასტრები სასულიერო ცენტრებს წარმოადგენდნენ, ისინი ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერებიც იყვნენ, ამიტომ მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა გულისხმობდა ქართული კულტურის სამსახურს, მითუმეტეს, რომ აქ მიმდინარე კულტურულ-შემოქმედებითი პროცესები (ხელნაწერების დამზადება, ხატების მოჭედვა, საგანმანათლებლო ცენტრების დაარსება) უმეტესად გურიელთა მატერიალური შემწეობით იმართებოდა.

ქრისტიანული ეკლესია და ქართული კულტურა ის იდეოლოგიური იარაღი იყო, რომლითაც უნდა დაპირისპირებოდნენ მომძლავრებულ ოსმალურ აგრესიას. „გათათრების" საშიშროება განსაკუთრებით გაიზარდა

მას შემდეგ, რაც გურიის სამთავროს ჩამოაცილეს ჭანეთი და აჭარა და მიტაცებულ ტერიტორიებზე ფართოდ გაავრცელეს ისლამი. თუკი გურიელებს შეეძლოთ სამხედრო ძალით დაპირისპირებოდნენ მომხდურ მტერს, გურიის საეკლესიო მოღვაწეების ხელში მხოლოდ ბრძოლის კულტურულ-იდეოლოგიური საშუალებები რჩებოდა, ამიტომ მათი მთელი მოღვაწეობა სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა. აღნიშნულის დასტურია ის, რომ შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იაკობმა გალექსა ბაგრატ მუხრანბატონის ანტიმაჰმადიანური პოლემიკური თხზულება „უსჯულო მაჰმადიანთა და ქრისტიანთა გაბაასება", რომელიც ორიგინალზე პოპულარული გახდა, რაც მოცემულ პერიოდში ნაწარმოების შინაარსის აქტუალობით იყო განპირობებული. განადგურების პირას მყოფი უნიკალური ქართული ხელნაწერების გადასარჩენად ნიკოლოზ ჯუმათელმა საგანგებოდ იმოგზაურა კლარჯეთის მონასტრებში და ხელნაწერები გურიის სამთავროში გადახიზნა. გურიის ეკლესია-მონასტრებში მოიყარა თავი სამცხე-საათაბაგოდან გადმოტანილმა საეკლესიო განძეულობამაც. თვით გურიაში ხინოწმინდის საეპისკოპოსოს ოსმალთაგან მიტაცების შემდეგ ქრისტიანული სიწმინდეები სამთავროს ჩრდილოეთ ნაწილში გადაასვენეს.

